ქართულის მწერლობის მოყვარეთა გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცდა

(კრებული)

Дозволено цензурою, 28 Апреля 1891 г. Тифлисъ.

## III.

F 5796

ქუთაისი

სტამბა დ. დ. ღამბაშიძისა.

1891

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою, 28 Апрѣля 1891 г. Тифлисъ.

1956
1891
1165

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი:

1. პირველი ნაბიჯი, რომანი გ. წერეთლისა . . . 1
2. მეფის ერეკლეს დროისაგან, ლექსი სილოვანისა . 151
3. როსტომ მეფე, ისტორიული წერილი დ. ყარიჭაშვილისა 157
4. ქალი, ლექსი სილოვანისა . . . . . . . 195
5. დედა და შვილი, ამბავი დუტუ მეგრელისა . . . 197
6. შენ გეტრფი მარად, ლექსი გრ. ვოლსკისა . . 219
7. იმედი, ლექსი სილოვანისა . . . . . . . . 220
8. დონ-პედრო კასტილიელი, თარგმანი ეფ. გ—ლისა 221
9. ხალხური ლექსი, გაგონილი ს. ხ-მის მიერ . . 276
10. სკოლა და ცხოვრება, წერილი ნარისა . . . . 277

# პირველი ნაბიჯი

რომანი

## გ. წერეთლისა.

მეორე ნაწილი.

ვუძღვნი დავ. ბაქრაძეს.

მეოთხე დღეს ბახვას ოჯახიდან საზარელი ხმა ზარისა და მოთქმით ტირილისა გამოისმოდა. ეზოს ღობის ჩაყოლება იდგენ ჩამწკრივებულნი უნაგრიანი და ასალ-უნაგრიანი ცხენები; ზოგი მათგანი რახტით იყო შეკაზმული. დროგამოშვებით ეზოში შედიოდენ ახალ-ახალი ცხენოსნები—კაცები და ქალები თმებ-გაშლილნი, შავით შემოსილნი. ისინი ჯერ კიდევ ეზოში არ ჩასულიყვნენ, შორიდან მორთავდენ ხმა-მაღლა ტირილსა, გაიპოტნიდენ სახეს, მათ წივილ-კივილს აჰყვებოდენ კაცები, გაჰქონდათ თავის ტყება და წვერების გლეჯა.

ბახვას ოჯახში ახლა თაოსნობდა მისი ბიძაშვილი ნესტორა, რომელსაც დაეპატიჟნა ტირილზე შორეულნი მოკეთენი, ნაცნობნი და მეგობრები, აგრეთვე გარემო სოფლის ხალხი—გლეხი, აზნაური და თავადი. იმას ორას-სამასი კაცის ხარჯი და სანოვაგე დაემზადებინა. ათი საპალნე ღვინო ეყიდნა, რამდენიმე ფუთი ხმელი და ნედლი თევზი დაებარებინა, ზოგი

ფოთიდან, ზოგი ქუთაისიდან. წელა, ხიზილალა და მრავალნაირი სამარხო საჭმელები ხორად ეყარნენ. ბევრნი, მისთანა მოტირალნიც იყვნენ, რომ დაუპატიჟებლათ მოსულიყვენ—მხოლოთ ტირილის დასაშვენებლათ—უსაქმურნი და კარ-დაკარ მოსიარულენი. მათთვის ლხინი და ტირილი თანასწორი სასიამოვნო გასაგონია, რადგან ორივეგან კარგათ ჩაბრუჟდებიან, როგორც სანოვაგეთი, აგრეთვე ღვინითა. ისინი სუნით ეძებენ ამისთანა შემთხვევას. ბახვას ტირილსაც მრავალი მიატყდა ამისთანა მესადილეები. იმათ არა აქვთ ჩვეულება ხორცის დათმობისა. ჭირისუფლებზე კიდევ უფრო პატივისცემა იმათ უნდა, რადგან ისინი არიან მაგინებელნი და მაქებელნი, ოჯახის სახელის ავათ თუ კარგათ მომხსენებელნი და გამთქმელნი. ამის გამო სამარხო საჭმელებს გარდა იმ დღესა და მეორე დღეს ბახვას ოჯახს ორი ძროხა კიდევ არ ჰყოფნია მოქელეხეებისათვის.

აივანზე თან-და-თან ემატებოდენ ახალ-ახალნი მოტირალნი, რომელნიც უცდიდენ თავიანთ რიგსა. ეტირებოდა თუ არა, სულ ერთი იყო; მაინც თავში უნდა ეტყებნათ და ეძახნათ წინდაწინ დაზეპირებული სიტყვები: «ვაი ჩემს უბედურებას, ამას რას ვხედავ? ვინ იყო ის ღვთისგან წყეული, რომ ამ წმინდა ანგელოზს დღე მოუსპო, ვინ გაბედა ბახვა ფულავას ოჯახის აფორიაქება და სხვა»...

ბოლოს სახლის აივანი და თვით სახლი ისე გაიტენა მოტირალეებით, რომ ტევა აღარ იყო. მრავალი ხალხი, რომელსაც ტირილი გაეთავებინა, ჭიანჭველასავით ირეოდა განიერს ეზოში. თვით სახლის დარბაზში, შუაგულ ალაგას, ესმა ესვენა. ძირს იატაკზე მოფენილი იყო ხალები და ფარდაგები. კედლის ჩაყოლება ხალიჩებზე ისხდენ ჭირისუფალნი, სულ ჩაშავებულ-ჩაკუპრულნი. ქალებს ყველას თმა გაეშალათ.

კუბოს მახლობლათ ძირს საფენზე ჩამჯდარიყო დედა მისი

სალომე. რომელსაც პირის სახე სულ დაპოტნილი ჰქონდა და სისხლი სდიოდა. შუბლზე უშველებელი დალურჯებული კოპა-ლი უჯდა. იმ უბედურს სიმწრისაგან შუბლი მაგრათ დაეკრა იატაკზე და კანი ლურჯათ ამოჰბეროდა. მუდამ ხმა მაღლა ტირილისაგან ტუჩები დასივებოდა, ხმა ჩახლეჩოდა, ცრემლი-საგან გამშრალიყო. უსმელ-უჭმელობით იმ სამს დღეში ისე გამხდარიყო, რომ კანისა და ძვლის მეტი აღარა იყო-რა. თვალები ჩაცვინოდა; ისე იცქირებოდა, თითქოს თვალის სი-ნათლე გამოშრეტოდეს და მისი გამომლენცილი შეხედულება ჭკუა-შერეულს ადამიანს მოაგონებდა კაცსა. ის მისვენებოდა კედელს და გარეტიანებულათ იყურებოდა აქეთ იქით. მის გვერ-დით მუთაქაზე წამოწოლილი იყო მხარ-აკრული ბაჩია, სისხ-ლის დენით დაცალიერებული, ფსვენასავით გაყვითლებული და მისუსტებული. ვისაც უწინ მისი დაშვენებული სახე და ლამაზი ტალავარი ენახა, ის როგორღა იცნობდა სამარიდგან ამოღე-ბულს ბახვასა. ის ახლა ხშირად გულ-მოსაკლავათ კრინავდა: «ვაი, ვაი!» მას შემდეგ იჯდა ნესტორას ცოლი, რომელიც მეგრულს კილოზე ლამაზი სამწუხარო ხმით მოსთქვამდა და ხან-და-ხან ისეთს გულსაწვავს სიტყვებს წამოისვრიდა ხოლმე, რომ მთელს იქ მყოფს ხალხს ააქვითინებდა. მისგან ამოკვნესილს: «ვოვო ნანას»... ვინც გაიგონებდა, რომ არ სდომებოდა, მაინც უნებურად ცრემლებს გადმოჰყრიდა.

შესავალს კარებთან იდგენ ხუთი მოზარენი და როგორც კი ახალი მოტირალი ხმა-მაღლა დაიწყებდა მოთქმას, მაშინვე გლოვის ზარს დაჰგუგუნებდენ, რომელზედაც მოტირალი წვრი-ლად ხმა-შეწყობით დაჰგალობებდა სამწუხაროთ და გულ-მოსაკლავათ.

სამტირალო დარბაზში ქირისუფლებს შემდეგ ჩაჰყვებოდენ მეზობლები და ნაცნობები, ყველანი ძირს ხალიჩებზე დამსხდარნი. მათ შორის ბევრი შვენიერი ახალ-გაზდა ქალი ჩნდა. ზოგს

მათგანს სქელი შავი თმა და ზოგს — მუქი წაბლის ფერი თმა მხრებსა და მკერდ-კისერს უფარებდა. სქლად ჩამოშლილ თმებიდან გამოსცქეროდენ გძელი წამწმებით შემოსარული ცეცხლ-მფრქვევი თვალები და გამოსჭვიოდენ ბროლის მკერდ-კისერნი. ამათი პატრონები კარგათ ჰგრძნობდენ, რამდენათ ჰშვენოდათ მათს ლამაზს სახეს ლაზათიანათ ჩამოშლილი გძელი თმები და როცა ვინმე შესამჩნევი მოტირალი შემოვიდოდა ქრისტიანის მისატირებლათ, ხან ერთი კუთხიდან მოისმოდა და ხან მეორე კუთხიდან კრიალა ხმით მოთქმა, შვენიერის მანდილოსნისა. იმათ იცოდენ, რა დროს, რა სიტყვები უნდა გამოეთქვათ მწუხარების ხმით რითი აღეძრათ მომსვლელის ყურადღება. მათი ტირილი მართლაც სევდით მოკვნესარს საგალობელს მიემზგავსებოდა. ეს იყო ერთი რაღაც გულის მომხიბლავი კაეშნის სიმღერა. ამისთანა მოტირალს თუ ვინმე ახალგაზდა ვაჟი თვალს შეასწრებდა, არ შეიძლებოდა მისი გული არ აღულებულიყო, მტირალი მანდილოსანი ხან თანაგრძნობას, ხან შეცოდებას გამოიწვევდა ვაჟის გულში. მაგრამ როცა მშვენიერი მანდილოსანი გაშლილს თმას დაისწორებდა თავის ბროლის თითებითა და ამ დროს მის გძელს წამწმებს მარგალიტებივით შემოესხმოდენ ცრემლის ცვრები, აქ კი ახალგაზდა ჭაბუკის გული მწუხარების კარს უცებ დაჰხურავდა და სიყვარულის ისრით განისჭვალებოდა. ასეთი შთაბეჭდილება აუცილებელი ჰხდება ხოლმე გრძნობა-მომღერლის ჭაბუკის გულისათვის.

მართლაც, იმერეთის ცხოვრებაში ორი შესამჩნევი დროა, როცა ლამაზს ქალებს სჩვევიათ ვაჟ-კაცის გულის ატოკება უმაღლეს ხარისხამდის: ერთია ლხინი, როცა ლამაზი ქალი ლეკურს თამაშობს, ან ტკბილად დაამღერებს ჩონგურზე და გიტარაზე; მეორეა ტირილი, როცა ლამაზი ქალი თმა ჩამოშლილი გულ გასაგმირალს სიტყვებს წამოაკრიალებს და თან

მწუხარის, მაგრამ სასიამოვნო ხმით დაჰკვნესს, დაღიღინებს. ამ უკანასკნელს შთაბეჭდილებას ძნელათ თუ გაუძლებს ხოლმე ჭაბუკის მგრძნობელი გული. აი, ამითი აიხსნება ხალხში ლექსად გამოთქმული ეს ღრმა შთაბეჭდილება და ვაჟკაცის გულის აფეთქება ლამაზის ქალის ტირილითა.

ნეტავი მომკლა ხის ძირსა, ფოთოლი დამედინოსა;
მოვიდეს ქალი ლამაზი, გულს ცრემლი დამადინოსა...

ასეთი ჩვეულება ხალხის ცხოვრების ძარღვათ გამხდარა. ჭირი და ლხინი სწორეთ საზოგადოების დამაკავშირებელია. ამიტომაც გლოვა-ტირილის დროს დაუპატიჟებლობა ნათესავე-ბისა და მეზობლებისა ურთი-ერთობის დარღვევის მიზეზად ჰხდება. ამ დროს რომ ვინმე გამორჩეს და თავისიანი არ დაპა-ტიჟოს, სამდურავს ვერ ასცილდება. ეს გარემოება შეიქნება უმძიმესი მიზეზი ხან-და ხან მოსისხლე მტრობისაცა.

ბახვა ფულავას იმ დღეს გაუწყვეტლად მოსდიოდა ახალ-ახალი მოტირლები ქალი და კაცი. ისინი რიგ რიგათ შედიოდნენ დარბაზში მიცვალებულის სატირლად. თითოეულს მოტირალს აქეთ-იქით მოუდგებოდა ხოლმე თითო კაცი, რომელთაც შეჰყავდათ იგი სამტირალო დარბაზში. ეს ორი კაცი დანიშ-ნული იყო ტირილის რიგისა და წესის დამცველად. ისინი მიიყვანდენ მოტირალს ჯერ კუბოსთან, სადა იგი შესაფერად შეიცხადებდა მიცვალებულის მდგომარეობას, შემდეგ მიიყვან-დენ მას ბახვასთან, რომლის წინაშე მუხლი უნდა მოეყარა და თანაგრძნობის გამოსაცხადებელი სიტყვები გამოეთქვა, შემდეგ მიიყვანდენ მის სიდედრთან, მერე ნათესავებთან და ბოლოს გამოიყვანდენ გარეთ. ახლა მეორეს შეიყვანდენ და ამასაც თავის რიგზე ატირებდენ. ამ სახით დილიდან დაწყებული ნა-შუადღევის ორ საათამდის ძლივს მოლიეს მოტირალნი. შემდეგ სუფრა გაიშალა ყველა ნაირის სანოვაგეთი და ტირილიც

მიყურდა. სადილს რომ მორჩენ, მზე დაწეული იყო. ამ დროს მღვდელ-მთავარმა მიცვალებულის წესის აგება დაიწყო და როცა მგალობლებმა დასძახეს: «საუკუნოთ იყოს ხსენება...», უეცრად მოისმა საოცარი კივილი სალომესი: «მიშველეთ, ჩემი ესმა ხრამში გადამიგდეს!...» იგი გიჟურად აფეთებდა თვალებს და ღონივრად არღვევდა ხალხს კუბოზე დასატაკებლათ. ამ საზარელს წამს შესწყდა წესის აგება. ხალხში გაისმა «უბედური დედა, მწუხარებისაგან გაგიჟდა!» ერთმა დაიძახა: «ხელი მოჰკიდეთ, კუბოს მოაცილეთ ეგ უბედური!» ექვსმა კაცმა ძლივს დაამაგრა გალომებული სალომე, ის გაიყვანეს მეორე ოთახში. გათავდა თუ არა წესის აგება, ბახვა მიიყვანეს მიცვალებულის გამოსათხოვრად.

— ესმა, ჩემო სიცოცხლის კავშირო!—დაიღრიალა საცოდავათ ბახვამ,—მიხვალ?.. საუკუნოთ მეთხოვები?.. რა დაგიშავე, შე ქალო, ამის ფასი?.. ეგ იყო შენი დაპირება?.. ეგ იყო შენი მტკიცე ფიცი საუკუნო სიყვარულისა?.. ვინ წამართვა შენი თავი ასე უდროვოთ?.. შენ გგონია, შენ შემდეგ მე კი ვიცოცხლო?.. არა, ჩემო ლამაზო! ჩემო უმანკო თეთრო მტრედო!... არც მე მინდა უშენოდ სიცოცხლე. მეც მალე უნდა გამოგედევნო. განა შენ კი არ იცი, რისთვისაც ვრჩები?.. მე თუ აქ ვრჩები, მხოლოდ დროებით ვრჩები, მარტო იმისთვის, რომ შენი ვალი ავასრულო, შენი უდროვოთ დამმიწებელი დავამიწო. თუ ეს არ ავასრულე, აბა პირნათლად როგორღა შეგეყრები?.. რას მეტყვი?.. როგორი უგულო ყოფილხარო— ასე არ მეტყვი?.. მომკლეს და შენ ხმაც არ გაეცით?.. აბა, როგორ გათქმევინებ მაგას?.. აბა, როგორ იფიქრე, შე ურწმუნო, შე გლახა, რომ მე უშენოდ ცხოვრება შემეძლოს?.. ჩემთვის ეს ქვეყანა უშენოდ კუპრია, ჯოჯოხეთია. ან სახლკარი რაღათ მინდა, ან ქონება, ან მოყვარე და მეზობელი, ან ტოლი და ამხანაგი. შენმა განშორებამ ჩემი სიამაყე ჩააქრო,

ჩემი მარჯვენი მოშალა, მე აწ მხოლოდ ერთიღა მოვალეობა მაწევს: მე უნდა მოვკლა შენი მომკვლელი! შეფიცავ შენს ცხედარს, არ გიმტყუნო. შენ კი გეხვეწები ღმერთს შეევედრო, რომ ეს ჩემი წმინდა მოვალეობა მალე ამასრულებინოს, რომ მალე მოვიდე შენთან, ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!..» ამ სიტყვების წარმოთქმაზე ბახვა დასუსტდა და გული შემოეყარა. «წყალი, წყალიო!»—გაისმა ხალხში. იგი ციმციმ აიღეს და მეორე ოთახში გაიტანეს. ამ დროს კუბო გამოიტანეს დარბაზიდან. «განუსვენე, უფალო, სულსა ახალ მიცვალებულისა მხევლისა შენისა, ესმახი» დააგუგუნეს მგალობლებმა. შეიქნა საშინელი საერთო ხრიალი, კივილ-ჩხივილი. ბახვას მგრძნობიერმა სიტყვებმა მთელი ხალხი აატირა.

— ოჰ, რა ცოდვა დატრიალდა, რა ოჯახი დაიქცა! ოჰ, იერემია, იერემია, ულმერთო იერემია!..—ისმოდა ხალხში, როცა მარხავდენ ესმას.

## II

იერემია იყო ერთი ხელმოკლე თავადიშვილთაგანი. მისი დედ-მამა ყოველ-ღონისძიებას ხმარობდა, შვილი ღემნაზიაში გამოეზარდა. მამამ ჩამოიყვანა ცხრა წლის ყმაწვილი ქუთაისს და დააყენა ერთ ნაცნობ ღარიბ სახლობასთან, რომელიც მოწაფეთა მოვლით რჩებოდა. იერემია იდგა ქუთაისს ჩამოსახლებულს გლეხთან, რომელიც ქალაქზე იყო მიწერილი. ის სოფელს მხოლოდ იმისთვის გამოქცეოდა, რომ სახელმწიფო გადასახადისაგან თავი განეთავისუფლებინა. თითო მოწაფის რჩენაში იღებდა თვეში რვა მანეთს. იერემიასთან რვა ღემნაზიელი კიდევ სხვა იდგა. მათ ჰქონდათ მიჩენილი ერთი პაწია ოთახი, წნული კედლებიანი, ჯერ მიწით გალესილი და მერე კირით შეფეთქილი. ოთახს აგურის იატაკი ჰქონდა დაგებული, ერთ მხარეზე კედლის ჩაყოლება ფიცრის ტახტი იყო და ზედ

გამოხუნებული, გამოცრეცილი ფარდაგი ეფინა. ლოგინზე ერთი კედლიდან მეორე კედლამდის გამწვირიანებული ჩითის ქვეშსაგებები იყვენ ჩამწკრივებულნი. თითო ყმაწვილს იმდენი ალაგი ჰქონდა დაჭერილი მოხსენებულს ტახტზე, რამდენზედაც თვითონ დაეტეოდა. ამ ცხრა მოსწავლეს ღამეში ერთი ქონის სანთელი ჰქონდათ გაჩენილი, რადგან იმ დროს ჯერ კიდევ კეროსინი არ იყო შემოღებული. ღამით იმ ერთ ქონის სანთელზე სწავლობდენ ყველანი; მაგრამ იერემია ისეთი მომჭირნე მოწაფე გამოდგა, რომ გაკვეთილების სწავლას დღის სულით ასწრებდა. სანთელზე თავჩაქინდრულს წიგნის კითხვას ძალიან ერიდებოდა. ის თავის მეხსიერების წყალობით სამის წლის განმავლობაში მეორე კლასში გადვიდა. ამისთანა წარმატება იმ დროს ჩვენებურის ახალ გაზდისათვის ძრიელ იშვიათი შემთხვევა იყო, რადგან ღემნაზიაში ქართველ ყმაწვილებს ისე შეაბარებდენ, რომ რუსულის ერთი სიტყვაც არ გაეგებოდათ. სანამდის თითო-ოროლა ფრაზების თქმას და გაგებას შეიძლებდენ ისინი ყოველს კლასში ორ-ორ წელიწადს უნდა დარჩენილიყვენ. მაგრამ იერემია ისეთი მეცადინი ყმაწვილი გამოდგა, რომ არც ერთს კლასში თითო წლის მეტი არ დარჩენილა. თუ რომელსამე რუსულს ფრაზას მოჰკრავდა ყურს, მისი დავიწყება შეუძლებელი იყო და ჩიქორთულის რუსულის ლაპარაკში ცდილობდა ყოველთვის ახალი განაგონი ფრაზა ხშირად ეხმარა. ამნაირი ვარჯიშობით იერემიამ სამის წლის განმავლობაში იმდენი რუსული შეისწავლა, რომ მეხსიერებას ძალას აღარ ატანდა და თავის ჩიქორთული რუსულით უგებდა პასუხს. მასწავლებელნიც ლა კი მეცადინეობას და ნიჭს ნიშნავდენ იერემიას, მის რუსულ-ქართულ გამოთქმას კილში არ უდგენ და ახალისებდენ კარგი ბალების დასმით

1870 წლიდგან უბედური ხანა დადგა საქართველოს ახალ-გაზდობის განათლებისათვის. ამ წელს აღიძრა კითხვა,

რომ ქართულის ენის საფუძვლიანი სწავლება გიმნაზიებში უნდა შემცირებულ იყო, შტატის მასწავლებლები უნდა მოსპობილიყვენ და ის დრო, რომელიც ხმარდებოდა ქართულს ენას, ქართულის მწიგნობრობისა და მის ისტორიის შესწავლას, ლათინურისა და ბერძნულის ენის გაკვეთილებს უნდა მოხმარებოდა. რაკი ქართული ენის სწავლების შტატი მოსპეს, იმის მაგიერათ ლათინურისა და ბერძნულის სწავლება პირველი კლასიდან დააწყებინეს ქართველ შეგირდებს. ამათ მესამე კლასამდის რუსული ფარსაგათ არ ესმოდათ და რადგან ბერძნულ-ლათინური რუსული ენის საშუალებით უნდა ესწავლათ, ამისთვის ქართველი შეგირდობა თითქმის სრულებით დამუნჯდა, სწავლისათვის მათი გონება დაიხშო. ლათინურისა და ბერძნულის ენის კანონებს რუსულის ენის საშუალებით ასწავლიდენ და ჯერ რომ რუსული არ იცოდენ, ბერძნულის გრამატიკის კანონებს საიდანღა გაიგებდენ?..

ერთი მრავალთაგანი მსხვერპლი ამგვარის სწავლებისა შეიქნა იერემიაც. ეს ქორფა გონების მოწაფე ცდილობდა შერიგებოდა ახალ წესს; იყიდა ბერძნული და ლათინური გრამატიკები და მოსდგა გაუგებარის სიტყვების ზეპირობას. კლასში ყურთა სმენათ იყო ის გადაქცეული, მაგრამ რადგან რუსული ენა ჯერ კიდევ ზედმიწევნით ვერ შეესწავლა, ხშირად ეკარგებოდა თავი და თავი აზრი მასწავლებლის ლაპარაკისა. სანამდის კლასში გაფაციცებული ყურს უგდებდა, მანამდის, თითქოს სჯეროდა, გაკვეთილები გავიგეო; მაგრამ როცა სწავლა გაუთავდებოდა, შინ დაბრუნდებოდა და სადილს უკან ამოიღებდა თავის ლათინურს გრამატიკას, უნდოდა დაეწყო მეორე დღის გაკვეთილის შესწავლა. მაშინ რწმუნდებოდა, რომ რაც მასწავლებელს კლასში ელაპარაკნა, იმისი არაფერი ახსოვდა. მეტი რა ღონე ჰქონდა, მოჰყვებოდა უაზრო ზეპირობას ლათინურის უღლილებისა და კანკლედობისას. ამ ჭაპან-

წყვეტაში რაც უფრო დრო გადიოდა, ისე უფრო ეკარგებოდა სწავლის ხალისი იერემიას. ბოლოს sum, fui, esse'ს ზეპირობამ გონება დაუბნელა, ნერვები აუშალა და გააბრაზა. ყმაწვილი სრულებით გამოიცვალა, უწინდელი მშვიდობიანი სახის გამომეტყველება გაუქრა. ის მუდამ წარბშეჭმუხვნილი შეიქნა. შესძულდა მასწავლებლები, შესძულდა თვით დირექტორი და მისი მოსამსახურეები. მის კლასის ბალებს მოაკლდათ სიმხიარულე. «სამი» და «ოთხი» ძალიან ძვირობდა. მთელი კლასის ჟურნალი იერემიას სახელობაზე «ორით» იყო აჭრელებული, «ერთებიც» ხშირად ჰქონდა. მას შესძულდა თვით ღიმნაზიაც, იქ სიარული ალაფრჩთ ეპიტნავებოდა...

ამავე გარემოებაში ჩავარდენ მომეტებულნი ქართველთ შეგირდები. ძალე შესდგა თანამგრძნობელთა წრე და ამ წრეში მოხვდა თვით იერემიაც. თუ თითო-ოროლა კაპეიკს იგდებდა ხელში ვინმე მათგანი, მაშინვე გამართავდენ საერთო ლხინს და სხვა-და-სხვა დუქნებში დახეტიალობდენ. ამისთანა «დღესხვალეობით» ყმაწვილებმა სრულებით აუგდეს გული სწავლას. ზოგიერთებს დუქნებში ვალებიც დაედვათ და მედუქნეები დირექტორთან დასჩენასაც ემუქრებოდენ, თუ ვალი მალე არ გადაგვიხადეთო. ერთი მხრით შიშმა და მეორე მხრით ქეიფის სურვილმა მოსწავლეთა წრეს აფიქრებინა ქურდობა. ერთი მათგანი იდგა ბინად ლათინურის ენის მასწავლებელთან.— ყმაწვილებო—შესძახა იმან ერთხელ თავის ამხანაგებს, რომ იცოდეთ ლათინურის მასწავლებელს რამდენი ფული აქვს დაგროვებული!

— როგორ?—ჰკითხეს ერთად ცნობის მოყვარე აფსონებმა.

— ეს ერთი წელია ლათინურის მასწავლებელი ყუთში ფულს აგროვებს. თავის საწერ სტოლზე უდგას და დღე-ნიადაგ შიგ თეთრს ფულსა ჰყრის, ხან-და-ხან ისიც შემინიშნავს, რომ ყუთის ამოჭრილში ქაღალდის ფულიც ჩაუძვრენია ხოლმე.

ხშირად შევიპარები მის სამუშაო ოთახში და ყუთს გავარიჩხინებ ხოლმე. ამ ბოლოს დროს ყუთი ისე დამძიმდა, რომ ცალი ხელით ველარ ვიღებ.

— ბიჭოს!... შესძახეს გაკვირვებით ამხანაგებმა.

— ხელდახელი ყოფილა — შენიშნა მეორემ.

— ჰაი, თუ გამოაცოცო?... შეეკითხა მესამე.

— აჰ, როგორ იქნება — იჭვით უპასუხა პირველმა. — რომ შემიტყონ, რაღა ვქნა?

— რას შეგიტყობენ — გაუადვილა იერემიამ.

— მერე მე იქ დადგომა აღარ შემიძლია.

— ძალიან საჭიროა, თუ ველარ დადგები — უთხრა იერემიამ. წევე, ბევრს გასწავლიდეს, აუარება ფულს კი ახდევინებს მამა შენს. ჩემზე უკეთ ვერც შენ სწავლობ. ნახევარი იმ კოლოფში სულ მამი შენის ფულებია. წაართვი, კიდეც შეგერგება.

— ნამდვილათ შეგვერგება — დაჰკრეს კვერი დანარჩენებმა.

— წამოიღე ის ფული და გადმოდი ბინათ ჩვენთან.

— ლიმნაზიიდან გამომაგდებენ — ჩაფიქრებით თქვა პირველმა.

— ჩვენ რომ კარგათ ვსწავლობთ, იქ დიდხანს მაინც არ დაგვაყენებენ.

— რაც იყოს და იყოს, წამოიღე. ერთ თვეს მაინც გვაქეიფებს, ვალებსაც გადაგვიხდის და კარგია; მერე ჩვენც ვიშოვით ფულებს — ალტაცებით წამოიძახა მეორემ.

— მაშ არ გამამხილოთ — გადაწყვეტით თქვა პირველმა.

— ვინც გაგვთქვას, რიონში გადავაგდოთ — დაასკვნა იერემიამ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი — მოიწონეს ყველამ. ეს ამბავი მით უფრო იამათ ყმაწვილებს, რომ ლათინური ენის მასწავლებელი სძულდათ და მისი მონაგარი ჰხდებოდა საქეიფოთანხათ. როგორც თქვეს, ისე აასრულეს. მეორე დღეს ლათი-

ნურის ენის მასწავლებელმა თავის ყუთი რომ სტოლზე ვეღარ დაინახა, ეოცა. ბევრი ეძება, იღრიალა, შინაური მოსამსახურე გოგო, რომელზედაც იჭვი ჰქონდა შეტანილი, იდეც გალახა, მაგრამ ყუთი მაინც ვეღარ აღმოაჩინა. ეს ამბავი შეიტყო დირექტორმა, რომელმაც სხვათა შორის ჩუმი განკარგულება მოახდინა, თვალ-ყური ედევნებინათ იმ გიმნაზიელებისათვის, რომელნიც ლათინურის ენის მასწავლებელთან იდგენ. ამას გარდა დირექტორს არა ერთხელ ჰქონდა მოხსენებული, რომ ამ ბოლოს დროს შეგირდები ხშირად ქეიფობენო დუქნებში. ზოგჯერ ღამის დარაჯებიც წაატყდებოდენ მათ თავზე რომელსამე დუქანში, მაგრამ მორიდებით ვერა გაებედნათ რა. პოლიცმეისტერმა რამდენჯერმე შეატყობინა ეს ამბავი დირექტორს, რომ მას მოეხდინა ამ საგანზე საკუთარი განკარგულება.

მართლაც, დირექტორმა გააფრთხილა ინსპექტორი და ზედამხედველები; აგრეთვე პოლიცმეისტერსაც მისწერა, თუ სადმე შეიმწყვდიოთ გიმნაზიელები, ღამით რომ დუქანში ქეიფობდენ, ყველანი დაიჭირეთ და მე წარმომიდგინეთო.

მეხუთე დღეს ერთმა გიმნაზიელმა მოიტანა ყუთის ნამტვრევი; სადა მე ვდგევარ, ეს იმის მახლობლათ ვენახე აგურხანაში ჩაგდებულიო, უთხრა ინსპექტორს. ლათინურის მასწავლებელმა მაშინვე იცნო თავის ყუთის ნამტვრევი და იჭვი აღარ ჰქონდა, რომ ერთი იმის მდგმურ-მოწაფეთაგანი იყო ამის მომქმედი, რომელსაც იმ ხანებში აეკრა ბარგი და ცალკე გადასულიყო. მაგრამ შეგირდს მაინც ხელი არ ახლეს, მხოლოდ ზედამხედველებს მიანდვეს ყმაწვილების მეთვალყურობა.

ერთ ღამეს, როცა ჩვეულებრივათ პოლიციის დარაჯები დადიოდენ ქუჩა ქუჩა, სადღაც ქალაქს გარეთ, ერთს დუქანში, მოესმათ მშვენიერად შეწყობილი სიმღერები. დარაჯები ფეხაკრეფით მიუახლოვდენ ამ დუქანს; პოლიციის მეთვალყურემ

გამოიხმო მიკიტანი და ჰკითხა სტუმრების ვინაობა. იმან უთხრა, ღვთისმეტყველები არიანო. პოლიციელმა უცბათ შეაღო კარი და გამოუცხადა ყმაწვილებს, დირექტორთან უნდა წამოხვიდეთო. შეიქნა საერთო ლაპარაკი: ზოგი ეხვეწებოდა პოლიციის მეთვალყურეს, თავი დაგვანებეთო, ზოგი ემუქრებოდა; მაგრამ ღამის მეთვალყურე ყურსაც არ იბერტყდა. ამ დროს უეცრად წამოიძახა ერთმა მოზდილმა ღვთისმეტყველმა: — რა ღმერთი გიწყრებათ? ბინდათ, რომ ასე ცხვრებივით წაგვრეკონ დირექტორთან და ყველანი ერთიანად გამოგვრიცხონ ღვთისმეტყველებიდან?

— დაჰკარით, სანამ დრო გვაქვს, სანამ ჯერ კიდევ სხვა დარაჯებიც არ მოშველებიან!... ეს ყმაწვილი იყო იერემია.

მის თქმაზე ერთბაშათ ჩაერიენ თორმეტი ღვთისმეტყველი და შეიქნა საშინელი ცემა-ტყეპა პოლიციელებსა და ღვთისმეტყველებს შორის. პოლიციის მეთვალყურეს განსაკუთრებით ბევრი მოხვდა, იმან იცნო ლათინურის მასწავლებლის შეგირდი, ჩაავლო მას ორივე ხელები ისე მაგრათ, რომ ვერას ღონისძიებით ვერ გამოგლიჯეს ხელიდან. იერემია მაინც მეტად გამწარებული იბრძოდა, ორი ხიშტიანი ჯარის-კაცი დასცა და თოფები აქეთ იქით გადუყარა. ამ ხმაურობაზე და პოლიციელების სტვენაზე მობრიგინდენ სხვა დარაჯებიც. ყმაწვილებმა რომ შეატყვეს, ცუდათ იყო საქმე, ყველანი აქეთ-იქით გაიფანტენ ღამის სიბნელეში, დარჩა ხელში პოლიციის მეთვალყურეს მხოლოდ ყუთის ქურდი, რომელიც ჩააბარეს დირექტორს.

## III

დირექტორმა მეორე დღესვე შეკრიბა მასწავლებელთ რჩევა, რომლებმაც გარდასწყვიტა შეგირდების ღვთისმეტყველებიდან გამორიცხვა. მაგრამ ამასაც არ დააჯერეს. დირექტორის თანხმობით ინსპექტორმა და ლათინურის ენის მასწავლებელმა კიდევ უფრო სასტიკი ზომა იხმარეს. იმათ წაიყვანეს სამი

მოწიფული ღიმნაზიის დარაჯი ბნელს ოთახში, სადაც ყმაწვილი სამი დღე და ღამე წყლისა და პურის სამარა იკვებებოდა, როგორც ტუსაღი, გააწვინეს შეგირდები და ორი კონა წნელი ზურგზე დაატეხეს, რადგან იმ დროს გაროზგვა კანონით მოსპობილი იყო. შეგირდმა სირცხვილით არა გაამხილა რა, თუმცა ნაცემზე სულ სისხლი სდიოდა. ამ შემთხვევას შემდეგ ლათინურის ენის მასწავლებლის სიფიცხეს და ქართველი ღიმნაზიელების შეძულებას საზღვარი არ ჰქონდა. იმის მოხსენებით დირექტორმა და სამოსწავლო რჩევამ წარადგინა კავკასიის მზრუნველთან ღიმნაზიის გაწმენდის პროექტი. რადგან ღიმნაზიაში ხანგადასული შეგირდები ბევრნი არიანო, რომელნიც ძველს კლასიკურს ენებს ველარ ისწავლიანო და სხვა ახალგაზრდა მოწაფეებზედაც ცუდი გავლენა აქვთო, ამისათვის საჭიროა ყველა ხანგადასული შეგირდები ყოველწლობით გამორიცხოსო.

ეს წარდგინება კავკასიის მზრუნველმა დაამტკიცა. ამის გამო იმ წელს ეგზამენებს შემდეგ ორმოც-და ათი ყმაწვილი გამორიცხეს, რომელთ შორის იერემიაც იყო. თვით ეგზამენებზე გადამტერებით კითხვას და შეგირდების ჩაჭრას ლათინურბერძნულში საზღვარი არ ჰქონდა. ამ გარემოებამ გამორიცხული ახალგაზდები ისე გააბრაზა, რომ ლათინურისა და ბერძნულის ენის მასწავლებელნი კეტებით დაბრიგეს.

ზემოხსენებულმა ფიცხელმა განკარგულებამ ღიმნაზიის მთავრობისამ ბევრს ქართველს ახალგაზდა მოწაფეს გზა გადულობა განათლებისათვის და დაარჩინა ცხოვრებაში ულუკმაპუროდ.

ახალი გამორიცხული ყმაწვილები მოირთენ ჩერქეზულათ და ჩასხდენ იარაღში; იმათ შეხედვას არა სჯობდა რა. სანამდის ისინი სწავლაში იყვენ და მათ დედ-მამებს იმედი ჰქოდათ, რომ კურს შეასრულებდენ და ბოლოს სწავლით ლუკმა-პური ექნებო-

დათ, მანამდის ისინიც არას ზოგავდენ; ასე გასინჯე, თითო-ოროლა ჩამოჭრილი მიწები თუ კი სადმე მოეძეოდათ, იმათაც ჰყიდიდენ, რომ თავთავის დროზე ღიმნაზიაში სასწავლო ფული ეხადნათ და მათი ხარჯიც ესტუმრებინათ. მაგრამ რაკი ახლა შვილები გამოურიცხეს სასწავლებლიდან, იმათს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. თუმცა დედ-მამები არც ღიმნაზიის მთავრობის კმაყოფილნი იყვენ, რომ ასე უნუგეშოთ დაჰგდეს ცხოვრებაში იმათი შვილები, მაგრამ მომეტებულს ბრალს მაინც თავის შვილების ურიგო ყოფაქცევას სდებდენ. ამან გამოიწვია დედ-მამებსა და შვილებს შორის უკმაყოფილება. «თქვენ ახლა ვაჟკაცები ხართო»—ეუბნებოდენ მამები თავიანთ შვილებს.— სანამდის იმედი გვქონდა, რომ ისწავლიდით და ბოლოს მოხუცებულობაში, როგორც ჩვენ, ისე თქვენს უმცროსებს უპატრონებდით, მანამდის არც ჩვენ ვზოგავდითო თქვენის გულისთვის არაფერს, ასე გაშინჯეთ, ადგილ-მამულს ვყიდდით და ისე გარჩენდითო. დღეს ეგ იმედი აღარ გვაქვს თქვენი და ჩვენ უთქვენოთაც წვრილი ცოლშვილი გვყავს საპატრონე-ბელიო; გაიჭირვეთ საქმე, შედით მწერლებათ, დადექით ადვოკატებთან, ნოტარიუსებთან, სამწერლო კანტორები გაა-ღეთო და რამენაირათ გაიკვებეთ თავიო, თორემ ჩვენ ვეღარას მოგაწვდენთ,—არც თქვენი ჭმევა, არც თქვენი ჩაცმა-დახურვა ჩვენ აღარ შეგვიძლიანო. ჭაბუკ კაცებს არაფრათ იმათ თავის დედ-მამების გულცივობა. ზოგმა იმათგანმა გულიდან ამოი-რეცხა მამაშვილური გრძნობა.

იერემიამ, როგორც ფიცხელმა და გულ-ამაყმა, გადუბრია-ლა თავის მამას თვალები, ჩაიკრა მუჯი გულში და წამოსძახა: «შენ მამა კი არა, მამალი მგელი ყოფილხარ, რომელიც ლეკვებს სჭამს და არა ზრდისო. ვინ გეხვეწებოდა ჩემს გაჩენას, ჩემი მოვლა და პატრონობა თუ არ შეგეძლოვო. ამიერიდგან მე არც დედ-მამა მყოლია, არც ოჯახი მქონია, ერთი თავზედ

ხელაღებული გამოვსულვარ, გაჩვენებთ თუ თავს ვერ ვირჩენო». ადგა და კარი გაიარა. იერემიას დედამ ველარ გაუძლო ამნაირს სიტყვებს და შექნა ქვითინით ტირილი: «შვილო, იერემია, მობრუნდი, სად მიხვალო?»... მამამ ცალკე გამოადევნა კაცები, მაგრამ იერემია მაინც აღარ დაბრუნებულა ოჯახში.

იმან აიყოლია სამი ამხანაგი, ჩამოვიდა ქუთაისს და დაიწყეს მუდამ ერთად ცხოვრება, თუმცა არავინ იცოდა მათი სახსარი, რა გზით ირჩენდენ თავს. ის კი იყო, რომ ამხანაგები ყოველთვის კარგი ჩაცმულები გამოდიოდენ. თუ სადმე ლხინი, ან პატიჟობა იქნებოდა, იერემია თავის ამხანაგებიანა ყოველთვის იქ გაჩნდებოდა. სიმღერა, ლეკური, ქალების არშიყობა მათ ხელთ იყო, ხან-და-ხან კერძო ოჯახებში კარტსაც თამაშობდენ. ზოგჯერ ახირებული ხმებიც დადიოდა მათს უპართებულო მოქმედებაზე: ამა და ამ საზოგადოებაში იერემიას და მის ამხანაგებს ჩხუბი მოუვიდათ, ამა და ამ კაცს თავი გადაფრიწესო, გუბერნატორმა აღუკრძალა იმას და მის ამხანაგებს ქალაქის ადგილს ცხოვრებაო; მაგრამ ხანი გადიოდა. იერემია და მისი ამხანაგები თავისას არ იშლიდენ. პოლიციას ჰყავდა ისინი შენიშნული; მაგრამ მოერიდებაც დიდი ჰქონდა იმათი, რადგან ბევრჯერ პოლიციის მოხელეებსაც მოხვედროდათ მათი მწარე მათრახი, თუმცა საბუთი ვერა ეპოვნათ რა მაგრათ ხელის მოსაკიდებელი. იმათზე ჭორებიც ხომ ბევრი დადიოდა. მაგალითად, იერემიაზე ამბობდენ, ესა-და-ეს პატივცემული ქვრივი, კარგი ოჯახის ასული იერემიას პატრონობსო, აცმევს, ახურავს და ფულსაც აძლევსო. ბოლოს იმათმა ქცევამ ქუთაისის საზოგადოებას თავი მოაბეზრა და მშვიდობის მოყვარე მოქალაქენი ასე გაიძახოდენ: ვაი, როდის იქნება, იერემია და მისი აფსონები რომ რაიმე სისხლის სამართლის საქმეში გაეხვიონ და მაგათგან განვთავისუფლდეთო.

ერთხელ გავარდა ხმა, რომ ს. ზეგანას ერთი მდიდარი

ღვდელი ყოფილა, იმას ლამაზი ქალი ჰყოლია, ღვდლის ოჯახი გაუცარცვავთ და ქალი გაუუპატიურებიათო. ავაზაკების მოთავეთ ყოფილა იერემიაო. ამ საქმის გულისთვის იერემია რამდენიმე თვე კიდეც იყო დატყვევებული სატუსაღოში. თუმცა ბოლოს გამართლდა, მაგრამ საზოგადოებაში იჭვი მაინც არ ამოფხვრილა მის ავაზაკურს მოქმედებაზე.

ამ გარემოებამ ისე ღრმათ იმოქმედა იერემიასა და მის ამხანაგებზე, რომ ყველამ ერთად განიზრახეს უსაქმურად აღარ დარჩენილიყვენ და შევიდენ სამხედრო სამსახურში ცხენოსანთ ჯარში, რომელიც იმ დროს ზღვის პირათ იყო სადარაჯოებზე ჩამორიგებული. უმთავრესი ადგილ-სადგომი ამ ცხენოსნის მილიციისა იყო ფოთი. იმას ჰქონდა ნაბძანები თვალ-ყური დაეჭირა, რომ ფოთში და საზოგადოთ ზღვის პირებზე კონტრაბანდა არავის გამოეპარებინა.

ორი თვე არ გასულიყო მას აქეთ, რაც იერემია სამხედრო სამსახურში შევიდა და უკვე ვახმისტრობის თანამდებობას ასრულებდა. ესკადრონის თივა-ქერის ყიდვა იმას ებარა. იერემია ფულის ჩამორჩენასაც შეეჩვია; მაგრამ ფულს მაინც ვერ ინახავდა. ღვინი, ქეიფი, ამხანაგობის მასპინძლობა მის ხელათ იყო. ასეთი ხელგაშლილობით ძალიან შეაყვარა თავი ამხანაგობას. მისი გულისათვის ცეცხლში ჩადგებოდენ. ამ დროს მოვიდა ფოთს იერემიას ნაცნობი ბივი, რომელსაც უნდოდა რაიმე საქმის შოვნა. ის ხშირად დადიოდა იმ დუქანში, სადაც იერემია და მისი ამხანაგები იკრიბებოდენ. ბივი ერთი თვე თითქმის მათ ხარჯზე იყო. ერთი მხრით ადვილად თავის რჩენამ ნაცნობებსა და მეგობრებში, მეორე მხრით კონტრაბანდობის გავრცელებამ, რომელშიაც ბივი ხან-და-ხან მონაწილეობას იღებდა და თითო-ოროლა მანეთს შოულობდა, შეაჩვიეს მას უსაქმურად ცხოვრება და ქეიფი.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ერთ საღამოს ბივიმ მოუტანა ამბავი იერემიას, რომ ტრაპიზონიდან ემზადებიანო ხუთი ცალის აბრეშუმეულობისა და მაუდის საქონლის გამოტანას მდინარის მალთაყვის მახლობლათ. ეს საქონელი მოსდიოდა ერთს ტრაპიზონელს ლაზსა, რომელიც დადიოდა, ვითომც სიმიდის სავაჭროთ ზღვის პირებზე შეკვეთილიდან მოკიდებული სოჴუმამდის. იმას ჰქონდა დანიშნული ალაგები კონტრაბანდის გამოსატანად. ის ძალიან კარგი გაცნობილი იყო სოხუმის, ქულევის, ოჩამჩირის, ფოთის და ოზურგეთის ვაჭრებთან, რომელთათვის იბარებდა ოსმალეთის ბოლოზებიდან სავაჭრო საქონელს და აპარებდა კოტრაბანდით ჩვენს ქვეყანაში. მას აქეთ, რაც ქართველი მილიცია ზღვისპირად დააბარგეს კონტრაბანდის საყარაულოთ, ტრაპიზონელს ლაზს ძალიან გაუჭირდა კონტრაბანდის გამოპარება, რადგან არა ერთხელ დაიჭირეს მილიციონერებმა მისი კოტრაბანდი და დიდს ზარალში ჩააგდეს. იმან განიზრახა თვით მილიციონერების დაახლოვება. ლაზმა იცოდა იერემიას სიმარჯვე და სივაჟკაცე. უნდოდა უსათუოდ მოჰყიდა იგი ფულით და ამის გულისათვის მიუგზავნა ბივი, ძღვნათ გაატანა ათი ოქრო და უთხრა: უკეთუ ხუთ ცალს გამატარებინებ ბრიგოლეთის საზღვარზე, ოც ოქროს კიდევ მოგართმევო. გარდა ამისა ყოველ თვეობით ელოდეო ჩემგან ათ-ათ ოქროსო.

ამ მოულოდნელმა შემოსავლის წყარომ იერემია მეტად გაახარა, რადგან იმედი ჰქონდა თავის ამხანაგებისა, რომ არ გასცემდენ. ამას გარდა იმასაც ფიქრობდა, რომ რაკი კოტრაბანდის ზიდვაში მონაწილეობას მივიღებო, აბრეშუმის, მაუდის და ფეხ-საცმლის საქონელი მუქთად მექნებაო. ის იყო დიდი ქალების მოარშიყე და სოფლად საყვარელიც აღეჩინა იმ დროს. უცხო ქვეყნის საქონელი ბევრის ლამაზის ქალის გულს მომიგებსო, ჩემს საყვარელს მაინც ტანთ-საცმლით ავავსებო — გაივლო გულში მან.

— ზივი, უთხრა იერემიამ, — ეგ ამბავი ჩემს მეტს არავის უთხრა. რომ სადმე წაგცდეს, იცოდე, შევი-ტყობ და დაგღუპავ. მე ხომ ვიცი, რომ შენ ხან-და-ხან კონტრაბანდზე დადიხარ, შენი სიცოცხლე ჩემ ხელშია, მაშ მიფრთხილდი.

— რას ლაპარაკობ კაცო! — გაკვირვებით შეუბრუნა სიტყვა ზივიმ. — ჩემი თავის მტერი მე ვიქმნები?!...

— მაშ კარგი. ის ლაზი პირადათ გამაცნე.

— ბატონი ხარ. — მხიარულებით დაეთანხმა ზივი და გადასცა იერემიას ათი ოქრო, ლაზისაგან გამოგზავნილი...

ერთ კვირას შემდეგ ფოთში გავარდა ხმა, რომ დიდი კონტრაბანდი გამოუპარებიათ ზრიგოლეთისკენო. ამ ხმას იმა-საც უმატებდნენ, რომ ვითომც თვით იერემიას გაეპარებინოსო. ყარაულებს თოფის სროლა ჰქონიათ, იერემია დაუჭერიათ, მაგრამ ამხანაგებს როგორც კი უცვნიათ, მაშინვე გაუთავი-სუფლებიათ და არ გაუთქვამთო; მხოლოდ საქმე სხვისთვის გადუბრალებიათო.

დამოჟნის მთავრობამ მოახდინა ამ საგანზე ფიცხი გამოძიება და თვით მილიციონერების ჩვენებით აღმოჩნდა, რომ იერემიას თაოსნობით მილიციელები მეკონტრაბანდეებს შეხვედრიან, ორი ქობულელი დაუჭერიათ, თუმცა ვერ დაურჩენიათ, სხვანი გაქცეულან; კონტრაბანდი კი ისევ ზღვაში შეუცურებიათ და გამოტანა კიდეზე ვეღარ მოუხერხებიათო. ამ საქმეში მეკონტრა-ბანდეებს ჰყოლიათ მოთავეთ ვინღაც ზივი იმერელიო, რომელიც ფოთში უსაქმოთ და უპასპორტოთ დაეთრევაო. ამას შემდეგ დამოჟნის გამგეობამ მისწერა საიდუმლო ქაღალდი პოლიცმეისტერს, რომ უსათუოდ ზივი იმერელი, რომელიც ფოთში უსაქმოდ დატანტალობს, დაიჭირეთ და სატუსაღოში ჩასვით, რადგან კონტრაბანდის გამოპარება ბრალდებაო. იერემიას კი მადლობა მოუვიდა მთავრობისაგან.

## IV

ცოლის მოკვლამ ბახვა ფულავა მიწასთან გაასწორა. ცხოვრების კავშირი გულიდან ამოგლიჯეს. იმის ესმას, ამ ყველასთან უბრალო არსებას, ამ ღვთის ანგელოზს, გული ხანჯლით გაუპეს. ვისგანაც ბახვას ცხოვრების ნაღველი შარბათად ჰქონდა გადაქცეული, ვის გამოისობითაც ტოლ-ამხანაგში თავი დიდათ მოჰქონდა, ის საუკუნოთ მოსტაცეს და მიწას მიაბარეს. ვინ რას ერჩოდა, ვისთვის რა დაეშავებინა; ის კი არა, ჯერ სიკეთის მეტი მისგან არავის ახსოვდა-რა. სწორედ ჯოჯოხეთიდან გამოსული ბოროტი ვინმე უნდა ყოფილიყო, რომ ესმას ცხოვრება შეჰშურებოდა და თავის წაბილწულ ვნების დასაკმაყოფილებლათ ემსხვერპლა ეს უმანკო კრავი. ეს რა ღვთის რისხვა დაატყდა ბახვას თავზე?... მას აქეთ რაც საყვარელი ცოლი მოუკლეს, ბახვას ცხოვრებას თითქოს შავი გლოვის ზეწარი გადაეფარა. მის თვალში აღარც მზეს ჰქონდა სინათლე, აღარც მთვარეს. მას მხოლოდ შავი კუპრი ელანდებოდა ამ წუთის სოფელში, მის გულში მხოლოდ ნავთი და ცეცხლი ღვიოდა და ზედ ზღვევის ალი დაჰგიზგიზებდა. — «სისხლი, სისხლი უნდა ამოვიღოვო» — წამოიძახებდა ხოლმე გაშმაგებული ბახვა ხან-და-ხან.

ამისთანა შავი ფიქრებით რომ ბახვა იყო გაბოროტებული, გამომძიებელი საიდუმლოთ იკვლევდა ბახვა ფულავას ოჯახში მომხდარს მკვლელობას, უნდოდა, რამე ნაირათ აეხსნა ეს ახირებული ბოროტება, მიმხვდარიყო მკვლელობის ნამდვილს მიზეზს, შეშლილი კვალი ვისმეზე მიეტანა. იმას ჰქონდა ხელში ორი ერთმანეთის წინააღმდეგი საბუთი. ერთი იყო პირველ-დაწყებითი პრისტავის ოქმი, შედგენილი მკვლელობის ღამეს. მამასახლისმა და პრისტავმა ესმას ჯერ კიდევ ცოცხალს მიუსწრეს. მკლავში დაჭრილი და სისხლით დაცლილი ბახვაც

ძალიან სუსტად იყო. სალომე კი თმა-გაწეწილი თავით უჯდა თავის უბედურს შვილებს და მეტის სიმწრით კედელზე თავს ურახუნებდა. პრისტავმა შეჰკრიბა ყოველნაირი ცნობა, რომლიდგანაც გამოიკვლია, რომ მკვლელობის ღამეს ბახვას მიხტომოდენ; ერთი მიმხტომთაგანი ბახვას კიდეც დაეჭრა. ის ამტკიცებდა, ორნი იყვენო. შემდეგ პრისტავმა რამდენჯერმე ჩაჰკითხა მსმას, თუ ვინ იყო იმისი მკვლელი. მსმამ ძლივს გაუგებრათ ამოაყრანტალა იერემიას სახელი და სული განუტევა. პრისტავმა მაშინვე მოახდინა საჩქარო განკარგულება, გზები შეაკვრევინა. მაგრამ მეტი კვალი დანაშაულობისა ვეღარა აღმოაჩინა-რა. ეს ოქმი წარუდგინა გამომძიებელს. პირველ-დაწყებითს გამოძიებაში ისიც კი იყო ჩაწერილი, რომ მკვლელებს სამგზავრო ბოხჩა (საკვორიაჟი) მოეტაცნათ და მასთან ოცი თუმანიცა.

ამასობაში ყოველგან გავრცელდა ხმა ბახვა ფულავას ოჯახში მიხტომაზე. ყველა იმ აზრისა იყო, რომ ეს იერემიას მოქმედება არისო. იმას უნდოდა ბახვას ლამაზი ცოლი მოეტაცნა და რაკი მოტაცება ვერ მოახერხა, ქალი შემთხვევით შემოაკვდაო. გამომძიებელმა დაკვირვებით წაიკითხა პირველ-დაწყებითი ოქმი და გონება დააჯერა, რომ ბახვას ცოლის მკვლელობა გაცარცვის გულისათვის უნდა მომხდარიყოსო. გამომძიებელს სხვა საქმეებიც ბევრი ჰქონდა და რადგან თვით ბახვა ჭრილობისაგან მძიმე ავათმყოფი შეიქნა, აგრეთვე ბახვას სიდედრიც ლოგინად ჩავარდა, ამისთვის ბევრი ველარა გააწყოერა. ან კი ვისთვის უნდა ეკითხა? თავი პირები, ვისაც შეეხებოდა ეს საქმე ისეთს მდგომარეობაში იყვენ, რომ აჩქარება არ გაეწყობოდა. იმან დაიწყო ჩვეულებრივი საქმის წარმოება, მაგრამ გამოძიება მიდიოდა ნელა.

ბოლოს თუმცა ბახვამ დააღწია თავი სიკვდილსა, მაგრამ მისი სიდედრი სალომე ამ უბედურმა შემთხვევამ თან გადიტანა. ბახვას გული დაუჯავრიანდა და შიგ ზღვევის ცეცხლი თან-და-

თან უფრო პრიალებდა. იმას ქამივით შესძაგდა თავის სიყმაწვილის ნაშთავარი. რაკი ერთხელვე ფეხი გადმოდგა... თავის ეზოდან, მეორეთ შიგ აღარ ჩაბრუნებულა. მის ოჯახს მისთვის უდროვოთ კარი ჩაეკეტა; მშვენიერს ეზოს და გარემოს მალე უდაბურობა დაეტყო. ბოლოს მან თავის სახლკარსა და მამულს სულ თავი მიანება. მისი მამული ნესტორამ აიღო იჯარით და წელიწადში ხუთასი მანეთი უნდა ეძლია. ამას შემდეგ ბახვამ დაიწყო აქეთ-იქით სიარული ერთი იმ განზრახვით, რომ გამომძიებელს მოხმარებოდა ახალი საბუთების კვლევით და მეორე იმისთვის, რომ სადა რამე ჰქონდა ვექსილებით და თამასუქებით ასაღები, ფუჭავი-დარაბოთ აღარავინ აძლევდა.

გამომძიებელმა რამდენჯერმე მიიხმო ბახვა ჩვენების ჩამოსართმევათ. ბახვამ ძალიან დაწვრილებით უამბო ყოველივე თავის თავგადასავალი, თუ რანაირათ იყო ესმა ფოთში გაზდილი, ან იერემია იმ დროს სად იყო. იმან ის შემთხვევაც კი უამბო გამომძიებელს: ერთს საღამოს რომ იერემიამ ესმას მოტაცება განიზრახა, მოუთხრა აგრეთვე პირველ მაისობის ამბავი და ესმას შეურაცყოფის გულისთვის რომ იერემია ხანჯლით დაჭრა.

ამ ჩვენებას შემდეგ გამომძიებელმა სულ სხვა აზრი შეადგინა ესმას მკვლელობის თაობაზე. იმისი მოსაზრებით ბახვას ჭრილობა და ესმას მოკვლა უცაბედი შემთხვევა უნდა ყოფილიყო. ამ ბოროტ-მოქმედებას სულ სხვაგან უნდა ჰქონოდა ფესვი ჩადგმული. გამომძიებელმა იფიქრა: იერემიას რომ ესმა ჰყვარებია, ეს ჩემთვის ახლა ეჭვის გარეშე არისო. ის განუზრახავს ესმას მოტაცება, ამხანაგები უშოვნია; ისინი ბახვას ოჯახს დასცემიან და ბრძოლაში ესმა შემოკვდომიათ; ფულიანი სამგზავრო ბოხჩა ალბათ ერთს ამხანაგთაგანს წაუღია და არა იერემიას. მაგრამ ამისთანა დასკვნას თვალსაჩინო

საბუთი აკლდა: გამომძიებელი კიდევ ხელ-მეორეთ დაუწვრილმანდა ამ საქმეს და მიაქცია ყურადღება შემდეგს გარემოებას: ბახვას ოჯახს რომ დაეცენ, ნეტავ სად იყოვო მაშინ იერემია წარბა?

ამის ასახსნელად მას მოუვიდა პოლიციის ბოქაულისაგან ჟანდარმის ოქმი, აბაშის რკინის გზის სადგურზე შედგენილი. რომელშიაც დაწვრილებით იყო მოხსენებული რიცხვი თვისა და თვით დღეც იყო ნაჩვენები, როცა იერემიას ჩხუბი მოსვლოდა აბაშის დუქანში და ჩხუბს შემდეგ იგი მის ამხანაგებიანა ტფილისისკენ გამგზავრებულიყვენ მატარებლითა. როცა თვის რიცხვი, წლისა და დღე შეადარა პოლიციის ბოქაულის პირველ-დაწყებითს გამოძიების საბუთებსა, გამოდგა რომ იერემია სწორეთ იმ დღეს უნდა გამგზავრებულიყო ტფილისისკენ, როცა აბაშის მახლობლათ მდებარე სოფელში იმ დღის დაღამებულს მომხდარიყო ბოროტ მოქმედება. ამ ჟანდარმის ოქმმა მეტად არივ-დარია ჩვენება. სხვა მოწმებიც გამოჩნდენ, რომელნიც ამტკიცებდენ: იერემია იმ დღეს სამტრედიის რკინის გზის სადგურზე ვნახეთო და მატარებლით ქალაქს მიემგზავრებოდაო. ცხადი იყო, რომ იერემია იმ ღამეს აბაშის გარემო სოფელში მკვლელობას ველარ მოახდენდა. ერთსა და იმავე დროს ერთს კაცს ორს სხვა-და-სხვა ერთმანეთზე დაშორებულს ალაგს ყოფნა არ შეეძლო. ესე ყოველივე გარემოება გამომძიებელმა დაწვრილებით დასწერა და ჰფიქრობდა საქმე წარედგინა მოსასპობათ, თუმცა გული მაინც ვერ დაეჯერებინა: აქ რაღაც კიდევ ბევრი რამ, ჩემთვის აუხსნელი გარემოება არისო დაფარული და სხვა საქმეებთან ერთად მიაყრუა დრომდის.

## V

გავიდა კარგა ძალი ხანი, მაგრამ ფულავას ცოლის მკვლელობის საქმე მაინც წინ არ მიდიოდა; ბახვა მარად დღეს

გამომძიებლის წინაშე იყო ატუზული. რასაც კი მოჰკრავდა ყურს, ყოველსავე გამომძიებელს მიახარებდა, ცდილობდა იერემიასათვის მაგრად მოეკიდებინა ხელი, მაგრამ გამომძიებელმა მის მეცადინეობას სულ სხვანაირი თვალით შეხედა. იმან იჭვით დაუწყო ცქერა ბახვას საქციელს. მაი თუ მას წინანდელის უსიამოვნობისათვის ჰსურდესო იერემიას საქმეში გაბმა. ვინ იცის, იქნება მისი ბრალსადები საბუთები სულ პირადი მტერობის ნაყოფი იყოსო? ბახვას კი გულში თან-დათან უფრო ბევრი ნაღველი უგროვდებოდა, იმის გამო რომ გამომძიებელი იერემიას ხელს არ ჰკიდებდა. «აქ თუ რაიმე გარეშე გავლენა არ მოქმედებდეს, ნუ თუ ქურდი და ავაზაკი, უმანკო სულების მკვლელი და მთელი ოჯახის პირქვე დამამხობელი, აქამდის ორთაჭალის ბაღებში არხეინათ უნდა ატარებდეს დროს თვით იმ მთავრობის წინაშე, რომლის წმინდა მოვალეობა მისი განკითხვა და სასტიკათ დასჯა უნდა ყოფილიყოვო?» მისმა უბედურებისაგან გაბასრულმა გულმა ბოლოს გადასწყვიტა: ალბათ გამომძიებელი ჩემგან ქრთამს ელისო და იმიტომ საქმეს აგვიანებსო...

გამომძიებელი ერთი ახალგაზდა უმაღლესს სასწავლებელში კურს-დასრულებული ღარიბის ოჯახის შვილი იყო. მისი ნუგეში და მომავლის იმედი მხოლოდ სახელმწიფო სამსახური იყო. აქედან ელოდა იგი უზრუნველ ცხოვრების მოპოვებას. იმას ასე ჰქონდა თავის მოვალეობა გამოხატული, რომ თუ კი სინდისიანათ აასრულებდა თავის მოვალეობას სახელმწიფო სამსახურში, ბევრს დაჩაგრულს კაცსაც დაეხმარებოდა. იმას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ცხოვრების ჩირქი მოცხებული და ბახვა ფულავა, როგორც ვაჭრობით გამდიდრებული კაცი, რომელმაც ერთი სათავადიშვილო უკვე კიდეც შეისყიდა, არ მიაჩნდა კეთილ-სინდისიანად. მისი აზრით, ეს იყო ერთი ვინმე ჩარჩი, რომელსაც ჯარიმებით და ათი-თორმეტის სარგებლის გადახდე-

ვინებით ბევრი ოჯახი ჰყავდა ცეცხლზე დადებული... ამიტომაც კიდევ უფრო გაუგრილდა გული მის საქმეზე...............

ერთ დღეს ის სწერდა რაღაც საქმის ქაღალდს, როცა ბახვა მის სამწერლო ოთახში შევიდა და ერთი მუჭა ას-მანეთიანები წითელ სტოლზე დაულაგა; ოთახში იმ დროს იმ ორის მეტი არავინ იყო. ბამომძიებელმა რომ ამდენი ფული სტოლზე დაინახა, გულმა ძგერა დაუწყო, სახეზე გაფითრდა, წერას მოუჩქარა და ერთს ხანს თავი ზევით ველარ აიღო სირცხვილისაგან.

ბახვა ვაილურსა და პასუხს უცდიდა.

ბოლოს რათიც იქნა, გამომძიებელმა წერა გაათავა. ქალამი დასდვა და უთხრა: ეგ რა არის?...

— მე, ბატონო, — დაიწყო მთრთოლვარე ხმით ბახვამ — ქვეყანაზე წყალ-წაღებული კაცი შევიქენი. ისეთი უბედურება დამატყდა თავზე, რომ ან კი რაღათ ვარ ცოცხალი. ცოლი მომიკლეს, ბატონო, ურჯულო კაცებმა. აწ რაღაა ჩემი სიცოცხლე. მე მისთვის ვცხოვრებდი. ის მარტო იყო ჩემი სიცოცხლე, ჩემი ესმა, ეს უმანკო კრავი, ჩემსავე კალთაში დამიკლეს. ამას შემდეგ გული ვამიტყდა ღმერთზე და კაცზე. მე აღარა მწამს რა. ასე მგონია, ყველას ჩემ სამტროდ მოუცლია, ყველანი ჩემს დაჩაგვრას ცდილობენ. მას აქეთ თავზარდაცემული დავდივარ ქვეყანაზე. არ ვიცი სად ვარ, რისთვის ვცხოვრობ ქვეყანაზე. რაღას ვუცდი: ჩემი მკვლელი ქვეყანაზე ხარობდეს და მე უსამართლოდ ვიწოდე ცეცხლზე, ეს რა სამართალია?... ბარშემო ცეცხლი მაქვს შემოდებული, მადლიანი აღარავინ გამოჩნდა, რომ ვისმე შევეცოდო. ამ სიტყვებზე იმას გული აუჩვილდა, თვალში ცრემლები მოერია.

ბამომძიებელს თანაგრძნობა გაეღვიძა.

— დამშვიდდი, ძმაო, დამშვიდდი. — უთხრა მან ტკბილათ. — ვიცი, რომ იერემიას მტრობას გაუშმაგებიხარ. არ იცი, რას სჩადიხარ.

— ღმერთმა ხომ იცის, მე მისი მტრობა გულში არ მქონია; მაგრამ როგორც ახლა მე თქვენ თვალით გხედავთ, ისიც ისე იმ უბედურს მთვარიანს ღამეში დავინახე: ჩემი ესმა ბავშვივით ჰყავდა ხელში აყვანილი და იტაცებდა. ესმა ჰკიოდა. როგორც მისი კივილი მომესმა, თავი დამავიწყდა, გამოვუდექი, მაგრამ მუხლები მეკეცებოდა. ის იყო მივსწვდი, ხელი საყელოში უნდა მეტაცნა, აი იმ დროს დასცა იმ არა წმინდამ ჩემს ანგელოზს გულში ხანჯალი!... ამ სიტყვებზე ბახვას სული ყელში ამოეჩუყა, ცრემლები გადმოჰყარა...

—ეგ იქნება აგრეც იყოს, მაგრამ მაინც საქმეს საბუთები აკლია. მარტო შენს სიტყვებს სამართალი ვერ შეიწყნარებს, იქონიე მოთმინება. იქნება უფრო ნამდვილს კვალს წავატყდეთ სადმე. მანამდის გთხოვ, ჩემთან ნულარ მოხვალ და ეს რაც მოგიტანია, ისევ უკან წაიღე, თორემ ვინმე რომ შემოგვესწროს, შენვე პასუხის გებაში მიეცემი. ბახვამ უეცრად სტაცა ხელი ასმანეთიანებს, ერთი რაღაც გიჟურად დააბრიალა თვალები და გარეთ გამოვარდა. ის მირბოდა ქუჩაზე და ხშირად უკან-უკან იხედებოდა, თითქოს ვინღაც დადევნებოდეს დასაჭერად...

გამომძიებელმა დაიწყო თავის სამწერლო ოთახში თავჩაკიდებული საირული. დიდხანს იარა მან წინ-და-უკან ასე ჩაფიქრებულმა. ბოლოს წამოიძახა: «მიუცილებლათ აქ ბოროტმოქმედება ტრიალებს. ბახვა მეტის მწუხარებით გაგიჟებულია. თვითონაც არ იცის, რას სჩადის. ან კი რა უნდა ექნა, თუ დარწმუნებულია, რომ იერემია მისი ცოლის მკვლელია და სამართალი მას ხმას არა სცემს. რა გასაკვირველია, რომ იფიქროს: მეც, მთელი სასამართლოც, უმაღლესი მთავრობაც იერემიას ძლიერ მფარველებისაგან მოყიდული ვიყოთ. ამ

გარემოებამ იმ საც ჩემი მოსყიდვა აფიქრებინა. არა. ის გასამტყუნი არ არის. ეს ბოროტმოქმედება ადრე თუ გვიან უნდა აიხსნას».

## VI

ბახვამ სულ სხვანაირი შთაბეჭდილება გამოიტანა გამომძიებელის მოქმედებიდან. ამას ან უფრო მეტი ქრთამი აქვს მიღებული, ან სასამართლოს წევრების შეეშინდათ, რომელთაც ალბათ ნაბრძანები აქვთ იერემიას საქმე ისე წაიყვანე, რომ მოისპოსო. იმას ვერ წარმოედგინა, რომ სასამართლოში უქრთამოთ რამე გაკეთდებოდა; ამის მაგალითები თვალწინ ედვა. მისი წინანდელი ცხოვრება თუ ისე ფრთებშესხმული იყო უფრო იმითი, რომ მთავრობის კაცები მომადლიერებული ჰყავდა. მისს სადაო საქმეებს ყველანი განსაკუთრებულს ყურადღებას აძლევდენ. მწერლიდან მოკიდებული მაზრის მმართველამდის ყველანი მისი მეგობრები და პატივისცემელნი იყვნენ. ყველას ახსოვდა მისგან ხელის გამართვა და საჩუქრები.

«ეს გამომძიებელი რაღა იესო ქრისტე გამოჩნდა, რომ ფულზე უარი თქვა, თუ მეორე მხრიდან არ იყოს მოსყიდული; მაგრამ ღმერთმა ისე ნუ მომკლას, რომ ჩემს დამლუპველზე ჯავრი არ ვიყარო. რაც ქონება მაქვს სულ ამ საქმეს გადავატან. თავშიშველი და ფეხშიშველი ვივლი, ძაძაში გამოვეხვევი, მიწას დავფხოტნი, ქვეყანას ჩემის ცოდვით ავატირებ... თუ იმითაც არა გამოვიდა რა, ერთს მოლესილს ხანჯალს განა ვერ ვიქონიებ?»... წამოიძახა ბახვამ თავგამეტებით.

ასეთი შავი ფიქრებით გარემოცული ჩაეშვა ერთ სასაქმო დუქნის სარდაფში, საცა იმას დაუხვდა მისი ვექილი წუნკალა, გვარათ ჩაფხუტაძე.

— ცა და ქვეყანა მე მომდგომია, — შეჰყვირა ჩაფხუტაძეს ბრაზმორეულმა ბახვამ. ჩემი ცოცხლად დამარხვა უნდათ

მაგრამ არა! სანამ იერემიას ცივს სამარეში არ ჩავიტან, მანამ არც მე ჩავეშვები იქ.

— რა გითხრა?—არ მიიღო?—ჰკითხა წუნკალამ.

— არ მიიღო—უპასუხა იმედ მიხდილათ ბახვამ.

— ალბათ მოწინააღმდეგე მხრისაგან არის მოსყიდული,— განზრახ მის გამოსაჯავრებლათ დაურთო წუნკალამ.

— მგრე რომ არ იყოს, მაშ ეგ რაღა წმინდანი გამოჩნდა ამ ჯოჯეხეთის ქვეყანაში,—დაჯერებით დაჰკრა კვერი ბახვამ.

— შენ დარდი ნუ გაქვს, მაგაზედაც ამოვიყრით ჯავრს, მაგასაც გავაბამ მახეში, სანუგეშებლათ მიუგო წუნკალამ.

შესწყდა ლაპარაკი. ბახვა თვალებ ამღვრეული გამოიცქირებოდა. მის გულში ზღვევის ცეცხლი ტრიალებდა და არ იცოდა ვისთვის, რა ექნა? წუნკალამ შეატყო ბრაზმორეულობა, ცდილობდა რითიმე დაეშოშმანებინა და ნაღველი გულს გადაჰყროდა. ცოტას ხანს შემდეგ შემპარავი ღიმილით უთხრა.

— მე უფრო კარგი ამბით დაგიხვდი, ბახვა.

იმან თვალები წუნკალას დააშტერა.

— შენი ალსრულებითი ფურცლები ფიცხლად მივაყენე ჭანჭურაიას,—განაგრძო წუნკალამ. მთელი მაღაზია ავუწერე, მერე მივედით მე და სასამართლოს ბოქაული მის ოჯახში, თავი მოვჭერი ტოლსა და ამხანაგში, ცოლ-შვილი ავუტირე. თურმე ნუ იტყვი, ცოლზე აპირობდა ყოველფრის გადაცემას, რომ ვალი თავიდან მოეშორებინა. უშველოს ღმერთმა ნოტარიუსს, ერთი დღით ადრე შემატყობინა ეს ამბავი. მოგეცა სიცოცხლე, ქორივით დავესხით თავზე მეორე დღეს. მეტი რა ღონე ჰქონდა, ფეხ-ქვეშ გაგვიწვა, ყოველფერზე ნება დაგვრთო, ოღონდ თავიდგან მოვეშორებინეთ. ერთი-ორად თამასუქი გამოვართვი, ზედ ერთი იმდენის ჯარიმის ქაღალდი დავამატებინე. შენი ხომ ათას ხუთასი მანეთი ემართა. სამი ათასი მანეთის ვექსილი გამოვართვი და ერთი ამდენი ჯარიმის წერილი.

ვადა ექვსი თვე დავუდევი. თუ გადააცილა, დღეში ოც-და-ხუთი მანეთი აქვს შტრაფი.

— აგრე, აგრე, ნუღარავის განიკითხავ, მოუჭირე ხელი, სისხლი ამოწუწნე, სული ამოართვი, მეც ეგ მინდა—სიამოვნებით დაჰკრა კვერი ბახვამ.—მე ვინ გამიკითხა, სიკეთისთვის ვინ გამიტანა. აი, ხომ ხედავ, ძმაო წუნკალო, მინელებენ, მინელებენ; მაგიერათ მეც უნდა მოვინელო ყველანი. აბა ვინ მომეშველა, როცა ჩემის ცოლის სისხლში ხელი გაურიეს. აწ მეც უნდა გაურიო ხელი მთელის ქვეყნის სისხლში. ცოდვა და მადლი სად არის, რომ შემაჩეროს?... არა, მითხარი, შემატყობინე, მადლი იყო ჩემი ასე წახდენა?...

ამ ლაპარაკში ბახვას თვალები წამოექნა; იმან მაგრათ დაჰკრა მუშტი სტოლზე, თითქოს იმ წუთას იერემიასთვის დაეცეს მკერდზე ხანჯალი.

— ეგ კიდევ რა არის!... მე უკეთესებს გიამბობ, —განაგრძო სიამოვნების ხელის სრესით წუნკალამ. აღსრულებითი ფურცელიც ხომ მე დავიტოვე და მითი მთელს მის სოფლის მამულს «ზაპრეშჩენიე» დავადევი. იცი?... მისი სოფლის მამული ათას თუმანზე მეტად ღირს.

— ცეცხლი მინელდება, გული მიგრილდება, შენი სულისა, დამეხმარე, წუნკალო, აგრე დამეხმარე. ჩემს გამხმარს ყელს, თითქოს ცივის წყაროს წყალი მოხვდა გასალბობათ.

— ლაპარაკი არ უნდა ეგ მამული შენ დაგრჩება.

— მეოთხედი შენი იყოს, წუნკალო!... დანარჩენს კი იერემიას შურის საძიებლათ გადავდებ.

წუნკალს სიამოვნებით თვალი აუციმციმდა. მაშინვე გულში განიზრახა პირობის ჩამორთმევა ამ საგანზე.

ამ დროს ბახვამ იგრძნო, რომ მართლაც ყელი უშრებოდა. ენას უსიამოვნოთ დაუწყო წლაკუნი.

— მედუქნე! — მძაფრად დაიყვირა ბახვამ. — ერთი სტაქანი ღვინო მომაშველე, ლამის წყურვილით დავიხრჩო. პირი გამიხმა, ენა სიმშრალისაგან ხის ქერქათ გადამექცა.

სტაქანს სტაქანი მიჰყვა და სანამ საჭმელს მოუტანდენ ბახვამ და წუნკალამ ექვს-ექვსი გადაშუშეს. ამას შემდეგ ბახვამ ტანში სითბო იგრძნო, გული დაუმშვიდდა და სოფლის ვექილიც თავაზიანათ შეჰყვა მას სუფრაზე.

სადილს რომ მორჩენ და წუნკალამ შეატყო; რომ ბახვას ჟავრის ღრუბელი შუბლზე გადეწმინდა, ამოიღო თამასუქები ჯარიმის ფურცლებიანა და ბახვას გადასცა. ბახვამ ჯარიმის ფურცლები ვექილს აჩუქა და ხარჯს გარდა ოც-და-ხუთ მანეთიანი გადაუგდო. ვექილმა მადლობა უთხრა და თან დაატანა: ახლა ქუბელაშვილს უნდა მივაყენო ეს ფურცლები, თუ ამ ორ კვირაში ხუთასი მანეთი არ შემოიტანა.

— არა, ის შეძლებული კაცია, შემოიტანს, — თქვა ფიქრებ წაღებულმა ბახვამ.

— იცი, რას გირჩევ! .. შეეკითხა ეშმაკურათ წუნკალა. — მოდი ვადაზედ დავემალოთ, იქნება ერთი დღით მაინც გადააცილოს შემოუტანლობა.

— მერე?... ჰკითხა ბახვამ

— ამ ჯარიმის ხელწერილს ხომ ხედავ, თავის გარდა ხუთას მანეთს კიდევ გადავაშვლექინებ.

ბახვა ერთხანს ჩაფიქრდა, არას ამბობდა, თითქოს რაღაც უნდობრათ დაუწყოვო წუნკალას ყურება.

— რას მომჩერებიხარ? — შესძახა სოფლის ვექილმა. მანა ცოტა დაგკარგვია მაგისთანებზე. ერთი მითხარი, შენ ვინ დაგზოგა? ამ სიტყვებმა ისევ აუმღვრიეს ბახვას დამშვიდებული გონება.

— ძალიან კარგი, აგრე ვუყოთ, — დასძინა ზულავამ. — აი, დარდი! მე ვინ მიდარდა?... თუნდ ტყავიც გაგიძვრია.

— რომ გადავახდევინო, რას მომცემ?—ეშმაკური ღიმილით შეეკითხა ვექილი.

— მგ ჯარიმის ფული სულ შენთვის მიჩუქებია.

— აგაშენა ღმერთმა, —კმაყოფილებით უთხრა ჩაფხუტაძემ. Iცოდე ამიერიდგან თავს დავდებ შენთვის, ბახვა, თავს დავდებ.

ბახვამ გაისტუმრა მედუქნის ნახარჯი; ის და წუნკალა გავიდენ სარდაფიდან და გაემართენ თავთავიანთ სადგურისაგენ.

წუნკალა ჩაფხუტაძე ერთი იმ სოფლის ვექილთაგანი იყო, რომელსაც საზოგადო სახელი «აბლაკატობისა» ჰქონდა მინიჭებული. Iს წუწკ მეძებარსავით სულით ეძებდა იმისთანა მოვაჭრეებს, რომელთაც ჯიბა სქელი ჰქონდათ და სასამართლოში სიარული აუცილებელი იყო იმათთვის, რადგან გასესხებითი წერილები მრავალი ეყარათ და მოვალეებისაგან საქმე ჰქონდათ გაჭირვებული, უსამართლოთ თავიანთი გასესხებული ფული ვერ აეღოთ.

წუნკალას ჰქონდა საკვირველი ნიჭი სხვისი ხელწერილების გადაღებისა. რაც უნდა ეშმაკური ნაწერი ყოფილიყო, წუნკალას ერთი თვალის გადავლების მეტი არა სჭიროდა-რა, რომ ზედმიწევნით მიემგზავსებინა ნაწერისათვის თავის ხელი. ამ ნიჭის წყალობით იგი ბევრს პოდლოღებს უკეთებდა სხვადა-სხვა უსინდისო კაცებს ფულით. მაგრამ ჯერ კიდევ სამართალს მისთვის კლანჭი ვერ მოეკრა, თუმცა ბევრი ცუდი საქმეები ბრალდებოდა. მოსამართლეებს უმართებულო ამბები ჰქონდათ იმაზე გაგონილი და ამის გამო კერძო ვექილობის მოწმობას არ აძლევდენ. ამ მხრით რომ ვერა გააწყორა, მოურაობის ვექილობას მიჰყო ხელი. მხოლოდ ის ეძებდა ფულით ჩაქვირითებულს კაცსა. ბოლოს ის წააწყდა ბახვა ფულავას და ხელში ჩაიგდო. წუნკალამ გაივლო გულში ოქრო-ვერცხლის ხაროს მივაგნეო და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ მისი ნდობა მოეპოვებინა. ბახვა ფულავა Iერემიას დევნით შეპყრობილი იყო, სახლკარი დაეტოვებინა, ერთი თავზე ხელაღებული

გამხდარიყო, მახლობელი აღარავინ ჰყავდა და ვინც ჰყავდა, იმაზედაც გულავარდნილი იყო, რადგან ატყობდა, რომ მისი უბედური გარემოებით თვით მისსიანსაც სარგებლობა უნდოდა. ამისთვის წუნკალა ჩაფხუტაძემ ნაყოფიერი ნიადაგი იგდო ხელში და აპირებდა მისს ყოფა-ცხოვრებას თავზე დახტომოდა.

ის მელიასავით შეეპარა ბახვას, რომელიც უმისოთ ნაბიჯს აღარ სდგამდა. წუნკალამ იცოდა, რომ მესისხლეობით ბახვას გონება ჰქონდა დაკარგული, ჰგრძნობდა, რომ რამე საშინელს ბოროტმოქმედებას უნდა წასტყდომოდა. ჩაფხუტაძესაც ისე მიჰყავდა მისი საქმეები, რომ ეჭვი არ იყო, ადრე თუ გვიან ბახვა რაიმე პოდლოლის საქმეში უნდა გაბმულიყო. აი, ამ წუთისათვის ემზადებოდა წუნკალა, რომ რა კი ბახვას თავისიანი აღარავინ ჰყავდა, თუ ვინიცობაა სისხლის სამართალში თავს გაჰყოფდა და შველა აღარსაით ექნებოდა, მისი ყოფა-ცხოვრება იმას დარჩენოდა ვექსილების ჩამორთმევით.

## VII

იერემია წარბა იმ ღამის ბოროტმოქმედებას შემდეგ იმერეთიდან გაჰქრა. ის და მისი ამხანაგები მაშინვე მოახტენ ცხენებზედ და დილის რიჟრაჟამდის ჩოლაბურის წყალს გავიდენ, შეუხვიეს ტყეში და ერთ პაწია მინდორზე გადახტენ დასასვენებლათ. ზივი ჭრილობისაგან გულდასუსტებული იყო. ამ ადგილის მახლობლათ იერემიას ძევრულაზე ერთი ნათლიმამა ჰყავდა. დაჭრილი ზივი იქ დააგდო. ნათლიმამას მისცა ხუთი თუმანი და სთხოვა კარგათ მოევლო დაჭრილისათვის. იმ დღეს იქ დარჩენ და დღე და ღამე რომ გაიყარა, ერთმანეთს გამოეთხოვენ. ირაკლიმ ოზჩისკენ გასწია. იერემია დილიკაურისაკენ გაემართა და მეორე დღეს შუადღისას ქორტოხზე გადავლილმა სურამს ამოჰყო თავი. აქ ცხენი ერთ ოსს მიჰყიდა შვიდ-თუმან-ნახევრად, ჩაჯდა მატარებელში და ღამის თერთმეტს საათზე

ტფილისში შევიდა. ის დაბინავდა ერთს იმერლის დუქანში. მან მხოლოდ აქ იგრძნო თავის დაღალულობა. რომ დაეგდო ტახტზე, მესამე დღემდის აღარ გამოღვიძებია. გავიდა ორი კვირა. იერემიამ დაიწყო ტფილისში სხვა-და-სხვა ალაგას სიარული. დუქანში მხოლოდ საღამოობით მოდიოდა დასაწოლად. მედუქნემ იცოდა, რომ იერემია ტფილისს ჩამოსულიყო და სახელმწიფო სამსახურში უნდოდა შესვლა.

ერთს კვირა დილას იერემია კარგათ გამოწყობილი, ჩქარი სიარულისაგან სულ-შეგუბებული იდგა ერთ დიდებულ სამსართულიან ქვითკირის შენობის კიბეზე. მის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. იმას ხელი ჰქონდა მიდებული ელექტრონის ფოლაქზე დასარეკათ, მაგრამ ჯერ არ რეკავდა, თითქოს ორ აზრს შუა იყო: დავრეკო თუ არაო. ბოლოს რათიც იქნა გაბედა და ფოლაქს ხელი დააჭირა. მაშინვე გაიღო კარები და მხედრულად ჩაცმული კარის დარაჯი გამოდგა შიგნით დერეფნიდან. იმან თვალი აავლ ჩამოავლო იერემიას, რომელიც ხმალ-ხანჯლით იყო მორთული და ცხენოსნის მხედარს მიემგზავსებოდა. დარაჯმა იფიქრა ღენერალთან ექნება საქმეო და ჰკითხა.

— ვინ გნებავს?

— მე მინდა ღენერლის ქალის ნახვა, რომელიც შვილობილათ ჰყავს აყვანილი.

— არა მგონია, რომ ჯერ მისი ნახვა შეიძლებოდეს, რადგან მანდილოსანი ჯერ არა ბრძანდება მორთული, —უპასუხა გულგრილად დარაჯმა.

— მოახსენე, რომ მე მისი ნათესავი ვარ იმერეთიდან მოსული.

— მაშ მოითმინეთ, წავალ, მოვახსენებ. —უთხრა დარაჯმა.

ცოტა ხანს შემდეგ იერემია ადიოდა დაფიქრებული მარმარილოს კიბეზე, რომელზედაც მაუდის საფენი იყო ჩამოგებული, ბრინჯაოს ჯოხებით დამაგრებული. შევიდა თუ არა ზევით დერეფანში, იმან უნებლიედ მიჰხედა დიდ სარკეს, რომელშიაც თავის თავი დაინახა და უნებურათ ხელი მოისვა შუბლზე, თითქოს მსმას სისხლის წვეთი ჰქონოდეს ზედ მოცხებული და მოწმენდას ცდილობდესო. რაღაც ახირებული კანკალი აუტყდა: ნეტა ახლა დარბაზში არ შემიყვანაო, გაივლო გულში და უკან დაბრუნებას აპირებდა; მაგრამ გვიანღა იყო. იმან მოიხედა უკან და რომ დაინახა კარის დარაჯი მისდევდ, წადგა წინ ნაბიჯი და დარბაზის კარი შეაღო.

ქალი იჯდა ტახტზე და რაღაც ხელსაქნარს აკეთებდა. იერემიას დანახვაზე ის უცბათ წამოვარდა და მიაძახა:

— იერემია!... შენ ხარ? რამ მოგიყვანა — რა მიამა შენი ნახვა, — საჩქაროთ მიეგება და ხელი ჩამოართვა. პალიდა! — დაიძახა იერემიამ და მდაბლათ თავი დაუკრა, — რა ბედნიერი ვარ, რომ თქვენ მაგრე გაკეთებულს გხედავთ, ბადრ მთვარეს არ ჩამოუდგებით. პალიდას მეტად იამა იერემიას ნახვა, გამოჰკითხა ყოველფერი თავის ქვეყნისა და ნათესავების ამბავი.

იერემიამ დაწვრილებით უამბო იმერეთისა და მისი ოჯახის ამბავი, რაც რომ იცოდა.

— რაზე ჩამოსულხარ? ჰკითხა ღიმილით პალიდამ.

— სამსახური მინდა და შენს იმედათ წამოვედი. საცხენოსნო ჯარში შესვლას ვფიქრობ.

— მაგაზე ადვილი რა იქნება — უთხრა მხიარულებით პალიდამ. თვითონ იმ საცხენოსნო პოლკის უფროსი ლებოვი ჩემი კარგი მეგობარი კაცია. ერთი რომ ვუთხრა, მეტი არ უნდა, მაშინვე ჩაგრიცხავს სამსახურში. სად დგახარ, იერემია? — ჰკითხა ნათესაობრივი გულმტკივნეულობით პალიდამ.

— აქ გახლავარ ჩამომხდარი, ერთს ჩვენებურის იმერლის დუქანში

— ვი, ღმერთო მომკალი! დუქანში რა გინდა? ახლავე ჩვენთან გადმოდი. ქვედა-სართულში ვუბრძანებ ბიჭს ოთახი მოგიმზადოს. ახლავე ჩემს მამობილსაც გაგაცნობ.

ის მიტრიალდა მეორე ოთახში შესასვლელად და ამ დროს უცბათ გაიღო კაბინეთის კარი. იქიდან გამოვიდა ერთი მოხუცებული, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგათ მყოფი, მაღალი, განიერი მხარბეჭიანი ღენერალი. წვერი მოპარსული ჰქონდა, ხელში გძელ ტარიანი ჩიბუხი ეჭირა და მსხვილს ჭაღარა ულვაშებზე ნიადაგ მიმზიდველი ღიმილი დასცემდა გულკეთილობის ნიშნათ.

— პაპა! მხიარულად მიეგება ვალიდა. რა გახარო?... რა ბედნიერი ვარ!... ჩემი ბიძაშვილის-შვილი მომივიდა!

ღენერალმა გულღიათ თავი დაუკრა და ხელი გაუწვდინა იერემიას. იმანაც მდაბლათ თავ-დახრით ჩამოართვა.

— ოჰ, გამარჯობა შენი, იმერელო! დაბძანდი. აბა, მოჰყევი იმერეთის ამბავსა. დიდი ხანია იქიდან არა ვიცი რა. თქვენი თავად-აზნაურობის წინამძღვარი რასა იქმს?... მართალია თქვენს ღუბერნატორს სულ სძინავსო?... ამ სიტყვებით დაეშვა ის სოფაზე, წუმწუმა გაჰკრა, მიმქრალი ჩიბუხი ისევ აბოლა და შემდეგ ფეხი-ფეხზე შემოსდო.

— როგორც მოგეხსენებათ, ბატონო...

— მართლა ისეთი დიდი ხარჯი აქვს თქვენს ღუბერნიის მარშალს, როგორც ამბობენ?

— დიახ, ბატონო, დღე ისე არ გავა, რომ მის სახლში ერთი ძროხა არ შეიჭამოს.

— ვინ მიდის ამდენი?...

— იმერეთში თავადი და აზნაური, ვინც კი ქუთაისში გაივლის, როგორ შეიძლება, რომ მას არ გამოეცხადოს, იმასთან პური არ ჭამოს და ჩაი არ დალიოს დილა-საღამოს.

— მერე მაგდენს ხარჯს რა ოჯახი გაუძლებს?

— დიდის მამულისა და ყმის პატრონი გახლავს. იმერეთში ახლა იმისთანა მებატონე არავინ გახლავს.

— ან რა საჭიროა, რომ ქვეყნისათვის კარი გაუღია?

— უიმისოთ არ იქნება. თუ პურ-მარილით არ მოიმადლიერა იმერეთის თავად-აზნაურობა, ცუდათ იქნება არჩევანზე მისი საქმე. ჩვენში, ბატონო, კაცი პურ-მარილით ფასობს.

— სანამდის გაქვს. როცა გამოგელევა?...

— მაშინ გლახათ ჩამოიქვეითებს, ბატონო. ბაილიმა იერემიამ.

— ვაი ჩვენი ბრალი!—ქაეშანმოდებული ხმით წარმოსთქვა დარბაისელმა ღენერალმა.

— პაპა. მე იერემიასთვის აქ ვუბძანე მოამზადონ ბინა. მაგას სხვაგან დუქანში როგორ დავაყენებ, სანამ სამსახურს იშოვიდეს.

— ძალიან კარგი გიქნია, შვილო. აი, მაგისთვის მიყვარხარ, რომ თაოსნობა იცი და რაც ოჯახს მოუხდება, ისეთს განკარგულებას ახდენ.

— დედამაც მომიწონა.

— იმიტომ რომ გონიერათ მოიქეცი.

— უჰ, პაპა, რა მიხარია. როდესაც სასეირნოთ გავემგზავრებით მე და დედა ლანდოთი, იერემიას თან წავიყვანთ. საცა უნდა წავიდეთ, ალარსად მოვიცილებთ.

დარბაისელმა ღენერალმა ერთი კიდევ აავლო თვალი იერემიას მოყვანილობას და იფიქრა: ნეტავ ყოველთვის მაგისთანა ხლიებული მყავდესო. მთავარ-მართებელსაც არ ეყოლება მაგისთანა გამყოლი. მერე ხმამაღლა წარმოსთქვა: «ნამდვილია. იერემია ყველგან დაგაშვენებთ, თუ კი არ დაიზარა თქვენი გაყოლ-გამოყოლა».

— რატომ იკადრებთ. ჩემი თავი თქვენი სანაცვლო იყოს.

დარბაისელს ღენერალს ძალიან იამა იერემიას ასეთი სიტყვები; წამოდგა დინჯათ, თითქოს თავი მოიწონა იერემიასთან და ღიღინით გაემართა ოთახისაკენ.

— პაპა, იერემია სულ კოზლაზე გვიჯდება. — მიაძახა ღენერალს.

— ჩინებული იქნება — დაატანა ღენერალმა და შეიკეტა კაბინეთის კარები

— მე წავალ, მოვირთვები, თორემ აწ ვინმე სტუმარიც მოვა — წაილაპარაკა ვალიდამ იერემიას გასაგონათ. ლებოვი დამპირდა პირველ საათზე შემოგივლი და კავალკადით გავისეირნოთ მუშტაიდისკენო. იერემია, შენ აქ მოიცადე, უნდა წარგადგინო პოლკოვნიკთან.

— რასაც წყალობას მიზამთ, თქვენ იცით. ჩემი სიცოცხლე აწ თქვენ ხელთ არის.

ვალიდა გავიდა მეორე კარიდან. მის სოსან ატლასის გძელ-კუდიანს კაბას შრიალ-შრიალი გაჰქონდა.

## VIII

იერემია დარჩა მარტოდ-მარტო. ის ათვალიერებდა ზალის მორთულობას, რომელიც სულ ძვირფასი ხალებით იყო მოგებული. სტოლზე ათასნაირი მოოქრული და მოვერცხლული წვრილმანი ნივთები ელაგა. ერთ მხარეზე აღმოსავლეთის გემოვნებაზე განიერი ტახტი იყო წმინდა თექეს ხალებით გაწყობილი, ზედ შინდის ფერი ხავერდის მუთაქები ელაგა; შუაში ძვირფასი ფერადებით ნაკერი ყურბალიშები, რომლებზედაც სახლის პატრონის სახელ გვარი ოქროქსოვილით ნაკერი გამოქათქათობდენ. ერთ კუთხეზე დიდი რგვალი სტოლი იდგა, ფარჩა აბრეშუმ-ნარევი სახეებიანი მატერიით გადაფარებული, ზედ ჩინეთის ფარფორის საფერფლე და სიგარის ჩასაწყობი კოთხოები იდვენ. ამ სტოლს გარშემო უდგენ ჩაქსული აბრეშუმ-ნარევი ხა-

ლებით გადაკრული სელები. დიდრონ ფანჯრებზე და კარებზე ჩამოშვებული ფერადის ატლასის ფარდები ოქრო-მკერდის ფოჩებით ცის სარტყელსავით ლაპლაპობდენ, როცა მათ მზე მიადგებოდათ. ასეთმა სიმდიდრემ მეტად დაჩაგრა იერემიას ფიქრები. «ამისთანა სიმდიდრის პატრონი როგორ უნდა დაბერდეს, ან მას მწუხარება როგორ უნდა მიეკაროს?» — გაივლო გულში იერემიამ. ჯერ იმას ამისთანა სიმდიდრე არ ენახა. «რა კი აქნამდის მოვატანე, აწ ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. პალიდა ჩემი მფარველი იქნება, იმის გამო ღენერალიც შემეწევა. თუ ვიშოვნე ჩინი, ახლა ვიშოვნე». მაგრამ ამ დროს უეცრად იცვალა ფერი მისმა ფიქრებმა: თვალწინ გამოეხატა იმ ღამის მკვლელობა და ტანში გააზრიალა. მას ვერ დაევიწყებინა ესმას ანგელოზური სახე. მისი უკანასკნელი ამოკვნესა თითქოს ყურში ჩასწიოდა იერემიას შემდეგის სიტყვებით: «აკი მომკლა ამ ურჯულომო!»... ამითი დაიღრუბლა იმ წუთას მისი ნათელი გამოხატულება. «ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი, ესმა რომ სულ თვალითაც არ მენახო. დღეს მე მისი მსხვერპლი შევიქენი. იმ უბედურს ღამეს შემდეგ სულითა და ხორცით მეც დასჯილი ვარ საუკუნოთ. ვინ იცის, ხვალ რა დამემართება, ეს ჩემი პატრონები ხვალ როგორი თვალით შემომხედვენ? მაგრამ მაინცა და-მაინც ხანჯალი მაგრათ არ დამიკრავს. არ ვეჭვობ, რომ სასიკვდილო რამე გასჭირვებოდეს. მე ვიცი ბახვა გულგაშლილი კაცია ჩემს დევნას სასამართლოს საშუალებით არ იკადრებს. რომ კიდეც იკადროს, მანამდის მე აქ კარგს ალაგს დავიჭერ, გავმდიდრდები და რამენაირათ მოვრიგდებით... ოჰ, ღმერთო ჩემო, ის ღამე რომ მომაგონდება, თავზარი მეცემა. ესმა რომ ხელში ავიყვანე, ისე მაგრათ გამიკავა ხელები, რომ ასე მეგონა, შემკოჭეს-მეთქი. იმისთანა ღონიერი ქალი კი არა კაციც არ მინახავს. ნაბიჯი ველარ გადავდგი!... ამ დროს ბახვა კინაღამ მომწვდა, მისი ქლოშინი

ზურგს უკან მესმოდა... ამ დროს ისე მწარეთ ჩამავლო ესმამ კბილი მკლავში, რომ მისი ნაკბენი ახლაც მატყვია. შავგიჟდი, არსებიდგან გამოვედი, მეტი რა მექნა?... მოვივლე ხანჯალს ხელი... ბახვას ხომ ვერ დავაჭერინებდი თავს?... იმ ღამეს შემდეგ ჩემი სიცოცხლე განახევრებულია. ჩემი გული კუპრის მორევია, გველ-ბაყაყით ავსებული. მე აწ რაღამ უნდა მანუგეშოს. ის ჩემი მკვლელი მას აქეთ ავსულივით თავს დამტრიალებს... მშვიდობით აწ მოსვენებავ, მშვიდობით სიამოვნებავ?»...

ამ დ-ოს მოისმა ზარის რაწკუნი გარეთიდან. იერემიას წარმოუდგა პოლიციელები და ისე წამოხტა ადგილიდან, თითქოს ტყის ნადირი ბუნაგიდგან ძაღლებს გამოეგდოსთ. იგი თრთოლამ აიტაცა და უნებურათ ხანჯლის ტარზე ხელი დაიდვა... ერთმა ჩერქეზულათ ჩაცმულმა კაცმა შემოაღო ზალის კარები. მას მხრებზე პოლკოვნიკის პაგონები ეკერა. ის გაშლილი ნაბიჯით გაემართა იმ სტოლთან, საცა ჩინური ფარფორის ტიკინები ეწყო, ჩამოჯდა სელზე და თვალები განისკარს მიაპყრო. მას იე ემია არ შეუნიშნავს. ეს ნელ-ნელა კუთხისკენ მიიწია და დარჩა იქ ფეხზედ ატუზული.

უცბათ განისკარი გაიღო და ჰალიდა შემოცქრიალდა ცისფერ მაუდის კაბითა, რომელიც ცხენზე საჯდომათ იყო გაწყობილი. ჰალიდას თავზე შავი კოთხო ეხურა და შავი პირბადე ჰქონდა ნიკაპამდის ჩამოფარებული. ამის გამო უმისოთაც თეთრი ნიკაპი და მაღალი ყელი კიდევ უფრო თეთრად მოქათქათობდენ.

— სწორეთ ერთი წამიც არ გადაგიცილებიათ დანიშნულს ვადას — უთხრა ღიმილით პოლკოვნიკს ლებოვს და გაუწვდინა გძელი ნარიჯის ფერის ხელთათმანით შემოსილი ხელი ჩამოსართმევათ.

ლებოვი რწყილსავით წამოხტა ზეზე. ეს იყო არა ჩვეულებრივი მოქმედება პოლკოვნიკისა მის წლოვანების შესადარათ.

— ნუ თუ გულში გაივლეთ, თქვენთან მოვისწრაფოდი და დავიგვიანებდი? — უთხრა ლებოვმა.

— ერთობ მომეტებული ყურადღებაა თქვენი მხრით — ალერსიანათ უპასუხა პალიდამ.

— მგ კი არა, თავიც რომ შევსწირო თქვენს სიამოვნებას, იმასაც საკმაო ყურადღებათ არ მივიჩნევ. ამ წყეულმა ხელთათმანმა მაინც რაღათ მომაკლო თქვენის ბროლის თითების ხილვა.

— ბატონო, ლებოვო, ნუ პირფერობთ, — და უცბათ გამოსტაცა ხელი. ძართლა, მე სულ დამავიწყდა! აი ჩემი ნათესავი მეწვია სტუმრად, მინდა გაგაცნოთ — მიუთითა კუთხეში მდგომარე იერემიაზე. ამ სიტყვებზე ლებოვი, თითქოს რწყილ ნაკბენი, ისე მოტრიალდა და თვალი შეასწრო იერემიას. იმას არ ესიამოვნა მქირდავი თვალი მისის ტრფიალებისა პალიდასთან.

იერემია წელში გაიმართა, ხელები ჩამოუშვა და მოწიწებით თავი დაუკრა პოლკოვნიკს.

— ბატონო ლებოვო, მე თქვენ გთხოვთ, მაგ ჩემს ნათესავს ყურადღება მიაქციოთ... იქნება თქვენს პოლკში ჩარიცხოთ, სამსახური ჰსურს.

— რაც ჩემის ღონისძიებიდან მოხერხდება, მზათა ვარ თქვენი ნება და სურვილი ავასრულო.

ლებოვი გაემართა იერემიასკენ ხელის ჩამოსართმევათ. მისმა მოყვანილობამ გააშტერა პოლკოვნიკი. იგი დაუდგა პირ-და-პირ ამ უზარმაზარს კაცს და შეაჭყვიტა თავის პაწია თვალები. იმან შენიშნა ხმალზე ტემლაკი და გულზე ჯვარი.

იერემია პოლკოვნიკის დაკვირვების გამო აიბუძგა და აიგრუზა. «იქნება ახლა ამას დეპეშითაც ჰქონდესო ქუთაისიდამ მოწერილი ჩემი ამბავი» — იფიქრა იერემიამ. იმან თვალითვალში გაუყარა პოლკოვნიკსა და უნებურათ ხელი ხმალზე დაიდვა.

— ყმაწვილო კაცო გინდათ ჩემს პოლკში სამსახური?...

— თუ თქვენი წყალობაც იქნება—მოახსენა იერემიამ.

პოლკოვნიკი უცებ გამოტრიალდა ამ პასუხზე და ალერსიანათ წაულაპარაკა პალიდას:

— თქვენი ნათესავი ნამდვილი გმირია შეხედულებით. მაგასთან თუნდ ერთი პოლკი მტერიც რომ შემომესიოს, არა გამიჭირდება-რა. მე მაგას სიამოვნებით ჩავრიცხავ ვახმისტრად, რადგან იუნკერია და ჯვარი აქვს. ერთ თვეს შემდეგ აფიცრობაზე წარვადგენ. იმედია, მალე მოუვიდეს.

— გულითადს მადლობას შემოგწირავთ მაგგვარის თანაგრძნობისათვის—დაატანა პალიდამ.

ლებოვი მიუბრუნდა იერემიას და ჰკითხა:—სად გიმსახურიათ?

— საიზნაურო ცხენოსნის ჯარში, რომელიც თათრების საზღვარზე იყო დაყენებული.

— ეგ ჯვარი სად მიგიღიათ.

— თერთმეტს აპრილს ქინტრიშის ბრძოლაში.

— ეგ კიდევ უკეთესი. ბრძოლის კვამლში გატარებული ყოფილხართ.

ლებოვი მოუბრუნდა პალიდას:—აბა, ქალთა შორის ქალბატონო! მშვენიერი ამიდია, დროს ნუღარ ვკარგავთ, წავიდეთ სასეირნოთ.

— დიდი სიამოვნებით. მე მზათ ვარ.

ლებოვმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი პალიდას მშვენიერს მოყვანილობას, თავი ჩაღუნა და კისერი მოიწყვიტა. ის ფიქრობს წაელო. ამ ქალის გულისთქმიერს ხვევნაში გაბოროტებულიყო მისი გონება.

პალიდამ მოჰკრა თვალი ლებოვის უხეიროთ წაშვებულს ტუჩებსა და ტანში უსიამოვნოთ გააზრიალა...

— ბატონო ლებოვო, რაღაც ფიქრებს წაუღიხართ. რას უცდით, წავიდეთ.

ბინძურს გულისთქმაში ჩაღრმავებული ლებოვი ქალის სიტყვებმა გამოაღვიძა. იმან თავი გაიქნია, თითქოს ფიქრებს იშორებსო, და მოახსენა ქალს:—მიბძანდით წინ. პალიდამ სიკეკლუცით შეიკრიფა გძელი კაბის კალთები, გამოიჩინა მაღალ ქუსლებიანი მოელვარე ჩექმები და წინ წავიდა. ოჰ, ვინ იქნება ის ბედნიერი, რომელსაც ეღირსება მაგ ლამაზის ფეხების კოცნა და გულში ჩახუტება—ნერწყვის ყლაპვით წაილაპარაკა ლებოვმა პალიდას გასაგონათ. ქალმა მოჰხედა უკან, დაანახვა ბროლის კბილები და თითქოს წყრომით, მაგრამ უფრო ალერსით შესტუქსა:—ლებოვო, თქვენ ხომ იცით ჩემი ხასიათი, რომ მავისთანა უწმაწური ლაპარაკი არ მიამება.

ლებოვმა გულისთქმით ამოიკვნესა.

ამ დროს კიბეზე მოაყენეს ყარაბაღული ცხენები. პალიდას საჯდომი ცხენი ოქროს ფერი იყო, მშვენიერი თავ-კისერი ჰქონდა, თითქოს განზრახ გამოურჩევიათო პალიდას სილამაზის შესახამებლათ.

ლებოვმა დაუჭირა პალიდას უზანგი და ფეხზე ხელის მოჭერით აგრძნობინა თავის გულის ცეცხლი. მერე დაუპირა ქალს წელზე ხელის მოვლება, რომ მოხმარებოდა შესაჯდომათ, მაგრამ პალიდამ მოასწრო, ჩიტივით შეფრინდა უნაგირზე და ამით ჩაუფუშა პოლკოვნიკს ვნება-ალტყინებული განზრახვა.

— ჩერქეზის ქალსავით მარდი ბრძანებულხართ,—ნანვით დაატანა პოლკოვნიკმა, რადგან ვერ მიმწვდარიყო თავის გულის წადილს.—თუ გინდათ, იერემია ჩემის ხლებულის ცხენზე შეჯდება და გამოგვყვება.

ამ წუთს იერემია პალიდასთან იდგა და ცხენის სადავე ეჭირა ხელში. იგი უნაგირზე ქალს კაბას უსწორებდა.

— ძალიან კარგი იქნება — მხიარულებით უპასუხა პალიდამ. იერემიას ეს მოულოდნელი ამბავი იამა, რადგან იგრძნო, რომ პოლკოვნიკს მოვსწონებივარო.

## IX

შემოდგომის ტკბილი დღე იყო. ტფილისის არეს მზე აღარ სწვავდა, როგორც ზაფხულს სჩვევია, მაგრამ მისი შუქი გამაცხოველებელს სასიამოვნო სითბოს და ნათელს ჰფენდა გარუჯულს ქალაქის გარემოს. ახლად დაგვული გალავინის პროსპექტი ყვავილებიანს მდელოს მოგაგონებდა. შემოდგომის ფერს ტანსაცმელში გამოკანკლული ქალები მიდი-მოდიოდენ ქვაფენილზე სხვა-და-სხვა ფერად აპრიალებულნი. იმათს ხალისს ტანცმულობას მშვენივრად ეხამებოდენ შავს და ქუფრს პალტოებში გამოწყობილი ვაჟები. ფუტკრის დასი რომ ყვავილებს შემოესევა და თავს დაბზუის, ტფილისის კოხტა ვაჟებიც ასე უტრიალებდენ ლამაზს მანდილოსნებს ფეხ-არჩევით სეირნობაში. ეტლებს და კალიასკებს გაჰქონდათ ქუჩაზე გრიალი. ზოგნი შიგ მსხდომნი საქმისთვის მიეშურებოდენ, ზოგი მხოლოდ სასეირნოთ გამოსულიყო. მდიდარი კაცები ინგლისისა და არაბის მოდგმის ცხენებით გაბმულს კაბრიოლეტებს მიაჭენებდენ სხვა-და-სხვა მხრისკენ, რომ მოსეირნეთ დასისათვის თავი მოეწონებინათ, ბევრის ლამაზის მანდილოსნისათვის გული აეძგერებინათ, თითქოს ყველანი ეშურებოდენ ამ საუცხოვო ამინდით და წმინდა გრილი ჰაერით დამტკბარიყვენ, რადგან სუსხი ზამთარი კარზე მომდგარიყო.

ამ დროს გალავინის პროსპექტზე გამოჩნდა პალიდა. იგი სარივით იჯდა ოქროს ფერს ყარაბაღულს ცხენზე, რომელსაც კოხტად მოჰქონდა თავ-კისერი და ოთხამოღებული კვინტრიშით წინ მოჰქროდა, თითქოს უხარიაო, რომ ქალთამზე ზურგით მოჰყავსო. პოლკოვნიკი ლებოვი თეთრს არაბულს ცხენზე

იჯდა და მალიდას გვერდით მისდევდა. ქალმა და მისმა რაინდმა მიიქცია მოსეირნეთა ყურადღება.

— მალიდა, მალიდა!... გაისმა ბულვარზე მოსეირნეებში. ქალი ჩვეულებრივის ღიმილით აძლევდა სალამს მარჯვნით და მარცხნით მოსეირნეთა.

— ბრალი არ არის, ამისთანა მშვენიერი ქმნილება იმ ძველის მრუშის საზურთაოდ გამხდარიყოს? — წასჩურჩულა თავის მანდილოსანს ლებოვის ადუტანტმა.

— ამბობენ კიდეც უბულრავნიათო — ეშმაკური ჭორიკანაობით შენიშნა მანდილოსანმა.

— ეგ ახალი ამბავი არ იქნება — დაატანა ადუტანტმა.

— როგორ?... თქვენ ხომ არ შეგიმჩნევიათ? — ლაპარაკში გამოსაწვევათ ჩაჰკითხა მანდილოსანმა.

— არა, მაგრამ ასე ამბობენ.

— თქვით მაგაზე მეტსაც ამბობენ — დაკრა კვერი მანდილოსანმა.

— ერთ ღამეს საერო დარბაზობიდან მესამე კადრილს შემდეგ პოლკოვნიკი ლებოვი და მალიდა თურმე სადღაც გამქრალან.

— ეგ მართალი არ უნდა იყოს, — ეშმაკურათ შენიშნა ადუტანტმა, რადგან უნდოდა მანდილოსანი გამოეწვია მალიდას შესახებ ჭორების საუბარში.

— მეფიცები პატიოსნებას, ჟამენდატის ცოლმა ილაპარაკა: იმ ღამეს მალიდა და ლებოვი კარჩაკეტილ კარეტაში ისხდენ მარტოდ-მარტო და ნაშუაღამევის ორს საათამდის სულ მუშტაიდის გარშემო ქუჩებზე დასეირნობდენო.

— ეგ ტყუილი უნდა იყოს — კიდევ უფრო გამოსაჯავრებლათ თქვა ადუტანტმა.

— თვითონ მეეტლეს ულაპარაკნია კოცნის ხმა მესმოდაო.

— ოჰ, ოჰ!... ეგ მოგონილია.

— რა ეგ გინდა. იმ დღეს თურმე თვით იმათი ლაქია ეუბნებოდა ჩვენს მოსამსახურეს: ჩემი ბატონები რომ დაბრუნდენო დარბაზობიდან საათნახევარს შემდეგ მალიდა და ლებოვი მოვიდენო ერთად. ჩვენმა ლაქიამ მეორე დღეს თვითონ მე მითხრა ეს ამბავი.

ამ სიტყვებზე ადუტანტმა გადიგრიხა ულვაშები და ბრძნულად წარმოსთქვა: —შესაძლებელიაო. ბევრი მაგისთანა ვარდები დაუჭკვნია თავის სიცოცხლეში პოლკოვნიკს ლებოვსა.

---

კარგი სანახავია მუშტაიდის ბაღი შემოდგომაზე, ნამეტნად, როცა თბილი ამინდია. უხვად დაჩრდილული ხეები ფერის ცვლაში არიან. მართალია, მათ ყვავილი არ მოაქვთ, მაგრამ თვით ფოთლები იქცევიან ყვავილებათ; ზოგი მიიღებს ყვითელ ფერს, ზოგი მწვანეს, ზოგი სოსანს, ზოგი სულ მოჭირებულ წითელ ფერს და ეს მრავალ ფერად შეღებილი ხეები კაშკაშ ლაჟვარდს ცასქვეშ ედემის მშვენიერებას წარმოუდგენენ კაცს. ამ წითელ-ყვითელ ფოთლებში და ტფილს მზიანს ტაროსში ხანშესულ კაცს ხშირად მოაგონდება თავისი ჭაბუკობის დრო, და როგორც შემოდგომის ფოთლები სიოს შემოკვრაზე ალაქლანდარდებიან, ისე მიმქრალი გულისთქმები ხანდაზმულის კაცისა დაიწყებენ ტოკვას და იწვევენ მოტეხილს გრძნობებს სამარის კიდეზე, რომ ერთხელ კიდევ გააბოროტონ კაცი სიყვარულის გვემითა. სწორედ ამავე მდგომარეობაში იყო პოლკოვნიკი ლებოვი, როდესაც მუშტაიდის გატკეცილს გზებზე ლამაზის ქალის გვერდით წყნარად მიატარებდა ცხენს და მის გულში ჰღუოდა მალიდას ტრფიალი.

იერემია შორი ახლოს მისდევდა მათ და სიამოვნების ღიმილით შეჰხაროდა თავის ახალს ბედს. ის გრძნობდა, რომ პოლკოვნიკი გატაცებული იყო მალიდას მშვენიერებით. «ნეტავი

მალიდას შეირთავდესო—წამოიდუდუნა იერემიამ,—მაშინ ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო. ორ-სამ თვეს პრაპორშჩიკი გავხდები, მერე იქნება სოტნაც ჩამაბაროს პოლკოვნიკმა. მაგას რა კითხვა უნდა, რომ ერთგული სამსახურით თავს შევაყვარებო».

ის განზრახ ჩამორჩა კარგათ მოშორებულს მანძილზე, თუმცა თვალიდან არ ჰკარგავდა ცხენოსნებს. ამ ნათელს ფიქრებში რომ იყო იერემია, უცბათ რაღაც ბოროტმა ხმამ თითქოს ყურებში ჩასძახა: «აკი მომკლა ამ ურჯულომო». უცებ მას მოელანდა შავთმაგაშლილი მწყრომარე სახე ესმასი. იერემია ძლიერად შეკრთა. რაღას ვეჩრები ამ წუთის სოფელს— გულგახეთქილი წამოიძახა მან,—ესმას სიკვდილს შემდეგ მე სასიცოცხლო პირი აღარა მაქვს»...

მალიდა და პოლკოვნიკი მოხვეულის ბუჩქნარით გავიდენ დიდ ხეების ტალავარში მტკვრის პირის მხარეზე.

— მალიდა!—ათრთოლებული ხმით შესძახა ლებოვმა. მკვდები თქვენი ეშხით. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

— რას ბრძანებთ?... მგ სიტყვები არც თქვენ გეკადრებათ და არც ჩემს ქალწულობას,—პირქუშად უთხრა მალიდამ.

— ნუ თუ რაიმე უკადრისია ამ ჩემს მწვავს გრძნობებში. ზიმეორებთ, მე თქვენ მიყვარხართ.

— მგ სიტყვები ალბათ მეოცეჯერ არის წარმოთქმული ოცს სხვა-და-სხვა თქვენმიერ შეყვარებულთან.

— მართალია, იქნება მეოცეც იყოს; მაგრამ ეს მეოცე ჩემი გულის პასუხი ოცჯერ უფრო გულახდილი და მწვავე გატეხილი პასუხია მაზედ, რაც სხვებისთვის მითქვამს.

— მერე?... შეჰკითხა მალიდამ.

— თქვენი გული უნდა დანებდეს ამ ერთს წუთს ჩემს ცეცხლ-მოდებულს გრძნობას.

— მე წუთიერი არა მწამს-რა, გულგრილად სიტყვა ბანზე აუგდო მალიდამ.

— თუ ამ წუთს თქვენის ტრფიალებისას შევსწირავ ჩემ სიცოცხლეს, მაშინ?... ლებოვი ცხენ-და-ცხენ მიიწია მალიდასკენ, რომ წელზე ხელი შემოეხვია.

— პოლკოვნიკო, ნურას უკაცრავად. მე არც მაგ წუთიერის სიყვარულისა მწამს რამე და არც მჯერა, რომ თქვენ, რომელსაც ეგრე გაგიტარებიათ თქვენი დღენი, შეგეძლოსთ უმანკო ქალის გრძნობა დააფასოთ... ეს უთხრა და უცბათ ჰკრა ქუსლი ცხენს, რომ წინ წაუგდო და ხიფათს გადარჩენილიყო.

პოლკოვნიკი დარჩა სხტად ხელებ გაწვდილი.

ის მალე დაეწია მალიდას და გრძნობიერად უთხრა:

— ნუ თუ ჩემის ამდენის ხნის ტანჯვის მოსაოხებლად მეტი სამკურნალო მალამო არ ყოფილა თქვენს გულში დაგროვებული?

— მე მხოლოდ იმ კაცისათვის მაქვს უებარი გულის წამალი, ვინც სიკვდილამდის ჩემი იქნება — ღიმილით მოჰხედა უკან ლებოვს და უთხრა მალიდამ.

ამ წამს ისეთი შნოიანი რამ იყო ეს ქალი, რომ პოლკოვნიკი ლამის გაგიჟდა.

იმან უცბათ მიიგდო ცხენი მალიდასკენ და უპასუხა:

— მოგცემ პატიოსან სიტყვას, რომ სიკვდილამდის თქვენი ერთგული ყმა ვიქნები.

— არა, ეგ სიტყვები მარტო არ კმარა. საქმით უნდა დაამტკიცოთ.

— როგორ საქმით?—ჩაჰკითხა სახეზე აპრიალებულმა ლებოვმა.

— წმინდა ცოლ-ქმრობის კავშირით.

პოლკოვნიკს თითქოს ცივი წყალი გადაესხა თავზე. გრძნობა მორეული სიწითლე უცბათ ჩამოეშალა და მკრთალმა ფერმა გადაჰკრა სახეზე. იმან უსაყვედურა:

— თქვენ ეგოისტი ყოფილხართ. არ გცოდნიათ, რომ წმინდა ქორწინება სიყვარულის ყვავილს უცბათ აჭკნობს და აქრობს.

ვალიდამ აღარა უთხრა-რა. მხოლოდ შუღლით შეჰხედა პოლკოვნიკს, ჰკრა ქუსლი ცხენს და ოთხამოლებით გამოაფრინა შინისკენ. ლევოვი გამოეკიდა ცხენ-და-ცხენ და როცა დაუპირდაპირდა, რამდენიმე სატრფიალო სიტყვები კიდევ უთხრა ვალიდას; მაგრამ იმას აღარც პირქუში სახე შეუცვლია და აღარც ხმა გაუცია. ლევოვი გრძნობა დაქვეითებული დადუმდა და მოწამლული გულით მოსდევდა ვალიდას.

იერემიამ ცხენს ჰკრა მათრახი და რაკი მოსეირნენი მუშტაიდის ბაღში ველარ ნახა, ჭენებით გამოსდია მათ უკან. ის მოსწვდა ვალიდას და ლევოვს მიხაილოვის ხიდზე—და შინამდის აღარ დაშორებია.

ვალიდამ მიიგდო ცხენი მოაჯირზე და დაუძახა იერემიას: «მოდი გადმომსვი». იერემიამ ერთი ნაბიჯით წინ მიასწრო პოლკოვნიკს და ციმ-ციმ გადმოახტუნა ზედა კიბის საფეხურზე. ვალიდა აგოგდა მოაჯირამდის და ჩამოჰკრა ზარას. ლევოვი ზანტად ადიოდა ქვის კიბეზე. გაალეს თუ არა კარები, ქალი უცებ მოტრიალდა, დაუკრა კოხტად პოლკოვნიკს თავი და და შესძახა: «გმადლობთ სეირნობისათვის, ბატონო ლევოვო». შევარდა სახლში და მოიხურა კარები.—ლევოვი ერთ წუთს თავჩაღუნული იდგა მოაჯირზე, შემდეგ მოტრიალდა კიბეზე. მის წინ იდგა იერემია, რომელსაც მისი ცხენი დაესადავებინა. ლევოვს იამა ეს სიმარდე იერემიასი.—გმადლობთ, უთხრა გრძნობით პოლკოვნიკმა.—თუ არ დაიზარებთ სადგომამდის გამაცილეთ ცხენ-და-ცხენ.

— მზათ გახლავარ ყოველთვის, თქვენი ბრძანება ავასრულო. პოლკოვნიკმა ჰკრა ქუსლი და გამალებული იორღით გასწია შინისკენ. იერემია ოთხამოლებით გამოუდგა უკან.

ხლებულმა კი დაიჭირა სადავით ოქროს ფერი ყარაბაღული, რომელზედაც ვალიდა იჯდა და წამოიყვანა შინისკენ.

## X

ვალიდა იყო ერთი იმერლის თავადისშვილის ქალი, რომელიც ქუთაისის წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელში იზრდებოდა. იმ დროს ბევრს არას ასწავლიდენ ამ სასწავლებელში. განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული გარეგან აღზრდაზე. ქალს უნდა ესწავლა კარგი ტანცაობა, სხვათა შორის მაზურკაში მიხვრა-მოხვრა და ფეხების რიგზე აყოლება. აგრეთვე უნდა სცოდნოდა ზედმიწევნით კეკლუცათ თავის დაკვრა, რევერანსი, კავალერებთან კოპწიაობა. თვითონ ვალიდა კარგი ტანადი იყო და მადლიანი მდიდარი სახე ჰქონდა. ის იყო კურს ასრულებდა, როცა ქუთაისის სამხედრო გუბერნატრად ერთი წარჩინებული რუსეთის გვარის კაცი ჩამოვიდა. მისი მეუღლეც დიდი გვარის შვილი იყო და რუსეთის უმაღლეს წოდებაში ფრიად გაცნობილი. მან მოსვლისათანავე გამართა სალონი, საცა ყოველ შაბათობით იკრიბებოდენ მთელის გუბერნიის მაღალი ჩინოვნიკობა და თავად-აზნაურობა თავის სახლობით. ღუბერნატორის მეუღლემ მიიღო მფარველობა წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებლისა და ხშირად დაჰყავდა უფროსი კლასის შეგირდები თავის სალონში. ვალიდა მალე შეიქნა ამ სალონის უბრწყინვალესი ვარსკვლავთაგანი. ახალგაზდა ქალს მისთანა მიმზიდველი იერი ჰქონდა, რომ არ შეიძლებოდა საზოგადოებაში მისთვის კაცს ყურადღება არ მიექცია. ღუბერნატრის მეუღლემ დაუწყო მას თავის ამხანაგებში გამორჩევა. ამ ბრწყინვალე საზოგადოებაში ვალიდა ძალიან გავარჯიშდა. იგი გრძნობდა თავის მომხიბლავს სილაზათეს და ხშირად ამხანაგებს ხუმრობით ეტყოდა ხოლმე, როცა მე დედოფლად გავხდები, თქვენ ჩემ კარის მანდილოსნებათ

უნდა დაგნიშნოთო. ისინიც მხიარულად ქოქოლას აყრიდენ. ერთ დროს ღუბერნატორს ეწვია ქალაქიდან ერთი ფრიად დამსახურებული და მდიდარი ღენერალი, რომელსაც ისე მოეწონა მალიდა, რომ იშვილა, რადგან უძეო იყო და თან წაიყვანა.

ეს ღენერალი ტფილისში ერთი უწარჩინებულესთაგანი გვამი იყო თავის დიდებული ცხოვრებით. ისეთი წვეულება არ მოხდებოდა არც სასახლეში, არც საერო დარბაზში, რომ ეს კაცი თავის ოჯახით მიპატიჟებული არ ყოფილიყო. ყველანი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდენ ამ კაცს, რადგან ძველი დიდებული გვარის ჩამომავალი სასახლის კარზე პატივცემული იყო და მისს მეუღლეს კარის დიასახლისობა ჰქონდა უმაღლესად მინიჭებული. ამ ოჯახში მთელი მაღალი წოდება საქართველოისა დაიარებოდა. ასე გაშინჯე, შორეული ქვეყნებიდან მოსულებიც თავის მოვალეობათ რაცხდენ ამ ოჯახის ნახვას და პატივისცემით მოკითხვას. მაგრამ მისი ოჯახი კიდევ უფრო მიმზიდველი შეიქნა მას შემდეგ, რაც იქ დამკვიდრებულიყო ლიხთ იმერეთის ერთი მოციმციმე ვარსკვლავი.

მალიდა თვრამეტის წლისა, მაისის ვარდსავით, ნორჩათ გაფეთქილი ყვავილი შეიქნა. მაღალი, წელ-წერწეტი. წაბლის ფრის სქელი თმიანი მეტად ჰშვენოდა. მისი პირის სახე გაბადრულს სამის კვირის მთვარეს ემზგავსებოდა. როცა მის პირზე ვარდი გაიშლებოდა, ჩარაზმული მარგალიტის კბილები შუქს ჰფენდა მიდამოს. საოცარი გავლენა ჰქონდა ყველაზე ამ ქალის მადლიანს ღიმილსა. რაც უნდა გულ-დაბნელებულს კაცს მოეკრა თვალი იმ დროს მისთვისა, მაშინვე გადახალისდებოდა. მის ყურამდისაც იმის კრიალა სიცილი მისწვდებოდა, მისი გული მაშინვე კარს გააღებდა სატრფიალოდ. ამ ქალის ლაზათიანობა თანასწორად აგდებდა ეშხში სისხლს-გამშრალს მოხუცსა და გრძნობა მომღერალს ჭაბუკსა.

დიდებულის ღენერლის სახლში ვალიდამ პირველს ხანებში მორცხვობა დაიწყო. ბრწყინვალე საზოგადოება მშვენივრად ჩაცმულთა მხედართა ეპოლეტ-ექსელბანტებით და სხვა-და-სხვა ღირსების ჯვრებით აპრიალებულთა, ჯერ თითქოს მჩაგვრელი ზედმოქმედება იქონიეს მასზე. მაგრამ იმერეთის ქალწული სამეფო ტახტზედაც რომ დაესვათ, ბოლოს მაინც თავს არ შეირცხვენს. ორჯერ სამჯერ გავლა-გამოვლა მაღალ-წოდების დარბაისელს მანდილოსნებში საკმაო იყო ვალიდასთვის, რომ მის ბუნების სილამაზეს მათი მედიდურობა შეელახა. საცა უნდა გამოჩენილიყო ეს ქალი, ყოველგან თანასწორად იპყრობდა მთელის საზოგადოების ყურადღებას. ახალგაზდა ადიუტანტებს, ინჟინრებს, პალატისა და ოლქის სასამართლოს წევრებს, სულ ყველას რჩებოდათ მაზედ თვალები არც ხანში შესული ღენერლები და პოლკოვნიკები უყურებდენ გულ-გრილად მისს ნათელს მშვენიერებას. ვალიდა მალე შეეჩვია ამისთანა ცხოვრებას. ის ჰგრძნობდა თავის მადლიანს შნოს და ვის როგორ მოსწონდა, ისე ექცეოდა. იგი გაეჩვია ყველასთან ალერსიანად ყოფნას. მაგრამ ასეთს გვარს თანასწორს ტრფიალ-ში ჯერ კიდევ არ ატოკებულიყო ნამდვილი გრძნობით მისი გული. საზოგადოებაში მალე განითქვა ვალიდას სილამაზისა და სინარნარის სახელი. სასახლემდინაც მიაღწია ამ ამბავმა.

ცოტას ხანს შემდეგ მოხდა დარბაზობა. დიდი სალხინო ზალა ჩირაღდნებით და უზარმაზარი კანდელით იყო განათებუ-ლი. მთელი ტფილისის დიდ-კაცობა იქ იყო იმ ღამეს მიპატი-ჟებული. დარბაზობის გამგე ზალის კარებთან იღებდა პატივ-ცემულს სტუმრებს და ყველას თავ-თავის ალაგს უჩვენებდა. ზალაში იყვნენ სადღესასწაულოთ მორთულნი უმაღლესნი [illegible] სამოქალაქო და სამხედრო წოდე-ბისა; ოქროთი ნაკერი ტანსაცმელი, ორდენებით შემკული, გაზის სინათლეზე ცის-სარტყელასავით ბრწყინავდენ. დიდებულათ

მორთულნი მანდილოსნები, ღია მკერდ-კისრით და ტიტველა ბროლის მკლავებით აღძრავდენ საზოგადოების გრძნობასა. მათს თმებში, მკერდებზე და თითებზე ბრილიანტები ვარსკვლავებივით მოკამკამობდენ.

ამ დარბაზობაზე იყვენ მოწვეულნი უმაღლესი ხარისხის ღენერლები მათი ცოლშვილით, უცხო ქვეყნის წარმომადგენელნი და კარის დიასახლისები. ესენი დარბაზს შემდეგ რომ ოქროს ოთახი იყო, იქ გროვდებოდენ. ამ ოთახში მთელი სახლის სამკაულს ყვითელი ფერი დასცემდა, კედლები, ჭერი და ფარდები ყვითელის ფერისანი იყვენ თვით სკამები და მდივნები ოქროში დაფერილ ბრინჯაოთი იყვენ ნაკეთები. ამ ოქროს ოთახს იქით, მესამე ოთახი ფირუზის კამარას მოაგონებდა თავის მორთულობით. აქ მებელი ძვირფასის შავის ხისა იყო და ყოველიფერს მწვანე ფერი დასცემდა. აქ მთავარმართებელი თავის მეუღლეთი იმისთანა სტუმრებს იღებდენ, რომელნიც განსაკუთრებით მათი დაახლოვებულნი მეგობარნი და მასთან შესული სახელმწიფო მოხელენი იყვენ. დარბაზობის მეთვალყურემ მოახსენა მთავარ მართებლის მეუღლეს, რომ დარბაისელი ღენერალი თავის მეუღლით და მათთან ვალიდა ერთად გიახლენო.—მობრძანდენო—თავის დახვრით ანიშნა მთავარ-მართებლის მეუღლემ. კარის დიასახლისმა პირველ შემოდგა ფეხი ფირუზის ოთახში და მდაბლათ გაუკეთა რევერანსი; შემდეგ წარადგინა ვალიდა, როგორც თავისი ქალი. ვალიდამ მეტად შნოიანათ და თავმდაბლათ მისცა პატივი. მთავარ-მართებლის მეუღლე ღიმილით მიეგება ვალიდას, ხელი ჩამოართვა და მიუთითა მწვანე ფარჩით გადაკრულს პაწია მდივანზე. ვალიდას შუბლს ზემოთ თმაზე აჯდა ბრილიანტის ვარდი. მისი გაღიაღებული მკერდ-კისერი მსხვილი მარგალიტის გულსაკიდით იყო შემკული. ტანთ ეცვა ვარდის ფერი აბრეშუმის კაბა ძვირფასის ლიონის მატერიისა. მისი მხრებამდის

ტიტველი მკლავები ბროლივით მოელვარებდენ; ზედ დიდი ბრილიანტების სამაჯურები ნაპერწკლებს ისვრიდენ. მისი მაღალი თავ-კისერი, გაბადრული სახე და მშვენიერი ტანადობა სწორეთ მომხიბლავი იყო. მთავარ-მართებლის მეუღლეს პირველ შეხედვაზედვე მოეწონა იგი და ალერსიანათ მოექცა. ამ დროს შემოვიდა ფირუზის ოთახში თვით მთავარ-მართებელი, რომელიც სტუმრებს ღიმილით მიესალმა. მისმა მეუღლემ წარუდგინა ვალიდა, რომლის მშვენიერებამაც ძალა უნებურათ მიიპყრო მთავარ-მართებლის ყურადღება. მას უკან უდგა დარბაისელი ღენერალი, ვალიდას მამობილი. მთავარ-მართებელმა ღიმილით ჩამოართვა ხელი ვალიდას, მერე მოტრიალდა ღენერლისა და მის მეუღლისკენ ამ სიტყვებით: მიამა თქვენი ქალის ნახვა, გმადლობთ ამის მოყვანისათვის.—დარბაისელმა ღენერალმა და მის მეუღლემ მდაბლათ დაუკრეს თავი.—ძერე ალერსიანად უთხრა ვალიდას—გთხოვთ ჩემთან კადრილი ითამაშოთო. ვალიდამ მდაბლათ გაუკეთა რევერანსი. ამ დროს შემოვიდა პოლკოვნიკი ლებოვი და სთხოვა მთავარ-მართებლის მეუღლეს კადრილში თამაშობა. იგი იყო თვით მთავარ მართებლის მეუღლისა ბიძაშვილის-შვილი. მთავარ მართებელმა იქვე გააცნო ლებოვი ვალიდას და შეითქვეს ერთად თამაში. შემდეგ მან მისცა ხელი ვალიდას და გავიდა ოქროს ოთახში; მათ უკან გაჰყვენ ხელგაყრილნი მთავარ-მართებლის მეუღლე და პოლკოვნიკი ლებოვი. ოქროს ოთახში უცბათ გაკეთდა განიერი წრე, საცა მთავარ-მართებელსა და ლებოვს გარდა რვა ტოლი ქალ ვაჟი იყვენ მოთამაშენი: ღენერალ-ადუტანტები და უცხო ქვეყნის წარმომადგენელნი თავიანთ მეუღლეებით. დანარჩენი სტუმრები სულ დიდ სადარბაზო ზალაში იყვენ მოთამაშეთ, რომელთაც გარშემო ადგენ სამ-პირად უმდაბლესი სამხედრო და სამოქალაქო სახელმწიფო მოხელენი. ისინი უცქეროდენ კადრილის თამაშსა. მუზიკა ორ-პირად გრიალებდა. პოლკოვნიკი

ლებოვი განაცვიფრა ვალიდას სიმშვენიერემ. მესამე, მეხუთე და მეექვსე კადრილში, როცა კავალერები დამებს შესცვლიდენ ხოლმე, პოლკოვნიკი ლებოვი რამდენსამე საალერსო სიტყვებს გადუგდებდა ვალიდას, რომელიც შესაფერს პასუხს უგებდა თავაზიანათ. ამან კიდევ უფრო მოხიბლა პოლკოვნიკის გული. როცა გათავდა კადრილი და კავალერებმა თავიანთ დამებს ჩვეულებრივად მადლობა გადუხადეს, მთავარ-მართებელი და მისი მეუღლე დაბრუნდენ ისევ ფირუზის ოთახში. ამ დროით ისარგებლა პოლკოვნიკმა ლებოვმა, მივიდა ვალიდასთან და მოწიწებით მისცა ხელი:

— კადრილს შემდეგ გეტყობათ დაგცხათ; გამხადეთ ბედნიერი, წამომყევით სანოვაგეს ოთახში, ცივი სასმელით გული გაიგრილოთ. ვალიდამ მკლავი-მკლავში გაუყარა და ამ რიგათ გავიდენ დიდი დარბაზით განიერს დერეფანში, საცა ყოველნაირი სანოვაგე იყო გაწყობილი. ლებოვმა მიიყვანა ერთ მარმარილოს რგვალ სტოლთან, რომელსაც გარს ორი ხავერდის სელი ჰქონდა შემოდგმული და დაუძახა მოსამსახურეს ლიმონადი და მასთან მაროჟნა მოერთმიათ.

— დღევანდელს დარბაზობაში ყველაზე მნათობი ვარსკვლავი თქვენ ბრძანდებით—უთხრა ლებოვმა.

— რას მიბრძანებთ?... არ მეგონა, თუ თქვენგან მაგნაირს დაცინვას დავიმსახურებდი – ღიმილით უთხრა ვალიდამ.

— მერწმუნეთ მე ის ნაკლულევანება არა მაქვს, რომ ჩემ სიტყვებს სხვა აზრი ჰქონდეს გარდა იმისა, რასაც თვით ჩემი სიტყვები პირდაპირ არ გამოხატვენ. ჩემი უაღრესი ნაკლულევანება გულახდით ლაპარაკია.

— გმადლობთ სიამოვნებისათვის, მაგრამ მე მაგ სიტყვებს ჩემს თავზე მაინც ვერ მივიღებ, რადგან აქ ბევრი ჩემზე უფრო ლამაზიც არის და უფრო მდიდრათ ჩაცმულიცა

— ჩემს თვალში თქვენ ხართ ნამდვილი მეფე ამა დარბაზობისა, სხვამ კი თავისი იცის.

— ნუ მიბრძანებთ მაგისთანებს. მე პირფერობა არ მიყვარს.

— ეგ თქვენი სიტყვები სასტიკი ლახვარია ჩემის გულისათვის, რადგან არ გჯერათ ჩემი შთაბეჭდილების გულახდილად გამოცხადება.

— ბმადლობთ თანაგრძნობისათვის.

— ამიერიდგან, იცოდეთ, თქვენის სინარნარის ჯაჭვით შევიქენი მუდამ შებორკილი.

— მე მაგისთანა ლაპარაკის მოსმენას არა ვარ ჩვეული. მე ერთი გულ-მართლი ქალი გახლავარ და რა საჭიროა ჩემთან მაგისთანების ლაპარაკი.

— თქვენ შეუბრალებელო მშვენიერებათა ღმერთავ, ნება მაინც მომეცით ხშირად განვიცადო მამის თქვენის ოჯახში შუქი თქვენის ჰაეროვნებისა.

ამ სიტყვებზე მალიდას ვარდივით აუწითლდა ლოყები და მისმა სახემ გააორკეცა მშვენიერება.

— ღმერთო ჩემო, რა სიტყვებია?.., თქვენისთანა წ რჩინ ბულს კა ს ჩვენს ოჯახში ყ ველთ ის ღია აქვს კა ი.

— მე მაშინ ვიქნები დაჯილდოვებული თქვენის ყურადღებით, თუ ხვალ თორმეტს საათზე ჩემს ხლებას უარს არ ყოფთ თქვენს ოჯახში, რადგან ვიცი, რომ ამაღამ ნაშუაღამის სამ საათამდის აქ დარჩებით და კიდევ განზრახ ვიცი, რომ ეს დრო ერთობ ადრეა თქვენ მიერ მისაღებათ ვიზიტად მოსულის სტუმრისა.

— დიდი სიამოვნებით. რომ მიბრძანოთ, თქვენის პატივისცემის გულისთვის ორ ღამესაც ზედი-ზედ არ მოვიკიდებ ლოულსა.

— აღტაცებული შევიქენი მაგნაირი პასუხით, მშვენიერო მალიდავ.

— მადლობთ მასპინძლობისათვის — უთხრა ქალმა, დადგა რა ცალიერი ფარფორის ფინი სტოლზე. პალიდა წამოდგა სკამიდან. ლებოვმა მიართვა მკლავი და ასე მკლავი-მკლავში გაყრილი ისევ დაბრუნდენ დიდს დარბაზში, სადაც იყო ვალსის გახურებული ტრიალი.

პალიდას იმავ მინუტში გაუჩნდა კავალერათ ფრანცუზის კონსული და გაიტაცა სათამაშოთ. ქალი სიხარულისაგან აღარ იყო. იმ ღამეს მას ერთის წამის მოსვენება არ ჰქონია. იგი მუდამ გადადიოდა ერთი კავალერიდან მეორე კავალერის ხელში სატანცაოთ. ეტყობოდა, მას დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა მთელს საზოგადოებაზე. ეს დარბაზობა მისთვის სახსოვრად შეიქნა. მთავარ-მართებლის მეუღლეს მაზედ დიდი გავლენა ჰქონდა თავის დარბაისლური ყოფა-ქცევითა. პალიდამ მისი საქციელი სარკესავით გადიღო, ასე გასინჯე, მისი ლაპარაკის კილო და გულღია სითავმდაბლეც კი შეითვისა.

## XI

პოლკოვნიკი ლებოვი იყო ცხენოსან ჯარის უფროსი და დაახლოვებული პირი სასახლეში. თუმცა მის დაჭმუჭვნილს სახეს წლოვანებისა და გადაჭარბებულის ცხოვრების სიამოვნების დაღი ჰქონდა დასმული, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ იჩენდა თავს. ის იყო ერთ დროს მშვენიერი ვაჟკაცი, კარგი ცხენოსანი, სახელ განთქმული მონადირე, ბეჯითი მესროლი და დაუღალავი მოტანცავე; მაგრამ იმ ხანებში მას ბევრი აღარა ეტყობოდა რა ჭაბუკობის თვისებისა, თუმცა პალიდას გულმა მაინც მალე მოიხარა თავი მის წინაშე. თვით პოლკოვნიკი ძალას ატანდა თავის წლოვანებას, რომ პალიდას ყურადღება დაემსახურებინა. იგი, რაკი მშვენიერი ქალის სიყვარულით განიმსჭვალა; აღარც ცხენოსნობაში და აღარც კავალერობაში ახალგაზრდებს თავს აღარ უხრიდა. თუმცა პოლკოვნიკი ქეიფობისა

და წლოვანებისა გამო ნეკრესის ქარებით იყო შეპყრობილი, მაგრამ მალიდას ტრფიალებამ სულ გააყმაწვილა და წელში გახრილი, ხელ-ახლა გამართა.

პოლკოვნიკს გარდა სხვებიც მრავალნი იყვნენ მალიდას მოტრფიალენი, ღენერლის შტაბის აფიცრები, ოცდახუთ-ოცდაექვსის წლის კოკობ ულვაშებიანები; მათ მოელოდათ მაღალი ადგილის სახელმწიფო სამსახური მომავალში, დიდკაცობა და ბრწყინვალება, მაგრამ ქალის გული სრულებით პასუხს არ აძლევდა ამ ბრწყინვალე ახალგაზდობის ტრფიალებას. იმ ჟამად მალიდას გულში მხოლოდ ქარებიანი პოლკოვნიკის სიყვარული ჰღვიოდა. ვინ გაიგებს ქალისა და ნამეტნათ ლიხთ იმერეთის ასულის პატივის მოყვარე ბუნებას?... ვინ იცის, რა განზრახვები, რა წარმოდგენები ასხამდენ ფრთებს მისს მომავალს ბედნიერებას, როდესაც მისი შნოიანი ღიმილი და ვნებამორეული თვალები პოლკოვნიკის გაცივებულს გულს ხელახლად აღვიძებდენ და ათბობდენ. ნეტავ რა მოეწონა მას ამ ნეკრესის ქარებიანის პოლკოვნიკისა: ახოვნება, თუ გვარისშვილობა, გამოჩენილი სამხედრო ადგილი, თუ მთავარ-მართებლის ნათესაობა?... დაჭმუჭნილი პირის სახე, თუ კონიაკით შეწითლებული ცხვირის ნესტოები?... ძნელია ამის გამოცნობა, როცა საგნათ აქვს კაცს ლიხთ-იმერეთის ასულის დაბუწული ანგარიშების გამორკვევა. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ დარბაზობას შემდეგ ხნიერმა პოლკის უფროსმა მოხიბლა მალიდას გრძნობები. მისი დარბაისელი მამობილი არა ნაკლებ გატაცებული იყო ამ შემთხვევით, რადგან იმედი მოეცა ლებოვის დამოყვრებისა. მალიდას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა გაიგო, რომ მთავარ-მართებელს და იმის მეუღლეს უსიამოვნოთ არა აქვთო ეს ამბავი. ვინ იცის, იქნება მალიდა მომავალს დაახლოვებას მთავარ-მართებლის ოჯახთან უფრო მდუღარე გრძნობით უყურებდა, ვიდრე თავის ხნიერს მოტრფიალე პოლკოვნიკსა.

ლებოვი იყო მაღალი წოდების შთამომავალი, უცხო ქვეყანაში აღზრდილი და ფრიად განათლებული. ყმაწვილობიდან სამხედრო სამსახურში შესულიყო, ადრე მიჩვეოდა ქეიფს და დროს გატარებას. როგორც მხედარი, ის იყო მხნე და გაჭირვებას არ ერიდებოდა. მაგრამ ჯაფას შემდეგ თავისუფალს დროს მომეტებულათ უყვარდა ღვინო და ქალი. იმას ეს წუთიერი ცხოვრება ადრე მოყირჭებოდა. მისთვის სიყვარული მაისის ვარდის კრეფად იყო გადაქცეული. როგორც ახალს მოწყვეტილს ყვავილს დიდხანს არ შერჩება სინორჩე და სუნნელება, ისე არც მის გატაცებას ჰქონდა დღეგრძელობა. — ლამაზი ქალი ანგლიის პუნში არისო — იტყოდა ლებოვი. — კაცის დღიურს ვარამში ის გაჩენილა მხოლოდ სისხლის ასაღელვებლათ, ღონის მოსაკრეფად. ვარდიც კარგიაო, სანამ ნორჩია, სუნნელოვანი და ფერი არ წასვლია. როცა დაჭკნება, შემდეგ ახალი კუკური უნდა ეძებოვო. აი, ამ ახალ-ახალ თაიგულების მოპოებაში ჰქონდა იმას თავისი დრო გატარებული. რაც უფრო ხანში შედიოდა, ისე უფრო მომეტებულათ აღიძროდა მისი ვნება-დამქრალი გული საუკეთესო ვარდის გასაფუჩქნავად. იმას აალელვებდა მხოლოდ არა ჩვეულებრივი სინორჩე და სიმშვენიერე ქალისა. რა კი ერთხელვე სიყვარულის ნაპერწკალი ჩავარდებოდა ლებოვის გულში, მერე აღარ იცოდა თავის დაჭერა. თუნდ სიცოცხლეც გადაეგო, უსათუოდ ხელში უნდა ჩაეგდო ის, ვისაც აღეძრა მისი მოტეხილი გულის-თქმები. «ქალია ტკბილეულობა კაცისათვის გაჩენილიო. მე მიყვარს ეს ტკბილეულობა და ისე გაუზნევებული ვარო, რომ არასფერს უზნეო ბავშვს არ ჩამოუვვარდები ტირილში, ოღონდ კი ეს მურაბა ვიშოვნოვო» — გაიხუმრებდა ხოლმე ლებოვი ტოლ-ამხანაგებში. იმას ბევრ მშვენიერ ქალისთვის დაეწვა გული და გაეფუჭებინა სიცოცხლე. კიდეც ამიტომ დარჩენილიყო ის აქამდის უცოლოდ. მას არც სწამდა ცოლ-ქმრობითი ზნეობა,

რადგან არ სჯეროდა არც ქალის სიმტკიცე, არც მისი გონიერება. «ქალისთვის ღმერთს მიუცია გული და არა ტვინიო. ეს არის ჯოჯოხეთის სანთელი, რომელიც მის აშიკს პეპლებს ფრთებს გვიტრუსავს; მაგრამ მისი ქმნილება იმდენათ მომხიბლავია ჩვენთვის, რომ ერთის წუთის სიამოვნებისათვის ფრთების შეტრუსვას აღარ ვნაღვლობთო». ქალში მას მოსწონდა ტანი, სახე და გულის-თქმის ალი. არც ერთს ამ თვისებას ქალისას სიმტკიცე არა აქვს. ლებოვსაც ამ წუთიერი სიამოვნებისათვის უყვარდა იგი. ვალიდას ჩინებულმა მოყვანილობამ აღაგზნო ლებოვის ვნების ქარები უკიდურესობამდის. იმას აღარც დღე ჰქონდა მოსვენება, აღარც ღამე. რაც უფრო ხშირად ხედავდა ვალიდას, თან-და-თან უფრო ეკარგებოდა მოთმინება, რომ რამენაირად იგი შექმნილიყო მისი გულის უფალი. ერთი მის მკერდზე დაკონებისათვის მზათ იყო სიცოცხლე შეეწირა. მაგრამ ვალიდა სრულებით სხვას ჰფიქრობდა. მართალია, ისიც გატაცებული იყო ლებოვისაგან; მაგრამ სულ სხვანაირად. იმას უნდოდა ლებოვი ქმრად და თავის გამოსაჩენად. მის საშუალებით ვალიდა უნდა შესულიყო მაღალის წრის საზოგადოებაში და იქ პატივისმოყვარება მოეპოებინა. ამიტომაც ლებოვის წუთიერს აშიყობას მალე დაუდვა საზღვარი და შორს დაიჭირა მისი ტრფიალება.

ლებოვის სიცოცხლეში ეს პირველი იყო, რომ ქალი ამდენათ გამაგრებოდეს მისს მწვავს გულის-თქმებს. მუშტაიდში სეირნობას შემდეგ მეტად დაიქვეითა ლებოვმა. ის ერთს თვეს აღარ გამოჩენილა დარბაისელ ღენერლის ოჯახში ვალიდასსანახავად. ლიხთ-იმერეთის მნათობის პლანები ძალიან შეარყია ამ გარემოებამ.

— ნუ თუ მართლა დავკარგე საუკუნოთ ჩემი ბედიო?... ჩაჰკითხავდა ხოლმე იგი თავის გულს. ამ რამდენიმე თვის განმავლობაში, რაც ვალიდამ გაიცნო ლებოვი, იმ პირველს და ბაზობას აქეთ, მან ბევრი მწუხარება გამოსცადა.

არა ერთხელ უნახავს იგი თვალებ დაწითლებული ღენერლის მეუღლეს, მაგრამ როგორც სჩვეოდა მის დარბაისლობას თვალს არიდებდა და არაფრით ანიშვნინებდა თავის შვილობილს, რომ ვიცით შენი გულის ნაღველი.

## XII

იერემიამ ძალიან ისარგებლა პალიდასა და ღებოვის შემდურებით. პოლკოვნიკი თუმცა უწყრებოდა ქალს, რომ იგი არ დათანხმდა, კოკობი ვარდი გაეფურჩქვნინებინა, მაგრამ იერემიას სამსახურში დაწინაურებით მაინც უნდოდა პალიდასთვის ეგრძნობებინა, რომ იგი უწინდულათ მისი სიამოვნების მორჩილი ყმა იყო და უარს ვერ გაბედავდა ოქროს უღლის დადგმაზე.

ღებოვმა მოსთხოვა იერემიას უწინდელი სამსახურის საბუთები. გამოჩნდა, რომ ერთხელ კიდეც წარედგინათ აფიცრობაზე, ციხის-ძირთან რომ უკანასკნელი ბრძოლა იყო, და თუ არ მოუვიდა ჩინი, ალბათ იმისთვის რომ არც სხვებს მოსვლიათ, ვინც კი იმ უხერხო იერიშში ე'რია. ამ გარემოებით ისარგებლა ღებოვმა და ოთხი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაი იერემია ცხენოსან ჯარში ჩარიცხეს, ხელ მეორედ წარადგინა იგი ჩინზე. ეს ამბავი ღებოვმა გაუგზავნა პალიდას თვით იერემიას ხელით, რომელსაც ოქროთ მოვარაყებული კანვერტიანი წერილი ჰქონდა გამოტანებული. ქალს მეტად გაეხარდა ღებოვისაგან წერილის მიღება. ერთი, რომ მისი ნათესავი იერემია მალე დაწინაურდა სამსახურში მისივე მეოხებით, მეორე რომ ამ საბუთით აშკარად დარწმუნდა ღებოვის გულშეუცვლელობაზე.

— პალიდა, შენით დამემართა ეს, რაც ჩემს თავზე ბედნიერების დღეა მოწევნილი. შენ რომ არა, მე ან სამსახურში ვინ მიმიღებდა, ან ასე მალე როგორ წარმადგენდენ ჩინზე—

სალი გულით ეუბნებდა იერემია. რომ იცოდე, პოლკოვნიკს რანაირად მიაჩნიხარ? სულ შენი სახელი ადგას ენაზე. დღეში ოთხჯერ, ხუთჯერ მაინც მიმიხმობს საუზმეზე, ან ყავაზე, ან ჩაიზე, როცა მარტოდ-მარტოა და თუ ჩვენ ორის მეტი არავინა ვართ მის კაბინეთში. აი, მაშინ გამომკითხავს ხოლმე შენის ყმაწვილობის ამბავს, თუ რანაირად მიტარებიხარ წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელში, ან როგორი ხასიათის იყავი ბავშობაზე, ან შენი ცხონებული დედ მამები როგორ ცხოვრობდენ და სხვ. სწორედ დავრწმუნდი, რომ შენ მისი ღმერთა შექნილხარ და უნდა კიდეც წინადადება მოგცეს ცოლად შერთვაზე.

— უიმე, რას ლაპარაკობ იერემია?... ეგ მეორედ არ გაამხილო, თორემ დაგემდურები. რომ ვინმე გაგიგონოს, თავი მომეჭრება. სად — მე და სად — ის?... ერთი უცხო ქვეყნელი კაცია, დიდი კაცის შვილი! მე როგორ შემირთავს?...

— პალიდა, მაგის დარდი ნუ გაქვს. ოღონდ შენ უარს ნუ იტყვი. მე იმას შენ წინაშე სულ დამუხლისთავებულს მოვიყვან. ეგ რომ მოხდეს, მართლაც ჩ.ენი ქვეყნის დედოფალი შენ იქნები. რამდენს შენიანს შეეწევი?... მაგას დიდი ნათესაობა ჰყავს, დიდი გვარი აქვს, რასაც ინატრებ, ის იქნება შენს სამშობლო ქვეყანაში. ხომ იცი, პალიდა, დღეს რომ ცხვირი წაუშვიათ და ჩვენთან გაცნობასაც არ კადრულობენ, შენ რომ ლებოვის მეუღლე გახდე, მერე ბუზებსავით შემოგედებიან. ყველა შენი მორჩილი და პატივისმცემელი იქნება, ყველა ბატონათ გაგხდის და თავზე დაგისვამს.

— სსუ, იერემია, სული ნუ შემიწუხე!... დამანებე მაგეების ლაპარაკს თავი, — მოუთმენლათ შესძახა პალიდამ.

— ვაიმე, ვაიმე!... პალიდა არ დამღუპო. ბედი არ დაკარგო.

— ავათ ხომ არ არის? — სიტყვა ბანზე აუგდო ქალმა. — ეს რამდენიმე დღეა არ მინახავს.

— Დიახ. რაღაც ფეხები ტკიოდა, წინეთ გაცივებულიყო. მაგრამ ახლა კარგათ არის.

— Ასე მითხრეს, ქარებით არის შეპყრობილიო, მართალია?...

— Ტყუილი მოუხსენებიათ. მტერობაა ყველაფერი. ნიშნავენ, რომ შენ იმას მოსწონხარ და არ ჰსურთ შენი ბედნიერება. Იმას რომ ვერა მოუხერხეს რა, ვერ ამოარეცხვინეს გულიდან შენი სახელი, ახლა სხვა ღონე მოიხმარეს: შენ გასმენენ, გეუბნებიან, ქარები სჭირსო; ნურავის ნუ დაუჯერებ, შალიდა. Მტრებს უნდა რაიმენაირად დაგაშორონ იმ კაცს და გული აგაყრევინონ. Განა ცოტანი არიან ტფილისში, მაგის წაყოლა უნდათ და შემთხვევას სანთლით ეძებენ?... Ეს ბედია Ღვთისგან მოვლენილი შენზე, ჩემო შალიდა. Ღმერთი არ გაიწყრომო, არ გაუშვა ხელიდან, თვარა მერე ბევრს ინანებ.

— Რა ვუყო? პასუხი უნდა მივსწერო, რომ შენი ჩინზე წარდგენა მიმახარობლა და თავში არა მომდის რა.

— Მაგას რა ბევრი უნდა. Რაც მოკლეთ და უბრალოთ გამოთქვამ შენი გულის პასუხს ის ემჯობინება. Მადლობა მისწერე შენს ნათესავზე ზრუნვისათვის და ბოლოს ასე ჩაურთე: რატომ დაგვივიწყეთ თქო. Მეტი იმას არა უნდა რა. Სულ კოცნით აავსებს შენს ხელ-ნაწერს და მაშინვე დაგიხშირებს ნახვას. Თუ იშვიათად დადის, შენი ბრალია, გულმხურვალეთ ვერ ეპყრობი, გრძნობას ვერ ულვიძებ.

— Კარგი, გაჩუმდი. Ბევრის ლაპარაკის ნებას ნუ აძლევ თავს. — უთხრა წყრომით და შევიდა თავის ოთახში.

«Ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ შალიდა ლებოვს ცოლად არ წაყოლოდეს. Თავს დავსდებ და ამას მოვახდენ. Აქ არის ჩემი ბედნიერება. Თუ ეს ასრულდა, მე აღარა მიჭირს რა. Ჩემს ბედს მაშინ ძაღლი არ დაჰყეფს. Ქუთაისში საქმე შეუდგენიათ. Ზამომძიებელი ძალიან ჩაჭინებულია თურმე, უთქვამს ბახვას

ცოლის მკვლელობის საქმე უნდა ავხსნაო. ოღონთ კი ეს ამბავი კარგათ გათავდეს, პალიდა ლებოვის მეუღლე გახდეს და მერე მე ვიცი. ჩემს მაგიერათ, იქნება თვითონ გამომძიებელიც დაბძანდეს სამსჯავრო სკამზე. სამართალი ჩემს ხელში არ იქნება?... როცა პალიდი თავის საკუთარს ოჯახში დაბინავდება და ლებოვის სახლი კარგალებული იქნება მთელის დიდ-კაცობისათვის, მაშინ უნდა მიყურონ, რას მოვახდენ.— ფიქრობდა გულში იერემია. იერემიას საქმე ამ ბოლოს დროს დიდ წარმატებაში შევიდა და ამ წარმატებამ თან-და თან გაანელა მისი შინაგანი სულის კვეთება და შიში, რომელიც იმ პირველს ხანებში მის გამოხატულებას თავს ზარს სცემდა. იმან ახლა სხვა გვარი ზნეობითი ლონე მოიცა. ბევრი რამ ახალი შეიტყო ტფილისის დიდ-კაცობის ცხოვრებიდან. ზოგს ცოლის მკვლელობა ბრალდებოდა, ზოგს ყალბი ფულების მოჭრა, ზოგს ყალბი ანდერძით აურაცხელი ქონების მითვისება, ზოგს საიდუმლო მკვლელობა, რომლის გამო უბრალო კაცები დაუსჯიათ, თვით მკვლელებს კი საპატიო ადგილები ეჭირათ დღესაც საზოგადოებაში. ამისთანა ამბებმა დიდი შეღავათი მისცა მის შეშინებულს წარმოდგენას. ის განვითარდა ტფილისის საზოგადოებაში, სავაჭრო კლუბის წევრად გახდა, შეიქნა მოწონებული სასიძო. ბევრი მზითვიანი ვაჭრის ქალები სურვილით უყურებდენ მის თვალტანადობას და ჯავარიანობას; იმათ გაეგონათ, რომ იგი ჩინზე იყო წარდგენილი და ისე ეჭირათ თავი, რომ ერთმანეთს ქიშპობდენ, ემუშტრებოდენ. ერთი კარგი მზითვიანი სოვდაგრის ქალი მაინც ძალიან დაუახლოვდა. იერემიამ გაიცნო მისი ოჯახობა და ხშირად დაიარებოდა. კლუბში როცა თამაშობა და ტანცაობა გაიმართებოდა, ეს ქალი და იერემია სულ ერთად იყვენ, ხუმრობდენ, მასხრობდენ და ერთმანეთზე ეჭირათ მუდამ თვალი. პაქმა იცოდა, რომ ქალს ოც დაათი ათასი მანეთი მზითევი ნაღდი ჰქონდა და მხოლოდ აფიც-

რობას უცდიდა, რომ ის ქალი დაენიშნა. თითქმის სიტყვაც ჰქონდათ ერთმანეთისთვის მიცემული. ამ გარემოებამ სრულე-ბით გააქრო იერემიას თვალში მრისხანე სახე ესმასი, რომლის აჩრდილი უწინ წამის-წამს თავს დასტრიალებდა და მის დატან-ჯულს სულს მოსვენებას არ აძლევდა. რაკი ახალ ცხოვრება-ში ფეხი შედგა და მიზნათ კეთილ მდგომარეობის მოპოვება აღირჩია, თუღა რამ მანამდის მის გულში სინანულის კვალი დარჩენილიყო წარსულს ბოროტ მოქმედებაზე, ესე ყოველივე გაჰქრა და მის გულის ფიცრიდან ამოიფხვრა. რაზედაც უწინ ალლოს იღებდა, და იგი შინაგან სულის ტანჯვის მიზეზად გამხდარ იყო, ახლა ის გონების დარჯაკში გაავლო და დარ-წმუნდა, რომ ქვეყანაზე არც სამართალია, არც ცოდვა, არც მადლი. «ყოველიფერი სარგებლობას ექვემდებარება! ამბობდა იერემია თავისთვის. ოღონდ ძალი მოიპოვე, ან ფულისა, ან მთავრობის გამნავლობისა და მაშინ რაც უნდა მოიქმედო, შენს ნამოქმედარს უსამართლობის კვალი არ დააჩნდება. თურმე ცოდვა და მადლი დაჩაგრულებისა, ღარიბებისა და უღონო-ებისათვის ყოფილა მოგონილი, იმ განზრახვით, რომ ისინი ამა სოფლის ძლიერმა, მდიდარმა და გავლენის მქონე კაცებმა კიდევ უფრო ხელში ჩაიგდონ და თავის კეთილმდგომარეობის მსხვერპლათ გახადონ. აი, ბორბალა აიღეთ. ნახეთ, როგორ ეპყრობა იგი ბუზს, როცა თავის ქსელში გააბამს და შემდეგ გულსიამით წვენს გამოსწუწნის. სულ ასე მოქმედებს ძლიე-რების მქონი კაცი უძლურ, დაჩაგრულ არსებასთან».

ვალიდას გამოსვლამ გააწყვეტინა იერემიას ამნაირი ფიქ-რები, ქალს ხელში ეჭირა პაწია კონვერტი, რომელზედაც მო-ხატული იყო ერთნაირი ყვავილების თაიგული, ზედ მტრედი იჯდა და ნისკარტში ბარათი ეჭირა. ვალიდამ გამოთხოვებისას განზრახ დაატანა ეს სიტყვები: «იერემია, თუ გწამდე ჩემზე ლებოვს არა ელაპარაკო რა». მაატანა წიგნი და გაისტუმრა.

# XIII

თებერვალი იყო. ქუთაისში თოვლის შოლი იყო გამსკდარი და ქუჩებზე ღრმა წუმპე მიდიოდა. ცივი ქარი ხელებს ჰყინავდა, გამომძიებელი ეტლით მიეჩქარებოდა რკინის გზის სადგურისკენ. ის მიდიოდა სამტრედიას. იქ ოპრპირის მახლობლათ ყაჩაღები ერთ მოსახლეს დასცემოდენ და ოჯახის პატრონი მოეკლათ. რიონის რკინის გზის სადგურიდან ის გადვიდა მეორე მატარებელში, სადაც მან ამოირჩია ერთი უკანა მესამე კლასის ვაგონი, რომელიც თითქმის სულ ცარიელი იყო. დაიგო ნაბადი გძელ სკამზე, თავით ყურბალიში მიიდვა, წამოწვა, ზევიდან პლედი მიიხურა და უნდოდა სამტრედიამდის გამოეძინა. იმას მართლა ეგონა, რომ ვაგონში მის მეტი არავინ იყო, რადგან მატარებლის დაძვრამდის არც არავინ შემოსულა და არც გასულა. დახუჭა თვალები, მაგრამ მომავალ გამოძიების ფიქრებმა ძილი არ მოგვარეს. მატარებელი უკვე მიჰქროდა ქვემოთკენ. ცოტას ხანს შემდეგ ვაგონში შემოვიდა კონდუქტორი, რომელსაც ღამის ფანარი ხელში ეჭირა, მიიხედ-მოიხედა, გადაავლო თვალი ყველა სკამებს და კუნჭულში ერთი ნაბადმოსხმული კაცი დაინახა, რომელიც საიჭვოდ არ იმჩნევდა თავს.

— ბილეთი შენი?—ჰკითხა კონდუქტორმა.

მგზავრმა გამოჰყო თავი ნაბდიდან, ბაშლაყი გადიწია და უთხრა:

— გამარჯობა შენი, ნიკო.

— ოჰ, საბას გაუმარჯოს!—მიესალმა კონდუქტორი,—მეც არ გამიკვირდა! აბა, შენ თავის დღეში ბილეთი არ გქონია, ახლა საიდგან მოიტანდი.—ღიმილით უთხრა კონდუქტორმა.

— ძმობამ, შენ რომ არ მყავდე ამ რკინის გზაზე ცუდათ იქნება ჩემი საქმე.

— თუ მაგისთანებშიაც მეზობელს ხელი არ გაუმართეთ, რაღა კაცები ვიქნებით?

ამ სიტყვებით კონდუქტორმა ჩაიარა და დაათვალიერა წინა სკამები. იქ იმან შენიშნა ერთს მწოლარე ჩინოვნიკს, რომელსაც თვალები დახუჭული ჰქონდა. კონდუქტორმა იფიქრა, სძინავსო და რადგან ქართველი კაცის სახე ჰქონდა, მოერიდა, აღარ გააღვიძა, ისევ უკან მოტრიალდა, დაჯდა საბასთან და ჰკითხა:

— თუ იცი ის ჩინოვნიკი ვინ არის, იმ სკამზე რომ სძინავს?

— არ ვიცი, ძმობამ. ის შემოვიდა და მაშინვე დაწვა, ალბათ დაღალულია ვინმე. არც კი შეუნიშნავარ.

— სად ყოფილხარ? ..

— სად ვიქნებოდი? ქუთაისში ვიყავი, ეს სამი დღეა იქა ვარ, საქონლის, სასმელების და სასაჭმოს ყიდვა მინდოდა. დუქანი დამიცალიერდა.

— იყიდე რამე?..

— ვიყიდე, მაგრამ მამასისხლათ ყოველიფერი. დიდ მარხვა დგება. ქუთაისიც ამ დროს გამოხინკლულია.

— შენ უფრო ნამდვილათ გეცოდინება. რა ამბავი მომხდარა ღარპირის მახლობლათ ს. საჭ—ს? მართლა მოუკლავთ ყაჩაღებს კაცი და გაუქურდავთ?

— მოუკლავთ — უთხრა საბამ. იმ დღეს წაველი მე ქუთაისს. ეს ამბავი წინაღამეს მომხდარიყო. ამბობენ თუთხმეტი თუმნის მეტი ვერ უნახავთო ოჯახში. საწყალი თურმე საშინლათ დაუსახიჩრებიათ იმ ურჯულოებს. ოც-და-ათზე მეტი ჭრილობა აქვსო ტანზე.

ეს ამბავი რომ გამომძიებელმა გაიგონა, ყური დაუგდო, იქნება ისეთი რამ გარემოება თქვანო, რომ საქმის ასახსნელათ გამომადგესო.

— ეჰ, ძმაო, ცუდვიან დროში ვცხოვრობთ — დაატანა საბამ. თუ კაცის კვლაზე, ქურდობაზე და მოტაცებაზე გაიგო-

ნებ რასმე ჩვენში, თორემ სხვა ახალი ამბავი აღარა არის რა. ვინ იცის, იქნება ჩემს ქუთაისს ყოფნაში ჩემი დუქანიც აიკლეს. ღამე აღარ მძინავს შიშისაგან, ნამეტნათ შარშან რომ უბე-დურობა მოხდა აბაშის სტანციის მახლობლათ, საწყალი ბახვა ფულავას ცოლი რომ მოკლეს, მას აქეთია მოსვენებული აღარ ვარ.

— როგორ? — ჰკითხა ცნობის მოყვარებით ნიკომ.

— როგორ და ის სულიერები იმ დღეს ჩემ დუქანში იყვენ მთელი დღე და საღამოს გაილალენ, აბაშისკენ წავიდენ. მეორე დღეს გავარდა ხმა რომ იერემიამ და ბივიმ მოკლესო.

— მაშინვე მივხვდი სწორეთ ისინი იქნებოდენ — მეთქი. აქ რომ იყვენ ჩემ დუქანში, კარი შეიკეტეს და იმ დღეს არ გამოჩენილან. ქაცებს ერიდებოდენ, არავინ დაგვინახოსო. მე რა ვიცოდი. საღამოს როგორც ტფილისიდან მატარებელმა ჩამოიარა, მაშინვე გამოშვენ ჩემი დუქნიდან და ისევ ფოთისკენ წავიდენ. ეჭვი კი ავიღე, რომ იმათ კარგი საქმე არ უნდოდათ. ამიტომ რომ დილის მატარებლით მოვიდენ აქ და საღამოს მატარებლით ისევ უკან წავიდენ. აქ ჩემს დუქანში ძილის მეტი არა გაუკეთებიათ რა. თუ ისინი კარგი კაცები იყვენ, ან რათ მოვიდენ ფოთიდან, ან ისევ იქითკენ რათ წავიდენ? ალბათ ის ბოროტება ედვათ გულში და ვითამ კვალი დაკარგეს. ხმა დაეგდოთ აბაშის სტანციაზე, რომ ქალაქს მივდივართო.

— მეც აგრე მითხრეს, რომ იმ დღეს იერემია ტფილისს მინავალა. ახლაც იქ არის. ძალიან მიღებული კაცია სამხედრო სამსახურში, დღეს თუ ხვალ აფიცრობა მოუვა.

— ასეა ჩემო ძმაო. ახლანდელს დროში ბოროტი კაცე-ბის არის ცხოვრება. მე რომ იერემიას ამბები ვიცი, ის აქ უნდა იყოს? იმის ალაგი ციმბირია.

— ცოდვა კი არის, ძმაო, იმისთანა კაცის გაფუჭება — თქვა ნიკომ. — მე იმისთანა თვალტანადი კაცი და მარჯვე არ

მინახავს. ღმერთმა მოგცეს საამხანაგოთ. ფოთში ვიცნობდი, ბევრჯერ დაუპატიჟებივარ სმაში.

— მაგისთანა კაცები, ჩემო ძმაო—განაგრძო საბამ სულ სხვისი ჯიბით გამოდიან. რა ეხარჯებათ ქეიფის მეტი, რატომ არ დაპატიჟებენ?... მაგნაირათ მეც დავპატიჟებ ყველას, თუ გავცარცვავ და წავგლეჯ ვისმე. ღმერთმა იმათგანმა შემომითვალა ეს სამი თვეა მას აქეთ, გაჩუმდი ჩვენზე ხმებს ნუ ავრცელებ, თორემ დუქნიანა გადაგწვავო.

— ვინ არის, თუ ღმერთი გწამს მითხარი, ვინ შემოგითვალა.— ჩაჰკითხა ნიკომ.

— ვინ არის და ბივი. იმან ჩემი ამბავი არ იცის. ნუ გავიმეტებ, თორემ სანამდის ჩემს დუქანს დასწვავდეს ხუთჯერ დავაჭერინებ პროკურორს. ის კი არ იცის, რომ მე ისიც შეტყობილი მაქვს, იმ ერთ თვეს როცა ის ზურგში დაჭრილი იყო, სად იმალებოდა, სად ირჩენდა თავს. რომ გამომძიებელს ტანს გავახდევინებ და ჭრილობის ნიშანს გადმოვაშლევინებ, აბა მაშინ გაითავისუფლოს იმან თავი.

ამ ლაპარაკზე გამომძიებელმა კიდევ უფრო გამოცქვიტა ყურები. წამოიწია ნელა და სკამის ხარიხას დაადვა თავი, რომ არა გამოპარვოდა რა მათი ნალაპარაკევი. ვაგონში ბნელოდა; გამომძიებელი მოსაუბრეებს კარგათ ხედავდა და ისინი გამომძიებელს კი ვერა, რადგან წინ ფარანი ედგათ, რომელსაც შავი ჩრდილი ჰქონდა იქით მხარეზე მიფენილი.

— ღმერთმანი ახია მაგისთანა კაცები დაისაჯოს—სთქვა ნიკომ.

ამ დროს მატარებელმა დაისტვინა. ნიკო ადგა და წავიდა გამომძიებლისაკენ, რომელიც ამ დროს უცებ გასწორდა.

— თქვენი ბილეთი სადამდის არის—ჰკითხა კონდუქტორმა.

— მე სამტრედიას მივდივარ — უპასუხა გამომძიებელმა — და გაუწვდინა ბილეთი ჩასაკვეცათ.

ამ დროს მატარებელი გაჩერდა ქოპიტნარის რკინის გზის სადგურთან.

ცოტა ხანს იქით მატარებელი ისევ დაიძრა. კონდუქტორმა ნიკომ ისევ ჩამოიარა ვაგონები და იძახოდა სამტრედიის მიმავალთა ბილეთები გვიბოძეთო. იგი შემოვიდა ისევ იმ ვაგონში, საცა გამომძიებელი იყო და მოსთხოვა ბილეთი გამოსართმევათ.

— კონდუქტორო, — მიიქცა მასთან გამომძიებელი, — ის კაცი ვინ იყო, თქვენ რომ გელაპარაკებოდათ წელან, აი, იმ კუნჭულში.

— ის გახლდა საბაია ბაპარიაშვილი. ის გახლავს სამტრედიის მედუქნე. ხშირად დავდივართ იმის დუქანში. ძალიან კარგი მოვაჭრე კაცია. ჩვენ კონდუქტორებისაგანაც კარგი შემოსავალი აქვს.

— თქვენ რა გვარი ბრძანდებით?

— მე გახლავარ ნიკო ბაინდურაძე.

— თქვენ რომელ მატარებელს დაყვებით ხოლმე.

— მე ამ მატარებელზე გახლავარ. ეს არის პირველი ნომერი.

— კარგი დაგემართოს. უკაცრავათ კითხვით შეგაწუხეთ, მაგრამ თქვენი გაცნობა მინდოდა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით — ჰკითხა სამაგიეროთ ნიკომ გამომძიებელს.

— მე სუდში ვმსახურობ სეკრეტრის თანაშემწეთ. აქ ქუთაისს მივდივარ ნათესავებში.

— კარგი და პატიოსანი. კმაყოფილებით დაატანა ნიკომ და ჩაიარა — გულმხიარულათ მითი, რომ ფიქრობდა, ერთი კარგი ნაცნობი მაინც ვიშოვნეო.

გამომძიებელმა ყოველივე დაწვრილებით ჩაინიშნა განაგონი და სიხარულისაგან აღარ იყო, რომ ამისთანა ძვირფას კვალს

წაატყდა ბახვა ფულავას მკვლელობის საქმისას. როგორც კი სამტრედიას რკინის გზის სადგურს მიადგა მატარებელი, გამომძიებელმა უცებ ბარგი გადაალებინა მოსამსახურეს და გადახტა მატარებლიდან. ის გრძნობდა, რომ ამ დაფარულ მკვლელობას მშვენივრად გამოიძიებდა, ყოველსავე დაწვრილებით ახსნიდა და ესეც იცოდა, რომ ეს შესანიშნავი საქმე იმას თვალსაჩინო ნაბიჯს წაადგმევინებდა წინ. რა შესანიშნავს alibi'სა მოვსტეხ კბილსო—ტრაბახობდა გულში. თუ კაცი ვარ პალატის თავსმჯდომარემდი მიაღწევს ეს ჩემი შესანიშნავი გამოძიების საქმეო. ამისთანა ბრწყინვალე ფიქრებით გარემოცული მესამეს დღეს ქუთაისისაკენვე მიჰქროდა რკინის გზით ახალგაზდა გამომძიებელი.

## XIV

ცოლის დასაფლავების შემდეგ ბახვას სიდედრს ბევრი აღარ უცოცხლია. ის გადიტანა მისი შვილის უბედურებამ. ამ ხანებში ბახვაც ჭრილობისაგან ლოგინზე ეგდო. იმას ბევრი ფული დაეხარჯა თუ ცოლისა და სიდედრის დამარხვაზე, თუ გამოძიებებში. როცა ფეხზე წამოდგა და დაუწყო დევნა სამართლის წესით თავის ცოლის მკვლელებს, მისი საქმეები სულ უკუღმა დატრიალდენ, ვისზედაც ბევრი ჰქონდა გაცემული ან კუნძების სავაჭროთ, ან სიმინდების საყიდლათ, რაკი შეიტყვეს, რომ ბახვას უბედურება ეწვია, ყველამ უმტყუნა. ამ გარემოების გამო ბახვას ათას თუმანზე მეტი დაეკარგა. ვისთანაც თამასუქებით გასესხებული ჰქონდა, აღარც ისინი აძლევდენ უსაჩივროდ. მეტი რა ღონე ჰქონდა, ფული რა კი ჰსჭიროდა, ვისმესგან უნდა ესესხნა. აი, ამის გამო ის მიიქცა თავის ბიძაშვილთან ნესტორასთან, რომელიც კუნძებისა და სიმინდის ვაჭრობაში მონაწილეთ ჰყავდა შეყვანილი. როგორც მოხსენებული იყო, იმას მიანდო თავის ახალ შეძენილი სახლ

კარი და ზეებით დარიგებულს ფულში რაც თავის ბიძაშვილის წილი იყო, ისიც თავისთავზედ მიიღო ვალად, ნაღდათაც ორასი თუმანი გამოართვა, სამასი თუმანი იმის წილში დაკარგული ზედ შესვა და ხუთასი თუმნის ვექსილი ვადით დაწერილი მისცა ხელში ნესტორას. როცა ვადა მოვიდა, ბიძაშვილმა რასაკვირველია თავის ფული სთხოვა; რადგან იმ დროს ბახვას ფული ხელში არ ჰქონდა, ვექსილი გამოუცვალა და ხუთასი თუმნის მაგიერათ რვაასი თუმნის ვექსილი დაუმტკიცა ნოტარიუსში, ამ ანგარიშით ნესტორას მოუდიოდა მანეთზე ექვსი შაური სარგებელი. ბახვამ, რასაკვირველია, იწყინა ეს ამბავი. ჩემმა გაზდილმა ბიძაშვილმა რო აღარ გამიტანა, სხვა ვინღა გამიტანსო. მაგიერათ თუ კი ვინმე ჩაუვარდებოდა ხელში განკითხვა აღარ იყო. ამასთანავე ის თან-და-თან მიეჩვია ღვინის სმას, თითქმის დღე ნიადაგ მთვრალობდა, როცა კი მისი ვექილი, ვისიმე ქონებას აწერდა და ვალს ერთი-ორად და სამად აიღებდა, მაშინ ხომ მის ლოთობას საზღვარი არ ჰქონდა. აი, ამის გამო ბახვა ფულავას დაარქვეს «ლოთი ჩარჩი». ხშირად მომხდარა, რომ იგი სადმე დუქანში მთვრალობისათვის გაელახოსთ, განსაკუთრებით მის მიერ ტყავგაძრობილს მევალეებსა, მაგრამ არც ის აკლებდა ხელს ცემა-ტყეპაში. ამის გამო იგი შეიქნა ქვეყანაზე ამოთვალწუნებული. ყველანი მასზედ აშვერდენ ხელს, ყველა ცდილობდა, რომ ის რამე საეჭვო საქმეში გაეხვიათ. მაგრამ ვექილი ჩაფხუტაძე ჯერ-ჯერობით არავის ანებებდა ბახვას თავს. რაც დრო გადიოდა თან-და-თან უფრო ერეოდა მას მესისხლეობის ბრაზი იერემიაზე. მისი საქმე ისე მიყრუვდა, რომ დარწმუნებული იყო, დღეს თუ ხვალ, უეჭველად მოსპობენო. ამის გამო იმან თან-და-თან შეიძულა გამგეობა, სამართალი, თვით საზოგადოება, რომელიც მას ეჩვენებოდა მგლების ხროვათ. ყველაზე ეჭვი ჰქონდა აღებული, თითქოს ყველას მის სამტროდ მოეცალა. ამგვარმა გარემოებამ

კიდევ უფრო აღძრა ბახვას გულში კაცების სიძულილი. ამიერიდგან იმან ამოირეცხა გული ადამიანზე. მასში აღარც სიყვარულის ნატამალი მოიძევებოდა, აღარც სიბრალული, აღარც ცოდვა და აღარც მადლი. ის გულგამეხებული დაუტრიალდა ქვეყანას. ვისზედაც ხელი მიუწვდებოდა, მრუდსა და მართალს ყველას ტყავს აძრობდა «ლოთი ჩარჩის» სახელით.

ასეთი საქციელი ბახვასი მის ბიძაშვილს ნესტორას სრულიად არ მოსწონდა; მაგრამ რა უნდა ექნა?... გაბრაზებულს კაცს წინ ვერ გადაეღობებოდა. ის შორიდან ადევნებდა თვალყურს თავის ბიძაშვილის საქმეებს და ბოლოს დარწმუნდა, რომ მისი გამზრდელი ბახვა ცოცხლებში აღარ ერია. ნესტორამ კარგათ იცოდა, რომ იგი აჰყვა ერთს სოფლის ვექილს, რომელიც ბახვას სახელით ბევრს ცუდს საქმეებს სჩადიოდა; ნესტორამ იფიქრა, არ შეიძლება რომ დღეს თუ ხვალ ჩემი ბიძაშვილი რაიმე სისხლის სამართლის საქმეში არ გაერიოსო და დარწმუნებული იყო, რომ მას დაჰღუპავდენ. ამის გამო ისიც აღარ მოერიდა. სხვის წაღებას, ჩემის ბიძაშვილის სახლ-კარს და ადგილ-მამულს მევე დავეპატრონო, უმჯობესი იქნებაო. იმან მისი ვექსილის შესახებ თავდარიგი დაიჭირა. რვაასი თუმნის თამასუქს როგორც ვადა გაუვიდა, მაშინვე უჩივლა; აღმასრულებელის განჩინების ძალით აწერა ეს მამული, დაანიშვნინა საჯარო ვაჭრობა და საბოლოვოთ დაირჩინა. ამგვარმა უსინდისობამ თავისიანისამ, თავის გაზდილისა და მისმიერ გამდიდრებულისამ გულისწყრომის სისხლი მოჰგვარა ყელში. ამის გამოჯავრებული ბახვა კიდევ უფრო გამძვინდა თავის მევალეებზე. შეუძლებელი იყო არამც თუ ვალი, ჯარიმებიდანაც ერთი კაპეიკი ეპატიებინა ვისმესთვის. ამას გარდა ვისაც მისი ფულის გადახდის ვადა მოუვიდოდა და შეატყობდა, რომ მოვალე თავის დროზე მზათ იყო თავის ფული მიეცა, ის იმალებოდა იმ განზრახვით, რომ ფულის შეტანის ვადა გადაცილე-

ბულიყო და ჯარიმის წერილით ორმაგი ტყავი გაერთმია. რამდენჯერმე კიდეც მოახდინა ამისთანა სამარცხვინო საქმე. მაგრამ ბოლოს ერთმა მევალემ დაუგო მახე. ფულის გადახდის ვადა რომ მოვიდა, ბახვა ჩვეულებრივათ დაიმალა. მევალემ ფული წარუდგინა ნოტარიუსს და კვიტანცია აიღო. ნოტარიუსმა უწყებით დაიბარა ბახვა და ფული ჩააბარა, სამაგიეროთ მევალის ვექსილების და ჯარიმის ფურცლის უკან დაბრუნება მოსთხოვა. ბახვამ, — წუნკალა ჩაფხუტაძის რჩევით, განუცხადა ნოტარიუსს, რომ ქაღალდები თან არა მაქვსო. ბევრი ვეძებე და ვერც ვნახეო. მაგრამ წერილობითი ვალდებულება მისცა ნოტარიუსს, რომ ამა-და-ამ ნომრით შედგენილი ამა-და-ამ კაცზე ვექსილი და ჯარიმის ქაღალდი გადახდილათ მიცვნია და წარმოვადგინო სამის დღის განმავლობაშიო. ამასთანავე ნოტარიუსმა დაატოვებინა ხელწერილი, რომ მან მიიღო სრული კმაყოფილებაო. წუნკალა ვექილი იქ იყო და გულში ჩაიცინა, იფიქრა ბახვა აქ ჩაჭერილია, მაგას კარგი აღარა დაემართება, ახლა ჩემი დროა ისე უნდა მოვექალაჩუნო, ისე უნდა მოვექცე და შევაყვარო თავი, რომ მე დამრჩეს მაგის ყოფაცხოვრება, რაც გააჩნიაო. ეს ხომ ვიცი მაგას ჩემს მეტზე გული აღარა აქვს დანდობილი, აღარც არავინ მიაჩნია თავისიანათ. მაშ რა დაუშლის მე გამხადოს მემკვიდრეთ, როცა თვითონვე იგრძნობს, რომ საჩვენოსკენ მოსაბრუნებელი პირი აღარ ექნებაო.

ამგვარათ ჰფიქრობდა წუნკალა ვექილი და არც სტყუოდა.

## XV

ბახვა ფულავას აზრი და გონება მხოლოდ სისხლის ძიებაში იყო გართული. იმას აზრათაც არ მოსდიოდა თუ ნოტარიუსთან დაგდებული ხელწერილი ფულის მიღებაზე რას შეამთხვევდა. მას ჰქონდა ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად წარმოდგე-

ნილი, საცა კაცი კაცს სჭამდა და ვინც მოერეოდა, ცხოვრე-ბაც იმისი იყო. რადგან ის თავის თავს სხვის მსხვერპლად და ლუკმათ ჰხდიდა, ამისთვის იგიც კანონიერად სთვლიდა ყოვე-ლი მისი მოვალე თავის ლუკმათ გაეხადნა და ტყავი გაეძრო. ის დღენიადაგ რწმუნდებოდა, რომ სამართალი ფუჭი ხმა იყო ქვეყნათ დაგდებული. ვინც მისის უმანკოს ცოლის მკვლელად ითვლებოდა, მას კაცი ხმას არ სცემდა; თვითონ კი, რომელ-საც ნათესავებისადმი, მეზობლებისადმი ბევრი ამაგი მიუძღოდა, დღეს ფესვ გამხმარი შექმნილიყო, მის შეძენილს ქონებაზე და ადგილ-მამულზე დღეს სხვას გაეშალა ნადიმი და ზედ სტკბე-ბოდა. თვითონ მას კი ყველა დასცინოდა, ემტერებოდა და თავპირში სცემდა. თუ ასეა, მაშ მეც უნდა გავვარდე ყაჩაღათ და მედგრად, მეც უნდა ვკლა, ვკბინო და ვაწვალო ყველანი. ის აშკარად ხედავდა, რომ მისი მიწასთან გამსწორებელი ეტლით დაბძანდებოდა და ჯერ არ გამოჩენილიყო უმაღლესი ძალა, რომ იგი სამართალში მიეცა ბოროტ-მოქმედებისათვის. მაშ ღმერთმა ისე ნუ მომკლასო — გაივლო გულში ბახვამ, რომ ჩემი ესმას სისხლი მე თვითონ არ ავიღოვო. აი, ამ განზრახვით იმან დაიწყო ფულის გროვება იერემიას მოსაკლავათ. იმან დაიახლოვა ერთი ციმბირიდან გამოქცეული ყაჩაღი, რომელსაც უკვე შეეგროვებინა თავისფერი ამხანაგები და ცარცვა გლეჯით რჩებოდენ. ბახვამ ხშირად დაუწყო ძლევა ფულისა ამ კაცებს. ბოლოს იხელთა დრო და გაუტყდა ციმბირელს იერემიას მოკვლას. იმ კაცმა სიამოვნებით იტვირთა ამ განზრახვის ასრულება იმ პირობით, რომ ბახვას მიეცა მათთვის სამასი თუმანი. იმან წინ-და-წინ დაუთვალა ასი თუმანი და შეჰპირდა, როცა მკვლელობას აასრულებთ, ორას თუმანს შემდეგ გად-მოგცემთო. იმან პირობა დაადებინა ამასთანავე ციმბირელსა, რომ მკვლელობაში მეც გამირიეთო. «თუ მეც იერემიას ჩემი ხანჯალი ფერდში არ ჩავსცი, როგორც მან ჩემს ესმას დასცა,

ჟამისოთ არც ჩემს სულს ელირსება მოსვენებაო — უთხრა მან ციმბირელს». მგვარი მოლაპარაკება მოხდა ერთს დუქანში, საცა მათ ნაშუაღამევის სამს საათზე ჰქონოდათ ღვინის სმა. მეორეს დღეს ციმბირელმა წაიყვანა სამი ამხანაგი და გაუდგა ტფილის ქალაქისაკენ. იმან დაუდვა ბახვას პირობა, რომ როცა საქმეს მოვრთავთ, ერთის კვირის წინათ შეგატყობინებთო. მაშინვე თვით ბახვაც უნდა წასულიყო ტფილისს და მიეღო მკვლელობაში მონაწილეობა. ამის მესამეს დღეს ბახვამ გადასცა ვექსილი და ჯარიმის ფურცელი წუნკალას საჩივრის დასაწყებათ. ეს ის დოკუმენტები იყო, რომლებზედაც ბახვამ ნოტარიუსს განუცხადა, რომ დამეკარგენო, თუმცა ამ დოკუმენტების სამაგიეროთ ფული უკვე მიღებული ჰქონდა და კვიტანციაც დაევდო ნოტარიუსთან ნიშნათ სრულის კმაყოფილების მიღებისა. ამ სახით ბახვა შულავამ განიზრახა ორჯერ გადახდევინება ფულისა.

ეს იყო ისეთი ამბავი, რომ ბახვა ამ საქმიდან თავს ველარ დაახწევდა. მით უფრო დარწმუნებული იყო წუნკალა ამ საქმეზე, რომ იცოდა მისი მევალე გადარაჯებული იყო ამავე საქმისათვის. რომ კიდევ უფრო მაგრათ მოეჭირათ მუხრუჭი ბახვასთვის, წუნკალამ ვითამ გასაფრთხილებლათ შემდეგი საქმე ურჩია.

— ბახვა, ამ დოკუმენტების ასე წარდგენა სასამართლოში არ შეიძლება. შენ ხომ იცი, რომ ნოტარიუსთან კვიტანცია გაქვს დავდებული, რომელშიაც ამ დოკუმენტების ნომერი და რიცხვებია მოხსენებული. მაშ ასე რომ წარადგინო, მაშინვე დაგიჭერენ. რადგან აღმოჩნდება, რომ შენ ორჯერ გადაგიხდევინებია მევალესთვის ერთი და იგივე თამასუქებით.

— აბა, რა ვქნა?.. მაშ დამეკარგოს ეს იმედი. შენ ყოველიფერს მოახერხებ, წუნკალა, თუ მოინდომე. — უთხრა თითქმის ხვეწნით ბახვამ.

— მოხერხებით როგორ არ მოვახერხებ და მერე შენთვის? შენ რომ მითხრა, თუნდ წყალში გადავვარდები, იმდენი ამაგი და ძმობა მახსოვს შენგან. — უთხრა წუნკალამ.

— ზოგი აწ მიყურე, როცა ჩემ მემკვიდრეთ გაგხდი.

წუნკალას თითქოს არ გაეგონოს ეს სიტყვები, ისე მიაყრუა, მაგრამ სიამოვნებისაგან ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— იცი, ბახვა?... ამ დოკუმენტების რიცხვებსა და ნომრებს გამოვცვლი. მხოლოდ ხომ იცი, არ გაამამხილო არსად. არავისთან წამოგცდეს, მე თუ ეს ვქენი.

— არა, შე უბედურის დღისა, მერე ეგრე მიყურებ?... მე უნდა გაგცე შენ ჩემი ჭირისუფალი, ჩემი ერთად ერთი ნუგეში ამ უბედურს ცხოვრებაში?... მგ როგორ თქვი შე გლახა? ნაკუწ-ნაკუწათ რომ ამქნან, მე შენ გიღალატებ? მერე რაღა ვიქნები, მერე რას მეტყვის საიქიოს ჩემი ძმა?...

— კარგი, კარგი. ძნათ ნუ გადიქეცი. ახლავ შევასწორებ და ისე გავხდი, თითქოს სულ სხვა დოკუმენტები იყონ.

— ოჰ, შენი სულის ჭირიმე, ჩემო წუნკალა — აღტაცებით შემოხვია ხელი ჩაფხუტაძეს და გულში მიიკრა.

— კარგი კაცო, ლამის გამსრისო. — უთხრა წუნკალამ და ძლივს თავი დააღწია.

მევალე გადარაჯებული იყო და როგორც კი უწყება მოუვიდა ბახვას საჩივრისა, მაშინვე დაიმზადა თავის დოკუმენტები. როცა სხდომა დაინიშნა და ბახვამ თვით მოითხოვა ხუთასი მანეთის გადახდევინება, ამასთანავე ერთი იმოდენი ჯარიმის ფურცელის რომ წარადგინა, მაშინ წარსდგა მევალე, წარადგინა კვიტანციები, ნოტარიუსის საბუთი, რომლითაც მტკიცდებოდა, რომ იმ დოკუმენტებით ბახვას ფული უკვე ჰქონდა მიღებული ნოტარიუსის ხელით. მოსამართლეებმა შეამოწმეს ვექსილის რიცხვი, ნომერი და ნოტარიუსის მიერ დამტკიცებულს კვიტანციაში მოხსენებული რაოდენობა ფულისა.

აგრეთვე უწინდელი ვექსილისა და ჯარიმის ნომრები და რიცხვები. გამოდგა, რომ ეს ორი დოკუმენტები სულ სხვა-და-სხვა დროისანი იყვენ და სხვა-და-სხვა ნომრებისა. დაუკვირდენ და აღმოჩნდა, რომ ოდნათ ამონაფხეკი ეტყობოდა ბახვას წარდგენილს დოკუმენტებსა. როცა სინათლეში გახედეს, მაშინ პაღლოღი ცხადათ აღმოჩნდა. მოპასუხემ განაცხადა, რომ ეგ შესწორებულიაო, მოსამართლეებმა შესწყვიტეს სხდომა და გავიდენ მეორე ოთახში. თვით სასამართლოს დარბაზში შეგროვებულიყო მრავალი ხალხი, განსაკუთრებით ბახვას მტერები. სხვანი, რომელთაც «ლოთი ჩარჩის» ამბავი გაეგოთ, მხოლოდ იმისთვის მოსულიყვენ, რომ ნამდვილათ დარწმუნებულიყვენ ბახვას უსინდისობაზე. თვით ბახვა იდგა ლოყებ-აწითლებული და ალმული ადიოდა; მაგრამ ეს არ იყო არც სირცხვილის გრძნობა, არც სინანული. იმას ამაყათ აელო თავი და მთელს საზოგადოებას ზევიდან დასცქეროდა. მას ეტყობოდა სასტიკი სიმძულვარე იმ საზოგადოებისა, რომელიც იქ იყო მოგროვილი. ისეთი მრისხანებით გამოიცქირებოდა ბახვა, თითქოს ყველას შემუსვრა სდომებოდეს.

საზოგადოებაში აქა-იქ ისმოდა ჩურჩული, ზოგი ბახვას უპატიურად იხსენიებდა, ზოგი «ლოთ ჩარჩს» ეძახოდა, ზოგი ემუქრებოდა და იტყოდა: «ძლივს არ დაიჭირეს ეს გაიძვერაო. მოინელა მაგან ქვეყანა, მაგრამ აწ მაგასაც მოუვიდა დრო ციმბირისკენ გაგზავნისაო. ღმერთმა ყოველს მაგისთანა კაცს ნუ მოუშალოს ეს ბედიო, კარგი არ იქნება მაგის ვექილიც რომ აგრე გაებმებოდეს, როგორც ეგ გაებაო. სულ აი, იმის ბრალია ყოველიფერი, ეგერ კუნჭულში რომ მიკრუნჩხებულა და ჩუმჩუმათ იკრიჭება. ბახვა იმდენათ დანაშაული არ არის, როგორც მისი გაიძვერა ვექილიო. ეს გადასწორება ნამდვილათ მაგის ბრალი იქნება, მაგრამ ვინ დაუმტკიცებს?» — ისმოდა ამისთანა მსჯელობა ხალხში.

ამ დროს მოსამართლენი გამოვიდენ. ჩამოვარდა საყოველთაო სიჩუმე. იმათ გამოიტანეს შემდეგი განჩინება:

«რადგან სასამართლო სხდომამ განიხილა ბახვა ფულავას მიერ წარმოდგენილი საბუთები და აღმოჩნდა: 1—ერთი, რომ თვით საბუთები დაწერის შემდეგ ამოფხეკილნი და შესწორებულნი არიან და 2—მეორე, რომ ეს საბუთები როგორც გადახდილნი, უკვე გაუქმებულნი უნდა იყონ, ამისთვის სასამართლო დარწმუნდა, რომ აქ ორნაირი ბოროტ-მოქმედებაა აღმოჩენილი; პადლოგი (ПОДЛОГЪ) და ერთი და იგივე ვალის ორჯერ გადახდევინების წადილი. ამა და ამ კანონების ძალით ბახვა ფულავა მიეცეს პასუხის გებაში და დოკუმენტები გადაეცეს პროკურორს სისხლის სამართლის გამოძიების დასაწყებათ და ბრალდებითი ოქმის შესადგენათ».

მთელი საზოგადოება გამხიარულდა ასეთის განჩინებით. ბევრი ლანძღვა და მუქარა მოხვდა ყურში ბახვა ფულავას; მაგრამ იმას ყურიც არ გაუპარტყუნებია. ასეთმა განჩინებამ კიდევ უფრო გააბრაზა ბახვა მთელს საზოგადოებაზე და მის სამართალზე. იმან ყველას კბილის ღრჭენით მიუგო პასუხი.

გამარჯვებულმა მოვალემ კი ქოქოლა დააყარა თავზე ბახვა ფულავას.

## XVI

რაც უფრო მაგრათ იდგა მალიდა კანონიერს დამოკიდებულებაზე პოლკოვნიკ ლებოვთან, იმდენათ უფრო მოედვა ქინის ალი ამის გულსა, იმდენათ უფრო ძალმომრევი შეიქნა ლებოვის ბუნებაზე მისი ენებიანი სურვილი. მის ბიწიერს წარმოდგენას საზღვარი აღარ ჰქონდა. მალიდას ტანს მშვენიერებისა ღმერთას ვენერისას ადარებდა, ხოლო სილამაზესა და მგრძნობელობას ჰომიროსის მიერ გალექსილს ელენესას მით უფრო აღელდა და აზვავდა ლებოვის ნდომა. რაკი მისი

გამოცდილი მანქანება ახალ აფეთქილის ქალების გასატაცებლათ სულ ამაოდ დარჩა პალიდას შესახებ, შემდეგ სხვა ხერხი იხმარა. დემონმა ანგელოზის ნათელი ფერი შემოსა და პალიდას ისეთის ჭაბუკის გრძნობებით შეპყრობილი დაენახვა, რომ ქალიც ამგვარივე გრძნობით მოიხიბლა. იმას სწამდა პოლკოვნიკის წარსული ყოფაქცევა, რომელიც ასე გარეწარი და გართულებაში მიმდინარეობდა, მაგრამ ძველს გაუზნევებულს არშიყს, უმანკო გრძნობით მოვაქცევო — იფიქრა პალიდამ და აი, ამ ნათელს გამოხატულებაზე ააგო მან თავის ბედნიერების კოშკი. ეს კი დაავიწყდა გატაცებულს ქალს, რომ მისი სიყვარულისა და ბედნიერების კოშკი ქვიშაზე იყო ანაგები და ფეხი მაგარ ნიადაგზედ არ ედგა. ოღონდ კი ლებოვს პალიდას მკერდი საბურთაოდ ჩაეგდო და სულ ერთი იყო მისთვის, გინდ ქორწინების კომედია ეთამაშნა, გინდ დაუქორწინებლათ აღესრულებინა თავის გულის წადილი. შეჭველი იყო, რაკი პალიდას სინორჩის ვარდს გაფურჩქვნიდა, მერე მის ვნებასაც და მასთან ცოლ-ქმრობით ვალდებულებასაც ბოლო მოეღებოდა. პოლკოვნიკის აზრით ღმერთს ქვეყანა მოულეველი გაეჩინა. თუ კაცის ზღვა გული ახალ-ახალ გემოვნებაზედ გაწუწკდა, იმას აღარც გაზაფხულზე გაშლილი კოკორი დაელევა.

ასე იყო თუ ისე, პალიდამ მაინც იმ პირველს ხანებში შეყვარებული პოლკოვნიკი თავის ზნეობის სიმაღლით დაიმორჩილა, მისი უკანონო განზრახულება ალაგმა, მაგრამ ასეთის ხელოვნებით შეკრულს კავშირს იმ თავითვე ეტყობოდა, რომ კარგი ბოლო არ მოელოდა. ამგვარი კატა-თაგვობის თამაში დიდხანს არ გაგრძელებულა.

დარბაისელმა ღენერალმა და მისმა მეუღლემ თავის საცადი მიიღეს, რომ ამ გადუწყვეტელს დამოკიდებულებას პალიდასა და ლებოვს შორის კარგი ბოლო მისცემოდა. იმათ მიჰმართეს დიდებულ ნათესავების შუამდგომლობას, რომელთაც

აიძულეს ლებოვი, რომ ველიდასთვის წინადადება მიეცა ცოლ-ქმრობაზე. ამ სახით პოლკოვნიკმა ნებაყოფლობით დაიდგა კისერზე ოქროს უღელი. მოხდა მალე დიდებული ქორწილი და იქ მთელი უმაღლესი წოდება ტფილის ქალაქისა დაესწრო. სხვათა შორის იერემია წარბაც მეტად შვენოდა ამ ქორწილზე თავის ახალი ეპოლეტებითა. მისმა იმერულმა თამაშობამ განსაკუთრებული სიამოვნება გამოიწვია მთელის საზოგადოებისა. იგი ტაშისკვრით მიეგება მის ცერებზე ტრიალსა და ხანჯლებით თამაშსა.

მეორე დღეს ველიდა და მისი მეუღლე საზღვარს გარეთ გაემგზავრენ.

იერემია ამ ჟამად სოტნის უფროსად იყო დანიშნული და ლებოვისაგან დაბარებული ჰქონდა, რომ ორს თვეს შემდეგ მოვალთო და მაშინდლისთვის რვა თვალიანი სადგომი საუკეთესო ტფილისის ქუჩაზე მოგვიმზადეო. სოტნის კამანდირობას გარდა იერემიას პოლკის კვარტირმეისტრობაც ჩაბარდა და ბაჯაღლო ოქროებში ხელის რევა დაიწყო. ამ ხანებში იერემია ძალიან გაერ-თო ტფილისის საზოგადოებაში. არც მისთანა დახედნილს ცხენზე იჯდა ვინმე, არც მისთანა წამყოლ-წამომყოლი მოიძებნებოდა კავალკადაში. დღისით ვიზიტებს უნდებოდა, ღამით სავაჭრო კლუბში ატარებდა დროს და შეექცეოდა ბანქოს თამაშსა— ვინტს და პრეფერანსსა. ერთს საღამოს, როცა კლუბში ბალი იყო მის მიერ გატაცებულმა სოვდაგრის ქალმა ტანცაობის დროს პატარა არშიყობის ბარათი ჩაუგდო იერემიას ჩოხის უბეში. ამას შემდეგ კიდევ უფრო დაახშირა მან სოვდაგრის ოჯახში სიარული და ისე იქცეოდა, თითქოს სახიძო ყოფილიყოს.

ქალის მამას ძალიან კარგათ შეეტყო იერემიას ვინაობა, ბოლოს ის ხმაც ჩასწვეთებოდა ყურში, რომ მაგას ბახვას ცოლის მკვლელობას აბრალებდენ. მას არაფრათ ეპიტნავე-ბოდა ამგვარი კაცის ოჯახში შემოსვლა და მისი ქალის

ადევნება; მაგრამ ან კი რა ექნა?.. იმ წუთას თვით სოვდაგრის ბედ-იღბალი იერემიას ხელში ჩავარდნილიყო. ქალის მამას იმ პოლკის თივა, ბზე, ქერი და საკლავი იჯარით ჰქონდა აღებული, სადაც იერემია კვარტირმეისტრათ გამხდარიყო. მეტი რა ღონე ჰქონდა, ძალა-უნებურათ მის ყურ-მოჭრილ ყმათ გამხდარიყო. ამის გამო თუმცა იერემიას ყოველს დანახვაზე ვარდი ეშლებოდა სახეზე, მაგრამ მის გულში რომ ჩაგეხედნა, იმავ დროს სულ სხვანაირათ ქოთავდა, წყევა-კრულვის მეტი შიგ არა მოიძევებოდა რა. ამ ხანებში იერემიამ მისი ქალი გაინავარდა ჴავალკადაში, სადაც მათ ტრფიალებას საზღვარი არ ჰქონდა. თვით ქალის დედა აღტაცებული იყო ქალ-ვაჟის დაახლოვებით და სრულებით არ აქცევდა ყურადღებას თავის ქმრის ჩუმს მწუხარებას. იმას ეგონა, რომ სოვდაგარს სიძუნწით და ქართველების სიმძულვარით მოსდიოდა ეს ამბავი. «დიაღ, როგორ არა?—იტყოდა დედა—იქნე ა ჩემს გამოშტერებულს ქმარსა ჰგონია, რომ მე ჩემი ჴატო ვინმე სოვდაგრის შვილს მივცე, ან შტატსკისა. უწინამც თვალი დაუდგება ჩემს უნირო ქმარსა». წინათაც არ იყვნენ ცოლქმარნი კარგს განწყობილებაში და ახლა, როცა იერემია მათს ოჯახში შევიდა, სულ აღვირი წაიხსნეს დედა-შვილმა. რასაც უწინ ხარჯავდენ, ახლა ერთი ხუთად მეტი ეხარჯებოდათ, რომ კიდევ უფრო მდიდრულათ მოეჩვენებიათ თავი იერემიასათვის. საწყალი სოვდაგარი თავის გულს ასკდებოდა, მაგრამ ვერაფერი გაემხილა რა იერემიას ხათრით. ამასობაში დედა აჩქარებდა ჯვარის წერის საქმეს. ერთი კი იყო, რომ სოვდაგარს ისე ეჭირა თავი, თითქოს არა იცოდა რა შეყვარებულებისა და არც ცოლის განზრახვისა. როგორც კი თავის მეუღლეს შეატყობდა, აი, ახლა აპირებს ჩემთან მოლაპარაკებასაო, სოვდაგარი მაშინვე რაიმე პატივსადებს მიზეზს გამოძებნიდა, «ახლა სალაპარაკოთ არა

მცალიანო»,—ღრენით უპასუხებდა თავის მეუღლეს და გარბოდა სახლიდან.

პოლკოვნიკი ლებოვი და ვალიდა მალე დაბრუნდენ საზღვარს გარეთიდან. მთელმა ტფილისის მაღალის წრის საზოგადოებამ სასიამოვნოთ მიიჩნია ეს ამბავი. ბევრმა ახალგაზდა აფიცარმა გადიგრიხა ულვაშები. დარბაისელი ღენერალი და მისი მეუღლე აღტაცებაში იყვენ სიძე-ქალის მობრუნებითა. გახშირდა ვიზიტები, მისვლა-მოსვლა, მიწვევ-მოწვევა და ერთი დაუბოლოვებელი ლხინი ხან პოლკოვნიკის ლებოვის სადგომში, ხან დარბაისელ ღენერლის ოჯახში, ხან სხვა დიდკაცობაში, რომელნიც რიგ-რიგათ იწვევდენ ახალ-დაქორწინებულებსა. ვალიდას დღითი-დღე ემატებოდა პატივი. თვით მთავარ-მართებელმაც კი გააბედნიერა ნახვით მისი ოჯახი. ვალიდას პირველ ხანებში ძალიან დაკრძალვით ეჭირა თავი. მაგრამ ამან კიდევ უფრო გაამრავლა წარჩინებულნი მოტრფიალენი მისის მშვენიერებისა და ზნე-სიმაღლისა. მათ რიცხვში ერთი უმაღლესი წევრი სამოსამართლო დაწესებულებისა მაინც მეტად გაიტაცა ვალიდას მშვენიერებამ. იმან ხშირად დაიწყო ვალიდას ოჯახში სიარული, არავითარს შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ განსაკუთრებითი ყურადღება არ დაემტკიცებინა ლებოვის მეუღლისთვის. მაგრამ ქალის ფიქრი ცოლ-ქმრობითს ვალდებულებაზე ისე მტკიცე იყო, რომ ვერავინ ვერ გაბედავდა მისი გულის დამორჩილებას, თუმცა მისი ოცნებები ცოტა არ იყოს ამ ბოლოს დროს შეირყენ ქმრის უწესო ყოფაქცევითა. ლებოვის მიერ დანთებული წმინდა სიყვარულის კანდელი უკვე ბჟუტავდა. ვალიდა ვერ შერიგებოდა ასე უცებ თავის მეუღლის გულის გაგრილებასა. მისს წინანდელს აღტაცებულს გრძნობას იჭვიანობის ნაღველი უკვე ჰქონდა გადანთხეული. თუმცა მის გულის ჭრილობას ახლა წარჩინებული ახალგაზდა კაცების ტრფიალებამ მალამოს ცხება დაუწყო,

მაგრამ მისი ზნეობის ფარი ჯერ კიდევ არ იყო კუპიდონის ისრით განგმირული. პირბადე-ახდილს გრძნობის გამოცხადებას რომლისამე პატივცემულის მოტრფიალისას მალიდა ეძახოდა უგულო კომპლიმენტს. მართლაც, ამ შემთხვევაში იგი სრულებით ურწმუნო გამხდარიყო. ჯერ იმას ნამდვილი გრძნობა, გულღია პასუხი თავის შინაგანის ვითარებისა ვერვისთვის შეენიშნა. ნუ თუ ამ კაცებს ყველას გულის მაგიერათ გოდაფშუტა უცემთ მკერდში—წამოიძახებდა ხოლმე თავმობეზრებული მალიდა. «ოჰ, თქვენ ზნე-გაფუჭებულნო კაცებო, უმანკო ქალის ფეხთა მტვრათაც არა ღირხართო!...» მაგრამ მისი მოტრფიალენი ამისთანა გულდაკოდილს სიტყვებს კეკლუცობაში ართმევდენ და კიდევ უფრო დაჟინებით უკმევდენ სიყვარულის ფიანდაზს. ამრიგათ რასაც ჯერ კიდევ წაუმხდარი გული მალიდასი ეტრფოდა, იგი ყოველივე გაუცრუვდა მას. აბა, რას იფიქრებდა, რომ ხანგადასულს კაცს დაუმონავებდა მთელს თავის არსებას და ის კი ასე მალე ფეხით გაჯეგდა მის წმინდა გრძნობებს, მისი გული ასე მალე გაცივდებოდა ცეცხლ-მგზნებარე გრძნობებისათვის?... ამის გამო მალიდამ იწყო სულმობძრავი ტანჯვა და მისმა სამართლიანმა გულის წყრომამ ადრე დააჩინა ფერმიხდილობის კვალი მისს სახეს. რაი საზღვარს გარეთიდან დაბრუნდა, მისი ნათელი ღიმილი აღარავის უნახავს. მისაც მისი უმანკო გულით კრიალა სიცილი გაეგონა, არ სჯეროდა, რომ მას მძიმე მწუხარების ლოდი არ დასწოლოდეს. მართლაც, მეტი მძიმე ტვირთი რაღა იქნებოდა ახალგაზდა ქალისათვის, როცა ორი თვეც არ გასულიყო, მისი საყვარელი ქმარი აღარ ქმრობდა, მისს გულს საღი პასუხი არ ეძლეოდა მისგან, ვისგანაც ყველაზე უფრო ესიამოვნებოდა ტრფიალი. ქალს ისე არაფერი დაჩაგრავს, როგორც გრძნობის ოცნებაში თავის მოტყუება.

ლებოვმა წახსნა ალვირი თავის ცოლ-ქმრობის მოვალეო-

ბას. იმან იწყო ოჯახს გარეშე ქეიფი და დროს გატარება. მალიდა რჩებოდა მარტოდ-მარტო მოტრფიალეთა ყბაში, რომელნიც ერთის წამის მოსვენებას აღარ აძლევდენ. აფიცრები, პოლკის ადუტანტები და გარეშე სამსახურის კაცები დღენიადაგ მის სახლში ეყარენ. მათმა დაშაქრულმა სიტყვებმა ცხოვრებაც კი შეაძულა მალიდას. უმაღლესი სასამართლო წესდებულების უფროსი მაინც დილა-საღამოს მასთან იყო; არც ერთს მის სეირნობას არ დააკლდებოდა. თუ კი სადმე შესანიშნავი რამე გამოჩნდებოდა, ან თაიგული, ან უცხო ქვეყნის ხილეულობა და შაქრეულობა, მალიდას კაბინეტს არ ასცილდებოდა.

## XVII

ამ დროს ტფილისს ჩამოვიდა პეტერბურღიდან ერთი მშვენიერთა მოთამაშეთა დასი, მათ შორის პრიმადონნა მეტად ლამაზი და ნიჭიერი. თუმცა მალიდას თეატრში სიარული და წარმოდგენების ყურება არ უყვარდა, მაგრამ ახალი პრიმადონის ქებამ მიიზიდა მისი გული. უმისოთაც პოლკოვნიკი ლებოვი შინ არ რჩებოდა ხოლმე, იფიქრა ბარემც გარეთაც ერთად ვიყოთ, ისა სჯობიაო. ამისგამო მთელი ზამთრის აბონემენტი აიღეს თეატრში. მართლაც, პრიმადონა შესანიშნავი მოთამაშე გამოდგა და მალიდასაც შეუყვარდა თეატრი. ლებოვზე პრიმადონას თამაშს დიდი გავლენა ჰქონდა, მით უფრო რომ ის ქალი გამოდგა სილამაზეს გარდა ფრიად განვითარებული საზოგადოებაში. იგი იყო შეუდარებელი ოხუნჯი, წარჩინებული მომღერალი და ხელოვანი დამკვრელი როიალზე. პოლკოვნიკი ლებოვი უცებ აღენთო მისდამი ტრფიალებით. წარმოდგენა ისე არ გათავდებოდა, რომ ლებოვს ან ძვირფასი ყვავილებით შემკული გვირგვინი არ გაეგზავნა პრიმადონისათვის, ან რაიმე ოქროს იარაღეულობა, ან ბრილიანტით შემ-

კული ნივთი. პრიმადონა ინსტიკტურად ჰგრძნობდა ლებოვის სიყვარულს და როცა სცენაზე გამოდიოდა, ხშირად ვალიდასა და ლებოვის ლოჟისაკენ ჰქონდა თვალები მიქცეული. ერთხელ ერთს წარმოდგენაში პრიმადონნას პირველს მოქმედებაში ჰქონდა მარტო რაღაც სათამაშო და შემდეგ თავისუფალი იყო. მეორე მოქმედება რომ გათავდა, ლებოვმა ურჩია ვალიდას პრიმადონის გაცნობა და ნება აიღო ცოლისაგან, რომ იგი მიეპატიჟნათ ლოჟაში. ვალიდა დასთანხმდა. ცოტას ხანს შემდეგ ლებოვმა ხელი-ხელ გაყრილი მოთამაშე ქალი წარუდგინა თავის მეუღლეს. ვალიდას იამა მასთან საუბარი და მესამე მეოთხე და მეხუთე აკტი ლოჟიდან აღარ მოუცილებია. პრიმადონა და ვალიდა წინ ისხდენ, ლებოვი მათ უკან. მაგრამ როდესაც მოქმედება გათავდებოდა, ლებოვი მეტად მხიარულად იყო პრიმადონასთან. ვალიდას ამ ქალის ოხუნჯობა და განუწყვეტელი მახვილი საუბარი მის ქმართან არაფრად ეჭაშნიკა. იგი უფრო უკმაყოფილო მითი შეიქნა, რომ მას მოეჩვენა ვითომც ლებოვი მეტს ყურადღებას აქცევდა პრიმადონას, ვიდრე თავის კანონიერს მეუღლეს. ვალიდამ წარბი შეიკრა, რომ ქალისთვის ეგრძნობებინა, ეგრეთი თამაშობა პირველ გაცნობასთანვე უმართებულოაო. პრიმადონამ თითქოს მიუხვდაო და მის გამოსაჯავრებლათ კიდევ უფრო აიყოლია ლებოვი. როცა წარმოდგენა გათავდა და ლებოვი გამოჰყვა ლოჟიდან, ამ დროს მათ შეხვდათ ლებოვის ადუტანტი, რომელმაც მოწიწებით დაუკრა თავი ვალიდას და მიართვა გარეთა ტანსაცმელი. პრიმადონამ ჩაილაპარაკა: «ახლა მე მარტო უნდა წავიდე შინ, კავალერი არავინ მყავს». ლებოვმა მოკრა თუ არა ყური, მაშინვე მიუბრუნდა თავის ადუტანტს ამ სიტყვებით: გთხოვთ ვალიდას გაჰყვეთ, მე პრიმადონას მივაცილებ სახლამდის და ახლავ მოვალო. ამ დროს პრიმადონა ღიმილით მიუბრუნდა ვალიდას და დიდი ალერსით გამოეთხოვა მას. იგი

სახეზე აენთო. მისთვის ეს წამი ისეთი საშინელი რამ იყო, რომ იმ დროს მიწა რომ გახეთქოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩია. ვალიდამ გულგრილათ მისცა ხელი, მიუბრუნა ზურგი თავის ქმარს და გასწია წინ საჩქაროთ. ადიუტანტმა უბრძანა პოლიციელს ვალიდას ლანდო მოეძებნა. ვალიდა ჩაჯდა ეტლში, მიიკრუნჩხა ერთ კუთხეში და ისე იყო გაყუჩებული, თითქოს მთაწმინდის გორა მკერდზე დასწოლოდეს. მას გვერდით უჯდა ადიუტანტი, რომელმაც რაკი შეატყო ვალიდას მოწყენილობა, სახლამდის ხმა აღარ გაუცია. მიადგა თუ არა ეტლი კიბესთან, ვალიდამ თვით გააღო კიდობნის კარი და უცებ გადმოხტა, ადიუტანტმა ვერც კი მოასწრო ხელის მოკიდება; ქალმა აირბინა კიბეზე; დააჭირა ხელი ელექტრონის ფილაქს, მერე უცბათ მოტრიალდა და გამოეთხოვა ადიუტანტს შემდეგი სიტყვებით: — გმადლობთ პატივისცემისათვის. მეეტლევ! — ბძანებლობის ხმით დაუძახა. — მიაცილე უფალი კაპიტანი სახლამდის.

ადიუტანტმა თავი დაუკრა ვალიდას, ჩაჯდა ეტლში და გაექანა შინისკენ.

— რა ახირებული, მიუკარებელი ქალია, ეს ვალიდა! — ჰფიქრობდა გზაზედ ადიუტანტი. ნუ თუ მაგას ამდენი წარჩინებული კაცი თაყვანსა სცემს და ჯერ საქმე არავისთან დაუჭერია. რა მოეწონა ამ ბებერი უხნეო პოლკოვნიკისა?!.. მაგრამ ვინ იცის?... მე რომ ასე ვყავარ აგდებული და ჩემს გრძნობას ყურადღებას არ აქცევს, იქნება ჰფიქრობდეს განზრახ ვიყო მაგის ქმრისაგან გამოსაცდელათ მოგზავნილი და მისთვის მერიდებოდეს! . რა მშვენიერი დრო მქონდა ამ დახურულს კიდობანში!.. რა ღმერთი გამიწყრა, რატომ ვერა გავუბედერა?... მაგრამ გული ამიკანკალდა, ენა დამება... არა, გუნებაზე არ იყო ამალამ. ისე მიეკრა ერთ კუთხეს, თითქოს შიშობდა ახლოს არავინ მომეკაროსო. სხვა დროს ძალიან მეგობრულათ

მექცეოდა, ახლა რა დაემართა?.. ქალი წყეულია. ვინ იცის? იქნება ჩემზე უფრო ის იყო აღელვებული, იქნება... კიდევც ელოდა ჩემგან რასმეს?... იქნება იმას კიდევ ჩემზე უფრო უკანკალებდა გული, ელოდა ჩემს ალერსს, ჩემს ხვევნას და რომ შემატყო, ლენჩსავით ვიყავი გარინდული, ეგება, გულიც მოსდიოდა. ოჰ, რა დრო დავკარგე!..—ბახდა ტკვლეცა თავში ადუტანტსა. იმან სასოწარკვეთილებით შემოიკრა შუბლზე ხელი. განა არ ვიცი, რომ ქალებს ქამივით შესძულდებათ იმისთანა არშიყი, რომელიც დროს შოულობს და სიგლახით ვერ ისარგებლებს. ვაიმე, ვაიმე! რა წამი, რა ბედი დავკარგე!.. ღრმათ ამოიხვნეშა ადუტანტმა და გადმოხტა ეტლიდან, რომელიც უკვე მიმდგარი იყო მის სახლთან. ადუტანტმა ერთი მანათი აჩუქა მეეტლეს. ამ შემთხვევაში იგი ალბათ ისე მოიქცა, როგორც ყოველი წაწყმენდილი, რომელიც ღმერთსა და ეშმაკს თანასწორათ უნთებს სანთელს, სწირავს საკმეველს და თან ჰფიქრობს, ვინ იცის, რომელი როგორ გამომადგება.

ვალიდას ჯავრისაგან გულის ფრიალი აუტყდა. შინაური მოსამსახურეები დიდი ხანია დაითხოვა დასაწოლათ. თვითონ ქუჩაზე რომ ფანჯარა გადიოდა, ის გააღო, ფანჯრის წინ დაჯდა და ბნელს მიაპყრო თვალები. ამ მდგომარეობაში გაჰ- ვლო მან საათნახევარი. მისი ქმარი მაინც ჯერ არ მოსულიყო. შემდეგ დაჰხურა ფანჯარა და წავიდა საწოლს ოთახში დასაძინებლათ. მისი გული მეტად გაშფოთებული იყო. მას ახლა ეჭვი აღარ ჰქონდა, რომ ლებოვმა ფეხით გაჯეგა მისი უმანკო გრძნობები. ის ჩაწვა ლოგინში, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა, წამის-წამ შფოთავდა და ციბრუტივით ტრიალებდა ქვეშსაგებელზე.

მეორეს დღეს ვალიდას უძილობისაგან და ღრმა შინაგანი ბრძოლისაგან ტანი დაეთენთა, მოიავათმყოფა თავი და სტუმრებს არ გაჰკარებია.

ღებოვმა რამდენჯერმე უალერსა, მაგრამ პალიდას მისი ალერსი აღარაფრათ ამებია. იგი მიუხვდა თავის ცოლს ეჭვიანობას და ყურადღება აღარ მიუქცევია, რადგან ჰფიქრობდა, ამითი გადავაჩვევ ამ უხეირო და უმართებულო თვისებასო. პოლკოვნიკის ღებოვის თვალში იჭვიანობა რაღაც შეუფერებელი საქციელი იყო იმ საზოგადო წრეში, რომელსაც იგი ეკუთვნოდა. ეს უგვარობაა და სხვა არაფერიო.—იტყოდა ხოლმე ღებოვი პალიდას გასაგონათ. ქალი კი თავის ქმრის ღვირ-წაძრობილს არშიყობას ზნე-წამხდრობას ეძახოდა და მისი გული თან-და-თან შორდებოდა ღებოვსა. პალიდა ამ საღამოს შემდეგ აღარ წასულა თეატრში, თუმცა ღებოვი კი ყოველ საღამობით იქ იყო. მისი ცოლის მაგიერათ პრიმადონა გადმოიყურებოდა ხშირად დაქირავებულ ლოჟიდან.

პალიდამ ერთხელ კიდევ შეიკრიბა ზნეობითი ძალა და ნაზად მიმართული საყვედურებით შეეცადა, მოექცია ქმარი თავის მოვალეობისადმი. როცა ამ მხრით ვერა გააწყო რა, პაწია შინაური უსიამოვნებაც თან მოაყოლა. ღებოვმა ეს იუკადრისა და მას აქეთ მათ შორის თითქმის სრულებით შესწყდა ცოლქმრობითი კავშირი. პალიდამ ეს ამბავი შეატყობინა თავის დარბაისელს ღენერალს და ღედობილს. წარმოიდგინეთ მისი გაშტერება, როცა დარბაისელმა ღენერალმა და მისმა მეუღლემ, კარის დიასახლისმა, აინუნშიაც არ ჩაიგდეს პალიდას მწუხარება.

— შვილო, განა მარტო შენზეა მაგნაირი ამბავი?— უთხრა ღედობილმა და კარის დიასახლისმა.—ცოლქმრობა და ნამდვილი სიყვარული შორიშორს არის ერთმანეთზე. ქალისთვის ქმარი სახელია და ზნეობის ფარი. ამ მდგომარეობაში იგი მითია ბედნიერი, რომ სრულებით თავისუფალია; იგი საზოგადოების გულ-ამაყი წევრია, მის ღირსებას მქირდავი თვალი და ბოროტი ენა ვერას დააკლებს. მასა აქვს უზრუნველი

მატერიალური მდგომარეობა და თვითონ კი, როგორც მას ესიამოვნება, ისე უნდა მორთოს თავისი ცხოვრება. ...კარგიცა და ავიცა, პატივისცემა და უპატივცემულობა მის მოხერხებაზეა დამოკიდებული. თუ ქმარი არ შეიშნობს უმანკო გულის ერთგულებას, ვაი მის გუნებას! თავის თავს დააბრალოს, რაც შეემთხვევა. შენ რას დაეძებ. შენ, შვილო მაგისთვის სრულებითაც ნუ შეიწუხებ თავს. შენ ხარ გვარიშვილობით და წარჩინებული დამოკიდებულებით ღებოვის მეუღლე, საზოგადოებისაგან დაფასებული და მთავარ მართებლის კარზე მიღებული. ამ მდგომარეობაში რომ შენისთანა მშვენიერებათა ღმერთამ ბედნიერათ ვერ მოაწყოს ცხოვრება, სწორეთ ჩასაქოლავია. შენ გაქვს ღებოვის ცოლის სახელი. ეს კმარა შენ ის პატივის მოყვარეებისთვის; დანარჩენი სულ ყოველიფერი წვრილმანი საქმეა. ამას შემდეგ თვით შენზეა დამოკიდებული შენი ბედნიერება. როგორც გესიამოვნოს, ისე მორთე შენი ცხოვრება. ღებოვმა ნეკრესის ქარებით შეპყრობილმა ბერმა კაცმა, რაც უნდა, ისა ჰქნას?... შენ რა?... შენ შენთვის იზრუნე, ეცადე შენს სიამოვნებას, ოღონ ხერხიანად მოიქეცი, რომ საზოგადოების თვალში შენს გარეგანს ყოფაქცევას ჩირქი არავინ მოსდოს. ჩვენს შინაურ მოქმედებასთან და ჩვენ საწოლთან ვის რა საქმე აქვს?»...

ასეთს ზნეობითს დარიგებას შემდეგ ვალიდამ ამოირეცხა გული სიყვარულზე; იმან ხელიდან გააგდო ზნეობის ფარი, როგორც ერთი რამე გამოუდეგარი ნივთი. ის ახლა შეუდგა თავის შეგინებულის წმინდა გრძნობის გულისთვის პურის ძიებას. იმანაც წახსნა ალვირი თავის ზნეობითს მოვალეობას. მაგრამ გაკიცხვის მაგიერათ კიდევ უფრო მოწონებული შეიქნა ტფილისის უმაღლეს წოდებაში. ამიერიდგან მას აღარ ჰქონია არავითარი რწმუნება აღარც სიყვარულზე, აღარც გულახდილს მეგობრობაზე, გარდა პატივის მოყვარებისა. მისი გრძნობა და

გული ეკუთვნოდა მხოლოდ მას, ვინც შეიქნებოდა განუსაზღვრელი მონა მისი ნებისა. ტრფიალებაში ის ეძებდა რაიმე ნივთიერს სარგებლობას. მისთვის სულ ერთი იყო პატიოსანი კაცი, გინდ ავაზაკი, მექრთამე, მრუში, ხაზინის ქურდი და სამართლის დამარღვეველი, მხცოვანი, გინდა ჭაბუკი, ოღონდ იგი მისი ნების მორჩილი ყოფილიყო და რასაც დაასაქმებდა, აესრულებინა.

ლებოვმა ველარ გაუძლო პალიდას მძვინვარე მოქმედებას და საუკუნოთ გადასწყვიტა, ტფილისის არეს მოშორებოდა. მართლაც, ამ დროს ზაფხული მოახლოვდა და თეატრის მოთამაშე დასმა გაათავა თავის ხელშეკრულობა. ლამაზი პრიმადონა გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ. ცოტას ხანს შემდეგ ლებოვმა აიღო ოთხის თვის ნება სამსახურიდან დათხოვნისა ვითომც და საზღვარს გარეთ მივდივარო წყლებზე სააქიმოთო, გაეშურა პეტერბურღს.

მალე დავარდა ხმა საზოგადოებაში, რომ ლებოვი განშორდა თავის მეუღლესო. მაგრამ პალიდას თავის ოჯახი და მაღალ წოდებაში წარჩინებული მდგომარეობა არ მოუშლია; იმან კერიას ცეცხლი მაინც არ დაასხა. იგი უწინდულათვე ითვლებოდა ლებოვის მეუღლეთ, მოსდიოდა ქმრისაგან საკმაო ფული და უწინდულათვე ატარებდა ბრწყინვალე ცხოვრებას, როგორც ლებოვის კანონიერი მეუღლე.

ამიერითგან პალიდა შეიქნა ბევრის საიჭვო რომანულის ყოფაქცევის ამბების საგნათ. იმას გარეგნათ ისე ეჭირა თავი, რომ მაღალ წოდებაში თავის შესაფერი გავლენა არც ახლა დაუკარგავს; უმაღლესის გამგეობის ალვირები ხელში ეჭირა და რასაც მოინდომებდა, ყოველიფერს ასრულებდა. ამ დროს დაესიენ მას იმის ქვეყნის კაცები, ნათესაობა და მეგობრები. ყოველ გაჭირვების დროს ისინი მიჰმართავდენ პალიდას და მის შემწეობით ბევრს მძიმე დამნაშავეს გამოუხსნია თავი ხიფათისაგან.

მალიდას არ დარჩენოდა არც ერთი შინაური მეგობარი იერემიას გარდა, რომელიც შექმნილ იყო მის მესაიდუმლეთ და ერთგულ აღმასრულებლათ ყოველის მისის ნებისა და განზრახვისა. მალიდა სხვათა შორის ძალიან თანაუგრძნობდა იერემიას და მის დამოკიდებულებას სოვდაგრის ქალთან, უნდოდა ამ ქალის შერთვით გაებედნიერებინა და ცხოვრებაში უზრუნველი გაეხადა. ამის გამო იმან დაიახლოვა სოვდაგრის ქალი და იმის მამის ოჯახი. მაგრამ მათს ჯვარის წერას კი რაღაც ახირებული, აუხსნელი დაბრკოლება უდგა წინ: არც თვით იერემია ჩქარობდა ჯერ-ჯერობით შეუღლებას და სოვდაგრის მხრითაც არა ისმოდა რა.

## XVIII

გამომძიებელმა დაგზავნა უწყებანი ტულაში და რკინის გზაზე; დაიბარა მედუქნე საბაია გაპარიაშვილი და კონდუქტორი ნიკო ბაინდურაძე. ის დაუწვრილმანდა ესმას მკვლელობის საქმეს, განსაკუთრებით დიდი საჭირო იყო მისთვის, ცხადათ, თვალსაჩინო საბუთებით დარწმუნებულიყო, რომ იერემია და იმის ამხანაგები სწორეთ იმ დღეს, რომელსაც ჟანდარმის პროტოკოლი იხსენებდა—იერემიამ და მისმა ამხანაგებმა აბაშის დუქანში ჩხუბი მოახდინესო და რკინის გზის მატარებლით ქალაქისკენ გასწიესო, —ტულაში იქით არ გაცილებიან. თუ ეს საბუთი დამტკიცდებოდა, მაშინ ბახვა ფულავასი და მომაკვდავის ესმას ჩვენებაც მართალი იქნებოდა. აი, ამ გარემოების ასახსნელად დაიბარა გამომძიებელმა საბაია გაპარიაშვილი, რომელმაც ვაგონში დაასახელა კონდუქტორთან, ნიკო ბაინდურაძესთან, ესმას მკვლელები. საბაიამ ისიც აჩვენა, მკვლელები რა ნაირათ ერიდებოდენ ნაცნობებს, როცა მის დუქანში შეიკეტეს კარები, და საღამოს მატარებლით როგორ დაბრუნდენ ისევ აბაშისკენ. გამომძიებელმა გაიხსენა კიდევ ერთი ამბავი:

იმ ღამეს, ვაგონში რომ საბაია ბაპარიაშვილი ელაპარაკებოდა ნიკოია ბაინდურაძეს,—საბაიამ წარმოსთქვა ამგვარი სიტყვები: «გაჩუმდეს, ნუ შემუქრება, თორემ გამომძიებელს იმასაც კი ავუხსნი, მკვლელობას შემდეგ ბივი ერთის თვის განმავლობაში სად იმალებოდა თავის ჭრილობის მოსარჩენათ. თუ რომ გამომძიებელი კითხვით გამოიკვლევდა ამ გარემოებას ბივისას, შეიძლებოდა მერე ის კაციც მიეგნო, ვისთანაც ბივი წამლობდა. იქნება საბაიას არც გვარი, არც სახელი არ სცოდნებოდა იმ კაცისა; მაგრამ მისთვის საკმაო იყო სოფლის დასახელება. თუ სოფლის სახელს მაინც შეიტყობდა, მერე უეჭველად მიაგნებდა, სადა ერთი თვის განმავლობაში დაჭრილი უცხო კაცი იწვა და წამლობდა. მოუხერხებელი იყო და არც შეიძლებოდა მთელის სოფლის თვალიდან დამალულიყოს ეს გარემოება. უეჭველად იმ სოფელში იმისთანა კაციც, ან ქალიც გამოიძებნებოდა, რომ ეს დაჭრილი ენახოს წამლობის დროს და ამ კაცისა და იერემიას დამოკიდებულებაც სცოდნოდათ, რადგან ასე მძიმეთ დაჭრილი კაცი მარტო ვერ მივიდოდა იმ ოჯახში; უსათუოდ მიიყვანდა ვინმე და ამ ვინმეებს ან სოფელელი დაინახავდა გლეხისას მინავალს, ან თვით გლეხი ეტყოდა ვისმე თავისიანს და შესჩივლებდა თავის საშიშს მდგომარეობას. ამ სახით რაკი გამომძიებელმა ასე დაწვრილებითი პროგრამა შეადგინა თავის მომავალი გამოძიებისა ბოროტების ახალი საბუთების მისაკვლევათ, შემდეგ გულ-არხეინათ მიჰყო ხელი კითხვას. საბაია ბაპარიაშვილი რამდენჯერმე დაიბარა ამ საქმისათვის. მერე ცალკე გამოჰკითხა კონდუქტორს ნიკო ბაინდურაძეს, რომლის ჩვენება მხოლოდ იმიტომ იყო საჭირო, რომ იმას უნდა დაემტკიცებინა ყოველივე, რაც საბაია ბაპარიაშვილმა ილაპარაკა მასთან ვაგონში. ბევრი რამ ნალაპარაკევი საბაია ბაპარიაშვილისა დავიწყებოდა ნიკო ბაინდურაძეს; მაგრამ როცა თვითონ საბაია დაუყენა ნიკოს პირის-

პირ და იმან გაახსენა ხოლმე დავიწყებული გარემოება, შემდეგ ნიკო თან-და-თან უფრო ბევრსა და ბევრს ამბებს ასაბუთებდა, რაც საბაიას მისთვის სხვა-და-სხვა დროს ელაპარაკნა ამავე მსმას მკვლელობის შესახებ. მხოლოდ გამომძიებელმა ბევრი ვერა შეიტყო რა ბივის ავათმყოფობაზე, ვერც ის შეიტყო, ვინ იყო ის კაცი, რომელთანაც ბივი ამხანაგებს დაეგდოთ. საბაიამ თქვა და ესეც საეჭვოთ იყო, რომ ბივი უნდა დაეგდოთო ამხანაგებს სოფ. ძევრულაში ვინღაც იერემიას ნათლიმამასთან.

თუ ეს ახალი ჩვენება საბაიასი მართალი გამოდგებოდა, გამომძიებელი დანარჩენს ყოველსავე ადვილათ გამოიკვლევდა. მხოლოდ მესამე ამხანაგისა კი ვერა თქვა რა საბაია ბაპარიაშვილმა. ის ამტკიცებდა ეჭვს გარეშე, რომ მის დუქანში იმ დღეს სამს კაცს ეძინაო: ბივის, იერემიას და მესამეს. მაგრამ ეს მესამე ვინ იყო, საბაიამ არ იცოდა, ვერც მისი სახე შეენიშნა და არც მიექცია ჯეროვანი ყურადღება. როდესაც გამომძიებელმა გაათავა თავისი გამოძიება ამ ორის მოწმის შესახებ და იმათ უჩვენეს ყოველივე, რაც მისთვის საჭირო იყო, ახლა სხვა გზას მიჰმართა მან.

ბამომძიებელს ჰყავდა ერთი ჩაფარი, რომელიც შორაპნელი იყო და ამ ჩაფრობაში დაბერებულიყო. იმას თავის სიცოცხლეში ბარე ოც-და-ათამდის გამოეცვალა მაზრის მმართველები და გამომძიებლები. ბოლოს, ახალი სამოსამართლო წესები რომ შემოიღეს, იმან ირჩია უფრო გამომძიებლებთან ყოფილიყო და პატივ-სადები მიზეზებიც ჰქონდა ამისა. მაშინ როდესაც მაზრის მმართველები და მისი თანაშემწეები ხშირად უსამართლობას უშვრებოდენ: ხან ჯამაგირს არ მისცემდენ, ხან მწარე მათრახის წვერსაც აგემებდენ, გამომძიებელნი უფრო გულ ლმობიერები და კაცობ'იენი გამოჩნდენ. ისინი ზოგჯერ ამხანაგურათ და მეგობრათაც ეპყრობოდენ ამ ჩაფარს;

იმას განსაკუთრებით ეს ახალი გამომძიებელი შეუყვარდა და თუ რასმე დაასაქმებდა იგი, გველის ხვრელში გაძვრებოდა და შეიტყობდა. ის კარგათ იცნობდა ძევრის სოფელს, რადგან თვითონ ჩხარელი იყო და იქ იმ სოფელში ბევრი ნაცნობები და მეგობრები ჰყავდა. ერთს დილას, როდესაც გამომძიებელმა თავის ოქმები გაათავა და ახალი გამოძიების საქმე შეადგინა, მოიხმო თავის შორაპნელი ჩაფარი და ჰკითხა:

— სოფელი ძევრი იცი სად არის?..

— როგორ არ ვიცი, ბატონო? იქ დავბერდი და არ მეცოდინება?

— გყავს ვინმე ნაცნობი იმ სოფელში?

— ბევრი, ბატონო.— უთხრა ჩაფარმა.

— აბა, ერთს საქმეს მოგანდობ და ისე შემიტყვე, როგორც შენს გამოცდილებას შეეფერება.

— მიბძანეთ, ბატონო. თუ კი რაიმე მოხერხდება, ჩემ საცადს, კარგათ მოგეხსენებათ, თქვენთვის არ დავშურავ.

— მაშ, წადი და შემიტყვე, ვინ ყავს იქ იერემია-წარბას ნათლიმამა, და თუ მიაგნო, მერე ესეც შემიტყვე, ამა-და-ამ ხანებში ხომ არავინ ჰყოლია მის ნათლიმამას ავათმყოფი; თუ ჰყოლია, ვინ წამლობდა მას. რა ერქვა იმ კაცს, ან თუ იციან, რა სენით იყო ის კაცი შეპყრობილი, რა გვარი იყო, რა ერქვა მას სახელათ?

— ბატონი ბრძანდები. დღესვე გიახლები, თუ მიბრძანებ.

ერთ კვირას შემდეგ შორაპნელმა ჩაფარმა მოუტანა გამომძიებელს ზედ მიწევნით შეტყობილი ამბები. სოფელს ძევრს ყოფილიყო ერთი გლეხი, გვარათ ქარქაშაძე, მოხუცებული, რომელსაც ყმაწვილობაში ქურდობის სახელი ჰქონდა დავარდნილი და ხშირად გადაჰყავდა ნაპარევი ცხენები ს. ბანძიდან ყვირილის ხეობით რიონის ხეობაში ოსეთს. ეს გლეხი ყოფილიყო

მართლაც იერემიას ნათლი-მამა და იმასთან წოლილიყო მხრებში დაჭრილი რევოლვერის ტყვიით, სახელად გივი. წამ-ლობდა მას თვით მოხუცებული ქარქაშაძე. გივი მიეყვანა იქ იერემიას. იმათ მესამე კაციც ახლდათო, რომელსაც იერემია ირაკლის უძახოდაო.

იერემიამ ჩააბარა ავათმყოფი ქარქაშაძეს მოსარჩენათ. იგი დაეჭრათ, ვითომც წვეულებაში ჩხუბის დროს. იერემია და ირაკლი იმავ ღამეს ზემოთკენ წასულიყვნენ ცხენებით. ავათ-მყოფი ერთ თვეს წოლილიყო მასთან; საექიმოთ მიეცათ ხუთი თუმანი; გივი რომ მორჩენილიყო, ქუთაისისკენ წასუ-ლიყო და მას აქეთ აღარაფერი ვიცითო.

ესენი ყოველივე დაწვრილებით დასწერა გამომძიებელმა და შემდეგ ამ ჩვენების დასაბეჯითებლათ დაიბარა თვით ქარ-ქაშაძეცა. ახლა მისთვის ეჭვს გარეშე იყო ბოროტ-მოქმედება იერემიასი. როდესაც ყოველივე ჩვენება სისტემით და კვალ-და-კვალ დასაბუთებით შეამზადა, შემდეგ დაიბარა უწყებით გივი და ჩააგდო საპყრობილეში. ის ჯერ უარზე დადგა, არასფრის ჩვენება არ უნდოდა, მაგრამ გამომძიებელმა დაუწყო ერთი-მეორეზე ზედმიყოლითი ჩვენებათა კითხვა, რაც საბა ბაპარიაშვილს ეთქვა და აგრეთვე ქარქაშაძესაცა. გივი ძალიან შეარყია ამ საბუთების კითხვამ, დაიწყო არევ-დარევით ლაპა-რაკი; მაგრამ მაინც ძალიან უარს ამბობდა ყოველიფერზე; უარი თქვა აგრეთვე საბა ბაპარიაშვილის ცნობაზე და მით უმეტეს ქარქაშაძისა. მაგრამ როდესაც მან დაიბარა თვით საბა ბაპარიაშვილი და ქარქაშაძე, წაუყენა იგინი პირში, მაშინ კი გივი სრულებით მოეშვა. იმან ამოუშვა ტირილი, დაიჩოქა და მუხლებზე მოეხვია გამომძიებელს ამ სიტყვებით:

— ნუ დამღუპავ, ბატონო. ღმერთმა ხომ იცის, მე მაგაში საკუთრად არა ვარ დამნაშავე. ეგ სულ იერემიას საქმეა, იმან გამაბრიყვა, იმან გამრია ამ საქმეში. მე ცხოვრებაში მისთ წერა

შევიქენი. რაკი ერთხელვე ჩამავლო კლანჭი, ველარ დავაძვრე თავი მის გავლენას.—როცა ამგვარათ მოიტირა და აღიარა თავის შეცოდება, შემდეგ დაიწყო:

— ადრე უნდა მცოდნოდა, რომ იერემიას ბედის-წერა ვიყავი. უსაცილოთ დამღუპავდა. კიდეც იმიტომ გადამეკიდა ის წყეული ადრიდგანვე. ნეტავი არც ის მენახა და არც ჩემს დედას ჩავსახებოდი. ეშმაკმა ამატრუა, თორემ რა მინდოდა ფოთში?... მისვლისათანავე იმან მომძებნა. მაშინ იგი ვახმის-ტრად იყო სადარაჯო ცხენოსანს ჯარში გაწესებული. ჯერ ამიყოლია დროს-გატარებაში. მერე ისეთი გავლენა მოიპოვა ჩემზედ, ველარაფერში წინაალმდეგი ველარ გავუხდი. ერთხელ კონტრაბანდის საქმეში გამრია და კინაღამ დამღუპა. იმის ბარობით ექვსი თვე ვეგდე ფოთის სატუსაღოში. ძლივს ჩემმა სიმართლემ მიშველა. თავი დავიწყევლე იმასთან აღარ გავია-რო-მეთქი, მაგრამ ეშმაკს სად დაემალები, ან რანაირათ მო-იგერებ?...

«იმ უბედურების წინა ხანებში ფოთში ვიყავით და კო-ტრაბანდი გამოვაპარეთ ერთ თათრის ვაჭრის სახელობაზე. იმაში ავიღეთ ათი თუმანი. მეორე და მესამეს დღეს ქეიფი არ გაგვისხლეტია; ვლოთობდით, როგორც უკანასკნელი სალდა-თი. იმ წყეულს ღვინო არ ეკიდებოდა, არ მახსოვს, რომ ფეხი შეჰშლოდეს. მაგრამ გინდ ფხიზელი ყოფილიყო, გინდ მთვრალი, ესმას სახელი მაინც ენაზე არ სცილდებოდა, საოც-რად უყვარდა ის მადლიანი. როცა ესმა გათხოვდა, მას აქეთ მე იერემია გაცინებული არ მინახავს, სულ ასე იძახოდა, ბა-ხვას ესმა თუ არ მოვსტაცე, ჩემი სიცოცხლე არ მოხერ-ხდებაო.

«მე ხშირად ვიყავი ჩემს სახლში. ბახვამ რომ ჩვენს სო-ფელში თავადისშვილის სეული იყიდა, მერე, მეტი არ შეიძ-ლება, ისეთი კარგი მეზობლობა დაგვიწყო. ჩვენ ოჯახობაში

ბევრჯელ გვისესხნია მისგან ფული, სარგებელსაც არ გვახდევინებდა. ჩვენი სახლის კაცებიც მომადლიერებული ჰყავდა. ჩვენს სოფელში ვერავინ ვერ იტყოდა მის ცუდსა. ცოლი და სიდედრი მაინც ღვთისნიერი ადამიანები ჰყავდა. არ შეიძლებოდა გაჭირვებული კაცისთვის ხელი არ გაემართათ. ჭირში და ლხინში არ გამოგვაკლდებოდნენ. მათგან ყოველთვის შესაწევარი მოგვდიოდა ხოლმე ამ შემთხვევაში. ესმასთანა მადლიანი ლამაზი ქალი მაინც არ მინახავს. როგორც ჩემს საკუთარს ოჯახში, ისე ვიყავი მათთან მიღებული...

ზადამეკიდა ის წყეული იერემია და აღარ მომკა საშველი. ერთხელ მისგან წიგნიც მივუტანე ესმას; მაგრამ იმ მადლიანმა სიახლოვესაც არ მიიკარა. ბარათი ცეცხლში ჩაწვა და მე ასე მითხრა: თუ ჩემი ოჯახის დაკარგვა არ გინდა, მეორეთ არ გაბედო იმ აბრაგისაგან წიგნის მოტანაო. მართლაც რომ ნამდვილი აბრაგი და ყაჩაღი იყო ის წ,ეული იერემია. რასაც გულში ამოიჭრიდა, საშველი აღარ ჰქონდა, უსათუოდ უნდა აესრულებინა. ზლახა პასუხი რომ მივუტანე, სულ გადირია. რამდენჯერ უთქვამს ჩემთან: «ღმერთმა ნუ ქმნას, თუ ბახვას გულ-ღვიძლი არ გადმოვაყრევინე და ესმა ცოლად არ წამოვიყვანეო». ზადამეკიდა, საშველი არ მომცა, არავითარი უარის თქმა არ გამივიდა. ამ გზით რომ ვერა მოუხერხა რა, შემდეგ დამემუქრა: «თუ არ დამხმარებიხარ, როგორც ძაღლი ისე დაგალრჩობ და ზღვაში გადაგაგდებ კისერზე ქვაშებმულსაო. ბახვას სამგზავრო ბოღჩაში (საკვაიაჟ ში) ათასი თუმანი ფული აქვს და მუდამ თან დაატარებსო. იმ ფულს მოვსტაცებ და სულ შენ გადმოგცემ: ესმა მე დამრჩება, ფული შენაო». მეც ხშირად ვნიშნავდი, რომ სამგზავრო ბოხჩა მუდამ მხარზე ეკიდა. ღმერთო შეგცოდე, მუდამ თვალი მრჩებოდა ზედ. შინ რომ იყო, საცა ცოლ-ქმარნი იწვენ, ბოხჩაც იქვე კედელზე ეკიდათ. მე იმან უფრო გამაბრიყვა; ამდენის

ფულის შოვნის სურვილმა თავი დამაიწყა. ბოლოს გადავწყვიტეთ წასვლა და ერთი ამხანაგიც თან წავიტანეთ. იერემიამ პლანი დაგვიწყო. «რომ აზრი არავინ შეიტანოს ჩვენზე, ფოთში უნდა დავყაროთ ხმა, ტფილისს მივდივართო. წინა ღამით მივიდეთ აბაშის სადგურზე, იქ ერთს ჩემს მეზობელს თავლა ჰქონდა, სამი ცხენი — ჩემი, ირაკლის და იერემიასი — ერთ კვირას იქ გვება, რაკი ამ საქმის ასრულება გადავწყვიტეთ. მეორე დღეს აბაშაშიაც უნდა გაგვევრცელებინა ხმა, ტფილისს მივდივართ, მატარებელს ვუცდითო. შემდეგ სამიკიტნოში სადილი უნდა გვეჭამა, იქ ჩხუბი აგვეტეხა მეგრელებისათვის, რომ ჟანდარმს უწესოების მოხდენისათვის ჩვენთვის ოქმი შეედგინა. როცა მატარებელი ამოივლიდა ფოთიდან, უნდა ჩამსხდარიყავით და ტფილისისკენ გამგზავრებულიყავით; მაგრამ სამტრედიაში უნდა გადამხტარიყავით შეუნიშნავათ. იქ საბაია ზაპარიაშვილი კარგი ნაცნობი იყო ჩვენი. იმის დუქნის უკანა ოთახში დავბინავდით, საჭმელი იქ მოვათხოვნინეთ, შემდეგ იქვე დავიძინეთ სალამომდის. იმ დღეს იქ გარეშე კაცს აღარავის გამოვჩენივართ. როცა ტფილისიდან მატარებელმა ჩამოიარა. ფოთისკენ წასასვლელად, ჩვენც მაშინვე შევილალეთ ერთს უკანა ვაგონში, საცა ცოტა მგზავრები ისხდენ. ამნაირათ იმავე ღამეს აბაშას მოვბრუნდით, დავსხედით ცხენებზე და ის უბედურება შეგვემთხვა. საქმით აღმოჩნდა, რომ მკვლელობის წინ დღეს იერემია ტფილისს გამგზავრებულიყო, აბა, ვინ რა ეჭვს აიღებდა ჩვენზე ესმა ფულავას მკვლელობაში, რომ კიდეც აელოთ, ვინ დაიჯერებდა? ესმას სიკვდილი სულ უცაბედი შემთხვევა იყო. ღმერთმა ხომ იცის, მისი სიკვდილი არავის უნდოდა. იერემია გაგიჟებული იყო მისი სიყვარულით, აბა, როგორ მოჰკლავდა? ის კი არა თავის თავი უნდოდა მისთვის შეეწირა. მას უნდოდა მხოლოდ მისი მოტაცება და არა სიკვდილი. მერე თვითონაც ნანობდა, თვითონაც ვერ აეხსნა

კარგათ ეს ამბავი. გავგიჟდი, ბნედა მომივიდა, არც მახსოვს, რანაირათ გავწირე ის უბედური. სულ ყოველიფერს იმ შემთხვევას აბრალებდა, რომ ესმა ვერ დაემორჩილებინა. იმას საშინლათ ეკბინა მკლავზე იერემიასათვის და ბახვაც დასწეოდა. რომ ისე არ ექნა, ბახვა უსაცილოდ მოკლავდა იერემიას. მეც ბახვამ დამჭრა იმ ღამეს».

გამომძიებელმა დაწვრილებით დასწერა ეს ამბავი, აღუთქვა ბივის შეღავათი სამართლის მიერ; შემდეგ მესამე ამხანაგის ერეკლეს ამბავი გამოჰკითხა. ის ყოფილიყო საჩინოელი აზნაური, ნამსახური ცხენოსან ჯარში და იერემიას მეგობარი. ისიც დაიბარა გამომძიებელმა, მაგრამ მისი კვალი ველარსად მიაგნეს. როცა შეეტყო ბივის დაჭერა, მაშინვე გადავარდნილიყო. გამომძიებელმა ბივი ისევ სატუსაღოში გაგზავნა. თვითონ კი გამოსაძიებელს ოთახში დაიწყო წინ-და-უკან სიარული. მის განიერს შუბლს რაღაც ნათელი აზრი დაკრთოდა, სახეზე გადახალისდა და ულვაშებში სიამოვნების ღიმილი მოსდიოდა. ის გრძნობდა, რომ ამ დახლართულის ბოროტ-მოქმედების ახსნით შესამჩნევს ნაბიჯს წარსდგამდა წინ სამსახურში. მას მოელოდა კარგი ადგილი.

## XIX

ერთს ავდრიანს საღამოს აბაზ-ბადის ვიწრო ქუჩაში საათის მეშვიდეზე ძალიან გაჩაღებული იყო მეორე სართული ავეტიკა სოვდაგრის სახლისა. როგორც დღე, ისე იყო ის ქუჩა განათებული კანდელებისა და ლამპრების შუქითა, რომელიც სახლის ფანჯრებიდან გამოქათქათებდა. გამვლელ-გამომვლელებს მეტად უკვირდათ ეს ამბავი. «ახპერ, ეს რა მოსვლია ამ ქოფაკ ავეტიკასა?... ვა, სიკვდილს ხომ არ უკბენია იმისთვისა?... მის დღეში ქონის სანთლისა, ჭრაქისა და ღამის ლამპის მეტი სახლში არ დაუნთია! ჰაცო, წინ-და-წინ ქელეხს არ იმზადებ-

დეს?... აი, დაილუპა მაგის ძუნწი თავი!»... მოლაპარაკობდენ იმ დროს ხმა მაღლა ორი კინტო ამ ნათელს ქუჩაზე.

— ძაცო, იქნება იმ საზამთროსავით დარგვალებულს თავის ძატოს ათხოვებდეს?... ეკითხებოდა მეორე.

— მეც ეგრე მოვკარი ყური, — დაჰკრა კვერი პირველმა.

— მე შენ გითხრა, მზე-ქალსაც წაიყვანს თავის ოჯახში მისი ქმარიო, დაცინებით განაგრძო მეორემ.

— აი, გასწყვა მაგის კუპრი თავი!... ხარაზის დაზგათ გამოადგება ქმარსა — დასძინა პირველმა.

ბოლოს ორთავ კინტოურათ დაიყვირეს: «ჰეი, ჰეი, შაუბეროს!»... და ჩაიარეს.

ამ დროს მდიდრულათ მორთულს ოთახში დიდის სარკის წინ იდგა ერთი დაბალ-დაბალი ძვალ-მსხვილი, კისერ-მოკლე და სალიანის ხიზალალ-თევზეულობით ჩასუქებული. გულ-მკერდ გადაშლილი ახალგაზდა ქალი. თხუნველა-ცხვირი მსუქანს-ლოყებში თითქმის არც კი უჩნდა. მსხვილი შავი წარბები ამ პაწია მუშტუკუნა სახეს შნოს აძლევდენ. შუბლზე სქელი შავი გრუზნა თმა ჩამოჰფენოდა. ზედა ტუჩზე ოდნათ ამოჭიჭინებდა შავი ბუსუსი. თუმცა ამ ქალის შავგრემანი სახე არც ლამაზი იყო, არც წარმოსადეგი; მაგრამ სანდომობა და სილაზათე მაინც არ აკლდა. მისი მელნის-ტბასავით შავი თვალები ცეცხლის ნაპერწკლებს ისვრიდენ. იმას ეცვა წითელი ატლასის კაბა, გარეშემო დანაოჭებული ძვირფასი კრუჟოვო შემოდგომოდა და მის სავსე გულ-კერდს ალამაზებდა. ბრილიანტის საყურეები და ალმასის გულსაკიდი სხივს ჰფენდენ მის თავ-კისერსა. აქოჩვილს თმებზე ძვირფასი თვლებიანი ბუზამკალია შესჯდომოდა. ეს იყო ავეტიკა სოვდაგრის ქალი. მეორე ახალგაზდა ქალი, ისიც შავგრემანი, პირ-ხმელი, მაღალის ტანისა გარს უტრიალებდა, თმას უკეთებდა და ტანსაცმელს უსწორებდა.

— ნეტავი შენ, ძატო, რა ბედნიერი ხარ! — უთხრა მან. —

რა კარგი საქმრო იშოვნე. იერემიასთანა მოხდენილი ვაჟკაცი ჩვენს ქალაქში არ მოიპოვება. ნეტავ რა ქალი უნდა იყოს, მის გმირულს შეხედვას გაუძლოს, რომ გულში არა გაივლოს რა.

— დიაღ, ეხლა შენც დამემუშტრე. უთხრა სიცილით ქატომ.

— ქალო, ერთი ციდა ქუსლებიანი ბოთინკები მაინც ჩაიცვი, თორემ რა გეშველება. საყდარში რომ წარდგები იმ უზარმაზარ დევგმირთან, რაღა გამოჩნდები?... მუხლებამდისაც ვერ ასწვდები სიმაღლით.

— არ გაგიგონია, რუსული ანდაზა: ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირფასია—უპასუხა ქატომ და გაიკეთა მკერდზე მარგალიტებით გარემოსხმული იაგუნდის გულსაბნევი.

— რაც უნდა თქვა. იმ დევგმირს მაინც ერთ ლუკმათ არ ეყოფი.—გაუხუმრა პირხმელმა ქალმა.

— ისე გგონია?... ვერ ხედავ ამ ჩემს დევგმირებსა?... ანიშნა კატომ კოკრებზე,—მის სიცოცხლეშიაც ვერ მოლევს.

ქალო, რა უნასს სიტყვებს ლაპარაკობ?... შამოჯავრებით უთხრა პირ-ხმელმა მანდილოსანმა.

— შენ კი გეხარბება, მაგრამ რა გაეწყობა. დიაღ ბევრი უტრიალე, ლიზიკო-ჯან, იმ ჩემს ტარიელსა, მაგრამ მაინც ვერ წამართვი,—ამოსდო ხელი სიყვარულით ნიკაპზე ქატომ და მხიარულათ უთხრა.

— გაჩუმდი, ქა, რაებს ჩმახავ?—მგ უნასი ენა დაამაგრე, თორემ თავსაც დაგანებებ.

— არა, გენაცვა ლიზიკო. არ გამიწყრე. განა არ იცი, ჩემი ბედნიერების წამია, მხიარულათა ვარ. განა შენ კი არ გესიამოვნება ჩემი ბედნიერება?...

— შენ სულ ეგრეთი იყავი პატარაობიდან. არ გახსოვს, ინსტიტუტში რომ ლემნაზიელებმა მიწერ-მოწერა გაგიმართეს და ჩვენმა ზედამხედველმა ქალმა დაგიჭირა?...

— სსუ, ქალო, ახლა რა დროს მაგისთანეპია?—ჩინძლო, იერემიასაც უთხრა?—გაუხუმრა კიდევ კატომ.

— კატოსთანა უსირცხვილო ვიქნები მაშინ, - უპასუხა ლიზიკომ.

ეს პირ-ხმელი ქალი იყო კატოს ბიძაშვილი და სიყმაწვილიდან მისი მეგობარი. ისინი თითქმის ერთად იყვნენ შეზრდილნი, ერთი მეორის ბედნიერებაში გულით მონაწილენი. კატოს მამა პავლიკა ამ ბოლოს დროს გამდიდრებულიყო, მაშინ, როდესაც ლიზიკოს მამა გაკოტრებულიყო და ღარიბათ ცხოვრებდა. ამისათვის ლიზიკო მუდამ კატოსთან იყო, ორნივე ერთ დროს სწავლობდნენ ინსტიტუტში, კატო მეხუთე კლასიდამ დაითხოვეს რაღაც უმართებულო მოქმედებისათვის.

გაათავა თუ არა თავისა და ტანის მორთულობა, კატომ აიღო ძვირფასი თვლებით შემკობილი სამაჯურები და ხელზე გაიკეთა, შემდეგ გაიარ-გამოიარა დიდის სარკის წინ, მიტრიალ-მოტრიალდა და უთხრა ლიზიკოს:

— ქალო, კარგათ შემომხედე, ნატვრის თვალს არ ვგევარ?..

— მშვენიერათა გაქვს ყოველიფერი, კატოჯან, საყდარში წესულის მეტი არა გაკლია რა.—მერე მზაკვრობით უთხრა: ქა, პირზედაც რომ გათეთრებულხარ?...

— სითეთრეში შენ კი ვერ დამცინებ, მაგრამ...

— მერც სიმაღლეში, განა კატო... ნიშის მოგებით ჰკითხა ლიზამ.

— არა, გეთაყვა, შენს მიმხმარს გულ მკერდს არ დაუტოლო ეს ჩემი მადლიანი კოკრები?...

— ქა, კოკრების მაგიერათ რუმბები თქვაა?... სიცილით შენიშნა ლიზამ.

— ქალო, რას ამტეხიხარ ამაღამ?—გაწყვა შენი ფარგა თავი.

— ი!... მეხი კი დავაყარე შენ კვატუშა-თავსა!

— მოდი, ლიზიკო ჯან, კმარა ჩხუბი. შევრიგდეთ......

ქატო მიუახლოვდა ლიზას, გადაჰხვია ხელი და გაჰკოცნა. შემდეგ გაეშურენ და დასხდენ ტახტზე. ქატომ განაგრძო აღტაცებით:

— რომ იცოდე, ლიზიკო-ჯან, როგორ მიყვარხარ?... ნუ იფიქრებ, რომ ოდესმე მოგიცილო, ჩემო კარგო. რაკი ჯვარს დავიწერთ, შენც ჩემთან უნდა იცხოვრო. ასე ამბობენ, იმერეთში სულ იერემიასთანა მოხდენილი თვალ-ტანადი ყმაწვილ-კაცებიაო. შენც ხომ გიყვარს იმერლის სილაზათე და კოპწიაობა. იცოდე, ლიზიკო ჯან, იმერლის თავადიშვილს უნდა მიგცე... ჩემს მეზობლათ უნდა გაგათხოვო, ქალო!... იერემიამ მითხრა, ჩვენს სოფელში სულ თავადიშვილები ცხოვრებენო, მუდამ მისვლა-მოსვლა აქვთო და მშვენიერი დროს გატარება იციანო ერთმანეთში... ოჰ, ღმერთო ჩემო!... მამა ჩემმა კი დანავსა ჩემი ბედნიერების დღენი. რაები არ ულაპარაკნია, ქალო, ჩემს იერემიაზე. ჰა, არ უნდა, რომ იმერეთს გავთხოვდე!... იქაო, ყველანი ავაზაკები არიანო. ზინახავს, ქალო, ამისთანა ვეშაპი?... იერემიაც ავაზაკი არისო... სულ ცხარის ცრემლით მატირა!... რომ დედას არა, კინაღამ გული წამივიდა. მივარდა დედა და ასეთი დღე დაუთია, მიწაში გააძვრინა: შე, ვეშაპო, რა დაგემართა, რას ჩაგვცივებიხარ, რათ მოგვინელეო?... ასპიტი ხომ არა ხარ, შენი კბილით შენივე შვილები დასჭამოვო!... ჩვენ ღირსიც არა ვართ, იმისთანა კაცი ღმერთმა ხელში ჩაგვიგდო!... რას დასჩხავიო შავ ყორანსავით ჩემ ქატოს ბედ იღბალსა... რაები არ უთხრა, ლიზიკო ჯან!... იმას უნდა ვინღაც ღალუსტაანთ ნოქარია, იმას მიმცეს .. მდიდარიაო!... მამა ჩემი თუ მდიდარია, რა ბედნიერება აქვს მითი დედა ჩემსა. ნიადაგ ლანძღვა-გინებაში ვატარებთ დროსა. ქალაქში სირაჯსა და ზარაფს გვეძახიან.

დიდ-კაცის ოჯახში ვერ შევსულვართ. ჩემი იერემია სოტნის კამანდირია, გამოჩენილი აფიცარია. ვალიდას ნათესავია. ღმერთი ბედს მაძლევს, დიდ-კაცობაში ფეხსა ვსდგამთ... მამა ჩემი კი მუდამ დღე ჩაგვჩიჩინებს: რა ჩვენი საქმეა ბედ-დოვლათ ქართველებთან საქმის დაჭერა, ხარჯის მეტი მე იმათ რა უნდა მომცენო?... ერთი ჯვარი დაიწერო, მერე მე ვიცი. ქალო, ამ ლაბაზნიკებში თავი მომბეზრდა!...

რაკი წავალ იმერეთში, აქაურს ცას სულაც აღარ დავინახავ. შენ მიყურე, ლიზიკო-ჯან, მე და შენ რომ სალონს გავმართავთ და მთელი იმერეთის საზოგადოება ჩვენს სალონში დაიწყებს სიარულსა, უჰ, რა ბედნიერი ვიქნებით?...

— აბა, შვილო, მოირთვე კიდეც?...— შესძახა შემოსვლისათანავე კატოს მისმა დედამ, რომელიც ქართულს ხავერდის ქათიბში გამოწყობილიყო.

— დედი, მე მზათა ვარ, აბა შემხედე?... ამ დროს წამოდგა კატო და გაიარ გამოიარა დიდ-სარკის წინ.

— დედა გენაცვალოს, აღდგომის კვერცხივით აწითლებულხარ. შენ ისეთი მოხდენილიხარ, ყოველიფერი დაგშვენდება. აკი მიტომაც არ გააგიჟე, იერემია?... რა მშვენივრად გიხდება თმაში ზურმუხტის ბუზამკალია!... შემდეგ მიუბრუნდა ლიზას და წააქეზა: აბა, ლიზიკო, სტოლი გავაწყოთ: ხმელი ხილი, ტკბილეულობა, შამპანსკები და სხვა ტკბილი სასმელები შევამზადოთ. დაგვიანდა, მეცხრე საათი კიდეც დაიწყო. საცა არის სასიძოც მოვა.

მოსამსახურეებმა ამ დროს შემოიტანეს ვეცხლისა და ბროლის სერვიზი ნათესავებმა ნელ-ნელა იწყეს მოდენა ზალაში. ყველანი მხიარულად იყვენ, მხოლოდ პეტიკ სოვდაგარს რაღაც გული ულრინავდა, აღარავის ალერსიანათ ხმას აღარ სცემდა. განსაკუთრებით მოსამსახურეებს აცხრობდა თავის ჯავრს;

მაგრამ მაინც-და-მაინც დიდს ყურადღებას არავინ აქცევდა იმის ჯაჯღანს, რადგან იცოდენ მისი ამბავი.

ამ დროს მოისმა ქუჩაზე გამალებული ეტლების რიხინი. ზალაში მყოფი სტუმრები ყველანი ადგენ და მიადგენ ფანჯრებს. ვალიდა, ვალიდა!—გაისმა საზოგადოებაში. ცოტა ხანს იქით მართლაც დარბაზში შემოვიდა იგი, პირველად მას მიეგება აეეტიკას მეუღლე თავის ქალიანა; შემდეგ აეეტიკამ დაუკრა მდაბლათ თავი. «ეს რა ბედნიერი წამია ჩემთვის, რომ თქვენს ბრწყინვალებას ვხედავ ჩემს საწყალ ოჯახში,—მოახსენა აეეტიკამ. ვალიდამ დარბაისლურად მოიკითხა ოჯახის პატრონები, გაჰკოცნა კატო და წარუდგინა მას იერემია, რომელიც მას უკან მოსდევდა. ვალიდა დაბრძანდა მდიდრათ მორთულს ტახტზე, გვერდით მოისვა კატო. ამის გვერდით დაჯდა იერემიაცა. იმას ეცვა წითელი ატლასის ახალუხი სირმით გაწყობილი და შავი ეპოლეტებიანი ჩოხა. მისი ქამარ-ხანჯალი, ოქროთ მოჭედილი, ლამპრების შუქზე ელვარებდა. ცოტას ხანს შემდეგ სტუმრები აქეთ-იქით ოთახებში გავიდენ. ვალიდამ წაიყვანა აეეტიკა და მისი მეუღლე ცალკე ოთახში მოსალაპარაკებლათ. დარბაზში დარჩენ მხოლოდ იერემია და კატო.

— კატო, რა ბედნიერი ვარ ამ წამს!... მე როგორ წარმოვიდგენდი, რომ შენისთანა ანგელოზი ჩემდა ბედათ დაისახებოდა. შენი სიყვარული თან-და-თან სწვავს ჩემს გულს.

— კაცებმა ყველამ ეგრე იცით ლაპარაკი, სანამდის ჯვარი არ დაგიწერიათ, მერე კი ეს მხურვალე გული მყინვარზე უფრო ცივი გახდება,—უთხრა კატომ და მოჰკიდა ხელი წითელ ატლასის ახალუხის ღილს, თითქოს ცდილობსო იმის გახსნას.

იერემიამ უცებ აკოცა ამ პუტკუნა ხელს.

კატო ამ დროს აბრეშუმით ნაქარგს ყურბალიშზე მიესვენა. იერემია ინსტიკტურად მიჰყვა მის ნებას, შემოხვია თავის მძლავრი ხელები წელზე და გულის თქმით დაეკონა ქალის

მკერდს. ქატო სრულებით ალიტაცა ვნების ღელვამ, კისერი გადააგდო, თვალები მიბნიდა, ზედა ტუჩები ასწია და მარგალიტის ფერი ტყუბი კბილები გამოაჩინა. იერემიამ გიჟურათ ჩაჰკოცნა მისი ტუჩები და ერთხანს ორნივე იყვენ ასე ხმაგაკმედილნი. უცებ პალიდას შემოსვლამ გასწყვიტა ეს ნეტარი წამი. იმას შემოჰყვენ ქატოს დედმამანი და სხვა შინაური სტუმრებიცა. პალიდას ხელში ეჭირა ორი ნიშნობის ბეჭედი. იგი მოუჯდა ქატოს გვერდით, და იმას და იერემიას ბეჭედი შეუცვალა. ამას შემდეგ მთელმა საზოგადოებამ მიულოცა დანიშნულებს. ქატოს დედის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. იმან გადაჰკოცნა ახალ დანიშნული ქალვაჟი და შემდეგ იერემიას ალარ მოსცილებია. პალიდა ადგა, მივიდა სტოლთან, აიღო შამპანურით სავსე ბროლის კათხა (ბაკალი) და დალია ახალდანიშნულების სადღეგრძელო. სტუმრებმაც დალიეს მათი სადღეგრძელო.

ამ წუთას მხოლოდ ერთის კაცის სახეს რაღაც უსიამოვნობის ღრუბელი ჰქონდა გადაკრული, თუმცა კი ნაძალადევათ მხიარულობდა. ეს იყო ავეტიკა. როცა ყველანი ალტაცებაში იყვენ გართულნი, შამპანურებს სვამდენ, იერემია ქატოს ეტრფიალებოდა, ავეტიკას მეუღლე ილებდა მხიარულად მილოცვას, ხან ერთთან იყო, ხან მეორესთან და ყველას შამპანურს, ხმელ ხილს და ტკბილეულობას აწოდებდა, ამ დროს უეცრად დარბაზში გაჩნდა პოლიციის ბოქაული, იმან დაინახა თუ არა პალიდა, ცოტა არ იყოს, შეკრთა და ზრდილობიანათ წარმოსთქვა:

— უკაცრავად, რომ ამ უდროვო დროს შემხვდა მე აქ ხლება, მაგრამ კანონი ძალას მატანს.

მთელს საზოგადოებას თავზარი დაეცა, ყველამ ხმა გაჰკმინდა. ერთხანს ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის ბზუილს გაიგონებდა კაცი. პალიდა განცვიფრებული შესცქეროდა პოლი-

ციის ბოქაულს, უნდოდა სჩქაროთ მოესმინა ამ უდროვო დროს მისი მოსვლის მიზეზი.

— მე ვარ გამოგზავნილი იერემიას შესაპყრობათ, რომელსაც ბრალდება ბახვა ფულავას ცოლის მკვლელობა.

ქატომ იწივლა და გული შემოეყარა. მისმა დედამ აგრეთვე მორთო კივილი. «წყალი, წყალიო» — გაისმა საზოგადოებაში. ვალიდა გაფითრდა, მაგრამ კიდევ იმდენათ შეიკავა თავი, რომ ბრძანებლობის ხმით უთხრა პოლიციის ბოქაულს: «თქვენ მიბრძანდით და უთხარით ჩემ მაგიერათ პოლიცმეისტერს, რომ ხვალ დილას იერემია ჩემთან იქმნება და, როგორც ენებოს, ისე მოიქცეს. ახლა კი დრო არ არის.

პოლიციის ბოქაულმა პატივისცემის ნიშნათ დაუკრა თავი და გაიღალა. აველტიკას მეუღლის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. გულ-შეწუხებულ ქალს უცბათ გაუხსნეს კარსეტი და ასხეს ოდეკალონი. ის წამის წამს ვარდებოდა უგრძნობლობაში. რომ აღარა ეშველა-რა, ველარ მობრუნდა, ბოლოს აიყვანეს რამდენიმე პირმა და ციმციმ შეიტანეს საწოლს ოთახში. «ექიმი, ექიმიო» — გაისმა ხმა. აველტიკა გავარდა და აფრინა ბიჭი ექიმზე.

ამ საზოგადო არეულობაში თითქოს მცირეოდე მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ორი პირი. ისინი სრულებით გაშეშდენ. ერთი მათგანი იყო იერემია, რომელმაც შემაძრწუნებელი გამომეტყველება მიიღო. მის სახეს დაეცა რაღაც ბინდი, წვერ-ულვაში აბუძგოდა, მსხვილი შუბლზე გადახლართული მისი წარბები კიდევ უფრო მოიღუშენ. წარბებს ქვემოთ დემონური თვალები გიჟურათ გამოიცქირებოდენ. თვით იერემია აღდგომის კელაპტარივით იყო აყუდებული, გრუზნა თმა აქოჩვოდა და სატანის რქებს დამზგავსებოდა. მეორე მხრით იდგა ვალიდა, რომელსაც მობერებული მთვარის ფერი გადეკრა სახეზე. იგი მდიდრულს თეთრ-ბრწყინვალე ტანსაცმელში ისე გამოიცქირებოდა, თითქოს ანგელოზი ჩამოფრენილიყოს

ზეციდან და შებრძოლებოდეს სატანას, რომ საწყალი ქატოს სული დაიხსნას იმის ხელიდან. ერთხან ამ ენით გამოუთქმელს მდგომარეობაში დარჩა მთელი საზოგადოება. ბოლოს პალიდა გამოერკვა, საჩქაროთ მისცა ხელი აკვეტიკას და მისს შეწუხებულს მეუღლეს, რომელსაც აქამდის «ვაი'»-ს და «უის»-ს ძახილი ვერ შეეწყვიტა.

— დამშვიდდით. აქ რაღაც მტრობაა, რომელსაც მე ვერ მიმხვდარვარ. მაგრამ მოგცემთ პატიოსან სიტყვას, მე ჩემის ნათესავის გულისათვის თავს დავსდებ. თუ საჭირო იქნა, თვით მთავარ-მმართებელს მუხლებს მოვუყრი და იერემიას არას გავუჭირვებ, — ანუგეშა პალიდამ ქატოს დედ მამა. შემდეგ გადაჰხედა იერემიას და უბრძანა: აბა, წავიდეთ.

იერემია დარეტიანებულივით უკან გაჰყვა პალიდას, თუმცა იმ დროს იქ ება სრულებითაც არ გრძნობდა, ვის მიჰყვებოდა, რისთვის და ან სად მიდიოდა.

სტუმრები უცბათ გაილალენ, დარჩა დარბაზში აკვეტიკა თავის მოკრიახე მეუღლით მარტოდ-მარტო. ყოველ მისს «უი!»-ს დაძახებაზე აკვეტიკა გაჯავრებული შესძახებდა: «ზაჰრ-უმალ!»...

— მაშ მე ვირის მომდენი ვიყავი, რომ გაფთხილებდი, რაზბოინიკს ქალს არ მივცემ მეთქი?... აი, ეხლა მიბრძანდით შენ და შენი ქალი და ეკოპწიავეთ, ეალერსეთ იერემიას მეტეხის ციხეში!...

მეორეს დღეს მთელს ქალაქში მოიფინა ამბავი, რომ იერემია დაუჭერიათო, მკვლელობას აბრალებენო!

ცოტა არ იყოს, პალიდასაც ეცხებოდა ჩირქი ამ გარემოებით. ბევრი მითქმა-მოთქმა შეიქნა, მრავალნი სავაჭრო კლუბის საზოგადოებასაც ამტყუნებდენ, ამბობდენ, რომ კლუბის წევრები ძალიან განურჩევლად იღებენ ახალ ახალ წევრებსო. ქურდსა და ავაზაკს კარი გაღებული აქვს პატიოსანს საზოგადოებაშიო. ერთს საღამოს ამ გარემოების გამო თვით

სავაჭრო კლუბში ჩოჩქოლი ატყდა, მაგრამ იქ ერთმა გამო-ცდილმა ვაჭარმა დააშოშმანა: «რაო, ვითამ და რა მოხდა?...— იერემიას მკვლელობა დასწამეს?... დიდი რამე ყოფილა! განა ჩვენს შორის კი ცოტანი არიან, რომ იერემიაზე უარესი ბორო-ტება ჩაედინოსთ? აი, ნახავთ, რომ იერემია კიდევ შემობრძან-დეს ჩვენს კლუბში და ისინი, ვინც მას ზიზღით იხსენებენ, კიდევ მისი ყურმოჭრილი ყმები გამხდარიყონ!...

## XX

გასულ გიორგობისთვეს ქ. ქუთაისში ერთს დაბალ ჭერიანს დუქნის უკანა ოთახში დილით ადრიანათ იჯდა თმა-გაშლილი და ულვაშებ-აბურძგული დიდ მუცელა კაცი, რომელიც თვალებ-ამღვრეული გაჰყურებდა პაწია სარკმლით ქუჩაზე. გაღმით აი-მართებოდა ორ სართულიანი ქვით-კირის შენობა, რომლის დიდი კარები წამის წამს იღებოდა და შიგ სასამართლოს მო-სამსახურენი შედიოდენ. ყოველ კარის გაღებაზე და კოკარდის დანახვაზე იმ კაცს სახე იჭმუხვნებოდა. ეტყობოდა, რომ მას არც ეს სასამართლო მოსწონდა, არც ეს კოკარდიანი კაცები. ყველას წყევითა და კრულვით იხსენებდა. იმ კაცს რაღაც გარემოებით გული ჰქონდა დაჩაგრული. ამ დროს გაიღო დაბალი კარი ოთახისა და შემოვარდა ჩერქეზულს ტანისამოსში გამოწყობილი ცალგვერდელა, თვალებ გადმოკარკლული და მანჭია კაცი. ისეთი სისწრაფით შემოვარდა ის, რომ კაცს ეგონებოდა დუქანში ცეცხლი გაჩენილაო და უნდა ეს დაღვ-რემილი კაცი უბედურებას გადაარჩინოსო.—ახალი ამბავი, ახალი ამბავი!—შეჰყვირა იმ მანჭია კაცმა. გულდაბურულმა კაცმა ნელა მოიბრუნა სახე და ყურთა სმენათ გადიქცა. —იე-რემია ჩამოუყვანიათ ქალაქიდან და სატუსაღოშია გამოჭი-მული.

ამ სახელის გაგონებაზე ის კაცი, რომლის სახეც აქამდის

დალონებისა და სასოწარკვეთილების მეტს არას გამოხატავდა, უკბათ წამოვარდა ადგილიდან და გალალებულს წელზე უნე-ბურათ მოისვა ხელი, თითქოს ხანჯალს ეძებსო, თვალები გად-მოაბრიალა და შესძახა:

— რას ამბობ?

— ნამდვილს მართალს ვამბობ.

გამომძიებელს ყოველიფერი აუხსნია, ზივი დაუჭირავს, რომელიც გამოტეხილა. ამ სახელის გაგონებაზე დიდმუცელა კაცი ისევ უკბათ მოეშვა, თითქოს თავზარი დასცემოდეს და ჩაიკეცა სკამზე უძლურათ.

როგორც მკითხველი მიხვდება, ეს კაცი იყო ბახვა ფუ-ლავა; ხოლო ამბის მთხრობელი — მისი ვექილი წუნკალა ჩაფ-ხოტაძე. — რას შეწუხებულხარ?. — ვაჟკაცი არა ხარ?. . შესძახა წუნკალამ. ძლივს გასჭრა ბოლოს ღვთისა და კაცის სამარ-თალმა. ბოროტ-მოქმედს აწ კი აუგებენ წესსა.

— ვინ იცის, ფონი ჯერ კიდევ გასავალს არის. იმას ძლიერი პატრონები ჰყავს. კიდევ გამოძვრება. — წარმოსთქვა უიმედოთ ბახვამ.

— ბრალდებითი ოქმი კიდეც ჩაუბარებიათ იერემიასათვის. ამ ერთს კვირას უნდა განიხილონ მისი საქმე ოლქის სასამ-რთლოში. ქუთაისში დიდი მითქმა მოთქმაა ამ საგანზე. ბევრსა სწყინს, ბევრი კი მხიარულია. ის აქამდისაც უნდა გაეგზავნათ კატორღაშიო. რაც იმან ცუდი საქმეები ჩაიდინა, საკვირველია, აქამდისაც როგორ დადის დედამიწაზეო? იძახიან ყველანი.

ბახვამ გადმობლანცა თვალები, დააბჯინა სტოლზე ნი-დაყვი, ჩამოსდო ხელზე ნიკაპი და ასე გაშტერებული ყურს უგდებდა ვექილის ლაპარაკსა. მის სახეზე ორ ნაირი აზრი იხატებოდა: ერთი — თავმიცემულობისა, როცა კაცი უიმედო-ბაშია ჩავარდნილი და მეორე — ამბის მოსმენისა, რომელიც ნახევრად სჯეროდა.

— ძალიან არ მოახერხა გამომძიებელმა?... ჩინებული კაცი ყოფილა — დაიწყო წუნკალამ. — ჟანდარმის ოქმი რომ აღმოჩნდა, მითი მტკიცდებოდა, რომ იერემია იმ ღამეს ქალაქს წასულიყო, როცა შენი ცოლის მკვლელობა მოხდა. შემდეგ აღარავითარი საბუთი, არც შენი ჩვენება და არც ესმასი სიკვდილის ჟამს პატივდებაში აღარ იყო მისაღები. ისე იყო წაყვანილი საქმე, რომ გამომძიებელს კანონის ძალით უნდა წარედგინა მოსასპობათ. მაგრამ დახე იმის ჭკუის გამჭრიახობას, მის სულგრძელობას!... რაკი ერთხელვე ეჭვი შეიტანა, თუმცა თვალსაჩინო საბუთი არა ჰქონდა, მაინც საქმეს აღარ მოეშვა, დროებით მიავიწყა იგი, თუმცა თვალგაფაციცებული ეძებდა ყოველგან, რომ რაიმე კვალი მიეგნო ბოროტ-მოქმედებისა. ჭეშმარიტად განგებაა, თორემ რაღა იმ ვაგონში მოხვდა, სადაც საბაია ზაპარიაშვილი კონდუქტორს უყვებოდა თავის თავგადა-ვალს, იმ ღამის ნალაპარაკევი ერთი სიტყვაც არ გამოპარვია გამომძიებელსა, რომელიც თურმე მიბნელებულის ვაგონის კუნ-ჭულიდან ყურს უგდებდა. შემდეგ იკვლია, იკვლია, დიდხანს იკვლია საქმე, ბოლოს იმ გლეხსაც კი მიაგნო, რომლის ოჯახშიაც ზივი წოლილიყო შენგან დაჭრილი. ბოლოს სტაცა ზივს ხელი. ჯერ თურმე ძალიან უარზე დადგა; მაგრამ როცა პირში წაუყენა საბაია ზაპარიაშვილი და თვით მისი მომრჩენე-ლი გლეხიცა, მაშინ კი წახდა თურმე, დაიწყო ტირილი, ყოველიფერს ამ საქმეს იერემიას აბრალებდა და ეხვეწებოდა გამომძიებელს გულ ახდილათ გამოტეხისათვის დასჯის შეღავათსა. ზივი ჩააგდეს სატუსაღოში და იერემია მოაყვანინა ქალაქიდან დაჭერილი. იმასაც პირში წაუყენა ზივი. წახდა, თურმე ფერი ეცვალა, ისე გახდა, როგორც ყვითელი ბაია; მაგრამ დახე იმის გაუტეხლობას!... პასუხი შეიტანა, რომ ზივიმ ყოველივე მტრობით გადმომაბრალაო, რადგან ფოთში ყოფნის დროს კონტრაბანდის გამოტანაში დავიჭირე და 6 თვე ფოთის სატუსაღოში გამოალპესო,

იერემიას ჩვენი ენატანტალა ვექილი სივილა აუყვანია. როგორც კი დაუჭერიათ იერემია, მაშინვე სივილა დაუბარებიათ ტფილისს, ფული წინ-და-წინ მიუციათ და დაჰპირებიან გაგაკეთებთო, ოღონდ მოეხმარე იერემიას და ამ ხიფათისაგან გამოიხსენიო. ესეც მაშინვე გაქცეულა ფოთში, შეუტყვია იქ ყოველივე ზივის ამბები, მაშინდელი იერემიას ამხანაგები ყველა უნახავს და ისინი მოწმებათ დაუნიშნავს. თვით ზივის გამოძიების საქმე დაწვრილებით შეუსწავლია. ფოთის დამოქნიდან მის შესახები გამოძიების კოპიოები გამოუტანია და უნდა ყოველი ღონისძიებით დაამტკიცოს, რომ ეს ბოროტ-მოქმედება თვით ზივის საქმეა და იერემია, ვითომც შიგ მტრობით იყოს გაბმული.

სანამდის წუნკალა ამ ამბის ლაპარაკში იყო, ბახვას თან-და-თან ეროდა ბრაზი და ბოლოს რომ ველარ მოითმინა, წამოვარდა ზეზე ამ სიტყვებით: ჰოი, მაგათი სული აღარ იყოს!... იტყვიან სამართალია ქვეყანაზეო!... სივილას რომ სინდისის ნატამალი ჰქონოდა, აგრე მოიქცეოდა?... ქაცის მკვლელს და მთელის ოჯახის ცეცხლზე დამდებს გაუხდებოდა მფარველად?... ვთქვათ, იერემია დასაკარგავია, მაგრამ ეგ სივილა ძაღლივით დასახრჩობია!... განათლებაო!... მაგისთვის იზრდებიან უნივერსიტეტებში, რომ ქვეყანა გარყვნან და აწყალი კაცი ამოიჭამონ?... აწ რაკი მაგნაირი კაცების სინსილა გამრავლდა, საწყალს კაცს როგორღა გაეძლება ქვეყანაზე, — დაჰკრა ბახვამ ჯავრიანათ მუშტი სტოლზე.

— დამშვიდდი, ბახვა, ვერას იზმენ. იერემიას დღე დათვლილია. შენი გულის წადილი არ შეიძლება, რომ არ ასრულდეს. ღმერთი არ დაჩაგრავს მართალ კაცს.

— ეჰ, ძმაო, ესე რომ იყოს, მაგისთანა კაცებს როგორ უნდა ედგომებოდესთ ქვეყანაზე, რატომ მეხი არ უნდა დაეცესთ!... მაგრამ არა, ძმაო. ქვეყანაზე პირუტყვობის

მეტი არა არის რა.—ბახვამ დაიწყო გაცხარებით ოთახში სიარული.

ამ დროს ოთახში შემოიმართა ერთი წითელწვერა, პირხმელი მაღალი კაცი, რომლის თვალები ვეცხლის წყალივით აქეთ-იქით დახტოდენ თვალის ქუთუთოებში.

წუნკალას მის შეხედვაზე რაღაცახირებული თრთოლვა მოუვიდა. ბახვამ შეასწრო თუ არა თვალი ამ კაცს, მიუბრუნდა წუნკალას და მეგობრულათ უთხრა: თუ ძმა ხარ, ცოტას ხანს დუქანში გაისეირნე. ჟექილმა იჭვიანათ შეხედა ბახვას და კარი გაიგდო. მის გასვლისათანავე კარები ჩარაზეს. მერე ბახვამ მისცა ხელი მეგობრულათ ახალ მოსულსა.

— მე გუშინღამ ჩამოვედი ქალაქიდან,—დაიწყო წითელწვერამ.—როგორც პირობა გვქონდა, ისე მოვიქეცი. იერემიას სადგომი მივიკვლიე. მისი მოსამსახურე დავიმეგობრე; გავანდვე ყოველფერი, შენი უბედურებაც დაწვრილებით ვუთხარი, სულ გული ავუტირე. ძალიან შეებრალე, შემწეობასაც დამპირდა. ვერ წარმოიდგენ, შენი უბედურება რომ შეიტყო, რანაირათ შეძულდა იერემია! დავასკვენით პირობა, იმ კვირის სწორისათვის უნდა დავესხმოდით თავზე... იერემია ქალაქში პირველი კაცი ყოფილა. მის სახლში, აფიცრიდან მოკიდებული ღენერლამდის, ყველანი დადიოდენ. ორი ბედაური ისეთი უბია სახლში, რომ ძმასა და ძმას შუა თითო სამას მანეთად არ გაიცემა. შეტლოდ ფეხს არა სდგამს. მთელი პოლკის ხარჯი და მზრუნველობა მის ხელში ყოფილა. ამ ორის კვირის წინათ ერთი მდიდარი სოვდაგრის ქალი დაენიშნა და დიდებულს ქორწილს ემზადებოდა. ჩვენ გვინდოდა ქორწილის წინაღამეს დავესხმოდით თავზე. შენთანაც მინდოდა ერთი ამხანაგი გამომეგზავნა, რომ დროით ჩამოსულიყავი; მაგრამ ნიშნობის მესამე დღეს იერემია დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს: თურმე შენი ცოლის მკვლელობას აბრალებენ და გამომძიებელს კიდეც დაუმტკიცებია მისი ბოროტ-მოქმედება.

— მადლობა ღმერთს—ჩაილაპარაკა ბახვამ თავისთვის.

— ახლა ძმაო,—განაგრძო ახალ მოსულმა,—რაც ფული მომეცი, კიდეც დამეხარჯა საქმეებზე. ის კი არა, ცოტა ვალიც წამომყვა. იერემიას მოსამსახურეს ოც-და-ათი თუმანი მივეცი. ჩემი ამხანაგები საშველს არ მაძლევენ: რჩენა გვინდა, ფული მოგვეცი, თვარა ან მოგკლავთ, ან დაგიჭერთ და მთავრობასთან წარგადგენთო. ჩემისთანა უბედურს მდგომარეობაში კაცი არ არის. ერთი წამის მოსვენება არა მაქვს. ყველასი მეშინია, შინაურისა და გარეულისაცა.

— რამდენი გინდა?... შეეკითხა ბახვა.

— ოცდაათი თუმანი; თუ არ მომეცი, მე აქედან ვერ წავალ.

— ძმობამ, ახლა, ამ ოცის თუმნის მეტი არა მაქვს. წაიღე და ამ ცოტას ხანში კიდევ მოგაწვდენ.

ახალ მოსული სახეზე გადახალისდა.

— აწ როგორ უნდა მოვიქცეთ?...—დაითვალა ფული თუ არა, ჰკითხა ბახვას ახალმოსულმა.

— ჯერ-ჯერობით, შენ აღარა ხარ საჭირო. მოუყუროთ სამართალს. იერემია დაჭერილი ჩამოუყვანიათ ქალაქიდან. ამ კვირაში გაასამართლებენ. თუ სამართალმა ჩემი სისხლი ამოიღო, ხომ კარგი; თუ არა და მე მაგ საქმეს თავს ვერ დავანებებ. ცოლის სიკვდილის შემდეგ—მე ცოცხლებში აღარ ვურევივარ. აღარც სიკვდილის მეშინია და აღარც ციმბირისა. ჩემთვის სულ ერთია. ჩემს გულს მარტო ერთი რამე დაამშვიდებს: ან იერემიას მოკვლა, ან იმისი ციმბირს გაგზავნა, მანამდის მე სალრჩობელა მაქვს კისერზე მობმული. დღე-და-ღამე სისხლი მომწოლია კისერში და მახრჩობს. ცოცხლად ტანჯული შევიქენი, სანამდის იერემიას დასჯილს არ დავინახავ, მეც ამ ტანჯვაში უნდა ვიყო. მეტის ჯავრისაგან ხან და-ხან სიგიჟეც მომდის, შინაგანს ცეცხლს ღვინით ვანელებ ხოლმე.

— შენი ნებაა. მოვუცადოთ. მაშ მეცა და ჩემი ამხანაგებიცა მანამდის შენს სამსახურში ვითვლებით.

— დიაღ, ახლა ამ მხარეს გაეცალეთ, არავინ შეგნიშნოთ. ხომ იცით, პოლიცია თვალს გადევნებსთ.

— ჩვენ ამელამვე მოვკურცხლავთ ზურიისაკენ.

— არაყს არ დალევ?—ჰკითხა ბახვამ.

— კარგი იქნება.

ბახვამ თვითონ გაიდა დუქანში და ერთი დიდი სტაქანი არაყი გამოუტანა ახალ მოსულს.

მან გადაშუშა, გაჰკოცნა ბახვა, რომელმაც გზა დაულოცა და გაჰქრა ოთახიდან.

## XXI

წუნკალა მეტად აღელვებული შეიქნა. ის თუმცა გავიდა დუქანში, მაგრამ ისევ მალე დაბრუნდა და ფეხ-აკრეფით მიეპარა დუქნის ოთახს, საცა ბახვა და ახალ მოსული საუბრობდენ. იმან კარის ჭვრიტიმალში მიადვა ყური და მოისმინა ყოველიფერი. როგორც კი იმათ საუბარი გაათავეს, წუნკალა გახტა ისევ დუქანში და წინ შემოეგება ბახვას, რომელმაც მედუქნეს ერთი სტაქანი არაყი ჩამოასხმევინა სტუმრისთვის. ბახვა წუნკალას თავისი ყოფა ცხოვრებით ხელში ჰყავდა ჩაგდებული და გაფრთხილებული იყო მუდამ, რომ ვისმე გარეშე კაცს აღარ დაეჭირა მასთან საქმე. ახალ მოსულის ნახვა და ბახვასთან საუბარი არაფრად იამა მას. განსაკუთრებით, როცა მათი საუბარი მოისმინა, სულ გადუტრიალდა გული. აი, სად ხარჯავს და რა კაცებს აძლევს ბახვა თავის ამოგებულს ფულებს?... იმან იცნო ვინც იყო ის ახალ მოსული. მას ციმბირელი უწინაც ბევრჯელ ენახა და ამ ბოლოს დროს მაინც იმისი და იმის ამხანაგების მოქმედებით ქვეყანა იყო აყაყანებული. პოლიცია და მთელი ღუბერნიის მთავრობა ფეხზე იყო

დაჭენებული, უნდოდათ რამენაირათ ან მოეკლათ, ან დაეჭირათ ავაზაკების მოთავე. ახლა წუნკალასათვის ორნაირათ საჭირო იყო, რომ ეს კაცი მთავრობას ჩავარდნოდა ხელში, რადგან მის ბახვას ფულისაგან სცლიდა. იმან მაშინვე განიზრახა პოლიციისათვის შეეტყობინებინა მისი ქუთაისში ჩამოსვლა; მაგრამ ჯერ უნდოდა თვით ბახვასთვის გადაეცა, რომ ყოველივე კავშირი გაეწყვიტა მას ციმბირელთან, რომ პოლიციას ხიფათი რამე არ აეჭენა თვით ბახვასთვის და იმათ კავშირის კვალს არ წატყდომოდა. მეორე ესეც ჰშურდა, რომ ბახვას ფულები ციმბირელს მიჰქონდა, რადგან იცოდა, ადრე თუ გვიან ყველა ბახვას ფულები მის ხელში უნდა გადასულიყო. მას აქეთ რაც სასამართლომ სისხლის სამართალში მიცემა გადუწყვიტა ბახვას «პოდლოლებისათვის», წუნკალა მარჯვე დროს ეძებდა დაეტყუებინა მისთვის ვექსილები ორი იმდენის შეძლებისა, რაც ბახვას ებადა. იმან იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ ბახვას დაამწყვდევდენ სატუსალოში, მას ჰსურდა მანამდის მოეხდინა ესე ყოველივე. მაგრამ ჯერ მარჯვე დრო ვერ ჩაეგდო ხელში მოსალაპარაკებლათ.

წავიდა თუ არა ციმბირელი, იგი მაშინვე შევარდა გულგახეთქილი ბახვასთან და ჰკითხა:

— ის კაცი ვინ იყოო?

— ერთი ჩემი ძმა კაცი იყო, იმას ბევრი ამაგი მიუძღვის ჩემ[illegible]—უთხრა გულდამშვიდებულათ ბახვამ.

— რა უნდოდა აქ?...

— ჩემ სანახავათ მოვიდა.

— აბა, მე გეტყვი, ეგ ვინც არის. ეგ ციმბირიდან გამოქცეული არ არის, პოლიცია რომ დღე და ღამე დაეძებს?

— რას ლაპარაკობ წუნკალა?... ზანა ეგრე მიცნობ, ციმბირელებთან დავიჭერ საქმეს?

— ბახვა, კმარა ხუმრობა. სიმონა ციმბირელს მოხარ-

შულსაც ვიცნობ. მე არ ვიყავი, მაგის ვექილი, კაცის მკვლე-ლობისათვის რომ ასამართლებდენ?... რა ამბავია, ბახვა, რომ მე შენ მაგისთანა კაცებს ვერ მოგარიდე?... პოლიციამ რომ შეიტყოს, ხომ შენც მაგასთან გაგძაგრავს.

— შენ არ ეტყვი და სხვამ არავინ იცის,—ღიმილით უთხრა ბახვამ.

— აგრე გგონია. დუქანში შემოვიდა პოლიციის მეთვალ-ყურე, გამიხმო განზე და მკითხა: სიმონა ციმბირელი ჩამოსულა ქუთაისს და ამ დილას ამ დუქანთან გაუვლიაო, შენ ხომ არ მოგიკრავს თვალიო. მე დავუფიცე — არ მინახავს-მეთქი. რა გვეშველებოდა, რომ შენი ოთახი დაესინჯა, როცა იმასთან საუბრობდი. კაცო, გეუბნები თავი დაანებე მაგისთანა კაცებს, თორემ დაიღუპები.

— მეტიღა დაღუპული კიდევ იქნება ვინმე, მე რომ ვარ?— სასოწარკვეთილებით უთხრა ბახვამ.

— შენ ხომ არ იცი. აქამდის ვერ გითხარი, ვერ გაგი-ბედე, არ მინდოდა უმისოთაც მწუხარე შემეწუხებინე, მაგრამ რა ვქნა? რომ დაგიფარო, ჭირი მაინც თავისთავს არ დამა-ლავს. ძალიან უბედურათ წავიდა შენი გამოძიების საქმე.

— მერე რა?—კითხა ბახვამ, რომელიც ოდნათაც არ აგდებდა «პოდლოგის» საქმეს.

— ექსპერტებს დაუმტკიცებიათ, რომ რიცხვი წლისა და თვისა იმ დოკუმენტში ყოველგან სხვისი ხელით გადასწორე-ბულიაო. სასამართლოში მითხრეს, რომ შენ ბრალდებითს ოქმს გიდგენენ, რომ ორჯერ გნდომებია მევალესთვის ფულის გადახდევინება. ბევრი გეხვეწე მაშინ და არ დამიჯერე. მაშინვე გითხარი, რომ კარგი არა გამოვიდოდა რა იმ გადასწორებით; მაგრამ ვერა შეგასმინე-რა მაშინ, ახლა მე ცოცხლათ ვიტან-ჯები, როცა ვფიქრობ, რომ ვაი თუ მე გავხდე უნებურათ შენი დაღუპვის მიზეზი.

— დარდი ნუ გაქვს მაგისი, ყოველიფერში მე თვითონ ვარ დამნაშავე — სანუგეშებლათ უთხრა ბახვამ. მე შენი მადლობის მეტი არა მმართებს-რა. მრთად ერთი შენ დამრჩი ამ უბედურებაში მეგობრათ.

— ძმობამ — გულმტკივნეულათ უთხრა წუნკალამ — ვსწუხვარ და ვერა მომისაზრებია-რა. რაც შენ ფულები გაქვს ასალები აღმასრულებლობითი ფურცლებით და ვექსილებით, თითქმის ათას თუმანზე მეტი იქნება. რომ რამე გაგიჭირდეს, ვის უნდა დარჩეს ეს ქონება? გააკეთე ახლავე ანდერძი, ან ზედ წარწერით გადაეცი ეს საბუთები რომელსამე შენს ნათესავსა.

— მე მაგაზე აქამდის არ მიფიქრია. სწორედ ეგ კარგი მომაგონე. მაგრამ იცი წუნკალა? — გულახდით უნდა გითხრა, ქვეყანაზე აღარც ნათესავი მყავს, აღარც მეგობარი. ნათესავიც მტრად გადამეკიდა და მეგობარიც, შენს მეტი. მაშ გააკეთე, ან მირჩიე, როგორც რიგი იყოს, მე თვითონ დავაწერ დოკუმენტებზე, რომ ჩემ შემდეგ ჩემი მოძრავი ქონება ყოველივე შენი იყოს. უძრავი ხომ სულ ერთიანათ ჩემმა ბიძაშვილმა ნესტორამ წამართვა.

— მაგას მაინც არ ვიზამ, დანა რომ გამიყარო ყელში, — უთხრა წუნკალამ.

— მე შენ რასაც გეუბნები, ის ჰქენი, — უთხრა ბრძანებლობით ბახვამ.

— არა, არ შეიძლება. მე ჯერ ჩემი სინდისი არ გამიყიდია... მაშინ მოგიკვდეს წუნკალა!

— წუნკალა! — შესძახა ბახვამ. მე არ გეხუმრები. შენ თუ, მართლა, ჩემის გულის შემატკივარი ხარ, აი, ეხლა გამოგაჩნდება. რადგან ჩემი ვექილი ხარ, უნდა გაგიტყდე, არც შენზე მაქვს ნდობა, ასე მგონია, მღალატობ, რადგან ვიცი, რომ ჩემი მემკვიდრე არა ხარ. როცა გულახდილათ დაგიმტკიცებ

ყოველს ჩემს ქონებას, იქნება მაშინ დაირწმუნდე, რომ შენ ჩემი ერთგული იქნები.

— ძიდეც ემაგისთვის არ მინდა, რომ დამიმტკიცო რამე, რადგან მე შენი ერთგული ვარ. რასა შვრები, ბახვა, ვგონებ, შენს ჭკუაზე აღარა ხარ.

— მე დიდი ხანია ჩემს ჭკუაზე აღარ ვარ. მაგრამ ის მე ვიცი, რასაც ვშვრები. და თუ არ გინდა ჩემი პატრონობა, ახლავე უნდა გავიყაროთ. მე სხვა ვექილს მოვძებნი.

— ქალო, რას გაუგიჟებიხარ, რას ლაპარაკობ? მე შენი ვერა გამიგია რა?..

— ზეუბნები დოკუმენტები გამიკეთე-მეთქი შენზე გადმოსაცემათ. არ გინდა და მშვიდობით.

— შენი სამოწყალოდ მე არა მჭირს-რა—უთხრა თითქოს გადაწყვეტით წუნკალამ.

ამას შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. წუნკალამ მოიწყინა და შესცქეროდა ბახვას გაშტერებით. იმას ვერ გამოერკვია, როგორ უნდა მოქცეულიყო, რა ეპასუხნა? ბოლოს ღრმათ ამოიხვნეშა, ორი ცრემლი გადმოაგდო და გულშემატკივრათ უთხრა ბახვას: ძმაო, ბახვა, ისე მებრალები, მგონია, ჩემს თავს რაღაც ფარსაგი არ აუტეხო, შენ რომ ეგრე ზნეობით აღელვებულს გხედავ. თუ რამ შენს გულში კიდევ მეგობრობის ნაპერწკალი ღვივის, ერთს რასმე გთხოვ და ამისრულე.

— რა არის?—ჰკითხა ბახვამ.

— ამ წუთას ნუ მატან ძალას, რომ დოკუმენტები შენი, ჩემზე გადმოსაცემი, გავაკეთო; ცოტა მოითმინე, როდესაც იერემიას დასჯიან და შენ გული დაგიმშვიდდება, მაშინ თუ კიდევ შენმა გულმა ჩემი გაბედნიერება გირჩიოს, რაც გინდა, ისა ჰქენი. ახლა კი მეტს ნურარას გამიმხელ.

— არა, არა, არ შეიძლება. მე რაც ვსთქვი, ის უნდა მოხდეს. ხვალიდამვე უნდა შევუდგეთ საქმეს. ვინ იცის, მერე

რა მოხდება? იქნება მე ამელამ მოვიკლა თავი. რასაც გეუბნები, შენ ის გააკეთე — დაჟინებით დაიძახა ბახვამ.

— შენი ნებაა, — ხვნეშით წამოიკრინა წუნკალამ. ის გამოეთხოვა ბახვას და კარი გაიარა.

ქუჩაზე რომ გამოვიდა, სიხარულისაგან თავი ვერ დაიჭირა, ერთი გიჟურათ ასწია მხრები და ჩაიქრიტინა. წუნკალა გახდა ამ სახით ბახვას მემკვიდრე. ყველა ვექსილებზე და აღსრულებითი ფურცლებზე დააწერინა წუნკალაზე გადაცემა და ნოტარიუსში დაამტკიცებინა. ნაღდ ფულს არ შეხებია, რადგან გულარხეინათ ფიქრობდა, როცა ციმბირს გადუწყვეტენ, მაშინაც მოვესწრები იმ ფულების ხელში ჩაგდებასაო. მხოლოდ მას ჰქონდა ციმბირელის შიში და იმავ მინუტში გასწია პოლიციაში, რომ სწორ კვალზე დაეყენებინა ციმბირელის მდევარნი. იმან გაასწავლა ისინი ზურიისკენ. მაგრამ მართლა იქით წავიდა სიმონა ციმბირელი, თუ სხვა მხრით, ეს თვით სიმონას მეტმა არავინ იცოდა.

## XXII

ნაფიცი ვექილი სივილა ერთი იმ განათლებულ ახალგაზდათაგანი იყო, რომლის ცოცხალი ბუნება, ბასრი ენა და მოძრავი ტვინი ჯერ კიდევ ღიმნაზიაში ბევრს იმედს იძლეოდა. მან მშვენიერათ დაათავა აქ სწავლა და განემგზავრა უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი ნორჩი და მღელვარე მგრძნობელობა ბევრის კარგის მოქმედების თავდები იყო, მას რომ ჰქონოდა მტკიცე საფუძველი აღზრდაში.

ამ მხრით ქართველს ყმაწვილს დიდი ჴანია ნიადაგი აქვს დაკარგული. აწინდელი საზოგადო ზნედაცემულობა უფროს მეტად ამ გარემოებას მიეწერება. ძველი აღზრდითი წესი მოიშალა, სარწმუნოება, უმცროს უფროსობითი მორჩილება და ბუნების ენაზე გონებითი წარმატება შეფერხდა. ნივთიერი

შეძლება, რომლითაც განისაზღვრებოდა უწინ დედ-მამისა და ოჯახის მუდამი ზედამხედველობა ყმაწვილზე, დღეს აღარავის შერჩენია. ვაჟი, ან ქალი ცხრა წლიდან მოკიდებული მოშორებულია დედ-მამას და შორს ქალაქში გაგზავნილია სხვის ანაბარათ. იქ იგი ისეთს სახლობაში იზრდება, საცა მომეტებულ ნაწილათ დღიური ლუკმის ვარამი თვით იმასვე აგდებს გარყვნილების ლექში და აი, სად ეძლევა ჩვენს მოზარდს თაობას ესე ვითარი მაგალითი, აი რა ნიადაგი ზრდის ქართველს ყმაწვილსა. ამისთანა გარემოებაში იმას რა ზნეობა უნდა შერჩეს, ან რა სარწმუნოებრივი გრძნობა უნდა განეღვიძოს, ან რა პატივის მოყვარება უნდა შეითვისოს. ბავშვი, დედ-მამის უსაშველობისაგან შორს გაბარებული, ვიგინდარათ და უპატრონოთ მიგდებული, გამოდის ან ზნეობითად მახინჯი, ან ადრევე ესპობა სიცოცხლე. ასეთს მკაცრს გარემოებას იშვიათად თუ ვინმე აიტანს, რომ შემდეგ ცხოვრებაში დარჩეს მტკიცე ხასიათისა და მტკიცე ზნეობის მექონი. ის კი არა ჯერ ამის მაგალითი არც ჩემს თვალს უნახავს, არც სხვას მოსწრებია, მომეტებულ ნაწილად თუ ვინმე ყმაწვილობიდგანვე მაგარის ბუნებისა და გონების პატრონი გადურჩა ამა გარემოებას, ის მაინც ცხოვრებაში მტკიცე ხასიათს მოკლებულია. მას ადვილათ რყვნის ცხოვრების ვითარება და დაბალის ხარისხის მიმართულებანი. აი, ამ ნიმუშის ახალგაზდა იყო ჯერ კიდევ პაწია ღემნაზიის შეგირდი სივილა. როცა მან დაამთავრა სწავლა და სამშობლო ქვეყანამ მოსთხოვა მას სამსახური, იგი ვერ აღუდგა წინ ცხოვრების მძვინვარებას, მან უცბათ შეითვისა იგივე ღირსება და იგივე მწიკვლი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს აწინდელს ცხოვრებას სხვა-და-სხვა გარეშე მოქმედების ძალით სარჩულად დაედვა.

სივილა უნივერსიტეტიდან ჯერ კიდევ სტუდენტათ დაბრუნდა თავის ქვეყანაში; იმ დროს მასთან ლაპარაკი სწორეთ

სასიამოვნო იყო. იმას მუდამ ენაზე ეკერა საზოგადოებისთვის თავგანწირულება, იმის გულისთვის დაუღალავი შრომა და მსხვერპლის მოტანა. მას მიეღო სტუდენტობის მოძრაობაში მონაწილეობა და კიდეც ამისთვის გამოესტუმრებინათ იქიდან ასე ადრიანათ. მაგრამ ამითი მას უფრო კარგი სახელი ჰქონდა ტოლ-ამხანაგში დავარდნილი. სივილა არ ეშვებოდა სწავლის გათავებას. ის ხელმეორედ აპირებდა უნივერსიტეტში გამგზავრებას.—თუ ღმერთმა მომასწრო და დიპლომი მეღირსა, მე ვიცი, მაშინ რაც ვიქნები ჩემის მოძმეებისათვისო. მე უნდა გავხდე დაჩაგრულების ვექილიო. ბევრი მისი ამხანაგებთაგანი, რომელთაც უმაღლესს სასწავლებელში კურსის დასრულება არ ღირსებოდათ, გატაცებულნი იყვნენ იმის ლაპარაკით.—სივილა, ეუბნებოდენ ისინი—შენ ოღონდ მოდი მალე, მეტი არა გინდა-რა. ჩვენ ყველანი მხარს მოგცემთ, შენის გულისათვის ცეცხლში ჩავდგებითო, ეტყოდენ ნაამხანაგარნი, როცა სვირის ღვინით თავი ჰქონდათ გახურებული. იმ დროებში სივილა სოფლად დაიარებოდა თავის ნათესავებში და მეგობრებში. საცა მივიდოდა, ყოველგან მისი ნაამხანაგარნი, თუ ვინმე აღმოჩნდებოდა, უმართავდენ მას ლხინსა; შეიქნებოდა ტოლუმბაშობა, სიტყვების წარმოთქმა და სხვა. სივილა ყოველთვის თავს გამოიჩენდა ხოლმე ამისთანა შემთხვევაში. იმის სიტყვას ტაშის კვრით და მოწონებით მიეგებებოდენ. ამისთანა დროს გატარებას ბოლო არ ჰქონდა, სანამდის სივილა მეორეთ არ განემგზავრა უნივერსიტეტში—კურსის დასასრულებლათ. წვეულობის დროს ყველას მოსწონდა მისი სხარტი ენა და მაღალ საგნებზე ლაპარაკი: მამულის სიყვარულზე, სამშობლოს შვილის მოვალეობაზე, ქველმოქმედებაზე და სხვ. ყველანი აღტაცებული იყვნენ მისი აზრებითა. ორ წელს შემდეგ კურს დასრულებული კანდიდატის დიპლომით მობრუნდა სივილა თავის ქვეყანაში და მაშინვე შეჰყო ხელი ვექილობასა. მას შემოეხვიენ ნაამხანაგარნი და

დაუფათურდენ საქმეების შოვნას. პირველსავე შემთხვევაში მას შეხვდენ სავექილოთ ისეთი კაცები, რომელთაც ვექსილებით და ჯარიმით ჰსურდათ მევალეებისაგან ფულის აღება, ვალის გადახდევინება. პირველ შემთხვევაშივე მას გარს შემოედვენ სულ ჩარჩები და იმისთანა კაცები, რომელნიც ათი-თორმეტად ასესხებდენ ფულსა და რაც უფრო მაგრათ გააძრობდენ ტყავს თავის მევალეებს, რაც უფრო ბევრს წაართმევდენ, მით უფრო ესახელებოდათ თავი, თუმცა იმავე დროს სივილასთან თავს იკატუნებდენ და დღენიადაგ შესჩივოდენ თავის მევალეებზე, რომ ისინი ვითომც ამათ უსინდისოთ მოექცენ, ვითომც გან-ზრახვა აქვთო სულ დაგვიკარგონ ჩვენი ნაშრომი მითი, რომ აპირებენ ცოლზე, ან სხვებზე მამულების გადამტკიცებასაო. Ისინი ამისთანა კაცებს სივილას წინაშე ეძახდენ „ავილე—ალარ მოგეციო." მართლაც სივილას ძალიან მოეწონა ეს სხარტი შედარება და ყოველს მევალეს პირიანს და უპიროს ყველას ერთს ტაფაში აქცევდა, ყველას მოჩივრების ჩარჩების თვალებით დაუწყო ცქერა. Იმათ ეძახდა გაიძვერაებს, რომელთაც ვითომ ჰსურდათ მოსესხეებისათვის ქჩა ქვეშიდგან გამოეძროთ. ხშირად საზოგადო ლაპარაკში ისეთ ახირებულს აზრებს წამოურევდა სივილა, რომ გეგონებოდა, ეს მაღალი განათლების პატრონი კაცი ჩარჩებს უჭერდა მხარს და არა მათგან ჯვარზე ცმულებსო.

ზემოხსენებული რჯულის კაცებს გარდა სივილას დაესიენ მრავალი ბოროტ-მომქმედი პირები, რომელთაგან ზოგს ქურ-დობა ბრალდებოდათ, ზოგს ავაზაკობა, ზოგს კაცის კვლა, ზოგს «პოდლოლები». მიწის მფლობელობითს საქმეებში უფროს მეტად იმისთანა საქმეები იყო, სადა ან მფლობელობის დარ-ღვევა, ან უძრავის საკუთრებაზე შეღავება იყო გამოცხადებული. რადგან წერილობითი საბუთები ბევრს არ ჰქონდა უძრავს ქონებაზე, მეტი წილი ამისთანა საქმეებისა სასამართლოში

მოწმეების კითხვით წყდებოდა. საჩივრის ინტერესი იმას ჰქონდა, ვინც ძალმომრეობაზე იყო დამდგარი, ვინც სხვას მფლობელობას ურღვევდა და ჰსურდა საქმე გაეტანა. სულ ამნაირი ხალხი მირბოდა სივილასთან, ქებას ასხამდა მის ცოდნას, მის განათლებას, და ეძებდა მის მფარველობას. ისინი ასე ეუბნებოდენ: აბა, სივილა, შენთან იმისთვის მოვრბივართ, რომ გაგვიგონია, დიდი განათლებული, დიდი სჯულისა და კანონების მცოდნე კაცი ხარო. ერთ მხარეზე დასდებ კანონებს, იმ მხარეზე გამოვა სამართალიო, მეორე მხარეზე დასდებ—მეორე მხარეზე გამოვაო. აბა მიმსახურე, მიირთვი, რასაც ითხოვ, და საქმე კი მომაგებინეო. ისინი პირდაპირ ეუბნებოდენ: მართალია, მე ვიძალადე, მფლობელობა დავურღვიე; მაგრამ შენთან მისთვის მოვრბივარ, მე რომ მიჭირს, მე უნდა დამეხმარო, მე უნდა მომაგებინო საქმე, თორემ მართალს კაცს რა დახმარება უნდა. ის უმისოთაც მოიგებს, თუ შენ არ გადმოსწიე სჯულის სასწორი ჩემსკენო. ავათმყოფს უნდა წამლობა, თორემ კარგათ მყოფი ექიმთან რათ მიიქცევაო. ამავე გვარათ შესჩიოდა ყოველი ბოროტ-მომქმედი კაციცა, რომელიც სივილას შემწეობით ეძებდა თავის შველასა:—აბა, სივილა, გაჭირვებული ახლა ვარ, ახლა მიშველე, დამიხსენ სამართლისაგან, შემთხვია ცოდვა, კაცი შემომაკვდაო, ან კიდევ: გავბრიყვდი და მეზობელს დავესხი თავზე, გავცარცვე და დავსჭერიო. ოღონდ დამიხსენ განსაცდელისაგან და მიირთვი რამდენიც გინდაო.

სხვა ნიადაგი ვექილის მოქმედებისა აღარა გამოჩნდა-რა ჩვენს საზოგადოებაში არც სასარგებლო, არც სასახელო. ვინც სიმართლეს და სინიდისს მისდევდა, იმას სამართლის კარზე ვერც კი გაატარებდი, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, იქ არ შესულიყო, თუ გაჭირვება და ძალმომრეობა არ შეიყვანდა. მაშინაც ძვირად მიიქცეოდა ვექილთან, რადგან სწამდა სიმართლეს რაღა დახმარება სჭირიაო. მაშასადამე ვექილი რომ ამგვარის კაცების იმედათ დარჩენილიყო, შიმშილით უნდა ამოხდენოდა სული.

თუ რომელსამე ვექილს ჰსურდა ცხოვრების საშვალება უხვად მოეპოვებინა და საზოგადოებაში კარგი ხმა გავარდნოდა, უსათუოდ უნდა ცდილიყო, ბევრი უსამართლო საქმე მოეგო, ბევრი ბოროტის-მოქმედი გაემართლებინა. ამისთანა გარემოებაში ჩაყენებულს კაცს რკინის ხასიათი, გული და ქვის მოთმინებაც რომ ქონებოდა, ბოლოს მაინც უნდა მომბალიყო და და გაჰყოლოდა ანვარების მოყვარე კაცებსა.

ვექილი სივილა მალე შეიპყრო ამგვარმა ცხოვრების ვითარებამ. მისი ნაამხანაგარნი სულ ფუტკარსავით დაედევნ და ცდილობდენ, კარგი მომგებიანი საქმეები ეშოვნათ იმისთვის. რაკი მას ენამჭევრობა შეატყვეს და კანონის მოხერხებულათ ტრიალი, საიჭვო ზნეობის კაცები სულ იმას მიესიენ. სივილას ჩაუვარდა ხელში ბლომათ ფული. მას დღე-და-ღამ მის ნაამხანაგევ კაცებისაგან მოსვენება არ ჰქონდა; იმათ დაიწყეს ერთის მხრით სივილასა და მეორეს მხრით მოჩივარ-მოპასუხეებს შორის შუამავლობა, სარგებლობდენ ამ უკანასკნელებისაგან თითოოროლა მანეთს და ურიგებდენ საქმეს სივილასთან. ამას გარდა თვით სივილა-ადვოკატის სახლი მათთვის შეიქნა კარგალებული. ისინი აქაც კარგათ ატარებდენ დროებას კარტის თამაშში და სადილ-ვახშამში. სივილამ მალე იცვალა ფერი ამისთანა საზოგადოებაში. თუმცა უწინდულათვე არ იშლიდა მაღალ ჰანგზე ლაპარაკსა, ახლაც ისე ამბობდა, როგორც უწინ: მე მსხვერპლად უნდა გავხდე ჩემის ქვეყნის გულისთვისო, დაჩაგრულების ზურგი უნდა შევიქნეო; მაგრამ ნამდვილათ გამოდიოდა, რომ ის ჩარჩების, ძალ-მომრევების და ავაზაკების ზურგათ და შემწეთ გამხდარიყო. სამართლისაგან დევნულნი ბოროტ-მოქმედნი მთელ საზოგადოებათ წარმოედგინა, თვით სასამართლო იმათ ხაფანგათ, რომელშიაც თუ კი ვინმე ზემოხსენებულის რჯულის კაცთაგანი ჩავარდებოდა, ის ყოველს ღონისძიებას, მართალსა და არა მართალს, ხმარობდა, რომ

იქ ჩაბმული გამოეხსნა. კანონებში და სენატის გადაწყვეტილებებში ეძებდა ისეთს გარემოებებს და კაკვებს, რომლითაც შესაძლებელ ყოფილიყო დამნაშავეს გამართლება. ის მიეჩვია მოწმეების დარიგებას და დამნაშავეთა სწავლებას, რა უნდა ეთქვათ მსაჯულთ წინაშე და რა არა. ამ სახით იმან ყოველ უკუღმართს საქმეს მიჰყო ხელი მისდა უნებურათ და ამით განითქვა სახელი ჩინებულის ადვოკატობისა. იმან დაიწყო საქვეყნოთ ქადაგება: „სამართალი და დანაშაულობა სულ პირობითია. ჩვენ ვამბობთ, რომ ამა-და-ამ კაცმა კაცი მოჰკლა, ამა-და-ამ ჩარჩმა სხვას ტყავი გააძრო, ყოფაცხოვრებისაგან გაცალაო. დიაღ, ვამბობთ და კიდეც ზიზღით ვუყურებთ, ვითომც ბოროტ-მომქმედსა; მაგრამ თუ ზერელათ არ განვსჯით და სათავეში გავშინჯავთ საქმეს, გამოვა, რომ ის კი არ ყოფილა დამნაშავე, რომელსაც კაცი მოუკლავს, არამედ ის, რომელიც მომკვდარა, რადგან ამ უკანასკნელს განზრახვა ჰქონია პირველის მოკვლისა. ტყუილად არ არის ეს ანდაზა ხალხში დარჩენილი— «ის კი არ არის დამნაშავე, ვინც მოკლაო, არამედ ის, ვინც თავი მოაკვლევინაო». ჩვენ ვეძახით ჩარჩს ყოველს მოსისხეს, რომელსაც გაჭირვებულისთვის ხელი გაუმართავს და შემდეგ ამ გაჭირვებულს აღარ ნდომებია ფულის გადახდა. რომელია აქ ჩარჩი, ის, ვინც გაჭირვებაში მეზობელს დახმარებია, თუ ის მეზობელი, რომელსაც ფულის შეხვილიფვება ნდომებია მამულის სხვაზე გადამტკიცებით? გავიხსენოთ ლირის სიტყვები: «არავითარი დამნაშავე არ მოიპოება ქვეყანაზეო». მე, როგორც ვექილსა, როგორც დამცველსა ყოველის გაჭირვებულისა და დამნაშავისა, არ მწამს დანაშაულობა. თვით სამართალი, კანონი, და სასამართლო მაძლევს უფლებას დავიცვა ბოროტ-მომქმედი, შევუმსუბუქო სასჯელიო». ამგვარი მსჯელობით იგი შეიქნა ნამდვილი ავაზაკების დედა-ბურჯი, მალე შეითვისა მათი ხასიათი, ცხოვრება და შეხედულობა.

ამიერითგან სივილა რაც უფრო დიდის ავაზაკის განთავისუფლება შეიძლებდა სამართლისაგან, იმდენათ უფრო თავი მოსწონდა, იმდენათ უფრო ნიჭიერებისა და ჭკვიანობის სახელი ჰქონდა დავარდნილი მის გარემორტყმულს წრეში, ამხანაგობაში და მთელს საზოგადოებაში. ეს იყო ნამდვილი ნაყოფი ჩვენის ახალ ცხოვრებისა.

## XXIII

სივილამ სიამოვნებით აიღო იერემიას დაცვა. იგი დაიბარა პალიდამ, რომელმაც მომხიბლავის პატივისცემით მიიღო და თავის ბრწინვალე დარბაზში გააცნო უმაღლესი სასამართლოს მოსამსახურენი. სივილას მოძრავი ჭკუა და მჭევრმეტყველება ფრიად მოეწონათ იმათ, ზოგმა კიდეც დაიახლოვა. დაბრუნდა თუ არა, სივილა კიდევ უფრო გულსმოდგინეთ შეუდგა იერემიას საქმის შესწავლასა. თუმცა ზედმიწევნით მიმხვდარი იყო, რომ ნამდვილათ იერემიას მოეხდინა ეს მკვლელობა, მაგრამ საქმის გარემოება, მისი ფორმალური მხარე ისეთ ნაირათ იყო დაცული, რომ იერემიას გამართლებას წინ აღარა უდგა-რა. იმან იცოდა პროკურორის აზრი, აგრეთვე მოსამართლეებისა, რომელნიც ბეჯითად დარწმუნებულნი იყვნენ იერემიას დანაშაულობაში; მაგრამ სივილა კიდე უფრო აღტაცებული იყო ამ გარემოებით. ის გრძნობდა, რომ შინაგანს დარწმუნებას აღაგობრივის მოსამართლეებისას მისი მჭევრმეტყველება ვერ შეარყევდა; მაგრამ როცა საქმეს აპელაციით გადიტანდა უმაღლესს სასამართლო დაწესებულებაში, აი, იქ მოელოდა მას ბრწყინვალე შედეგი. იმან იცოდა, რომ იქ განსაკუთრებით ფორმალურს მხარეს სამართლის წარმოებისას მიაქცევდენ უფრო დიდს ყურადღებას. თვით ფორმალურად შედგენილი საბუთები მისკენ სწევდენ სამართლის სასწორსა. იქ ხომ გულით დაჯერებული მოსამართლეები აღარ იქნებოდენ.

იმათ უნდა ამოეკითხათ და განესაჯათ იერემიას დანაშაულობა მხოლოდ ფორმალურის საბუთებითა, რადგან სხვა უფრო პატივსადები საბუთი, ესე იგი შინაგანი რწმენა, თვით საზოგადოების რწმენა იერემიას მოქმედების შესახებ მათს გონებაში ვერ გაივლიდა. სივილა წინდაწინვე სტკბებოდა თავისი ძლევით.—მაშინ მიყურონ, აქაურს მოსამართლეებს რომ ფრთებს ჩამოვაყრევინებო—ამბობდა იგი გულში.

ბოლოს დაინიშნა იერემიას საქმის გარჩევაცა. მთელი ხალხი სამართლის კარებს მიაწყდა. საზოგადოებამ დილითგანვე იწყო დენა სასამართლო დარბაზში. იგი ისე გაიტენა მაყურებლებით, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა ძირსა. მათ შორის მრავალი იყო იერემიას ნათესავი, მეგვარე და კეთილის მყოფელი. ბევრი მისთანაც ერია, რომ საინტერესოთ მიაჩნდათ მართლმსაჯულების ძლევა. ისინი გულით დაჯერებულნი იყვენ იერემიას ბოროტ მოქმედებაზე და უნდოდათ შეეტყოთ, რამდენათ ძლიერი გამოჩნდებოდა პირუთნეველი სამართალი კაცის მიერ შემზადებულს ხერხზე. ჯერ სხდომა არ დაწყებულიყო—ბივი და იერემია არ შემოეყვანათ, არც მოსამართლეები გამოსულიყვნენ, რომ სივილა რიკულებს შიგნით ასპარეზზე მიდი მოდიოდა ფრაკით და გამოცდილს ფალავანდს ჰგავდა, რომელსაც თითქოს ჩოხის კალთები შეეკეცა და ელოდა მოპირდაპირეს.

ამ დროს შემოიყვანეს დამნაშავენი, ბივის სულ დაკარგვოდა ზნეობითი ძალა, ეტყობოდა, იგი ზეზეულათ ისჯებოდა; სახეზე მხდალი გამომეტყველება ჰქონდა, თვალები მუდამ ძირს დაეშვა და მთელი ის დღე ზევით არ აუხედნია. იერემიას დასდებოდა ნაცრის ფერი, სახეზე გამხდარიყო და თვალები ჩაცვინოდა; მაგრამ მისმა ახოვნებამ მაინც საზოგადოების ყურადღება მიიქცია.—ბრალი არ არის ამისთანა ვაჟკაცის გაუბედურებაო—გაისმა ჩურჩული ქალებში. მოსამართლეები გამოვიდნენ, სხდომა დაიწყო. თავმჯდომარე შეუდგა მოწმეების

კითხვას; შემდეგ ჟანდარმის ოქმი წაიკითხა, მერე პოლიციის წინამორბედი გამოძიება.

ბახვა შულავა როგორც ვნებული ამ ბოროტებისაგან, იქ იყო მიწოდებული. მას თავის მხრით მოეყვანა მოწმეებათ მოჯამაგირენი და მუშები, რომელნიც იმ ღამის მკვლელობას დასწრებოდენ. ბახვა იჯდა სახე-გაჭარხალებული და მოსამართლეებისათვის თვალი არ მოუშორებია. ერთხელაც არ მიუხედავს იქითკენ, სადა ზივი და იერემია ისხდენ.

ადვოკატი სივილა დიდათ მეცადინობდა, ჩაუდგა ბახვასა და მის მოწმეებს კვალში, უნდოდა იმათი ჩვენება აერია. როცა ყოველივე დასაბუთება საქმის გათავდა, თავსმჯდომარემ მოსთხოვა პროკურორს სიტყვა წარმოეთქვა. ამან იხელმძღვანელა გამოძიებით და ისე ცოცხლათ გამოხატა მკვლელობა ესმასი იერემიასაგან, რომ მთელი საზოგადოება შეარყია. შემდეგ მოჰყვა სივილა. იმან სამ ნაწილად გაჰყო თავისი სიტყვა. პირველი დააფუძნა ჟანდარმის ოქმზე და წარმოსთქვა აზრი, რომ კაცი, რომელიც ტფილისში იმყოფებოდაო, იმავ დროს აბაშის სოფელში ვერ გადაფრინდებოდაო, რომ მკვლელობა მოეხდინა. მეორე ნაწილში იმან დაარღვია საბაია ბაპარიას ჩვენება შესახებ იერემიასი, მითი რომ საბაია ბაპარიამ ვერ მოიგონა იერემიას ტანსაცმელი და მისი სამხედრო ნიშნები იმ დროს, როცა ვითომც იგი ჩამომხდარიყოს მის დუქანში. ის ამტკიცებდა. რომ მართალია საბაიას დუქანში მკვლელები ყოფილან, მაგრამ მათში იერემია არ რევიაო. ამასთანავე იმან დაარღვია ბახვა შულავას ჩვენება და ამტკიცებდა, რომ ღამეში არ შეიძლებოდა კაცის ნამდვილათ ცნობა, ნამეტურ მაშინ, როცა თვით ბახვა ბრძოლაში იყო გართული ერთ მკვლელთაგან—ზივისთან, რომელიც კიდეც დაეჭრა. იგი რადგან მოსისხლე მტერი იყო იერემიასი, წარმოიდგინა, რომ უსათუოდ იერემია უნდა ჰრეოდა მის უბედურებაშიო. მესამე ნაწილ-

ში განიხილა ზივის დამოკიდებულება იერემიასთან, რომელიც მან ძალათ გახვია საქმეში, რადგან ძველი მისი მტრობა ჰქონდა გულში კონტრაბანდის დაჭერის გამო და ისიც იცოდა, რომ იერემიას ესმა უყვარდაო. ბოლოს წარმოსთქვა, რომ ზივიმ და მისმა ამხანაგებმა მოახდინეს ეს მკვლელობა, ალბათ გაცარცვის გულისათვის, და იერემია აქ არაფერს შუაშიაო.

მისმა ლოღიკურმა სიტყვამ საზოგადოებაში მოწონების მითქმა-მოთქმა გამოიწვია: «იერემიას უსათუოდ გაამართლებენო». ახლა თავსმჯდომარე მიიქცა ბახვასთან და მოითხოვა მისგან პასუხი.

ბახვა წამოდგა, შეანათა იერემიას ცრემლ-მორეული თვალები და შესძახა: «შე, ურჯულო, რას ემართლებოდი ჩემს უმანკო ანგელოზს ესმას, რომ გვერდი ხანჯლით გაუპე?!»... იერემიამ ამ სიტყვებზე სახე იქით მიიღო და ვეღარ შეხედა ბახვას.

შემდეგ ბახვა მტირალი ხმით მოჰყვა იერემიას დამოკიდებულების ამბავს ესმასთან, პირველათ მან როგორ შეაშინა ესმა ღამეში, მერე ისიც მოიხსენა, როცა ესმა ქორწილს შემდეგ ეტლში ჯდებოდა, როგორ მიეპარა მას ბახვას შეუნიშნავათ და გააგონა ეს სიტყვები: «ბოლოს მაინც ჩემი იქნებიო». იმან დაასურათა გრძნობიერათ ესმას შიში და შემდეგი აღშფოთებული ცხოვრება ამ საშიშარის სიტყვების გამო, უკანასკნელათ იმან აწერა მთვარიანს ღამეში ესმას ბრძოლა იერემიასთან, როცა ხელში აყვანილი გატაცებას უპირებდა, მაგრამ ესმამ არ დაანება თავის თავი; წარმოადგინა ძალიან ცოცხლათ იერემიასაგან ხანჯლის ფერდში ჩაკვრა და ესმას კივილი: «აკი, მომკლა ამ ურჯულომ, ბახვა, მიშველე, მოგიკვდიო!». დაიძახა თუ არა ეს სიტყვები, ბახვამ ცრემლები გადმოჰყარა და გულსაწვავათ ატირდა. საზოგადოებაში მოისმა კვნესის ხმა, ქალები აქვითინდენ, მაგრამ მაყურებელნი კიდევ

უფრო აალელვა შემდეგმა ბახვას სიტყვებმა: «ვთქვათ, საქაოს კაცის სამართალმა გაგამართლოს, ღმერთს რაღას ეუბნები, რა პირით მიხვალ მასთან, როცა მის მფარველობას ქვეშე მდგომარე ჩემი ძმა შემოგკივლებს: «აი, აგერ მოდის ჩემი მკვლელიო!...» ქვნესისა და ქვითინის ხმა კიდევ უფრო გაძლიერდა საზოგადოებაში.

ამ დროს იერემიამ ორივე ხელები მიიფარა სახეზე. მოსამართლენიც შეარყია ამ სურათმა. თავსმჯდომარემ ჰკითხა იერემიას, ხომ არა გაქვს რა დასამატებელიო. იერემიამ თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა:

— ჩემი პასუხი ჩემმა ვექილმა მოგახსენათ. მე ბრალი არა მაქვს რაო.

მსაჯულნი გავიდნენ მეორე ოთახში და ნახევარს საათს შემდეგ გამოიტანეს თავის გადაწყვეტილება.

იერემიას ჩამოართვეს ღირსება და თორმეტის წლით გაგზავნეს კატორღაში, ბივი კი რვა წლით.

იერემია გაშრა, თვალები კიდევ უფრო ჩაუცვინდა. ბივი უხეიროთ ატირდა. მათ შემოერტყენ სამხედრო დარაჯები და გაიყვანეს სასამართლო დარბაზიდან.

სივილა ძალიან აალელვა ასეთმა გადაწყვეტილებამ. ის დადიოდა ერთს ხანს სასამართლო დარბაზში და ბახვას გასაგონათ იძახოდა: «ძალიან უსამართლოდ გადასწყდა ეს საქმე. შეუძლებელია, რომ უმაღლესმა სასამართლო დაწესებულებამ შეიწყნაროს ამნაირი გადაწყვეტილებაო. ფორმალურის მხრით კანონი დარღვეულიაო. მე ხვალვე შევიტან აპელაციას და ვნახოთ, თუ იერემია არ გამართლდებაო».

## XXIV

ბახვა ფულავამ იერემიას განსჯას შემდეგ საშინელი მძიმე ტვირთი მოიხსნა ზურგიდან. იგი სულით დამშვიდდა, დაამდა,

ამ წამს იგი მიემსგავსებოდა იმისთანა კაცს, რომელიც რამდენსამე წელიწადს ბნელს ხაროში ყოფილა ჩამწყვდეული და უცბათ მის საპყრობილეში მზის შუქი შეჭრილა. იმას ჯერ კიდევ არ სჯეროდა თავის ბედნიერება, როგორც იმ ტუსაღს ბნელს ხაროში, რომელიც სინათლეს გადაჩვევია და პირველი მზის შუქი რაღაც მოჩვენებათ მიაჩნია. მას ჰსუროდა ეს თავის ოცნება ვისმესთვის გაეზიარებინა, ამ წუთას გასჩენოდა ვინმე ისეთი მეგობარი, რომ მისი სიტყვითაც მოესმინა თავის მოულოდნელი ბედნიერება. აი, ამ დროს დაეწია მას ქუჩაზე გახარებული წუნკალა, რომელიც თან სიცილით და თან ხელების მტვრევით უკან მოსძახოდა: ბახვა, მომილოცავს!... ძაცო ეს რა ჰქენი შენ დღეს. პირველ ადვოკატს აჯობე, მისი ბრძნული სიტყვა, მისი შეურყეველი საბუთები სულ თავზე დაამსხვრიე, ლაფი დაასხი. ძაცო, პირველი ადვოკატი შენ ყოფილხარ!... მთელი საზოგადოება აატირე, მსაჯულებს გული შეუძარი!... ეს რა ჰქენი?... დღეს ნამდვილათ შენ შეიქენი იერემიასთვის ღვთის რისხვათ მოვლენილი, მისი განმსჯელი, მისი ცოცხლათ დამტანჯველი. როგორც ეშმაკი მთავარ ანგელოზის წინაშე, ისე მოიბღუნძა იგი შენს წინაშე. ჰაჰ!.. ჰაჰ!... ჰაჰ, ჰაჰ!... რა იყო?... ჯერაც ვერ მოვსულვარ გონებაზე.

ეჰ, არა, ჩემო წუნკალა. ეს ჩემი მკვდარი გული მაინც აღარ გაცოცხლდება. მე დღეს მართალია გულის ჯავრი ვიყარე; მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, ნაღველი არ მომეშლება. ერთხელ დამწარებულს სიცოცხლეს ველარა დაატკბობს რა. ჯერ კიდევ მაინც ფონი გასავალს არის. ვინ იცის, უმაღლესს სასამართლოში საქმე როგორ დატრიალდება? სანამდის იერემიას ჩვენი ქვეყნის ცა თავზე ჰხურავს, მანამდის მე მშვიდობა არ მეღირსება.

— ნუ გეშინია. იმასაც მალე ნახავ, რომ იერემია თავმოპარსული ტუსაღის მაზარით და წინ გულზე შავ-ფიცარ და-

კიდებული გამოიჭიმოს დარაჯებ შემოხვეული ამ ჩვენს მოე-დანზე. ფიცარზე ეწერება მისი კარგი კაცობა: «კაცის მკვლე-ლობისთვისო». როცა დაფის ცემით ჩამოატარებენ და ციმბირს გაუსაჯებენ, მაშინ ხომ დაიჯერებ.

— მე ამ ბოროტებით სავსე ცხოვრებაში აღარა მჯერა რა. ბანა ცოტანი არიან, მაგნაირი ბოროტების ჩამდენნი, გა-მართლებულნი?

— მაგას რაღა მოეხერხება. მაგის საქმე გადაწყვეტილია.

— იერემიას მძლავრი მფარველები ჰყავს.

— მაგრამ მაგას კაცი კი არა, ზეცაც ველარ უშველის.

— ვნახოთ, რა იქნება—იჭვიანათ წარმოსთქვა ბახვამ.

ამგვარი ლაპარაკით ისინი შევიდენ სასაჭმო დუქანში. ბახვამ მოითხოვა სადილი. სამი, ოთხი სტაქანი ღვინო ზედის ზედ გადაჰკრა და გამხიარულდა. შემდეგ უფრო მოსვენებით დაიწყო ლაპარაკი.

როცა შუა ჭამაში შევიდენ, ბახვა თითქოს სულ გახა-ლისდა. ის შეუდგა მომავლის ფიქრებსა, უთხრა წუნკალას, რომ სახლი ვიყიდოთო და ერთად დავიწყოთ ცხოვრებაო. შენ ჩემი საქმეები აწარმოვე და მე, როცა იერემიას ციმბირი-საკენ გავისტუმრებ, ისევ ვაჭრობის საქმეს შევუდგებიო. ღმერთმა ჩემის ბიძაშვილის ნესტორას დასაცინარი ნუ მომკლასო.

მეგობრებმა მადიანათ სჭამეს პური. სადილს უკან ბახვამ კიდეც გაუხუმრა წუნკალას ცოლი უნდა შეგრთო, კარგი მზითვიანი ქალიო და მე მამათ უნდა დაგიდგეო. ეხერო, შენს მეტი მემკვიდრე ხომ აღარავინა მყავს?...

ეს პირველი იყო მისი ხუმრობა ესმას სიკვდილს შემდეგ. წუნკალას თითქოს გული მოუვიდა ამ ხუმრობაზე და გაჯავე-რებით შესძახა: «ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და შენი მემკვიდრეობაცა».

იმას წარმოუდგა თვალში, რომ ბახვა მართლა დამცინისო.

ეს იმის ნიშანია, ვაი თუ ჩემი შინაგანი გულის წადილი შეიტყო, აზრი აილო ჩემს გაიძვერაობაზე და უნდა თავი იხსნასო. ასეთი ფიქრი მით უფრო დასაჯერებელი იყო, რომ ბახვას გონება განთავისუფლდა იმ საპყრობილისაგან, რომელსაც ყოველივე მისი მოსაზრება, გარდა იერემიას ზღვევისა, დაებნელებინა. ახლა რა კი იერემია დასაჯეს და ბახვასაც შეუსრულდა თავის საწადელი, უეჭველად მის გონების თვალებს ბინდი ჩამოეცლებოდა და დაინახავდა წუნკალას უმზგავსო ხრიკებსა. ჩაფხუტაძე აპილპილდა, როგორც სჩვევია ყოველს დანაშაულს ბოროტ-მომქმედს, როცა, განზრახვით, თუ გულმართივათ, სულ ერთია, გადაჰკვრენ მისგან ჩადენილს ავკაცობასა.

— არა, ჩემო, წუნკალა, გული არ მოგივიდეს. განა შეგშურდა ჩემი ხუმრობა?... აი, რა გესლიანი გულის ყოფილ ხარ? თითქოს მარიგებდი ნაღველს ნუღარ შეინახავო?.. . უთხრა გრძნობით ბახვამ.

წუნკალა ახლა კი მიხვდა ბახვას გულმართივობასა და დაშოშმანებულმა უთხრა:

— ბახვა, შენი ჭირიმე, მეორედ ნუღარ გამიხუმრებ მემკვიდრეობაზე. მე, ძმაო, მოგნდობივარ, რადგან მებრალები, რომ ცხოვრებაში არავის გაუტანიხარ. მე შენგან ბევრი სიკეთე მახსოვს, შენისთანა გულკეთილს და პატიოსანს კაცს ჯერ არ შევყრივარ. ამიტომაც გემსახურები ერთგულათ, მინდა შენი საქმე არ წავახდინო, მტერი არ გავახარო. იქნება, მართლა იმას ფიქრობდე, რომ მე შენი ქონების ინტერესი მქონდეს?... არა, ძმაო. თუ მაგას ფიქრობ, ბარემც მითხარი და მოგშორდები.

— კაცო, რას გაუგიჟებიხარ? მე ვრჩები და მგონია ჩემი ავათმყოფობა ახლა შენ გემართება. რაებს ლაპარაკობ?. . ვინ რა გითხრა მაგ აზრით? შენ გგონია, მე ვისიმე გავლენით რამე გავაკეთო, ან მოვიქმედო? ეგ თავის დღეში არც ყოფილა და

არც იქნება. მე ვარ ერთი ჩემი ნება კაცი. რასაც გავივლებ გულში, უნდა ავასრულო. ხუმრობა კი ნუ გგონია, რომ შენ მემკვიდრეთ მინდებხარ. სრულებითაც არა. მე ჩემს დღეში ცოლს აღარ შევირთავ. ნათესავებს მოვშორდი, საზოგადოება აღარ მინდა, რადგან გაჭირვების დროს, ყველამ ხელი დამირეკა. თუ ჩემის ხელით გამოჩიჩქნილმა და კაცად გამოყვანილმა ბიძაშვილმა გამცარცვა, სხვას ვისღას უნდა ვენდო? შენ დამრჩი ერთად-ერთი ჩემი ამხანაგი, მეგობარი და სიტყვის გამცემი ჩემს უბედურებაში. მაშ მე ვინ უნდა მყავდეს შენზე მახლობელი? დამერწმუნე, არავინ. ამას გულახდილათ გეუბნები. მე თუ ვიცოცხლე, იცოდე შენთვის ვიცოცხლებ და ჩემს გადაწყვეტილებას ვერარაფერი შეცვლის.

წუნკალას აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. «ჩემო ბახვა, ჩემო დედა, ჩემო მამა, ჩემო ყველაფერო, ერთი მამაშვილურად გადამეხვიე, მაკოცე, გული დამიამე — ჭიკჭიკობდა შეზარხოშებული წუნკალა და თან ეხვეოდა ბახვას. რა, ძმაო, მე შენი რათ რამე მინდა?... მადლობა ღმერთს, სანამდის ეს სამოსამართლო წესდება არ მოიშლება, ვენაცვალე იმის მომგონს, ჩემს შრომასაც შესაფერი ჯილდო ექნება.

— მაგას ვინ გეუბნება?... ვინ რამე გკადრა? მე შენ მხოლოდ გხედავ ჩემ საკუთრათ ამ სოფელში და შენთან მინდა გავატარო დანარჩენი ჩემი გაძალლებული ცხოვრება.

— რა კი ეგრეა, უთხრა წუნკალამ — მეც ღმერთმა შენს მეტი მამა ნუ მომცეს. მაგრამ ერთს კი გეხვეწები, იმ ციმბირელს თავი დაანებე.

— ჯერ ვერა, ჯერ ვერა. ფონი გასავალს არის, — დაატანა ბახვამ.

— შენ არ იცი იმ კაცის ამბავი? რასაც დაგიგულებს, სულ-ხორცისაგან გაგცლის.

— არა. მე იმასთან პირობა მაქვს შეკრული. უკეთუ ერთს

საქმეში დამჭირდა, უნდა ამისრულოს და მისი სასყიდელიც მზათა მაქვს. ეს ორასი თუმანი თუნდ წყალში გადამიგდია.

— აბა, მითხარი, რა პირობა გაქვს?... თუ ჩემად გინდა თავი, ნურას დამიმალავ.

— ჯერ ვერ გეტყვი, ჯერ ვერა. მოვა დრო, ყოველიფერს შეიტყობ.

— ეგ რაღა თავისიანობაა, თუ კი ჩემგან დაფარული გაქვს რამე.

— ამასაც გეტყვი, მაგრამ მერე, როდისმე. ახლა არა და ნურც ჩამცივდებიხარ.

— შენი ნებაა, მაგრამ ბოლოს არ ინანო. რომ გეთქვა, იქნება რასმეში გამოგადგებოდი, ვინ იცის, იქნება, კიდეც ვიცოდე შენი საიდუმლო და რჩევა მინდოდეს, მაგრამ ნებას რომ არ მაძლევ.

— სწორეთ არ გაძლევ. მაგას თავი დავანებოთ. სიამოვნების პურის ჭამას ნუღარ დავიმწარებთ. სიმწარე და შხამი იერემიას დავუღოცოთ.

«გაუმარჯოს ყოველს დაჩაგრულს და მართალს კაცს!» — წამოიძახა მხიარულებით ბახვამ და სავსე სტაქანი დაცალა.

— გაუმარჯოს! დაატანა წუნკალამ.

ერთს საათს იქით ამ ორს მეგობარს ტკბილათ ჩასძინებოდათ თავშექცეული პაწია დუქნის ოთახში მწვირიანს მუთაქაზე.

## XXV

ერთს განიერს ქუჩის ქუჩის პირად აიმართებოდა ორ სართულიანი ქვითკირის სახლი. საღამოს მეცხრე საათზე მის თალით შეკრულს მუაჯირთან მიადგა ეტლი. მეორე სართულიდან ბოლქვად გამოდიოდა კანდელების შუქი, რომელიც ზოლ-ზოლათ ეფინებოდა არამც თუ ქუჩაზე, არამედ მისგანვე

განათებული იყო პირდაპირ ამართული მაღალი სამ-სართულიანის სახლის კედლებიდა. ძარგს დარიანს ღამეში ამ ქუჩის ქვაფენილზე უყვარდათ სეირნობა იმ უბნის მცხოვრებლებსა, რადგან, როგორც ცხოველი სინათლით, ეგრეთვე ეტლების რიხინითა და სტუმრების მოსვლითა ეს კუთხე სხვა ადგილებზე უფრო გაცოცხლებული იყო. მოსეირნეთა თითქმის ყოველთვის იმ დიდებულს პირზე ჰქონდათ ლაპარაკი, რომელიც ორ-სართულიანს სახლში ცხოვრებდა. ზოგი რას ჭორავდა, ზოგი რას; მაგრამ თვით იმ დიდებულს მდგმურს ყოველთვის პატივისცემით იხსენებდა, თითქოს მხოლოდ მას არ შეეხებოდა ის მწიკვლი, რომელიც სხვა უფრო დაბალის წოდების გვამზე რომ თქმულიყო, უეჭველად თავზე ქუდს, ან მანდილს მოხდიდა.

იმ დროს ამ მოაჯირთან მხოლოდ ის ერთად-ერთი ეტლი იდგა, საიდგანაც გადმოხტა მაღალი კოთხოიანი კაცი, შინელში გამოხვეული და ოდნათ მიაკარა თითი შესავალს კარებთან მიჭედილს ელექტრონის ფოლაქსა. მოისმა ზარის რაწკუნი და იმავ წუთსავე გაიღო დიდი კარები. ბაჩირაღდნებულს დერეფნიდან გამოვარდა ცხოველი შუქი და კიდევ უფრო გაანათა ის არე-მარე. დერეფანს აუყვებოდა მარმარილოს კიბე, ძვირფასი წითელი მაუდით ჩამოგებული, რომ სტუმრების ფეხის ხმა ასვლის დროს არ გახმაურებულიყო. ახალ მოსულს სტუმარს კარებში მოეგება ჩინებულათ ჩაცმული კარის დარაჯი; მისი ყვითლად მოქარგული საყელო ლამპრების შუქზე ბრჭყვინავდა.

— ქალბატონი შინ ბრძანდება?—ჰკითხა საიდუმლოთ სტუმარმა.

— დიაღ, შინ ბრძანდება,—მიუგო დარაჯმა.

— სტუმრები ბევრნი არიან?

— არა, ბატონო, სრულებით არავინ გახლავს.

ამ პასუხზე სტუმარს ტანში სიამის ჟრუანტელმა დაურ-

ბინა. «მე აქ ისე არ მოვსულვარ, რომ ხუთი-ექვსი სამხედრო, ან სამოქალაქო წარჩინებული პირი არ დამხვედროდეს—გაიფლო გულში სტუმარმა. დღეს რა ამბავი უნდა იყოს, რომ მისი საკუთარი ხელით დაწერილი პატიჟობის წერილი მივიღე? ნუ თუ მისი გამქისებული გული ბოლოს მოალბო ჩემმა მდუღარე გრძნობამ?... ან იქნება რაიმე საიდუმლო მახეს მიგებდეს?»

ამ ორის ერთი მეორის წინააღმდეგი აზრით შეპყრობილი სტუმარი შეჩერდა პირველს კიბის საფეხურზე. დარაჯი უცქეროდა თვალებში სტუმარს, ჰფიქრობდა, იქნება კიდევ მიბრძანოს რამეო.

— სასტუმრო დარბაზში ბრძანდება, თუ თავის საკუთარს ოთახში?—განაგრძო კითხვა ახალ მოსულმა.

— სასტუმრო დარბაზში მიბრძანდით და იქ მოგეხსენებათ ყოველიფერი.

— ხომ არსად აპირებდა წაბრძანებას?...

— არა, ბატონო. დღეს მთელი დღე ნაბრძანები გვაქვს, თქვენს გარდა ყოველს სტუმარს მოვახსენოთ: «ქალბატონი შინ არ ბრძანდებაო»—მოახსენა ღიმილით დარაჯმა.

ამისთანა პასუხმა სტუმარი კიდევ უფრო აიტაცა მგრძნობელობამ. იმან ამოიღო სამმანეთიანი და გადაუგდო დარაჯს. მოსამსახურემ მდაბლათ დაუკრა თავი და დარაზა მოაჯირის კარები, სტუმარი მღელვარე გრძნობით აღტყინებული შეცოცდა კიბეზე.

დარბაზის წინა დერეფანში ლაქიის მაგიერათ, მას მიეგება მშვენივრად მორთული მოსამსახურე ქალი. ამ შემთხვევამაც არა ნაკლები ლხენა მოჰფინა სტუმრის გულსა.

— ქალბატონი შინ ბრძანდება?... ღიმილით განუმეორა სტუმარმა.

— დიაღ, დარბაზში შებრძანდით, ეხლავ გამობრძანდება.

სტუმარმა მოიხსნა შინელი და მისცა ქალს. თვითონ დადგა იქვე დერეფანში ამართულს დიდ სარკეს წინ და დაიწყო წვერ-ულვაშისა და თმის ვარცხნა წმიდა სავარცხლით.

მორთვა რომ გაათავა, მან გაუწვდინა მოსამსახურე ქალს ხუთ მანეთიანი.

— რატომ იკადრებთ? — მოახსენა ზრდილობით ქალმა, — ჩვენ ფულს არ ვიღებთ.

სტუმარი შეწითლდა და წაიდუდღუნა:

— უკაცრავად, მაპატიეთ.

— არაფერს, ბატონო, — ღიმილით მიაგება პირში მოსამსახურემ და გაუღო დარბაზში შესასვლელი კარები.

სასტუმრო დარბაზი ძვირფასის, მრავალფეროვანის ხალებით იყო მოგებული; ზოგზე სხვა-და-სხვა ნადირისა და მხეცების სახეები ფერადებით ნაკერი, ზოგზე ყურდღლის ნადირობა იყო ჩაქსოვილი. წინ ყურდღელი მიხტოდა, უკან მწევარი სწვდებოდა. ეს სურათი ისე ცოცხლათ იყო ხალზე გამოყვანილი, რომ უცხო კაცი, რომელსაც არ ენახა, მორიდებით ვერ მოახერხებდა ზედ ფეხის დადგმას. ახალ შემოსულმა სტუმარმა კი დაიწყო არხეინათ სიარული, ეტყობოდა არა ერთხელ გაეჯეგა მის ფეხებს ეს მშვენიერი ნაქსოვი მხატვრობა. ის ხშირად იცქირებოდა დიდრონს სარკეებში. ბოლოს დაჯდა ერთს ნახატის წინ, რომელიც პირ-და-პირ კედელზე იყო ჩამოკიდებული. იგი წარმოადგენდა ოჯახის პატრონის სურათს, ხელოვნურად დახატულს. ბევრი სხვა ნახატებიც იყო იმ კედელზე მიკიდებული გამოჩენილის მხატვრების ნაწარმოები. ერთგან აივაზოვსკის მიერ დახატული ბათომის გარემო მდებარე ალაგები ზღვიან-მთებიანა ეკიდა. მაგრამ სტუმრის გონება და გრძნობა მხოლოდ სახლის პატრონის დიდ მშვენიერს სურათს შეეპყრო.

ამ დროს გაიღო განის კარები და შემოვიდა ჩინებული

თვალ ტანადი ქალი. სტუმარი შეკრთომით წამოვარდა ზეზე და უნებურათ წარმოსთქვა: «ვალიდა!»

ქალს ეცვა ჩალისფერი აბრეშუმის კაბა, რომლის შიგნიდანაც მისი მომხიბლავი ტანი გამომსჭვირვალებდა. სტუმარი ალიტაცა ამ სანახაობამ. ის კრთოდა ვერხვის ფოთოლივით. ქალს ეჭირა ხელში სპილოს ტარიანი წკეპელი, რომლის აბრეშუმის ნაქსოვს რქის მართული ჰქონდა გაყრილი.

— თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ასე რად დაიგვიანეთ?— მისცა ხელი და უთხრა — მე რვა საათზე დაგიბარეთ. ერთი საათი მეტი რად დამატუსაღეთ ჩემს ოთახში? რათ მაცდევინეთ ამდენი ხანი?... ზაგონილა ესეთი უმართებულობა?...

ის თითქოს ნახევრად ხუმრობდა, ნახევრად ნამდვილ წყრებოდა. სტუმარმა მაინც ხუმრობაში და კეკლუცობაში ჩამოართვა ეს შენიშვნა. იგი გულისთქმით დარეტიანებულიყო და ვითომც ბოდიშის მოსახდელათ თვითონაც არ გაეგებოდა, ათრთოლებული ხმით რაებს ბლუყუნობდა.

ვალიდამ შენიშნა ყოველიფერი; დაცინვის ღიმილი გადეკრა სახეზე, მიუახლოვდა, აათამაშა წკეპელი და უთხრა:

— ნება მომეცით ამ წკეპლით კანონი მოგხადოთ.

— თქვენი ნება არ არის?— მიუგო სტუმარმა.

ვალიდამ ჯერ ნელა გადაჰკრა ზურგზე წკეპელი.

— თქვენი მორჩილი მოსამსახურე გახლავარ. ზენებებათ დამსჯით, გენებებათ სპილოს ძვლის ტახტზე დამსვამთ.

ააა!.. არ გტკენიათ?—და უფრო მაგრათ მოუნაცვლა.

— ქნეინა!—შესძახა სტუმარმა ღიმილით და ცოტა ტანში დაიწმაწნა.

— ვალიდამ მესამედ კიდევ უფრო მაგრათ გადაჰკრა.

— ქნეინა, თქვენ აღარც კი ხუმრობთ.

— სრულებითაც არა.—წარბ-შეჭმუხვნით უთხრა ვალიდამ და მეოთხედ კიდევ გადაჰკრა.

სტუმარმა მუხლი მოიყარა მალიდას წინაშე და გულის თქმით უთხრა:

— თუნდ კიდეც მომკალით, თქვენი მსხვერპლი არა ვარ?

— შეყოფათ, — ნარნარი ხმით დაუტკბა ქალი და თეთრი ფუნჩულა ხელი გაუწოდა.

სტუმარი გაგიჟებულივით მივარდა ზედ ცხელი ტუჩები დააკრა.

— ახლა შევრიგდეთ. — განაგრძო ღიმილით მალიდამ. იგი დაეშვა გძელს სელზე, ნახევრად მიწვა და უბრძანა სტუმარს მეორე სელი მიეჩოჩებინა.

— იცით, რომ თქვენთან ერთი მძიმე სათხოვარი მაქვს? — მომხიბლავი ხმით შეეკითხა მალიდა.

— ათასი ბრძანეთ. მზათ ვარ, ყველა აღვასრულო.

— იერემია რომ დაუსჯიათ კატორღით, მე ამან ძალიან შემაწუხა, ტვინი ამირია. ის ჩემი ბიძის შვილიშვილია.

— ვიცი, კნეინა. საქმე კიდეც მოგვივიდა. სივილას აპელაცია გადმოუტანია. თქვენ არ მიბრძანეთ მაგ საქმეს ყური უგდეთ? მთელი წარმოება გულდასმით გადვიკითხე. ძალიან შესანიშნავი საქმეა. მეტად ჭკუიანათ არის მოხდენილი ეს ბოროტ-მოქმედება. შინაგანი აზრით სჩანს, რომ იერემიას ქალის მოტაცება ჰსურვებია და არა მისი მოკვლა; მაგრამ რაკი ქალი არ დაყოლია ნებას, გამწარებულა და მასთან შიშის გამო, რომ არ დაეჭირათ, უნებურათ დაუკრავს ფერდში ხანჯალი. იგი ყოფილა მისი ქმრის მტერი და ქალის მოყვარული.

— როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ; მაგრამ იერემია კი არ უნდა დამიკარგოთ.

— დანაშაული თუ არის?

— ამისთვის მოგმართეთ, რომ რაღაც იჭვია მასზე მიტანილი, თორემ რომ ეგ არ იყოს, არც გაგსჯიდით.

— მე რაღა შემიძლია, კნეინა, მართლ-მსაჯულების წინაალმდეგ.

— თქვენ უნდა გაამართლოთ.

— სჯობს უმალ დამბაჩა დავიცე, ვიდრე სინდისს გადავუდგე.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა!... ძაცების სინდისი! - გადიხარხარა მალიდამ.

— კნეინა, ეგრე ნუ დასცინით ჩემს სინიდისს. საშინელობაა! თქვენ აღარავისი არა გრწამთ რა. სჩანს, სრულებით შეგძულებიათ კაცის არსება.

— მე ისინი მეზიზღებიან.

— მაშ, მე რისი მოხელე ვყოფილვარ, თქვენი ეშხით ამდენის ხნის თითქმის სულმობრძავი.

— იმდენც მისთვის მეზიზღებით, რომ მხოლოდ ენაზე გაკრავთ სიტყვა «სიყვარული» და გული გარყვნილებით გაქვთ სავსე.

— კნეინა, მაგას ნუ ბრძანებთ. მე თქვენი სიყვარულით მკვდარი ვარ, თითქმის ბოროტებამდის მიღწევნილი. ზაგიტყდებით, თქვენდამი გრძნობამ ცოლქმრობითი მოვალეობაც კი დამავიწყა.

— სტყუვით, მღიქვნელობთ.

— რითი უნდა დაგიმტკიცოთ.

— იერემია გამიმართლეთ.

— მე შეუძლებელია. არც ჩემზედ არის დამოკიდებული.

— თუ თქვენ გინდათ, სხვების აღვირიც ხელში გიჭირავთ.

— არა. საერთო განსჯაში გავლენას ალაგი არ უნდა ჰქონდეს.

ამ პასუხზე ქალი აღელვებული წამოვარდა და შესძახა:

—მე თქვენ მეზიზღებით ამდენის ხნის ფარისევლობისათვის ჩემს წინაშე!

კაცი წამოდგა ზეზე დაფიქრებული. მის გულში საშინელი ბრძოლა მოხდა. იგი ყოყმანობდა მოვალეობასა და გულის-თქმებს შორის. ბოლოს საიდუმლოთ გადასწყვიტა: სჯობს ამ მომხიბლავს სატანის სიტკბოების სახეს მოვშორდეო.

ვალიდამ თითქოს იგრძნო ეს გადაწყვეტილება, უცებ მოტრიალდა და მისი მშვენიერი ფეხის წვერი, თეთრს ატლასში გახვეული, გამოჩნდა თავჩაქინდრულს სტუმრის წინ. იგი ალენთო ახალი გრძნობით და უცებ ასწია თავი. მისი გულის-თქმით სავსე თვალები შეხვდა ვალიდას ლაჟვარდს თვალებს, რომელშიაც ღელავდა აზვავებული ვნებები.

სტუმარმა უნებურათ მოხვია მას წელზე ხელი, ჩაიკრა გულში, ტუჩი-ტუჩს შეუწება და მიასვენა გძელს სელზე:

ოჰ, შენ შემოგევლოს, ვალიდა, ჩემი ცხოვრება, ჩემი სინდისიც შენ ფერხთა მტვერათ გამიხდია!..

ვალიდამ გადააგდო ბროლისა კისერი.

კაცს სწვავდა გულის-თქმის ალი, იმან წაიღო ხელი ქალის მკერდის გასაფურჩქნათ. მაგრამ ვალიდა უცებ წამოვარდა სელიდან და უთხრა: ეგ არა! ჯერ ადრეა.

— მომკალ და ნუ გამწირავ.

— დამშვიდდით, თქვენ თავს მეტის ნებას ნუ აძლევთ.

ამ სიტყვებმა თითქოს ცივი წყალი გადაასხა კაცის გრძნობასა. იგი უკუჯდა ისევ თავის სელზე.

— მე თქვენ გთხოვთ, თუ ჩემი თავი გინდათ, იერემია გამიმართლეთ.—უთხრა კიდევ დაჟინებით ვალიდამ.

— გავამართლებ—გადაწყვეტით დაჰკრა კვერი კაცმა. «სჯობს ათი დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე ერთი უსამართლოდ დაისაჯოს". იერემიას საქმეში მართლაც ბევრია ისეთი საეჭვო კითხვები, რომელნიც ბეჯითად არ ამტკიცებენ მის ბოროტმოქმედებას. მართლაც ვინ იცის, ერია თუ არა იგი ფულავას ცოლის მკვლელობაში? ფორმალური მხარე საბუთებისა სულ

მის მხარეზე სჭირს სამართალი. ჩვენ არცა გვაქვს ნება ჩვენი შინაგანი დარწმუნებით ვიხელმძლვანელოთ ამ შემთხვევაში. ზონება სხვას ამბობს, საქმის მიმართულება კი სხვასა. ჩვენ მხოლოდ ამ უკანასკნელზე უნდა დავაფუძნოთ ჩვენი გადაწყვეტილება.

— მაშ მოიქცა მძვინვარე ურწმუნოცა?...—მხიარულების თვალის ციმციმით შეეკითხა მოსამართლეს პალიდა.

სტუმარმა თანხმობის დასამტკიცებლათ მხურვალედ აკოცა ხელზე.

— მაშ სანამდის მის გამართლებას არ მომიტანთ, ლოცვითა და მარხულობით უნდა შეინახოთ თავი.

— მეტი რა ღონეა; მაგრამ მით უფრო სასიამოვნო იქნება ჩემთვის მოთმინებას შემდეგ გახსნილება. იმან დაუჭირა ხელები პალიდას, მიიწოდა მკერდზე და გულისთქმით გამოეთხოვა: «ნახვამდის ჩემო ციურო სიტკბოებავ!...»

## XXVI

ღამის თერთმეტი საათი იყო. ერთს სასაჭმო დუქნის უკანა ოთახში ისხდენ სამი კაცი. ერთი იყო ღიპგადმოგდებული, დაბიჟვინებული პირის-სახისა, მეორე პირხმელი, წითელწვერა, მესამე სერთუკიანი ღიპგამოპარსული შავგრემანი კაცი. იმ ორს კაცს მკითხველიც იცნობს; მესამე კი იერემიას შინა მოსამსახურე იყო.

— როდის დაბრუნდება ხოლმე შინ იერემია?—ჰკითხა მოსამსახურეს ბახვამ.

— ის ყოველ საღამოს კლუბში დაიარება. ვახშამს იქ მიირთმევს. შინ მოდის მეორე საათზე ღამით.

— აბა, თქვი როგორ მოვრთოთ საქმე?.. ჰკითხა ბახვამ და ამოიღო ჯიბიდან ერთი მუჭა ათ მანეთიანები.

მოსამსახურემ არა თქვა რა, მხოლოდ თვალები დააშტერა ფულებს.

— ერთი, ორი, სამი — ჩათვალა ათამდის, — მერე შეხედა ბახვამ მოსამსახურეს. იგი არას ამბობდა.

— თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი... გადათვალა ოცამდის. ჰო, თქვი და — შეახმიანა კიდევ ბახვამ.

მოსამსახურემ ხმა გაკმინდა.

— ოც-და ერთი, ოც-და-ორი, ოც-და-სამი... განაგრძო თვლა ოც-და-ათამდის. — შე კაცო, რას გაჩერებულხარ. რატომ არას ამბობ?

მოსამსახურემ ჩაახველა, თითქოს ხმა ამოიწმინდა.

— ოც-და-თერთმეტი, ოც-და თორმეტი... მიჰყვა ორმოცამდის.

— ბარემაც ყველა მიათვალე და ის იქნება. — ღიმილით უთხრა მოსამსახურემ.

— ეგ ბევრია, კაცო! — შეევაჭრა ბახვა.

— მიათვალე, მიათვალე, ნუ გეშურება. განა ჩემი დახმარება კი ცოტა იქნება? ის კა არა ორ მაგდენათაც ღირს.

— აქ სულ ორმოც-და-ათი თუმანია, — უთხრა ბახვამ.

— როგორ?.. მაგასაც მაკლებ თუ?...

— ალალი იყოს შენზე. მოგცემ...

მოსამსახურემ გადიწმინდა ულვაშები და დაიწყო ლაპარაკი. საქმე აი რაშია? იერემიას ძილის წინათ კითხვა უყვარს, ნახევარს საათზე მეტს კითხულობს. შემდეგ სანთელს დააქრობს და დაიძინებს; მაგრამ ღამის პაწია ლამპარი მაინც უნთია.

— ასე რომ ხომ სულ არ ბნელა მის საწოლ-ოთახში?

— არა ცოტად მიბნელებულია, მაგრამ კაცის სახე როგორც ახლა, შენ გიყურებ, ისე იხედება. ჩემი ფიქრი ასეა. მე უნდა დავტოვო გარეთა დერეფნის მეორე ფანჯარა დაურაზავი, მხოლოდ მიხურული იქნება. თქვენ უნდა გადახტეთ იმ ფანჯარაში.

— რათა? ის არ სჯობია, დერეფნის კარი ღია დატოვო? უთხრა ბახვამ.

— ეჰ, ეგ როგორ შეიძლება? მაშინვე ეჭვს აიღებენ ამაზე, შინაურის ბრალიაო,—თქვა ციმბირელმა და მიუთითა მოსამსახურეზე.

— კარგი, მაშ აგრე იყოს. — დაჰკრა კვერი ბახვამ.

დერეფანს იქით ზალის კარებია. ზალის მარჯვენით მისი საწოლი ოთახია. კარები ორივე დაურაზავი რჩება ხოლმე ყოველთვის. ასე აქვს ჩვეულება.

— ეგეც კარგი. თქვა ბახვამ.

— საწოლის ოთახის ფანჯარა მაღალზეა?—იკითხა ციმბირელმა.

— ორი საჟენია მიწიდან.

— იმას იქით ეზოში რა არის? – განაგრძო ციმბირელმა.

— იქით ეზო მაღალი სარებით არის შემოღობილი, ჩიტიც ვერ გადაფრინდება ზედ.

— ძირს სამზარეულოს ხომ მაინც აქვს იქით კარი გასავალი.

— სამზარეულოს აქვს უკანა კარი; მაგრამ თუ შიგ არ გაიარე, ისე ქუჩაზე ვერ გამოხვალ.

— მაგას რათ კითხულობ?—უთხრა ბახვამ. განა იმავე გზით ვერ გამოვალთ?

— არა. მე ჩვეულება არა მაქვს, საიდგანაც შევალ, იქიდგანვე გამოვიდე— თქვა ციმბირელმა.

— ფული ახლავე მომეცი. — დაატანა მოსამსახურემ.

— არა. როცა მივალთ და ვნახავთ, რომ ფანჯარა გაღებულია, ფულს მაშინ ჩაგაბარებ.

— რა ვიცი, ღამეში რამდენს მომცემ.

— ა, ძმაო, შენ თვალის წინ შევკრავ ამ ორმოც-და-ათ თუმანს, აი, ამ ნაჭრით. ხომ შეატყობ ხელი რომ მოუსვა. — ჰკითხა ბახვამ.

— კარგი, აგრე იყოს.

ამ დროს ოთახის კარების რაკუნი მოისმა.

ვინ ხარ?—დაიძახა ბახვამ.

— მე ვარ წუნკალა.

ის ორი კაცი მაშინვე გავარდა გარეთ ქუჩის კარებიდან.

ბახვამ გაუღო კარი.

— ასე გვიან რათ მოსულხარ?

— სხვაგან ვიყავი, შინ წასვლა დამეზარა და შენთან შემოვუხვიე,—უთხრა წუნკალამ.

— მშვიდობით, წუნკალა. ამაღამიდან ველარ მნახავ.

— რა ამბავია?... შეშინებულათ ჰკითხა წუნკალამ.

— მე იერემია უნდა მოვკლა ამაღამ, ან ზედ დავაკვდე. რას გაუგიჟებიხარ?... არა, რომ აქავ სული ამომაძრო, მაინც არ გაგიშვებ,—ჩაატანა ჩოხაში ხელი.

ბახვამ ამოიღო ჯიბიდან ორმოც-და-ათი თუმანი, დააგდო სტოლზე და უთხრა: «ა, ძმაო, ამის მეტი აღარა დამრჩენია-რა. ღმერთმა მოგახმაროს ყოველი ჩემი ნაჭირნახულევი».

— არა, არ შეიძლება შენი გაშვება.—მკოწიწებოდა ჩოხის კალთაში წუნკალა.

— მე ხუმრობის თავი არა მაქვს, მომშორდი.—დაჰკრა ხელი ჩოხის კალთას, და გააშვებინა. ის საჩქაროთ გავარდა გარეთ ქუჩის კარიდან. წუნკალა ერთხანს იყო ხმა გაკმენდილი. მერე წამოიძახა «ჯანდაბამდინაც გზა გქონია. შენ ჩემთვის აღარ ხარ საჭირო». იმან გააქრო სანთელი, გამობრუნდა ისევ იმ კარით, შევიდა მედუქნესთან და იკითხა: —ბახვა სად წავიდაო.—

— არ ვიცი. მანდ იყო. მგონია, ვინლაც სტუმრები ჰყავდა.

— არა. ისინი ოთახში აღარ არიან.

მედუქნემ ლამპა წამოიღო, შეანათა ოთახში, მიიარ-მო-

იარა, კარები დაათვალიერა. ალბათ სადღაც წასულანო — გულდამშვიდებით წაილაპარაკა, დარაზა ქუჩისკენ გასავალი კარი და ისევ დუქანში შევიდა.

წუნკალა გამოემშვიდობა მედუქნეს და უთხრა:

— თუ ძმა ხარ, რომ მოვიდეს, უთხარი, წუნკალა იყო-თქო.

— ბატონი ბრძანდები.

* * *

იერემიას ეჭირა მშვენიერი ერთ ეტაჟიანი სახლი, რომელსაც ქვემოთ სამზარეულო ჰქონდა, ეზო და ცხენების ბოსელი, სადაც ორი ბედაური ება. მისი სადგომი მდიდრულათ იყო ხალებით და სახლის სამკაულით მორთული, რომელიც სტუმრის მისაღებ ოთახად ჰქონდა დანიშნული, ის წმინდა მუზეუმი გამხდარიყო, საცა ძველებური იარაღები ფარ-შიმშერიდან დაწყებული პიბოდის თოფამდის შვიდი, რვა საუკუნის სამხედრო მორთულობის ნიმუშები კედლებზე ეკიდენ ლამაზათ ჩამორიგებულნი. ბევრი იყო მათში ოქრო ვეცხლით მოჭედილი. ერთი ფრანგული ხმალი ეკიდა ამ კედელზე, რომელშიაც ას თუმანს აძლევდენ, მაგრამ არ ჰყიდდა. მისი საწოლი მდიდარი ატლასის საბნებით იყო გაწყობილი, ოთახი კი თექის ხალებით, და ფარდებით მორთული. მარტო მისი საწოლი კრაოტი თუთხმეტ თუმნათ ღირდა. იგი იდგა ცალკე, ითვლებოდა მდიდარ სასიძოთ და ბევრი ახალ-გაზდა ქალი შენატროდა მის ქმრობას; მაგრამ იგი ცოლს არ ირთავდა.

იმ ღამეს იერემია ჩვეულებაზე ადრე დაბრუნდა, გრძნობდა რაღაც დაღალულობას. მოვიდა თუ არა კლუბიდან, მაშინვე დაწვა და მოსამსახურეს უბრძანა კარები მაგრათ დარაზეო. საწოლთან კედელზე ეკიდა პალიდას სურათი, რომელსაც დაწოლის დროს ყოველთვის გამოეთხოვებოდა და ხელზე აკოცებდა ამ სიტყვებით: «შენ რომ არა, ვინ იცის, მე ახლა სად ვიქნებოდი? იქნება მაღნების მუშაობაში სული ამომრთმევოდა».

უმთვარო ღამე იყო. ნაშუაღამევის საათის მესამეზე ორი კაცი მივიდა იერემიას სახლის კიბეზე. ერთი იქვე დადგა, მეორე ავიდა მაღლა და მიაწვა დერეფნის კარს; მაგრამ ეს კარი დაკეტილი დაუხვდა; შემდეგ გაჰყვა განზე სახლის არშიას და გაშინჯა განის ფანჯარა, რომელიც იმ წამსვე გაიღო. ამ დროს ძირს რომ კაცი იდგა ის გაჰქრა სადღაც ბნელაში. ცოტას ხანს იქით ისიც ავიდა კიბეზე, დაეკოწიწა გაღებულს ფანჯარას და ძლივს გადაფორთხდა დერეფანში. დერეფნიდან შევიდა კარ-გაღებულს ზალაში. ამ დროს მას მოეგება შიგნიდან მეორე ამხანაგი და უთხრა ჩურჩულით: —ძალიან ტკბილათ სძინავსო. ეს იყო სიმონა ციმბირელი, რომელმაც ყოველივე უკვე შეიტყო, სანამდის ბახვა დერეფანში გადაფორთხდებოდა. ციმბირელმა უტია გზა ბახვას და უკანიდან მოუდგა. ბახვა შევიდა საწოლში და დაადგა მძინარე იერემიას თავზე. ამ დროს იერემიამ გაიშმუშნა.

— იერემია! — კარგა ხმა მაღლათ დაუძახა ბახვამ.

იმან თვალები გაახილა.

— მოვიდა შენი გაწირვის დღე. მოვედი შენი მსაჯული, ესმასგან გამოგზავნილი. — ამ სიტყვებით დაჰკრა იმან ფერდში ხანჯალი; მაგრამ, ხანჯლის წვერმა ირეკლა გვერდის წკნელზე და ჩაუხვია ფენთხებში. იერემია თვალის დახამხამებაზე უმალ წამოვარდა.

— რას შვრები შე ურჯულო?! შესძახა ტკივილისგან გამწარებულმა. იმან სტაცა ცალი ხელი მაჯაში და მეორე ხელი ყელში წაავლო. მძლავრად გადუქენქლა მაჯა და ხანჯალი ხელიდან გააგდებინა. შემდეგ ჰკრა ფერდში მუხლის თავი, დასცა საწოლზე და ჩაუჭირა მარცხენა ხელი ყელში. ბახვამ ამოუშვა ხროტინი. ამ დროს ციმბირელმა დაჰკრა უკანიდან თავში ხანჯალი იერემიას და ძვალი გაუპო.

ვაიმე, მომკლეს ამ ავაზაკებმაო! — დაიღრიალა იერემიამ, უშვა ხელი ბახვას და ჩაიჩოქა გულდაღმა ლოგინში.

გაბრაზებული ბახვა უცებ დასხლტა ხელიდან, აიღო ისევ ხანჯალი და ჩასძახოდა: ფერდი უნდა გაგიპო, ფერდი, როგორც შენ ჩემ ესმას გაუპე!... იმან ხელმეორედ უნაცვლა ხანჯალი. იერემიამ დაიხრიტინა და პირიდან სისხლი გადმოანთხია. ეს იყო სულ ერთი წამის საქმე. ციმბირელი იქ აღარ იყო. ამ დროს მოისმა ეზოში საშინელი ყვირილი მოსამსახურისა.

— არიქა, მიშველეთ, ავაზაკები დაგვესხენ, ავაზაკები!.. შეიქნა პოლიციელების ფსტვენა. მალე მოვარდენ დარაჯები, ბოლოს მოესწრო იმ ღამის პოლიციის მეთვალყურეცა, შევარდა კიბეზე და ჰკრა მძლავრად ფეხი დერეფნის კარებსა; მაგრამ ვერ გააღო; იმან შენიშნა განის ფანჯარა გაღებული და უცბათ გადავარდა დერეფანში. იმას გადაჰყვენ სხვა პოლიციელებიცა, შევარდენ საწოლს ოთახში და იქ დახვდათ იერემია, რომელიც სისხლში სცურავდა; მის ქვეშსაგებში სისხლის ტბა იდგა და იქვე დოინჯებ-შემოყრილი ბახვა ელოდა პოლიციელებსა.

— ეს რა გიქნია, შე ლოთო ჩარჩო, გულმოსულად შესძახა პოლიციის მეთვალყურემ.

— სამართალი გავაჩინე, სამართალი! ქვეყანამ არ მაღირსა სამართალი და მე თვითონ გავაჩინე. ეს არის ჩემის ცოლის ესმას სამაგიერო. აი, ახლა გავცოცხლდი! მე ახლა გავხდი ისევ უწინდელი ბახვა. ამიერითგან, საცა უნდა ვიყო, ყოველგან ბახვა მერქმევა და ქუდიც თავზე მეხურება. მადნების მუშაობაში გამგზავნიან?-- იქაც კაცი ვიქნები.

პოლიციის მეთვალყურე დარწმუნდა, რომ სწორედ გიჟია. უბრძანა დარაჯებს შეჰკარით და წამოიყვანეთო. —მე გახლავარ ბახვა ფულავა!—გაიგოს მთელმა ქვეყანამ, რომ მცოდნია ვაჟკაცურად სისხლის აღება.—ჰყვიროდა იგი ღამეში, როცა მას თოფის კონდახით სცემდენ და ისე მიათრევდენ პოლიციაში.

დასასრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

(ქართველთ მეფის ერეკლეს დროისაგან).

მოძმენო! გული რომ მეწვის,
მით შეგცქერთ ცრემლთა დენითა...
რაც გულში ცეცხლი ტრიალებს,
მწყურის—გამოვსთქვა ენითა.

რაც უფრო გიცქერთ, გცნობილობთ,
უფრორე მეწვის მე გული,
და ვეღარ ფარავს, რასაც გრძნობს
ეს გული გაშმაგებული.

რადა ხართ? ლანდათ ქცეულხართ
ძველათ ლომგულნი, გმირები,
და დაგიხრიათ წინ ქედი,
უღლისა დანაჭირები!

რადა ხართ? სულით დაეცით
და დაჯაბანდით გულითა,
თორემ რათ სდუმებთ, როს მტერი
ზრყვნისთ, გმუსრავსთ დედა-წულითა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლივს ერთი გმირი გამოჩნდა,—
შეკივლა: «დაკა მტერებსო!»
თქვენ, თანაგრძნობის მაგიერ,
ასე სთქვით: «რა აშტერებსო!»

მხცოვან გმირს ასე ეგონა:
«შვილთათვის მე თავს დავდებო!
ღმერთო, ვაითუ დამეხრჩვენ,—
ამ ერთ ხიდს მაინც გავდებო»...

მაგრამ მოტყუვდა ის გმირი:
მტერებმა ის წინ გაიგდეს,
და შვილებმა კი მოხუცი
სასაცილოთაც აიგდეს!...

შვილთათვის თავს სდებს, სულს სწირავს,
შვილებზე გადამკვდარია:
ვინც მსგავს მშობელსა გასწირავს,
იგი სიცოცხლით მკვდარია.

თუ მკერდს ქვეშ გული გიცემდათ,
რათ არ დაკარით ნაღარა,
როს შეაფურთხეს მოხუცსა
და შეუგინეს ჭაღარა?

რათ არ მიბაძეთ წინაპართ:
მტერს მტრულად მოექცეოდენ,
მისახდომს მიუხდებოდენ,
მომხდურს არ გაექცეოდენ!...

მაგრამ დაკარგეთ ძველი ზნე:
ხართ სხვისი ჭური—გუდები,
არ გეფიცებათ ულვაში,
აღარც გახურავთ ქუდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ კიდევ თავსაც იმართლებთ:
«რა ვქნათ, არ შეგვიძლიაო,
ძალა აღმართს ხნავს, რა ვუყოთ,
მტერმა სიმრავლით გვძლიაო?!»...

ფუ ამ ზნეს! ეგ სიტყვებია
უძლურის, მხდალის კრავისა!
მხოლოდდა ჯაბანთ წესია
მსგავსი მართლება თავისა!

მაგრამ შეხედეთ იმავ კრავს,
როს მგელი მისდევს, აბღავლებს:
შეხედეთ, თუ თავს არ შველის,
სანამ ის პირსა დაავლებს.

შეხედეთ: კრუხი წიწილებს
თავსა ევლება, აწყდება,
თუ ქორი მტრულად მიუხდა,
არ მისცემს, თვით ზედ აკვდება!

თქვენ რათ დაეცით ამგვარად:
როცა გახრჩობენ, ხარხარებთ,
თითქო ეგ შავი სვე-ბედი
გამხიარულებთ, გახარებთ?!...

სული გეხუთვის, ქართველო,
პკვდები და კიდევ არ გჯერა?
წამალს არ ეძებნი, არ სწუხხარ:
მითხარი, რამ გაგაჩერა?

ცასა შესტირე, მნათობთა
აცნობე შენი ვაება,
ცაში ვარსკვლავნი ატირე—
და გადმოგხედავს ღვთაება!

ნუ გძინავს, თორემ ამ ძილში
სიკვდილიც მოგეპარება...
შენ თვით იზრუნე, იშრომე—
და ღმერთიც მოგეხმარება!

«არ მოვკვდებით», იძახი:
«მხოლოდ მძინავსო წამითა!»...
ეხ, უზრუნველო ქართველო,
თავს ნუ იმართლებ ამითა.

თუ გაღვიძებას არ ფიქრობ,
მსგავსი იმედი ტყუილია.
რაღა სიცოცხლე? სიკვდილი—
იგივ მუდმივი ძილია...

უზრუნველ ძილში მიქროლავს
სიცოცხლე შენი ფუჭია...
შენ მხოლოდ იმას ზრუნავხარ—
დათვრე, აივსო კუჭია!

და თუ გაძღომას მოელი,
ქვეყანა ფეხზე გკიდია:
თუგინდ წიწილი მოგიკლავს,
გინდ მოძმე გაგიყიდია!

მხოლოდ ძმებზე ხარ გულადი:
ჩირათ გიჩნს მათი ღალატი,
ხარ საზიზღარი ჯაშუში
და ულმობელი ჯალათი.

თუ მოძმემ რამე შეგკადრა,
მსწრაფლ გაიქცევი, ჩაასმენ;
«ჩემი ძმა მოღალატობსო»,
მტერს ჩასჩურჩულებ, ჩაასმენ.

ან ხმალს იშიშვლებ, თავს დასცემ,
ხელიც არ შეგიჩერდება!
ერთის სიტყვისთვის ძმას დაკლავ—
გულიც არ აგიძგერდება!..

ძმას დაკლავ! მტერს კი ქედს უხრი,
რამდენიც უნდა გაგინოს;
მუხლთ კოცნი, ფეხთ ქვეშ ეგები,
ზინდ ცხვირით ძმარი გადინოს...

და ძმარს გადენენ! შენ სდუმებ,
არც კი გისკდება ნაღველი;
შენ სდუმებ, როცა ქვაც სტირის,
შენის ვაების მნახველი...

უსუსურ ბავშსა მაგონებ:
ვინც ყურს დაუსრესს, აყვირებს,
«ბატონს», «ხელმწიფეს» უძახის—
და მონებს, ვინც მას ატირებს...

შენ ყურიც აღარ გაგმარეს,
ცხადათ ამოგკრეს პალური,—
და ეგ სირცხვილი შესჭამე,
შეირგე, ვითა კახური!..

სინიდისი და სახელი—
დღეს უველა გაგიყიდია,
და კიდევ ხანჯალს ატარებ,
ხმალიც კი დაგიკიდია?!...

აბა რათ გინდა ხანჯალი,
რათ გინდა ხმალი, ლაჩარო,
რათ გინდა, ძველათ ნაქები
რომ დღეს სასირცხოთ ატარო?

თუ ცხოვრებისა ღირსნი ხართ,
იმამაცეთ და იგმირეთ,
თუ არა—ბარემ გაქარწყლდით,
გულთა ლახვარი იგმირეთ!

დე ცეცხლმა დასწვას ურგები
ტყე-ველი, ბალახთ ძირები!
ქვალადგა აღმოცენდება
უფრო ტურფა და ძვირები!

სილოვან.

ქუთაისი.

18 XII 86

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როსტომ მეფე [1]

### 1633—1658 წწ.

### I.

დიდი უბედურება ეწია საქართველოს მეთხუთმეტე საუკუნის ნახევარში. იმ დროს, როდესაც ერთის მხრით ოსმალები, მეორე მხრით სპარსელები ცდილობდენ საქართველოს დაპატრონებოდენ, ის განაწილდა სამს სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. მაგრამ თვით განაწილება ისე საუბედურო არ იქნებოდა, ქართველს მეფეებს და მთავრებს რომ შეეგნოთ ქართველის ეროვნების ინტერესი, თანხმობით ეცხოვრათ ერთმანერთში და შეერთებულიყვენ ფედერატივულის კავშირით საერთო გარეშე მტრების მოსაგერებლად. ამის მაგიერ ქართველმა მეფეებმა და მთავრებმა იწყეს ერთმანერთში ჯიბრი და მტრობა, ასე რომ ისინი ხშირად ერთმანერთის წინაალმდეგ იწვევდენ გარეშე მტრებს. ამის დამნახავი სპარსელები და ოსმალები უფრო გათამამდენ და უფრო ხშირად იწყეს საქართველოს არე-მარეში შემოსევა მის დასაპყრობლად. ქართველები კი ნაწილ-ნაწილი დაყოფილები, ერთმანერთის

[1] ეს წერილი არის ნაწყვეტი ვრცელის თხუზულებითგან სახელად: „საქართველო მეჩვიდმეტე საუკუნეში“.

დაუხმარებლად იბრძოდენ და არ ემორჩილებოდენ მტერს. მაგრამ რას გააწყობდა ცალკე თვითოეული საქართველოს სამეფო ან სამთავრო დიდის სპარსეთის და ოსმალეთის წინააღმდეგ. ქართველები მთელს თავიანთ ძალღონეს დამოუკიდებლობის დაცვას ანდომებდენ და დრო და ძალა აღარ რჩებოდათ ცხოვრების გასაუმჯობესებლად და გონების გასავითარებლად.

ცხადია, ასე არ იქნებოდა საქართველოს ერთობა ან ფედერატიული კავშირი რომ დაეცვა. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ხალხის სიმამაცე და მხნეობა და ცოტოდენი პოლიტიკური გამჭრიახობა და მოხერხებულობა მმართველებისა საკმარისნი იყვნენ, რომ ქართველს ერს დაეცვა დამოუკიდებლობა. მთიანი და ხეობიანი საქართველოს არე-მარე არ იყო ადვილი მტრის შემოსასევად. ქართველებს თვით ბუნებრივს სიმამაცესთან მხნეობას აძლევდა ის გარემოება, რომ ისინი იცავდენ მტრის წინააღმდეგ თავიანთ სახლ-კარს, სამშობლოს და სარწმუნოებას. საქართველოს მოსამზღვრე დიდი სახელმწიფოები ერთმანერთის მტრები იყვნენ სარწმუნოებრივ და პოლიტიკურად. ამის გამო საქართველოს მმართველებს შეეძლოთ ისე დაეჭირათ საქმე, რომ ერთერთი თავიანთკენ მიემხროთ და ამ ნაირად ორისგანვე დამოუკიდებელნი დარჩენილიყვნენ.

მაგრამ იმის მაგიერად, რომ ქართველები მორიგებულიყვნენ ერთმანეთში საერთო მტრების მოსაგერებლად, თვით მტრები მორიგდენ საქართველოს დასაპყრობლად. ერთმანერთში ცილობის მოსასპობლად მათ საქართველო ასე გაინაწილეს: აღმოსავლეთი საქართველო, ე. ი. ქართლი და კახეთი დაიჩემა სპარსეთმა, დასავლეთი საქართველო, ე. ი. იმერეთი, სამცხე, გურია, ოდიში და აბხაზეთი — ოსმალეთმა. ამის შემდეგ მტრების მიზანი უფრო ადვილი მისაღწევი შეიქნა, ერთმანერთთან ცილობისგან თავისუფლებმა მთელი თავიანთ მეცადინეობა

დაჩემებულის ქვეყნების დაპყრობას მიაქციეს. ქართველები მაინც კიდევ მხნედ იყვენ და ჯიუტად ებრძოდენ მტრებს. მაგრამ ეს ჯიუტობა ძვირად უჯდებოდა ქართველს ერს. რაკი ერთხელვე განაწილებული საქართველოს ქვეყნები ველარ შეერთდენ და ვერც მოახერხეს ფედერატიულის კავშირის შეკვრა, ეროვნების არსებობის დასაცველად ისღა დარჩა, რომ თვითოეული სამეფო და სამთავრო დამორჩილებოდა ძალას და ეცნო მტრის ზეხელმწიფება, რომელიც მაინცა და მაინც ძალიან საძნელო არ იყო. ზეხელმწიფება, რომელიც სპარსეთსა და ოსმალეთს უნდოდა საქართველოს სამეფოებსა და სამთავროებზე მოეპოვებინა, მდგომარეობდა იმაში რომ ქართველები იმათთან მოყვრულს ურთიერთობაში ყოფილიყვენ, ხანდახან მიშველებოდენ მტრის წინააღმდეგ და ეძლიათ მცირეოდენი ხარაჯა. სხვაფრივ ქართველებს უტოვებდენ სრულს შინაურს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. ქართველების მხრით ოსმალეთისა და სპარსეთის ზეხელმწიფების უარყოფა მხოლოდ აბრაზებდა და ამძვინვარებდა მტრებს. ქართველებს რომ ზეხელმწიფება დაეთმოთ ოსმალეთისა და სპარსეთისათვის და ამნაირად მოეპოებინათ მშვიდობა, უფრო სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისა და ერისათვის, ვიდრე გამუდმებული ქვეყნის მაზარალებელი და ერის ამომწყვეტი ბრძოლა სრულის დამოუკიდებლობისათვის. დროთა გამავლობაში მშვიდობიანად გავითარებულს და დასვენებულს ქართველს ერს უეჭველია შეხვდებოდა ისეთი შემთხვევა, როდესაც ადვილი იქნებოდა მტრის თავითგან მოშორება და სამუდამოდ მტრის უღლისგან გათავისუფლება, სპარსეთიც და ოსმალეთიც ხშირად ყოფილან იმნაირს კრიტიკულს მდგომარეობაში, რომლითაც შეეძლოთ ესარგებლათ ქართველებს.

ამნაირის პოლიტიკის მაგიერ ქართველი მეფე-მთავრები მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრითგან დაადგენ იმნაირს,

რომელმაც უფრო აღელვა მტრები და გაამძვინვარა მათ წინაალმდეგ. მათ მიმართეს შემწეობის სათხოვნელად შორეულს სახელმწიფოს, მართალია, ძლიერს, მაგრამ ისე დაშორებულს, რომ მისგან რამე საგრძნობელის შემწეობის მიღება მოსალოდნელი არ იყო. ქართველმა მეფეებმა და მთავრებმა სპარსებისა და ოსმალების სიძულილით რუსთ ხელმწიფეებს აუთქვეს მორჩილება, შეჰფიცეს ერთგულება და სცნეს მათი ზეხელმწიფება შემწეობის იმედით. ეს ამბავი რომ შეიტყეს სპარსებმა და ოსმალებმა, საშინლად იწყინეს. საქართველოს რუსეთთან დაახლოვებაში მათ დიდი საშიშროება დაინახეს თავიანთ მომავალისთვის. ცხადი იყო მათთვის, რომ რუსეთი საქართველოს საშუალებით ფეხს მოიკიდებდა მთელს კავკასიაში და შავსა და კასპიის ზღვებზე. ამ მომავალის საშიშროების ასაცილებლად იმათ მოინდომეს მის მიზეზის მოსპობა. მათთვის ცხადი იყო, რომ საქათველოს მეფეთ-მთავარნი და თავადნი მანამდე არ შეურიგდებოდენ სპარსეთისა და ოსმალეთის ზეხელმწიფებას, სანამ ისინი სარწმუნოებრივ არ შეეთვისებოდენ მათ. ამიტომ მათ საჭიროდ დაინახეს საქართველოში მაჰმადიანის მეფეებისა და მთავრების დაყენება, დიდკაცობისა და მათ საშუალებით მთელის ხალხის გამაჰმადიანება.

ოსმალეთმა დაიწყო მით, რომ სამცხე დაიმორჩილა, მთავრის მაგიერ ფაშად დასვა გამაჰმადიანებული ათაბეგი და ძალით შეუდგა სამცხის თავად-აზნაურობის გამაჰმადიანებას. ამას შემდეგ სამცხე სრულებით ჩამორჩა საქართველოს და შეუერთდა ოსმალეთს. სპარსეთმაც აგრეთვე მოინდომა ქართლსა და კახეთში მაჰმადიანის მეფეების დასმა და მათ საშუალებით თავად-აზნაურობის მიმხრობა. 1615 წ. შაჰ-აბაზ I შემოესია დიდის ჯარით კახეთსა და ქართლს, დაიმორჩილა ეს ქვეყნები და გადევნა მათ მეფეები. კახეთში თეიმურაზ I-ის მაგიერ მეფედ დასვა მისი ბიძაშვილი იესე გიორგის ძე, ქართლში

ლუარსაბ II-ის მაგიერ მის ბაბის ძმისწული ბაგრატ დავითის ძე, ორნივე მაჰმადიანები. სპარსეთის ყაენები დიდის პატივის-ცემით იღებდენ თავის კარზე იმ ქართველს ბატონიშვილებს, რომლებიც მათთან გამოცხადდებოდენ, ისინი უნიშნავდენ მათ ჯამაგირს, აძლევდენ დიდს თანამდებობას და ჰპირდებოდენ საქართველოში გამეფებას, მხოლოდ ერთის პირობით, რომ მაჰმადიანობა მიეღოთ. აგრეთვე პატივით ეპყრობოდენ დიდე-ბულს ქართველს თავადებს, რომლებიც მათთან მივიდოდენ. ამნაირის მოპყრობის გამო მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში სპარსეთში ცხოვრებდენ ქართლის ბატონიშვილები ბაგრატ და ხოსრო დავითის ძენი, თეიმურაზ ვახტანგის ძე და კახეთის ბატონიშვილი იესე გიორგის ძე. ლუარსაბის შემდეგ მეფის ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო ბაგრატი, თეიმურაზის შემ-დეგ იესე და ჴაენმაც ისინი გაამეფა იმ იმედით, რომ ისინი ერთგულათ დაიცავდენ მის ზეხელმწიფებას. მაგრამ ქართვე-ლებმა არ იყაბულეს მაჰმადიანის მეფეების დანიშვნა. კახელებმა იმავე წელიწადს გამოდევნეს იესე მეფე და მიიწვიეს ისევ თეი-მურაზ მეფე. ამის გამო შაჰ-აბაზი შემოესია კახეთს მეორედ (1616 წ.), აიკლო და აოხრა ეს ქვეყანა, აჰყარა 100,000 ქართველი და მათ ალაგას დაასახლა თათრები, ხოლო გამგებ-ლად დასვა ფეიქარ-ხანი. კახელები არც ამისთანა სამაგალითო სასჯელს შეუშინდენ. მათ კიდევ მიიწვიეს და გაამეფეს თეი-მურაზი. არა ერთხელ შემოესია კახეთს სპარსეთის ჯარი და გადევნა თეიმურაზი, მაგრამ კახელები თავისას არ იშლიდენ და თეიმურაზს ამეფებდენ, სპარსელები წავიდოდენ თუ არა. ქართლში გამეფე-ბულს ბაგრატს და მის შემდეგ მის შვილს სვიმონს არც ქართველები მორჩილებდენ და თეიმურაზს იწვევდენ მის მაგიერ. ბოლოს მოკლეს კიდეც სვიმონ მეფე და ქართლისა და კახეთის მეფედ შეიქნა თეიმურაზი (1629 წ.) თვით შაჰ-აბაზის მოადგილე ჴაენი შაჰ-სეფი, რომელიც მაშინ ოსმალეთის წინააღმდეგ

ბრძოლაში იყო გართული, იძულებული შეიქნა დაემტკიცებია თეიმურაზი ქართლისა და კახეთის მეფედ.

ამნაირად გამეფებულს თეიმურაზს დიდის ხნით განაწილებულს ქვეყნებში იმის მეტი აღარა დარჩენოდა-რა, რომ მოემტკიცებია ქართლი და კახეთი, კარგი განწყობილება დაჭირა შაჰთან და მშვიდობიანად ემეფნა თავის სამეფოს საკეთილდღეოდ. მაგრამ ამის მაგიერ მან მოინდომა სპარსეთის ჯავრის ამოყრა. თეიმურაზი მორიგდა ყარაბაღის ბეგლარბეგს დავით უნდილაძესთან, რომელიც შაჰს ემდუროდა პირადის შეურაცხებისათვის, მიიშველია იმერეთის, ოდიშის და სამცხის ჯარი და შეესია არეზის აქეთა სპარსეთის მაზრებს იმ დროს, როდესაც შაჰი ოსმალებს ებრძოდა (1632 წ.). თეიმურაზმა აიკლო იქაურობა, დახოცა მრავალი სპარსელები და მდიდარის ალაფით დაბრუნდა უკანვე. ამ ნაირმა გალაშქრებამ არაფერი დააკლო-რა სპარსეთს და მხოლოდ შაჰი გააბრაზა. თეიმურაზს რომ ოსმალებთან კავშირი დაეჭირა და დაპყრობილს ქვეყნებში თავის მმართველები დაეყენებინა, როგორც ამას სომხის კათოლიკოზიც ურჩევდა, [1] იქნება სპარსეთი შესუსტებულიყო და ქართლისა და კახეთის სამეფო გამაგრებულიყო. მაგრამ თეიმურაზი ასე არ მოიქცა დასჯერდა მარტო ალაფს. შაჰმა კი ოსმალებთან ბრძოლა განაგრძო და, როდესაც საქმე გამოუკეთდა, თეიმურაზს შემოუთვალა, რომ მისი მოღალატე ყარაბაღის ბეგლარბეგი დავით უნდილაძე მისთვის გაეგზავნა. თეიმურაზმა უნდილაძის გაგზავნაზე უარი უყო და სთხოვა რომ მიეტევებია მისთვის დანაშაული. მაშინ გაბრაზებულმა შაჰმა ქართლის მეფედ ხოსრო ბატონიშვილი დანიშნა, კახეთის გამგებლად სალიმ-ხანი. თეიმურაზის გასაძევებლად კი გაგზავნა სპასალარი როსტომ სააკაძე ჯარითურთ (1633 წ.). [2]

---

[1] Giorgidjanidze (Histoire de la Géorgie t. II., l. I, p. 63).

[2] ვახუშტი თვლის 1634 წ., მაგრამ ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩ-

## II.

ხოსრო ბატონიშვილი იყო უკანონო შვილი დავით მეფის, ძმა ბაგრატ VI-ისა. დავით მეფის ქართლითგან გაძევების შემდეგ (1579 წ.) მისი შვილები ბაგრატ და ხოსრო სპარსეთს წავიდნენ და იქ იზრდებოდნენ ყაენების მფარველობის ქვეშ. ხოსრო ჭკვიანი და მოხერხებული კაცი იყო. შაჰ-აბაზ ყაენმა კარგად დააფასა ის და მისცა ისპაანის მოურავობა. 1624 წ. შაჰ-აბაზმა ხოსროც გამოგზავნა ქართლში სალაშქროდ, როგორც ერთი ჯარის უფროსთაგანი, ისახანის წინამძღოლობის ქვეშ. აქითგან დაბრუნებულს 1625 წ. ყაენმა მისცა ყულარაღასობა, ე. ი. დანიშნა იმ ჯარის უფროსად, რომელიც ქართველის ტყვეებისგან შესდგებოდა [1] 1628 წ., როდესაც შაჰ-აბაზის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში ჩამოვარდა შფოთი და ცილობა ტახტის დაჭერის გამო, ხოსრო ყულასაღასმა თავის ჯარის (ყულების) საშუალებით ყაენად დასვა შაჰ-აბაზის შვილისშვილი შაჰ-სეფი. ახალმა ყაენმა ძალიან შეიყვარა ხოსრო, ემორჩილებოდა მის გავლენას და მამას ეძახდა. ბოლოს მადლობა მით გადაუხადა, რომ ქართლის მეფედ დანიშნა. ამასთანავე გამოუცვალა სახელი და უწოდა როსტომ, რომლითაც ის შემდეგში იწოდებოდა. მაშინ როსტომი 67 წლის მოხუცებული იყო.

როსტომ სააკაძეს და როსტომ მეფეს თან წამოჰყვენ ყველა ის ქართველი თავადები, რომლებიც სპარსეთში ცხოვრებდნენ. სპარსების ჯარი რომ ხუნანს მოვიდა, თეიმურაზი მუხრანში შეუდგა მის დასახვედრად მზადებას და მიიწვია თავადები ჯარით. მაგრამ ბევრი არავინ მივიდა მასთან. პირ-

ნია მუნჯი, რომელსაც ემოწმება როსტომ მეფის გუჯარიც, სადაც 1848 წ. იხსენიება მის მეფობის მეთექვსმეტე წლად (იხ. ქართული ქრისტომათია ჩუბინოვისა გვ. 203 და H. de la G. t. II, I I, p. 498).

[1] იხ. როსტომ მეფის გუჯარი ჩუბინოვის ქრისტომატიაში გვ. 198.

იქით, როსტომის გამეფება რომ გაიგეს, იმის მხარეზე გადავი-
დენ ბევრნი. მაშინ თეიმურაზი ცოლშვილით იმერეთის საზღვრის-
კენ წავიდა. სპარსელები მოვიდენ თბილისს და როსტომი
გამოაცხადეს მეფედ. სპასალარმა სააკაძემ 2,000 კაცი გაგზავნა
თეიმურაზის წინააღმდეგ. თეიმურაზმა ამ ამბავზე იმერეთისკენ
გასწია. სპარსელები დაეწიენ პერანგის მთაზე მის მოსამსახუ-
რეებს და წაართვეს ბარგი.

თბილისითგან როსტომ მეფე და სპარსელები გორს მივი-
დენ და ოცის დღის განმავლობაში გორის ციხე შეაკეთეს.
როსტომთან მოვიდენ ქართლის დიდებულები და მორჩილება
გამოუცხადეს. მცირეოდენთა შორის როსტომთან არ გა-
მოცხადდა ფარსადან ციციშვილიც. ამის გამო როსტომ სპა-
სალარი შეესია საციციანოს და დაუწყო აოხრება. როსტომ
მეფემ რომ შეიტყო სპარსელების ბარბაროსული ქცევა, შეუთვა-
ლა როსტომ სპასალარს: «საქართველო ისედაც აოხრებულია და
თქვენ რაღა აოხრებთო». სპასალარსა და მეფეს შორის ამის გამო
უთანხმოება ჩამოვარდა და ორთავე შაჰს მისწერეს ერთმანერთის
წინააღმდეგ. შაჰმა როსტომ სპასალარი დაიბარა და მის მაგიერ
გამოგზავნა შირვანის ბეგლარბეგი. როსტომ სააკაძის წასვლის
შემდეგ ციციშვილი და სხვა თავადები მივიდენ როსტომ
მეფესთან გორში და მორჩილება გამოუცხადეს.[1]

ამნაირად გამეფდა როსტომი ქართლში. იმავე დროს
კახეთში ხანად დაჯდა სელიმ-ხანი. როსტომის ხელმწიფების
დასაცველად სპარსელებს ეჭირათ სამი ციხე: თბილისისა, გორისა
და სურამისა. ამას გარდა შაჰის ბრძანებით როსტომს ექვემ-
დებარებოდენ ყაზახის, შამშადილოს და ლორის ხანები, რო-
მელთაც მისთვის შემწეობა უნდა მიეცათ, როცა დასჭირდებოდა.
პირადად როსტომი ძალიან მდიდარი იყო. გილანის ქალაქით-
გან ეძლეოდა წლიურად სამასი თუმანი; როგორც ისპაანის

[1] Chronique Géorgienne p. 66.

მოურავი, იღებდა შემოსავალს ამ ქალაქითგან, ხოლო თავის თანამდებობას ასრულებინებდა თავის დანიშნულს ვექილს. როსტომსვე ეკუთვნოდა ფუშტუქუ და ხუინი და ჰყავდა 5000 კომლი თათარი მლი და ოიმახი ყმად. თუმცა როსტომი პატარაობითგანვე სპარსეთში იყო გაზრდილი, იმას მაინც უყვარდა ქართველობა და დიდის პატივისცემით ეკიდებოდა ქრისტიანობას, ასე რომ ის მაჰმადიანი იყო გარეგნულად და არა ნამდვილის დაჯერებით. ქართველებისა და ქრისტიანობის სიყვარულთან ის აერთებდა სპარსეთის ერთგულებას და მაჰმადიანობის აღსარებას. ის ფიქრობდა, რომ მარტო მშვიდობიანი განწყობილება სპარსეთთან და ყაენის ზეხელმწიფების ერთგულება იყო ერთად ერთი საშუალება საქართველოს კეთილდღეობისა. დიდის ხნის გამავლობაში შენაძენმა გამოცდილებამ შეაგნებინა მას, თუ რა უბედურება ხვდებოდა საქართველოს ჯიუტობით და დაუდგომლობით. ამიტომაც მთელის მის მეფობის პოლიტიკა იყო სპარსეთის ზეხელმწიფების ერთგულება და სამეფოს შინაური აღორძინება. მაგრამ ქართველმა დიდებულმა თავადებმა არ იყაბულეს ასეთი მიმართულება და წინააღმდეგობა დაუწყეს როსტომ მეფეს, რომელმაც მთელი თავის მეფობა მათ დაწყნარებას და დამორჩილებას მოანდომა.

## III.

ქართლში მოსვლის დროს როსტომს არ ჰყავდა ცოლშვილი ვახუშტის მატიანის მოწმობით მოსვლისათანავე მეფემ მოითხოვა ცოლად ბორჯასპ აბაშიშვილის ასული ქეთევან. ქეთევანი უნდა მალე მომკვდარიყოს, რადგან 1634 წ, როსტომმა შეირთო ოდიშის მთავრის ლევან დადიანის და მარიამ, ცოლი სვიმონ გურიელისა, რომლისგანაც ის გაშორებული იყო.[1]

[1] ვახუშტი თვლის 1638 წ., მაგრამ წინააღმდეგს მოწმობენ ხონისა

ამ ქორწინების შემდეგ იწყება ქართლში დიდებულის თავადების არეულობა და შფოთი. მეფის ურჩობის დაწყების ნიშანი მისცა დათუნა არაგვის ერისთავმა. რადგან მის ძმამ ზურაბ ერისთავმა მოკლა სვიმონ II, როსტომის ძმისწული, ყველას ეგონა, რომ როსტომი შურს იძიებდა დათუნა ერისთავზე. თვით იმასაც შიში ჰქონდა და მუდამ ფრთხილობდა. მეფე რომ მარიამ დედოფლის მოსაყვანად წავიდა იმერეთის საზღვარზე, დათუნა ერისთავიც თან ახლდა. სურამში ყოფნის დროს ისე შეაშინეს დათუნა ერისთავი მოსალოდნელის განსაცდელით მეფის მხრით, რომ მან დატოვა მეფე და სურამითგან როსტომის დაუკითხავად თავის საერისთავოში წავიდა. როსტომ მეფეს ეწყინა ერისთავის საქციელი და ამ ნაირად მათ შორის ჩამოვარდა უკმაყოფილება. დათუნა ერისთავმა დაიწყო მოლაპარაკება სხვა თავადებთან და მიწერ-მოწერა გამართა თეიმურაზ მეფესთან, რომ მოქმედება დაეწყო როსტომის წინაალმდეგ. როსტომ მეფემ შეუთვალა 1635 წ. მუხრანითგან ერისთავს, რომ ის ან მასთან მისულიყო, ან შაჰთან წასულიყო. თუ ერისთავი უარს იტყოდა, მეფე მზად იყო ჯარით საერისთავოში გასალაშქრებლად. ერისთავი იძულებული შეიქნა მეფესთან მისულიყო. მაგრამ ის მაინც ფრთხილად იყო, თუმცა როსტომმა კარგად მიიღო, ასე რომ სადილობის დროსაც კი მეფის სუფრაზე იარაღს არ იხსნიდა. ამავე დროს მუხრანში შეიპყრეს თეიმურაზ მეფის კაცი, რომელსაც ერისთავთან მიწერილი წერილები უპოვეს. დათუნა ერისთავმა მოინდომა წერილების გამორთმევა, მაგრამ მეფის ბრძანებით არ დაანებეს. ერისთავი გაჭირვეულდა და რამდენიმე კაცი დასჭრა ხანჯლით. მაშინ როსტომის ბრძანებით თოფი ესროლეს და მოჰკლეს ის.[1]

---

და ილორის ხატების ზედწარწერანი, სადაც გიორგი იმერეთის მეფის ტყვეობა, რომელიც მოხდა იმავე წელს, იხსენიება 1634 წ. (იხ. H. d. G. t. II. 1, pp. 269 და 535).

[1] Chren. Géor. p. 67; Giorgidj. (H. d. G. *t*, II, 1, I, p. 67).

დათუნა ერისთვის შემდეგ არაგვი დაიჭირა მისმა ძმამ ზაალ-მა, რომელმაც აგრეთვე წინააღმდეგობა და ურჩობა გამოუცხადა როსტომ მეფეს. როსტომი მის დასამორჩილებლად მუხრანით-გან წავიდა ჯარით. ზაალ ერისთავმა შეჰკრა გზები თავის საერისთვოში და მოემზადა მოსაგერებლად. როსტომ მეფე მივიდა ბაზალეთს, ხოლო იქითგან გასული რომ ტყეში შევიდა, არაგველები, რომლებიც ჩასაფრებულნი იყვნენ, დაეცენ მეფის ჯარის საბარგე ურმებს, დაამსხვრიეს ისინი და მით გზა შეჰკ-რეს. ვიდრე მეფის ჯარი დამსხვრეულს ურმებს მიალაგ-მოალა-გებდა და გზას გახსნიდა, არაგველები თოფს ესროდენ და დიდს ზარალს აძლევდენ. როსტომ მეფემ დაინახა, რომ ლაშ-ქრობის გაგრძელება საზიანო იქნებოდა და უკანვე გამობრუნდა. საბურდიანოში გაიგო, რომ თეიმურაზ მეფე იმერეთითგან გადმოსულიყო ქართლში. ამის გამგე როსტომ მეფე ტბილისს წავიდა.[1]

ზაალ ერისთავისა და სხვა თავადებისგან მიწვეულმა და წაქეზებულმა თეიმურაზ მეფემ როსტომის არაგვზე გალაშქრება კარგს შემთხვევად სცნო, რომ მის წინააღმდეგ დაეწყო მოქმე-დება. იმერეთითგან გადმოვიდა ქართლს, ინახულა ვახტანგ მუხრან-ბატონი და იოთამ ამილახვარი და წავიდა კახეთს, სადაც, უეჭველია, თავის მომხრეები იწვევდენ სელიმ-ხანის წინააღმდეგ. თეიმურაზმა კახეთში შეკრიბა ჯარი და გადმოვიდა ქართლს, მივიდა მუხრანს და იქითგან წავიდა ქსნის საერის-თვოში. თეიმურაზთან მოიყარეს თავი ზაალ არაგვის ერისთავმა, ვახტანგ მუხრან-ბატონმა და იოთამ ამილახვარმა. თეიმურაზი შეკრებილის ჯარით დაესხა ბორს, მაგრამ ციხე ვერ აიღო. როსტომმა თავის წინააღმდეგ შემდგარის კავშირის მოქმედება აცნობა შაჰს, მაგრამ მისგან არაფერი შემწეობა მოუვიდა-რა, რადგან თითონაც გაჭირებულს მდგომარეობაში იყო. ოსმა-

[1] Giorgidj. (H. d, G. t. II, l, I, p. 68).

ლეთთან ბრძოლის გამო. როსტომ მეფემ შეჰკრიბა სომხით-საბარათიანოს ჯარი და მივიდა ბორს. ქართლითგანაც მიიწვია ჯარი. თეიმურაზ მეფე და მისი მოკავშირე თავადები წამოვიდნენ იკორთითგან და შეებრძოლენ ბორის ახლო. კარგა ხანს გამარჯვება სადავო იყო ორივე მხრით. ბოლოს როსტომმა აჯობა და მისი მოწინააღმდეგები უკან დაბრუნდენ იკორთის მთისკენ. თეიმურაზი და თავადები არაგვის საერისთვოში მივიდენ. როსტომი თბილისს ჩავიდა. [1]

ამნაირად როსტომ მეფეს პირველისავე წლებითგან წინააღმდეგობა დაუწყეს ქართლის უმძლავრესმა თავადებმა: არაგვის ერისთავმა, ქსნის ერისთავმა, მუხრან-ბატონმა და ამილახვარმა. ცხადია, ამათ ყველაზე ნაკლებ იამებოდათ იმისთანა მეფე, რომელიც იცავდა მეფურს უფლებას და ცდილობდა წესიერება დაემყარებინა. როსტომი პირად მდიდარი და სპარსეთის ჯარზე დამყარებული არ ითმენდა ქართლის დიდებულების თავნებობას და მათგანაც მორჩილებას ითხოვდა. თავნებობას მიჩვეულს დიდებულებს შესძულდათ სამართლიანი და მათგან დამოუკიდებელი მეფე როსტომი და ამიტომაც მოინდომეს თეიმურაზ მეფის ხელახლად გამეფება.

თეიმურაზ მეფემ, ძალით რომ ვერას გახდა როსტომის წინააღმდეგ, კიდევ რუსთ ხელმწიფეს მიმართა შემწეობისთვის. 1635 წ. ენკენისთვეში გაგზავნა რუსეთს მოციქულად ნიკიფორე მიტროპოლიტი და გაატანა წერილი რუსთ ხელმწიფესთან, რომელსაც სთხოვდა მფარველობას და მაშველის ჯარის გაგზავნას. [2] ამას შემდეგ თავის მეცადინეობა კახეთის დაჭერას მიაპყრო. 1636 წ. არაგვისა და ქსნის ერისთვების დახმარებით შევიდა კახეთს, გააძია ხანი და დაიჭირა ქვეყანა. ეს ამბავი როსტომმა შაჰს შეატყობინა. შაჰ სეფიმ ასე შემოუთვალა

[1] იქვე.

[2] Переписка грузин. царей съ русскими государями ст. 28.

როსტომს: «რაკი წრეულ ჩვენ თითონ არ მოგვიხდა მოსვლა, ვუბძანეთ ადირბეჟანის ჯარს, რომ შემოგიერთდეს შენ, ააოხრე ყველაფერი, რაც შენ გეურჩება და შენ წინაალმდეგ არის». ამ მოწერილობისამებრ როსტომ მეფემ გაილაშქრა კახეთზე. თეიმურაზ მეფე შეშინდა და როსტომს მოციქული მიუგზავნა, რომ შერიგებოდა და შაჰთან ეშუამდგომლა მის შეწყნარებისათვის. ამასთან დაჰპირდა შაჰთან თავის ასულის თინათინის გაგზავნას. როსტომმა შაჰს აცნობა თეიმურაზის თხოვნა. შაჰმა არჩია თეიმურაზთან მორიგება, რადგან იმ დროს ოსმალთაგან შევიწროებული იყო, დაამტკიცა კახეთის მეფედ და გამოუგზავნა 1000 თუმანი.

1637 წ. შაჰ-სეფიმ გაიმარჯვა ოსმალებზე და უკანვე წაართვა ერევანი. შაჰის მინდობილობით როსტომმა გაილაშქრა სამცხეში ოსმალების წინაალმდეგ. შაჰმა ამ ლაშქრობისათვის როსტომს აჩუქა 2000 თუმანი.[1] სპარსელების გამარჯვებას მოჰყვა მორიგება ოსმალებთან. ამ მორიგების ერთის მუხლის ძალით ხელ ახლად საქართველო ორად იქნა განაწილებული: აღმოსავლეთი სპარსეთისთვის, დასავლეთი ოსმალეთისთვის.

რამდენად გაზვიადებული იყო ქართლის თავადების თავნებობა, ეს სჩანს იმ ამბითგან, რომელიც მოხდა 1637 წ., როდესაც ცოტა გაწყდა, რომ ომი არ გაიმართა ორს დასად გაყოფილთ ქართლის თავადთა შორის. ნოდარ ციციშვილი და იესე ქსნის ერისთავი დავობდენ სოფლის ქარალეთის გამო. მშვიდობიანად ვერ მორიგდენ და, იმის მაგიერ რომ მეფის სამართლისთვის მიენდოთ საქმის გარჩევა, მზათ იყვენ თავიანთ უფლება იარაღით დაეცვათ. ციციშვილს ქომაგობდა ზაალ არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავს იოთამ ამილახვარი. იესე ერისთავი და იოთამ ამილახვარი თავიანთ ჯარით ბორს ზევით იდგენ, ციციშვილი თავის ჯარით ბორს ქვეით იდგა და უცდი-

[1] Chronique Géorgienne p. 68.

და არაგვის ერისთავის ჯარს. ამნაირად შუა-ქართლში მზად იყო ატეხილიყო თავადების ომი იმ დროს, როდესაც თბილისში მეფე იჯდა. როსტომ მეფემ არ შეიწყნარა ასეთი თავნებობა და ჩაერია მოწინააღმდეგეთა შუა. ქარალეთი აკუთვნა ციციშვილს, ხოლო ქსნის ერისთავს და ამილახვარს უბრძანა დაწყნარებულიყვნენ. ისინი რომ არ დამორჩილდენ, როსტომ მეფე შევიდა საამილახვროსა და ქსნის საერისთოში, შეიპყრა ამილახვრისა და ქსნის ერისთავის ცოლშვილი, წაართვა მათ მამული და მისცა სხვებს: საერისთო ელიზბარ ერისთავს, საამილახვრო ბეჟან ამილახვარს. იესე ერისთავი და იოთამ ამილახვარი კახეთს გაიქცენ თეიმურაზ მეფესთან. კახეთითგან ამ თავადებმა გამოუგზავნეს მარიამ დედოფალს თხოვნა, რომ ეშუამდგომლა მეფესთან, გაეგზავნა მათთან მათი ცოლშვილნი, რომლებიც ბორის ციხეში იყვნენ. მარიამ დედოფლის შუამდგომლობით როსტომმა აასრულა მათი თხოვნა. პატარა ხანს უკან როსტომ მეფემ თვით იოთამ ამილახვარსაც აპატივა დანაშაული და მამული დაუბრუნა მის დედის თხოვნით. იესე ერისთავი სპარსეთს წავიდა, სადაც მოკლულ იქნა თავის პირადის მტრებისგან. [1]

## IV.

როსტომ მეფეს არც მარიამისგან გაუჩნდა შვილი. თავადებმა ამის გამო ურჩიეს რომ ეშვილნა იმერეთის მეფის გიორგის შვილი მამუკა. გიორგიჯანიძის თქმით მათ ასე დაასაბუთეს თავიანთი რჩევა: «ამისთვის საქართველო არ წყნარდებისო, რომ შვილი, ძმა და ახლო ნათესავნი არა გყავანო და თქვენს საბოლოს არა ხედვენო; მამუკა ბატონიშვილი იშვილეთ და თქვენც მოისვენეთ და საქართველოც მოასვენეთო. თქვენს უკან იმას ვაბატონებთო». როსტომ მეფემ ეს რჩევა დაიჯერა

[1] H. d. G. t. II, l. I, p. 70.

და მამუკა ბატონიშვილი მიიწვია. მამუკა გამოჩენილი ვაჟკაცი იყო თავის მამაცობით. იმერეთიდგან ლევან დადიანის მძლავრობით გამოძევებული ახალციხეში ცხოვრებდა. როსტომის თხოვნით ის მოვიდა ახალციხითგან თავის ამალით და როსტომმა დიდის ამბით იშვილა. [1]

როსტომის მოწინაალმდეგეებმა მამუკას თავიანთკენ მიმხრობა მოინდომეს. მას აუთქვეს გამეფება, თუ როსტომი მოკლულ იქნებოდა. ამ აზრით გამართეს კიდეც შეთქმულობა. სასახლის აბანოში მოღალატეები ჩაუსხეს, რომ მეფე მოეკლათ, როცა შევიდოდა საბანებლად. მაგრამ ეს შეთქმულობა გაცრუვდა, რადგან მოღალატეებმა აბანოში შესული ერთი მერიქიფეთ-უხუცესის ყმა სიბნელეში მეფედ მიიღეს და დასჭრეს. ხმაზე რომ გაიგეს თავიანთი შეცდომილება, შეშინებულები მტკვარში ჩაცვივდენ და ცურვით გავიდენ მეორე ნაპირას. მეფემ რომ შეიტყო მომხდარი ამბავი, მიხვდა, რომ შეთქმულება ყოფილა მის წინაალმდეგ, მაგრამ იმ ხანად არაფერი თქვა-რა, მხოლოდ ოცის დღის შემდეგ სომხეთის ქალაში მყოფს მამუკას გაუგზავნა ათი ათასი მარჩილი და შეუთვალა: «ყაენისგან მერიდების, რომ კარზე არ გიხმონო. ჩემგან საფიცარი გაქვთ, რომ თქვენი უნებური არა გაკადრო-რაო, ხოლო თქვენც მოგეხსენებათ, ყაენის უარი არ შეგვიძლიანო. ისრევე ახალციხეს მიბრძანდით და რაც ხელით გამოგვივა, აქიდამაც მოგიმართავთ ხელსაო». მამუკა ბატონიშვილი, რომელიც, როგორც სჩანს, რეულა შეთქმულობაში, აიყარა თავის მხლებლებით და წავიდა ახალციხეს. [2] ჩვენის აზრით ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 1638—1640 წლებში.

შეთქმულობით რომ ვერას გახდენ, მართლის თავადებმა გადაწყვიტეს როსტომის წინაალმდეგ კიდევ იარაღის აღება.

---

[1] გიორგიჯანიძე (იხ. ქართლის ცხოვრება ტ. II, გვ. 517).

[2] იქვე გვ. 517 და 518.

ამ მეორე აჯანყების მოთავენი იყვენ: ზაალ არაგვის ერისთავი, იოთამ ამილახვარი, ნოდარ ციციშვილი და ევდემოზ კათოლიკოზი. 1641 წ. შეითქვენ, რომ მტკვრის მარჯვნივ ნოდარ ციციშვილს შეეკრიბა ჯარი, მარცხნივ ზაალ ერისთავს და იოთამ ამილახვარს. თეიმურაზ მეფეც თავის ჯარით უნდა მისულიყო მცხეთას, სადაც მას შეუერთდებოდენ აჯანყებული თავადები. ნოდარ ციციშვილი ცდილობდა თავისკენ მიემხრო ყველა გამოღმა ქართლის თავადები და ვინც არ მიემხრობოდა, მამულს ურბევდა. ამნაირის მოქმედებით იმან შეკრიბა საციციანოს და სხვა კუთხეების ჯარი და დადგა ხოვლეში. ციციშვილს არ მიუდგა სხვათა შორის იორამ სააკაძე გიორგი მოურავის შვილი, რომელიც როსტომ მეფემ აზრუმითგან მოიყვანა და მამისეულს მამულს დაპატრონა. იორამ სააკაძემ აცნობა მეფეს ციციშვილის ამხედრება და ერისთავისა და ამილახვრის განძრახვა მასთან შეერთებისა. რა წამსაც როსტომმა ეს ამბავი შეიტყო, მაშინვე მისწერა სააკაძეს თბილისითგან: «რა წამსაც ეს წიგნი მოგივიდეს ფიცხლავ გზები შეჰკარ, რომ აქითგან მიმავალი კაცი იქით არ გაუშვა და, ღვთის შეწევნით, ამაღამ ერთგან შევიყრებით». მეფემ ბრძანება გასცა, რომ ქალაქის მცხოვრებლები სალაშქროდ მომზადებულიყვენ და იმავე საღამოს მცხეთაში შეკრებილიყვენ. საღამოზე თვით მეფეც მივიდა მცხეთას და დახედა შეყრილს ჯარს, შემდეგ სწრაფად წავიდა ქავთისხევისკენ. აქ მეფეს მიეგება იორამ სააკაძე თავის ჯარით. დილით მეფის ჯარი ხოვლის ბოლოზე იყო კიდეც. როსტომმა ჯარი საომრად მოამზადა, მეფეს ურჩიეს, რომ ციციშვილს დასხმოდა მოულოდნელად. მაგრამ მან არა ქნა და დააძახებინა ქანარები, რომ ციციშვილსაც შეეტყო მეფის მიახლოვება. როსტომმა იმდენი ხანი მოიცადა, ვიდრე მის მოწინააღმდეგენიც არ მოემზადენ საომრად. მაშინ მეფემ უბრძანა ჯარს ომის დაწყება. ნოდარ ციციშვილმა პირად არ

მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა და ვერის ციხეში გამაგრდა. მის მაგიერ იბრძოდენ მეფის წინააღმდეგ იმერელი თავადები ჩხეიძეები, რომლებიც მამუკა ბატონიშვილს მოჰყვენ ქართლში და იქვე დარჩენ მის წასვლის შემდეგაც. ბრძოლაში მეფემ გაიმარჯვა და დაჭრილი ჩხეიძეები მხარწაკრულები მიართვეს მას. როსტომმა ბრძანა მათთვის მკლავები გაეხსნათ და გორს წაეყვანათ, რომ იქ მათთვის ტანისამოსი გამოეცვალათ, ქვე-შაგები და ზედსაფენი მიეცათ და კარგის პატივით ხელი შეეწ-ყოთ. ბრძანება გასცა აგრეთვე, რომ გაქცეულთ არავინ გამოსდევნებოდა და ვისაც ტყვე დაეჭირა, გაეშვა. როსტომ მეფე მეორე დღეს გორს მივიდა.[1]

საზოგადოდ ლმობიერი როსტომი ამ შემთხვევაში მკაცრად მოექცა მხოლოდ დედოფლის სალთხუცესს ქაიხოსრო ბარა-თაშვილს, რომელსაც აჯანყებულებთან ჰქონოდა კავშირი. გორითგან გაგზავნა თბილისს ჩაფარი ბრძანებით, რომ ბარა-თაშვილი დაეჭირათ და ციხითგან გადმოეგდოთ კლდეზე. იმის შვილებიც დააჭირვინა და გორის ციხეში დაამწყვდევინა.[2]

გორითგანვე როსტომ მეფემ ბოქაულთ-ხუცესს ელიზბარ დავითიშვილს გაატანა ჩხეიძეები შაჰთან, რომელსაც ამნაირი არზა მისწერა: «ქართველნი ჩემის უშვილობისა და უნათესაო-ბისთვის ურჩობენ და ავკაცობენ, რადგან ჩემს საბოლოს ვერა ხედვენ. ჩემს ბიძაშვილს თეიმურაზს სამი შვილი ჰყავს და რომელსაც პაპიჩემის ლუარსაბის სახელი ჰქვიან, ის გვიბოძეთ, რომ ჩვენ უკან ქართველთ საბატონოდ ეგულებოდეთ». ამის შემდეგ შეუდგა ნოდარ ციციშვილის შეპყრობას. ეს გამაგრდა ზოვრე-თის ციხეში. როსტომ მეფემ გორის ციხითგან წაიღო ზარბაზ-ნები და დაუწყო სროლა ციხეს, მაგრამ ქვითკირს რო ვერა დააკლო-რა, ალყა შემოარტყა. მეფე ადგა ციხეს 1642 წ. 6 იანვრამდე. შეწუხებულმა მეციხოვნეებმა მოინდომეს

---
[1] იქვე გვ. 519—520. [2] იქვე გვ. 520.

ციციშვილის ნების წინააღმდეგ ციხის დანებება. მაშინ ციციშვილმა თავის დედა მიუგზავნა როსტომს სახვეწრად, რომ ის გაეშვა ციხითგან თავისუფლად და მიეცა გზა სამცხეში წასასვლელად. მეფემ ციციშვილის დედა, კახეთის ბატონიშვილი, დიდის პატივით მიიღო და შეიწყნარა სათხოვარი. ნება მისცა ნოდარ ციციშვილს, სადაც უნდა წასულიყო თავის მხლებლებით და ქონებით. ამას გარდა თითონვე ათხოვა ცხენები და ჯორები, რომ ზოვრეთითგან ახალციხემდე ბარგი წაეღო. უარი უყო მხოლოდ პირად ნახვაზე, რომელსაც ციციშვილი სთხოვდა.[1]

## V.

როსტომის მოწინააღმდეგენი მაინც არ დაწყნარდენ და მის წინააღმდეგ მოქმედებდენ. იმათ ჰქონდათ განუწყვეტელი მისვლა მოსვლა თეიმურაზ მეფესთან და კახეთში აწყობდენ არეულობის საქმეს. თეიმურაზ მეფეს ძალიან უნდოდა როსტომის განდევნა და ქართლის შეერთება. ამ მიზნის მისაღწევად ყოველს საშუალებას ხმარობდა: ერთის მხრით რუსთ ხელმწიფეს შეჰფიცა ქვეშევრდომობა, მეორეს მხრით სპარსეთის შაჰს შეურიგდა და ქართლის თავადებსა და მცხოვრებლებს იმხრობდა. მაგრამ რუსეთის იმედი იმას არ უმართლდებოდა ისე, როგორც თითონ უნდოდა. 1639 წ. გაგზავნილი მოციქული ნიკიფორე მიტროპოლიტი დაბრუნდა რუსეთითგან 1642 წ. მარიამობისთვეში. მას თან მოჰყვენ რუსის მოციქულები მიშეცკი და კლიუჩარევი. რუსთ ხელმწიფეს უარი შემოეთვალა თეიმურაზის სათხოვარზე და მხოლოდ 20,000 ტალერი და 2,220 მანეთის სიასამური გამოეგზავნა. ამავე დროს, ენკენისთვეში, მოვიდა თეიმურაზთან შაჰის მოციქული, რომელმაც მოუტანა საჩუქრები ახლად გახელმწიფებულის შაჰ-აბაზ II-ისგან.

შაჰის მოციქულებს მინდობილი ჰქონდათ თეიმურაზთან

[1] იქვე გვ. 520—521.

მოელაპარაკნათ, რომ რუსეთზე ხელი აელო [1] და როსტომ მეფის წინააღმდეგ მოქმედებისთვის თავი დაენებებინა. თეიმურაზმა ყაენის მოციქულს მისცა აღთქმა, რომ შეასრულებდა ყაენის სურვილს და როსტომს არ გაუწევდა წინააღმდეგობას. [2] მაგრამ ეს დაპირება ტყუილი იყო თეიმურაზის მხრით, რადგან როსტომის მტრობისთვის იმას არ დაუნებებია თავი. პირიქით ქართლის თავადებმა ზაალ არაგვის ერისთავმა, ელიზბარ ქსნის ერისთავმა და იოთამ ამილახვარმა თეიმურაზ მეფესთან ერთად გადაწყვიტეს ამავე წელს როსტომის წინააღმდეგ აჯანყება.

1642 წ. 24 ქრისტეშობისთვეს შეიტყო როსტომ მეფემ, რომ მის მოწინააღმდეგე თავადები ერთად შეყრილიყვენ ახალგორში, სადაც ჯარს კრებდენ და უცდიდენ თეიმურაზის მისვლას საფურცლეში. ამ ამბის გაგონებაზე როსტომმა მაშინვე ბძანება გასცა, რომ ლაშქარი მცხეთაში შეკრებილიყო მზის ჩასვლამდის. ამასთან მუხრან-ბატონს ვახტანგს მისწერა: «შენის ლაშქრით მზად დამხვდი, ღვთის შეწევნით ამაღამ მანდ მოვალო». როსტომ მეფე მცხეთას რომ მივიდა, ლაშქარი მზად დახვდა. მუხრანითგან მეფემ შეუსვენებლად ჩქარის ნაბიჯით წაიყვანა ჯარი ახალგორს და დილაადრიან, შობა დღეს, თავს დაესხა ლოცვაზე მდგარს თავის მტრებს. ამათ ეჭვიც არ ჰქონდათ, რომ როსტომ მეფე თავს დაესხმოდათ. ზარდაცემულები მაშინვე გაიქცნენ, ვისაც როგორ შეეძლო. მათი სამზადისი მეფის ლაშქარს დარჩა. მეფე იმ დღეს ახალგორს დარჩა. მეორე დღეს დატყვევებულები გაათავისუფლა, ხოლო თითონ გორს წავიდა.

იმ ზამთარს (1643), როსტომის გორში ყოფნის დროს, სპარსეთითგან მოვიდა ელიზბარ დავითიშვილი, რომელსაც შაჰ-აბაზ II-ემ გამოატანა ლუარსაბ ბატონიშვილი. ყაენი

[1] Переп. стр. LI—LIII.

[2] Moundji (იხ. H. d. G. t. II, l. I, p. 500).

სწერდა: «შენის ბიძაშვილის თეიმურაზის შვილი შენთვის შვილად გეთხოვნა. გამოგვიგზავნია და ქართველთათვის გვიბძანებია, რომ უფლისწულად და თქვენ შვილად მიაჩნდეთ და თქვენ უკან ქართლის მეფობა მაგისთვის მიგვიცია». ეს ამბავი ეწყინათ თეიმურაზ მეფის მომხრეებს, რომელთაც მით უფრო ჰქონდათ იმედი თეიმურაზის ქართლში გამეფებისა, რომ როსტომს მემკვიდრე არა ჰყავდა. ქართლის მეფობას ცდილობდა აგრეთვე გიორგი გოჩაშვილი, ბაგრატიონის გვარისა. ლუარსაბ ბატონიშვილის მემკვიდრედ დანიშვნამ უფრო მკვიდრად შეაკავშირა როსტომის მოწინააღმდეგენი. ისინი შეუდგენ შეთქმულობის გამართვას. უმთავრესი მოსაქმენი იყვენ: გიორგი გოჩაშვილი, რევაზ ბარათაშვილი, ყორხმაზ სომხითის მელიქი და ევდემოზ კათოლიკოზი (დიასამიძე). [1]

1644 წ., როდესაც როსტომ მეფე ცხირეთში იდგა, შემთქმელებმა დააწყვეს, რომ თეიმურაზ მეფე მეტეხს მისულიყო მცირეოდენის ჯარით, და, როცა როსტომი თეიმურაზს შეეტაკებოდა, უნდა მაშინ მოეკლათ ღალატით და გაევრცელებინათ ხმა, რომ ომში მოკვდაო. მაგრამ ეს შეთქმულობა ყორხმაზ მელიქმა როსტომ მეფეს შეატყობინა და საქმე სულ ჩაიშალა. როდესაც თეიმურაზი მეტეხს მივიდა, როსტომი გორისკენ წავიდა, თეიმურაზ მეფე უკანვე დაბრუნდა, ხოლო შემთქმელები, რომელთაც ყორხმაზის ღალატი არ იცოდენ, არხეინად მივიდენ გორს როსტომ მეფესთან. როსტომ მეფემ ევდემოზ კათოლიკოზი, გიორგი გოჩაშვილი და ზურაბ სააკაძე დააჭერვინა. რევაზ ბარათაშვილმა კახეთს გაქცევა მოასწრო. ევდემოზ კათოლიკოზი თბილისის ციხითგან გადმოაგდებინა როსტომმა, გიორგი გორაშვილს და ზურაბ სააკაძეს თვალები დაათხრევინა. დაესხა იოთამ ამილახვარს, შეპყრობილი ჰგვემა და ფიცით გაუშვა, ხოლო ციხე ცხვი-

[1] გიორგიჯანიძე (იხ. ქარ. ცხოვ. ტ. II, გვ. 522).

ლოსი შეუმუსრა. ზაალ ერისთავი და ბევრი სხვები მის მოწინაალმდეგეთაგანნი იძულებულები იყვენ კახეთს გადახვეწილიყვენ.[1]

შემდეგ როსტომ მეფემ გაილაშქრა კახეთში თეიმურაზის დასასჯელად. მათ შორის ომი მოხდა მაღაროში და როსტომი დამარცხებული უკანვე დაბრუნდა. მაშინ როსტომმა გაგზავნა შაჰთან კაცი და შეატყობინა რაც მოხდა. შაჰ-აბაზმა უბრძანა ადამ სულთან ენდრონიკაშვილს, როსტომ მეფის დისწულს, წასულიყო ქართლს ადირბეჟანის, შირვანის, ერევნის და ყარაბაღის ბეგლერბეგებით, «რომ ვინც როსტომის ურჩი და მაწყინარია შუადამ ამოიღოს და ბატონი თეიმურაზ გააძიოს».[2]

ადამ ენდრონიკაშვილი მოვიდა ქართლს 1645 წ. როსტომ მეფე და ადამ-სულთანი რომ კახეთს შევიდენ, თეიმურაზმა უკან დაიხია და კახეთი მათ დარჩათ. მაშინ კათოლიკოზმა (ქრისტეფორე ურდუბეგაშვილმა) და ეპისკოპოზებმა სთხოვეს როსტომ მეფეს, რომ მორიგებულიყო თეიმურაზთან ორის წლის ვადით, რის განმავალობაშიაც ისინი უნდა შერიგებულიყვენ საბოლოოდ. წინდად თეიმურაზმა როსტომ მეფეს დაუთმო თავის მხრით ორი სოფელი: ზავაზი და ქისისხევი.[3] აგრეთვე მიმართეს როსტომ მეფეს სინანულით და შენდობის თხოვნით თავადებმა. ზურაბ ერისთავმა და ნოდარ ციციშვილმა მეფეს მიუგზავნეს მახვეწრად ანახანუმ ჩხეიძის ცოლი, რომელიც იყო ნოდარ ციციშვილის და, ზალო ერისთავისა სიდედრი. ანახანუმი მივიდა როსტომთან და სთხოვა, რომ შეეწყალებინა ერისთავი და ციციშვილი, რომელნიც მზად იყვენ მისულიყვენ მეფესთან და მორჩილება გამოეცხადებინათ. ანახანუმმა ამ თხოვნას დაურთო თხოვნა თავის შვილების, მაზლისა და მაზლის წულის დაბრუნების შესახებ სპარსეთითგან.

---

[1] იქვე. [2] იქვე.

[3] Chronique Géorgienne p. 69.

როსტომმა მოწყალებით მიიღო ჩხეიძის ცოლი და ასეთი პასუხი მისცა: «თუ ერისთავი შაჰის კარს წავა, შემოვირიგებთ, შაჰის კარითგან ისევ მალე მოვიყვან და შვილებსაც მოგისხმევინებთ. საციციანოსაც ნოდარს მივსცემთ, ერისთავსაც, რაც ქართლში მამული ჰქონებია დავუბრუნებ და შაჰისგან სოფლებსაც ვუშოვნით». ამ პასუხის შემდეგ ერისთავი მივიდა მეფესთან. მეფემ კარგათ მიიღო, დაუბრუნა თავის ნაქონები მამული და საერისთვოში გაისტუმრა. აგრეთვე მივიდა მეფესთან ნოდარ ციციშვილი. როსტომმა იმას დაუბრუნა საციციანო. რაკი ამნაირად მორიგებით გაათავა საქმე თეიმურაზსა და ურჩს თავადებთან, როსტომმა იშუამდგომლა შაჰთან, რომ ისინი შეეწყნარებინა და სპარსეთის ჯარი უკანვე დაებრუნებინა.

## VI.

ამავე წელს ზაალ არაგვის ერისთავი წავიდა სპარსეთს შაჰთან. ის რომ წასვლას აპირობდა, იოთამ ამილახვარმა მიუგზავნა მეფეს კაცი და სთხოვა, რომ ისიც გაეშვა შაჰთან ერისთავთან ერთად. როსტომმა სიამოვნებით მიიღო მის სათხოვარი და ორსავე თავადებს წაუმძღვანა სუფრაჯი ჰამზაბეგი. დიდის ამბით იმგზავრეს ამ თავადებმა. გზაში ყველგან სამასპინძლოს მზად ახვედრებდენ. სადაც გზის პირას ხანი და სულთანი იყო, წინ უხვდებოდენ მათ, თავიანთა იპატიჟებდენ და დიდის ამბით უმასპინძლდებოდენ. ქალაქებში შესვლის დროს, წინ ეგებებოდენ ქალაქის თავი კაცები. ისპაანს რომ მიახლოვდენ, წინ გამოეგებენ ისპაანის ვეზირი, ქალანთარი, მოურავის მოადგილე ქალაქის უფროსის კაცებით და ადამ ენდრონიკაშვილი ყულების ჯარით. ქალაქის ალაყაფის კარს აკოცნინეს და ჯულფის უბანში ხოჯა საფარას სახლში ჩამოახტუნეს. რვა დღის განმავლობაში ერისთავს და ამილახვარს

სადილ-ვახშამი შაჰის სახლითგან მისდიოდათ. მერმე შვიდ-შვიდი თუმანი და სამოც-სამოცი ლიტრა ღვინო გაუჩინეს დღეში თითოს. შაჰმა ინახულა ისინი, გაამაჰმადიანა და მეჯლიში გაუმართა. ამ მეჯლიშზე ორთავე ქართული ჩოგანი ათამაშა და ოქროთ შეკაზმული ბედაური ცხენები აჩუქა. ამნაირს პატივში იყვენ ზაალ ერისთავი და იოთამ ამილახვარი, როცა როსტომის კაცი მივიდა შაჰთან, რომელსაც მეფე სწერდა არზით, რომ ისინი გაეშვა ქართლს. შაჰმა გაისტუმრა ისინი დიდის საჩუქრებით. ერისთავს უბოძა ხუთასის თუმნის თეთრი, ხალათი, ოქროთ შეკაზმული ცხენი და თხუთმეტი სოფელი შაზმინის სიახლოვეს. ამილახვარსაც აგრეთვე უბოძა ფულები, ხალათი და ოქროთ შეკაზმული ცხენი; ამას გარდა დაუნიშნა წლიური ჯამაგირი ორმოც-და ათი თუმანი. იმათთანვე გამოუშვა საქართველოში ყველა ქართველი ტყვეები, ვინც კი ისპაანში იყვენ: ქართლელები, კახელები, თუ იმერლები, ყველანი დასაჩუქრებულები ხალათებით და საგზაო ფულებით. ერისთავს და ამილახვარს კიდევ მით გამოუცხადა თავის წყალობა, რომ აჩვენა ჰარამი. გამოსტუმრებისას ასე უთხრა მათ: «რასაც როსტომ მეფეს ამებთ და ერთგულად ემსახურებით, ჩვენ გვიამების და იმის მოწყრილობით ჩვენგან წყალობა დაგემართებისთ, იმისავე მოწყრილობით ჩვენგან რისხვასაც ელოდეთო». შაჰმა იმათ ხელით როსტომ მეფესაც გაუგზავნა ხალათი და ოქროთ შეკაზმული ცხენი. მეჰმანდარი წამოუძღვა და წამოვიდენ ქართლისაკენ. როსტომ მეფემ რომ შეიტყო ტფილისს მიახლოვება ერისთავისა და ამილახვრისა, მრავალის ხალხით გამოვიდა ქალაქს გარეთ წინ მისაგებებლად. იმათ რომ დაინახეს როსტომ მეფე ცხენით მომავალი, დაიქვეითეს, ფეხ-და-ფეხ მიუახლოვდენ მეფეს და მის ცხენის ავჟანდაზედ აკოცეს. როსტომი ცხენითგან ჩამოხტა და შაჰის გამოგზავნილი ხალათი ჩაიცვა. დიდის ამბით შემოვიდენ ქა-

ლაქში. მეფემ მოსული თავადები, ათს-თორმეტს დღეს ალხინა და შეასვენა, მერმე უბრძანა: «გზისაგან გარჯილნი ხართ და შინაც გელიანო, წადით ამ ზამთარს თქვენსას შეექეცითო». [1]

ზაალ ერისთავი რომ როსტომ მეფეს დამორჩილდა და შაჰთან წავიდა, თეიმურაზ მეფეს ეწყინა. თავისგან მიცემული თიანეთისა და სხვა კახეთის მამულები წაართვა ერისთავს ამის გამო გაჩნდა მიხტომ მოხტომა ერისთავსა და თეიმურაზ მეფეს შორის. ზაალ ერისთავი ცოლშვილით ტფილისს ჩავიდა და როსტომთან იჩივლა თეიმურაზისგან კახეთის მამულების წართმევაზე. მშვიდობის მოყვარე როსტომმა ერისთავს ასე უპასუხა: «მე მაგაზე ბატონს თეიმურაზს ვერას შევუვალ, რომ თავის სამკვიდრო მამული არ მოგცესო, მაგიერი მე მომიცემიაო». [2]

# VII.

თეიმურაზ მეფე თავისას არ იშლიდა და როსტომის წინააღმდეგ მოქმედებდა.

1646 წელს იმისგან გაგზავნილი მოციქული იმერეთის მეფე ალექსანდრესთან მიმავალი რევაზ ბარათაშვილი დაიჭირეს და როსტომ მეფეს მიგვარეს. ბარათაშვილს ამოაჩნდა «საჩხუბარი წერილები». როსტომ მეფემ ბარათაშვილს თვალები დაათხრევინა და თეიმურაზს მოციქული გაუგზავნა: «რისთვის არ დაწყნარდებით და ჩვენც არ დაგვაწყნარებთ? ჩვენსა და თქვენ შუა მრავალი საქმენი ძენან. ამას წინად კახეთში სამი სოფელი დაგვიდევით ზაზრჯიბამდისინ, ახლა ორნივე უსაქმო ვართ და სადამდისინ თქვენსა და ჩვენს შუა საქმენი გარდუწყვეტი არის, ქართლი და კახეთი არ მოისვენებს. დრო ამის უკეთესი არ იქნების. ორივედ მცოდინარი ბერი და ერი

---

[1] გიორგიჯანიძე (იხ. ქართლის ცხოვრება ტ. II, გვ. 525—537).

[2] იქვე გვ. 527.

შენს სიძეს მეფეს ალექსანდრეს ვთხოვოთ, ასრევე ლევან დადიანს, გურიელს და ახალციხის ფაშასაც ვთხოვოთ, გავიბრჭნეთ და შევრიგდეთ. ჩვენც მოვისვენოთ და ჩვენი ქვეყანანიც მოვასვენოთ». ეს წინადადება მეფე თეიმურაზმა უარჰყო და ის სოფლები, რომლებიც გაბრჭობამდის როსტომს მისცა წინდად, ისევ წაართვა და მოხელეები გამოუყარა. პასუხათ როსტომს მისწერა: «შენის ძმისწულის მეფის სვიმონის მკვლელი ზურაბ ერისთავი მე მოვკალ და თქვენ კიდეც უნდა მიმადლიდეთო, თუ არა და ჩემთან საბჭო რა გაქთო. თქვენი მესისხლე ეგ არის, რომელ-ც ყაენთან გაგიგზავნია და მორჭმული და გამდიდრებული მოგიყვანია. თუ სისხლს კითხულობ, მოსისხლის ძმებსა და სახლის კაცებს მოჰკითხეთო». მოციქულობამ როსტომ მეფესა და თეიმურაზ მეფეს შორის გასტანა 1647 წლამდე.[1]

საქმე იქნამდისინ მივიდა, რომ როსტომმა და თეიმურაზმა ჯარები შეკრიბეს და გაემართენ ერთმანერთის წინაალმდეგ (1648 წ.) თეიმურაზი თავის ჯარით დადგა თიანეთში. როსტომი თითონ ქართლის ჯარით მის წინაალმდეგ წავიდა თიანეთისკენ, ხოლო ქიზიყისკენ გაგზავნა სპარსელების ჯარი ჯემალხანის წინამძღოლობით. როსტომმა გაიარა მცხეთაზე, სადაც სვეტიცხოველში ილოცა და იქითგან მივიდა თიანეთში.[2] მეფემ თავის ჯარს უთავა ვახტანგ მუხრან-ბატონი და ზაალ ერისთავი. თეიმურაზის ჯარს სარდლობდა სალთხუცესი რევაზ ჩოლაყაშვილი. როცა მზად იყვენ ორივე მოწინაალმდეგე მხარენი ერთმანერთს შეხვდომოდენ, თეიმურაზის მხარეს განხეთქილება ჩამოვარდა. სუფრაჯი ბიძინა ჩოლაყაშვილი, რომელიც გადამტერებული იყო რევაზ ჩოლაყაშვილზე ჩააცივდა თეიმურაზს, რომ ერთის რაზმით გაეგზავნა ის ერწოს გასამაგრებლად. ამ ახირების მიზეზი ის იყო, რომ მას არ უნდოდა

[1] იქვე გვ. 528. [2] Chron. Géor. p. 69.

რევაზ ჩოლოყაშვილის სარდლობის ქვეშ ეომნა. თეიმურაზს არ უნდოდა ჯარის გაყოფა, მაგრამ უარესის შფოთის ასაცილებლად დართო ნება, რომ ბიძინა ჩოლოყაშვილი ჯარით მრწოს წასულიყო. ამნაირად მისი ჯარი განახევრდა. ამის შემდეგ ჟლლისში გაიმართა ომი. თეიმურაზისა და როსტომის ჯარებს შორის. თეიმურაზის მხრით მოკლული იქნა ტყვიით სარდალი რევაზ ჩოლოყაშვილი, რის შემდეგ შეშინებულმა ჯარმა უკან დაიხია, დამარცხებულმა თეიმურაზმა შიგნით კახეთისკენ გასწია. როსტომი ჯარით უკან გამოედევნა და მიჰყვა ბრემამდის, სადაც ის გაჩერდა.

რა დღესაც ჟლლისში გაიმარჯვა როსტომმა იმავე დღეს მაღაროში გაიმარჯვეს სპარსელებმა კახელებზე და მოკლეს დავით ბატონიშვილიც. როსტომმა გაიგო ეს ამბავი მეექვსე დღეს ბრემთან. გაიგეს აგრეთვე თეიმურაზმა და კახელებმა, რომლებიც ბრემში იყვნენ. თეიმურაზი გაჭირებულს მდგომარეობაში ჩავარდა, მტრებს შუა მომწყვდეული. რამდენიმე კახელი მივიდა როსტომთან და წინადადება მისცა, რომ თეიმურაზს დაიჭერდა. როსტომმა არ მიიღო ასეთი წინადადება და მადლობის მაგიერ შერისხა ამისთანა ცუდის განზრახვისთვის. თეიმურაზს მეტი ღონე არ ჰქონდა, უნდა როსტომისთვის ეთხოვნა თავისუფლად გაშვება იმერეთს. მან ამნაირის სათხოვარით მიგზავნა როსტომთან ხორეშან დედოფალი. როდესაც ხორეშანი მივიდა როსტომის ბანაკში, წინ მიეგებენ მას კათოლიკოზი, ლუარსაბ ბატონიშვილი და ეპისკოპოზები. როსტომმა აუკრძალა ყველას, რომ არ გაეგებინებინათ დათუნა ბატონიშვილის სიკვდილი ხორეშანისთვის, რომელსაც ის მარტო დატყვევებული ეგონა. როდესაც მეფის კარავს მიუახლოვდა ხორეშან დედოფალი, ცხენითგან ჩამოხტა, და მარჯვნივ კათოლიკოზით, მარცხნივ ლუარსაბ ბატონიშვილით, მივიდა კარავთან. როსტომ მეფე მიეგება კარვის წინ და დედოფალი

მას ფეხთ მოეხვია. «გაფიცებ, უთხრა დედოფალმა როსტომ მეფეს, თუ პატივსა სცემ ოდნავად შენს სისხლს, ნება მიეცი შენს ნათესავს წასვლისა». როსტომმა წამოაყენა ხორეშანი და მათ გადაჰკოცნეს ერთმანეთი ტირილით. ამას შემდეგ დედოფალი შეიყვანეს ცალკე კარავში მოსასვენებლად. როსტომ მეფემ დაუძახა ისე ლორის ხანს და ჰკითხა, რა პასუხი მიეცა დედოფლისთვის. იმან ურჩია, რომ რაკი თეიმურაზს ქართლზე ხელი აუღია და დამორჩილებას აპირებს, ყარაია იმას დაუტოვე და დანარჩენი მისი სამეფო შენ დაინარჩუნეო. ეს აზრი მოეწონა როსტომს და ისეც უნდოდა მოქცეულიყო, მაგრამ სხვებმა სულ წინააღმდეგი რჩევა მისცეს. თეიმურაზის სიტყა დასაჯერებელი არ არის და შესაძლებელია, შემდეგშიაც ისე არ მოგასვენოს, როგორც აქამდისაო,[1] როსტომმა ხორეშან დედოფალს წინადადება მისცა, რომ თუ თეიმურაზი სპარსეთს წავიდოდა ყაენთან, ის შუამდგომლობას გაუწევდა შესანდობლად. ხორეშანმა უარი უთხრა სპარსეთს წასვლაზე და სთხოვა იმერეთს გაშვება. მაშინ როსტომ მეფემ დედოფალს აჩუქა 500 თუმანი, მისცა 500 ცხენი და ჯორი ბარგის საზიდლად და კათოლიკოზის წინამძღოლობით გაუშვა იმერეთს თეიმურაზი სახლობით, მხლებლებით და იმ კახელებით, ვინც მასთან ყოფნა მოინდომა.[2]

ამნაირად როსტომ მეფემ დაიჭირა მთელი კახეთი. დათუნა ბატონისშვილის და სხვა დახოცილის თავად-აზნაურობის თავები და თეიმურაზის დროშა ყაენს გაუგზავნა ბოქეულთხუცესის ელიზბარ დავითიშვილის ხელით. მასთან გაგზავნა აგრეთვე ბიძინა ჩოლოყაშვილი. ყაენმა, რომელიც მაშინ ყანდაარში იყო წასული სალაშქროდ, კახეთი როსტომს მისცა და გამოუგზავნა თაჯი, თომარი, მურასა ხმალი, ფუნში (ყელსახვევი),

[1] Chron. Géor. p. 70—71.

[2] Giorgidj. (H. d G. *t*, II, l. I, p. 72).

ხალათი და ოქროს იარაღით შეკაზმული ბედაური ცხენი. ამის გარდა სხვა და სხვა ქართველის თავად-აზნაურებისთვის დასარიგებლად გამოატანა დავითიშვილს 500 ხალათი, თვით იმას კი საჩუქრად მისცა სამი სოფელი ყარაბაღში (განჯაში).[1] როსტომ მეფემ ერწო-თიანეთი და ხერკი ზაალ ერისთავს მისცა.

## VIII.

თეიმურაზ მეფის კახეთითგან გაძევების შემდეგ ქართლმა და კახეთმა მოისვენა. როსტომი ახლა უცილობლად განაგებდა ორსავე სამეფოს. 1650 წ. როსტომმა დააქორწინა დიდის ამბით ლუარსაბ ბატონიშვილი ადამ ანდრონიკაშვილის ასულს თამარზე. 1651 წ. გაზაფხულზე როსტომმა და მარიამ დედოფალმა მოინდომეს კახეთის დათვალიერება. მათ მიიწვიეს ქართლის თავად-აზნაურები ცოლებით და შეუდგენ კახეთის მიმოვლას. პერაფერი სანახავი იყო მაშინ კახეთი, რომელიც სპარსების შემოსევისგან სრულიად აოხრებული და დანგრეული შეიქნა. 1642 წელსა კახეთში მყოფის რუსეთის მოციქულების თქმით, ამ ქვეყანაში სულ 30,000 კომლი იქნებოდა მცხოვრებელი, ცოტა სოფლები იყო, ქალაქები კი სულ აოხრებულები და ნანგრევებად ნაქცევები იყვენ.[2] სასიამოვნო სანახავი კახეთში მაშინ არა იყო-რა, და ქვეყნის ასეთის სამწუხარო სანახაობით შეწუხებული მეფე და მისი ამალა გულს ნადირობას აყოლებდენ, ასე რომ მთელს ამ მოგზაურობას შეიძლება სანადიროდ წასვლა ვუწოდოთ. ნადირობით და ახლო-ახლო ჩამოხტომით მეფემ მთელი კახეთი მოიარა. მარიამ დედოფალმა ალავერდში დამარხულის მეფეების სულების მოსახსენებლად გამართა ალაპი და აწირვინა. გრემის ქალაქის აოხრებულმა მდგომარეობამ, მის სამეფო სასახლის დიდებულმა ნანგრევებმა,

---

[1] გიორგიჯანიძე (იხ. ქარ. ცხ. ტ. II, გვ. 25).

[2] Переписка ст. LIV.

რომლებიც ნადირთ სადგომად გამხდარიყვენ, სამწუხარო ჩაზექ-დილება მოახდინა მეფეზე. ფარსადან გიორგიჯანიძის თქმით, როსტომ მეფე ამ სასახლის დანახვაზე საწუთროს გაუტანლობას შეუწუხნდა და უბრძანა მას სასახლის ასე მინგრეულობისათვის ერთი მუნასიბი ლექსი ეთქვა. გიორგიჯანიძემ ეს ლექსი მოახ-სენა მეფეს:

მღვთის მეცა ურჩი მათხოვეთ, გრემის სასახლის ქებაო,
ვისაც გენახოს ეს ასრე, რად გული დაგედებაო;
ესე სოფელი ცუდია, არ ვის არ გასთავდებაო,
ამის ამშენი რომ მოკვდეს, თქვენ ცეცხლი მოგედებაო. [1]

ქართლისა და კახეთის მშვიდობიანობა შეარყიეს •ქართ-ლელმა თავადიშვილებმა 1653 წ. ლუარსაბ ბატონიშვილის მოკვლით. (იმათ არ ეპიტნავებოდათ ლუარსაბის მემკვიდრედ დანიშვნა. ჩვენაო, ამბობდენ ისინი, ყველას მაგის პაპის ვახტან-გის მამული გვიჭირავს და, როცა გაბატონდება, ყველას წაგვართმევს და თავის შვილს საუფლისწულოდ მისცემსო. ამიტომ მათ გადასწყვიტეს მისი მოკვლა, და თავიანთ განძრახ-ვის ასასრულებლად შემთხვევაც იპოვეს. 1653 წ. [2] მეფე თავის სახლობით და მრავალის თავად-აზნაურობით წავიდა ღებედაზე აშენებულის ხიდის, ქარავან-სარაიის და სოფლის სანახავად. აქ როსტომი აპირებდა რამდენისამე დღით დარჩენას. თავადიშვილებმა ლუარსაბ ბატონიშვილს მოახსენეს, რომ გაჰყოლოდა მათ გაღმა ქარაიის ჭალაში სანადიროდ. მეფემაც დასტური დასცა ნადირობის დროს ვინღამაც ტყვია ლუარსაბს მოახვედრა. შეიტყო თუ არა ეს ამბავი, როსტომმა გაგზავნა ჯარა ექიმი და თითონაც გაეშურა. ჯერ კიდევ ცოცხალს მიასწრო და დაუწყო გამოკითხვა: თოფი საითკენ გეცა, ან

---

[1] გიორგიჯანიძე (იხ. ქარ. ცხოვ. ტ. II, გვ. 532).

[2] Histoire de la Géorgie, Introduction et table de motières p. CXLIV.

იქით ვინა და ვინ იდგენ, ან გაიგე ვისი თოფი გეცაო? ლუარსაბმა უპასუხა: «თუ მოვრჩი, ჩემს მკვლელს მე ვიპოვნი და თუ მოვკვდი თქვენ კარგად იყავით, როგორც გიჯობდეთ, ისე ჰქენითო». ბატონიშვილი მიიცვალა მეორე დღეს.[1] მკვლელის ძებნის დროს სიაობ ბარათაშვილმა დასწამა ბაინდურ თუმანიშვილს, ვითომ იმას მოეხვედრებინოს თოფი. როსტომ მეფემ სიმართლის ამოსაჩენად ისინი ხმალში აჩხუბა. ხმალში ორნივე დაიჭრენ და თუმანიშვილი გამართლებული იქნა.[2] ლუარსაბის სიკვდილის შემდეგ როსტომმა მოინდომა მოეყვანა მემკვიდრედ მის ძმა ვახტანგი, რომელიც ყაზმინს იყო მოურავად. მეფემ გაგზავნა ყაენთან თურმან თურმანიძე არზით ბატონიშვილი ვახტანგის შვილად სათხოვნელად. ვახტანგის დედას არ იამა როსტომის თხოვნა და მის მოციქულს პირდაპირ გამოუცხადა ეჭვი, რომ ლუარსაბი მეფისგან არის მოკლული და მეფე ახლა მეორე შვილსაც მთხოვს, რომ ისიც მოკლასო. ყაენს სთხოვა, რომ მის შვილი არ გაეგზავნა როსტომთან, ხოლო ქართლი, ან ახლავე მიეცა, ან როსტომის სიკვდილის შემდეგ. თურმანიძემაც როსტომ მეფეს შეატყობინა, რომ ლუარსაბის სიკვდილს შენ გაბრალებენო. როსტომმა ამის გაგონებაზე თქვა: «შვილად მინდოდა, თუ ღმერთს ჩემთვის შვილი სდომებოდაო მომცემდაო, ახლა სანამდისინ ცოცხალი ვარ, თვითონ ვიბატონებო, ჩემს უკან ვისაც უნდა მისცენო».[3]

**1654** წ. სპარსეთში მოკვდა ხალიფა-სულთან ეტიმადოვლე და ყაენმა მის მაგიერ დააყენა მაჰმად-ბეგი. როსტომ მეფემ ახალის ეტიმადოვლის მისალოცავად გაგზავნა ყაზმინს ფარსადან გიორგიჯანიძე ფეშქაშით. ყაენმა რომ შეიტყო გიორგიჯანიძის მისვლა, გამოაკითხვინა ლუარსაბ ბატონიშვილის მოკვლის ამბავი. ამან დაარწმუნა, რომ ის როსტომის მოკლუ-

---

[1] გიორგიჯანიძე (იხ. ქართ. ცხ. ტ. II, გვ. 533—534).
[2] იქვე გვ. 535. [3] იქვე გვ. 536—537.

ლი არ იყო. ეს რომ ვახტანგ ბატონიშვილმა გაიგო, გიორგიჯანიძის ხელით გაუგზავნა როსტომს არზა და დაბარა საამელი და თავდაბალი სიტყვები. გიორგიჯანიძე იმ ზამთარს ლაჰიჯანში დარჩა მეფის ფულების ასაღებად, ხოლო ვახტანგის არზა და მისი დაბარებული სიტყვები მეფეს შეატყობინა წერილით. ვახტანგის არზის და გიორგიჯანიძის წერილის წაკითხვის შემდეგ, როსტომმა გიორგიჯანიძესთან გაგზავნა ჩაფარი და წერილი მისწერა, რომ შაჰთან მისულიყო და მიერთმია არზა ვახტანგის თხოვნის შესახებ და ბატონიშვილი წამოეყვანა ქართლს. გიორგიჯანიძესთან ჩაფრის გაგზავნის შემდეგ როსტომმა გადაწყვიტა ბატონიშვილის ვახტანგის მოსაყვანად ვახტანგ მუხრან-ბატონის გაგზავნა სპარსეთს და ამიტომ შაჰთან გაგზავნა ჩაფარი თხოვნით, რომ თუ ბატონიშვილი არ გამოგისტუმრებიათ, მოითმინეთ ვახტანგ მუხრან-ბატონის მოსვლამდე და იმას გამოატანეთო. [1]

ვახტანგ მუხრან-ბატონიც მალე მოვიდა ისპაანს (1655 წ.), [2] მაგრამ მის მოსვლისას ვახტანგ ბატონიშვილი მიიცვალა. ეს ამბავი მუხრან-ბატონმა მეფეს შეატყობინა. როსტომმა მაშინ შაჰთან ჩაფრათ გაგზავნა ხოსია ბარათაშვილი და ვახტანგ მუხრან-ბატონი ჯანიშინად სთხოვა. შაჰმა შეიწყნარა როსტომის თხოვნა, ვახტანგი ბაამაჰმადიანა, ჯანიშინად [3] დანიშნა და დასაჩუქრებული გაისტუმრა ქართლს. [4]

## IX.

ვახტანგი რომ ქართლს დაბრუნდა შაჰისგან ჯანიშინად დანიშნული, როსტომმა პატივი მოუმატა და ზოგ-ზოგი სავახ-

[1] გიორგიჯანიძე (იხ. ქარ. ცხ. ტ. II, გვ. 537—538).

[2] Chronique Géorgienne p. 78.

[3] გიორგიჯანიძე (იხ. ქართლის ცხოვრება ტ. II, გვ. 538,

[4] მოადგილედ, მაგიერად.

ტანგო სოფლებიც მისცა. სიგელებში შვილად იხსენიებდა. თითონ ვახტანგიც შეუდგა თავის მდგომარეობის მტკიცედ დამყარებას. ზაალ ერისთავის შვილს ზურაბს თავის ასული მიათხოვა, ნოდარ ციციშვილის ასული თავის შვილს არჩილს უთხოვა. თვით მარიამ დედოფალმა და ყველა კარის კაცებმა შეჰფიცეს, რომ მეფედ მას მოინდომებდენ როსტომის შემდეგ. როსტომ მეფეს მაინც კიდევ ჰქონდა შიში, რომ მის სიკვდილის შემდეგ არ მომხდარიყო და წინაალმდეგობა არ გაეწიათ ვახტანგის გამეფებისთვის. ის ცდილობდა რომ ყაენს მის სიცოცხლეშივე დაემტკიცებინა ვახტანგი მეფედ. ამიტომ 1657 წ. როსტომმა გაგზავნა ყაენთან სეხნია თურქისტანიშვილი არზით ვახტანგის მეფედ დანიშვნის შესახებ მისი სიკვდილის შემდეგ. ამ თხოვნის საბაბად როსტომმა ყაენს შეატყობინა თავის განძრახვა ოდიშში გალაშქრებისა, რომელიც გამოიწვია ლევან დადიანის სიკვდილის შემდეგ მომხდარმა გარემოებამ. 1657 წ. ოდიშის მთავარი ლევან დადიანი მოკვდა და შვილი არ დარჩა მემკვიდრედ. მის ძმისწულები ლიპარიტ და მანუჩარი როსტომთან იყვენ ქართლში. იმერეთის მეფე ალექსანდრე ლევანის სიკვდილის გაგონებაზე შევიდა ჯარით ოდიშში, დაიჭირა მთელი ქვეყანა და გაამთავრა ლევანის შორეული ნათესავი ვამეყ დადიანი. ლევანის ძმისწულებმა კი როსტომისგან ითხოვეს შემწეობა. ამ ამბავს ატყობინებდა როსტომ მეფე ყაენს და სთხოვდა:

«ერთი რაყამი უბოძეთ მუხრან ბატონს, რომ ჩემს უკან მეფობა მისი იყვესო, რომ ჯარსა და ლაშქარს მისგან შიში ჰქონდესო, რადგან მინდა სარდლად ვქნა და ოდიშს გავგზანო, რომ დადიანის ძმისწულნი თავის სამკვიდროზე გააბატონოსო». ზაალ ერისთავს ძალიან ეწყინა როსტომისგან ამნაირის არზის გაგზავნა ყაენთან, რადგან თითონ ფიქრობდა დამოუკიდებლობის შეძენას თავის საერისთვოში და კახეთის ბატონობის იმედიც ჰქონდა. ამ თავის განძრახვის ასრულებას

ის აპირებდა როსტომის სიკვდილის შემდეგ, როცა ვახტანგ მუხრან-ბატონს სახვეწური ექნებოდა მასთან ქართლის მეფობის საშოვნელად. ვახტანგის მეფედ დანიშვნა შაჰისგან როსტომის სიკვდილის წინად სულ არღვევდა მის იმედებს. ამიტომაც ის შეუდგა როსტომ მეფისა და ვახტანგ მუხრან-ბატონის წინაალმდეგ მოქმედებას. ჯერ შაჰს მისწერა: «მეფე დიალ შეძნელდა და ეგ არზები, რომლებიც სეხნია თურქისტანიშვილმა წამოიღო, მეფისგან არ არისო, ბეჭედი მოჰპარეს და ნუ დაუჯერებთ, სანამდის მართალი არ შეიტყოთო». შაჰმა ამ არზის მიღების შემდეგ ქართლში გაგზავნა ამბის შესატყობად ფარსადან გიორგიჯანიძე, როსტომ მეფის ვექილი, როგორც ისპაანის მოურავისა. შაჰმა გიორგიჯანიძეს გაატანა ხალათები მეფისთვის, ვახტანგ მუხრან-ბატონისთვის და ზაალ ერისთავისთვის, და მიანდო, რომ თუ როსტომ მეფე ცოცხალი იყვეს მისავე შეკითხულობით გუჰარმაზარი დაეწერინებინა და დაებეჭვდინებინა ქართლ-კახეთის თავადთა და უფროსს კაცთათვის იმის შესახებ თუ ვინ უნდათ მეფედ როსტომის უკან.[1]

ვიდრე შაჰისგან პასუხი მოვიდოდა, როსტომ მეფემ გაგზავნა იმერეთისკენ ლიპარიტის მისაშველებლად ჯარი, რომელსაც უთავა ვახტანგ მუხრან ბატონი და ზაალ ერისთავი. ვახტანგ მუხრან-ბატონს უნდოდა ჯარით მიჰყოლოდა ლიპარიტ დადიანს და დაეჭერინებინა ოდიში, მაგრამ ზაალ ერისთავმა არა ჰქნა და არჩია სომანეთის ჭალაში დგომა იმერეთის საზღვრად. ლიპარიტს მისცეს მხოლოდა მცირეოდენი ჯარი და თითონ კი სომანეთის ჭალაში გაჩერდენ. ამ დროს მოვიდა სპარსეთითგან ფარსადან გიორგიჯანიძეც (1658 წ.) როსტომ მეფე ლოგინში იწვა. გიორგიჯანიძეს დაჰპირდა შაჰთან პასუხის მიცემას რამდენიმე დღის შემდეგ. პატარა ხანს უკან სომანეთის ჭალაში მდგარმა ქართველმა ჯარმა გაიგო დადიანების დამარცხე-

[1] გიორგიჯანიძე (იხ. ქარ. ცხოვ. ტ. II, გვ. 538—539).

ბა ალექსანდრე მეფისგან ბანძაში. ამ ამბავზე ზაალ არაგვის ერისთავი და ელიზბარ ქსნის ერისთავი თავიანთ ჯარით და კახელებით დაიძრენ სომანეთითგან და ჩამოვიდენ თბილისს, სადაც აველაბარში გაჩერდენ. მათ კვალს გაჰყვა ვახტანგ მუხრან-ბატონი თავის ჯარით.[1]

ზაალ არაგვის ერისთავმა და ელიზბარ ქსნის ერისთავმა მიუგზავნეს ლოგინში მწოლარე მეფეს ჯამალხანი და შეუთვალეს: «რა თქვენ ცოცხალი ბრძანდებით, შენის მეტი პატრონი არ გვინდა და თქვენს უკან სხვას საქართველოს ბატონს ჩვენ ყმობას არ ვუზამთ, ჩვენი ბატონი ყაენი არისო». ესე იგი იმათ ის უნდოდათ ეთქვათ, რომ ჩვენ გვინდა დამოუკიდებლობა მეფისგან და მარტო ყაენის ზეხელმწიფებას ვცნობთო. როსტომ მეფეს ავადმყოფობისგან თავი აღარ ჰქონდა, რომ იმათთვის შესაფერი პასუხი მიეცა და ასე მოკლედ უპასუხა: «ჯერ ავად ვარ, მოიცადეთ, ვნახოთ როგორ შევიქნები; თუ მოვიჯობინებ, ყველას მე გავარიგებო». მეფესთან მივიდა მუხრან-ბატონიც და ელაპარაკა ზაალ ერისთავის წინაალმდეგ. იმასაც იმნაირი პასუხი მისცა: «ჯერ ავად ვარ, თუ მოვიჯობინებ, ორთავ გაგარიგებთ, და თუ ვერ მოვრჩი, მას უკან რომელიც გიჯობდეს, ის ჰქენიო». ამის შემდეგ ვახტანგ მუხრან-ბატონმა მიგზავნა ზაალ ერისთავთან მოციქულებათ ფარსადან გიორგიჯანიძე, ბაინდურ თუმანიშვილი და მაჰმად ზამანა. ასე შეუთვალა მას: «თავდაპირველ შენ მოინდომე ჩემი გაბატონება, ახლა რა შეგცოდე, რომ აგრე გაავგულებულხარ; შენის შვილისთვის ქალი მიმიცია და რასაც მამულს იტყვი მოგართმევო». ზაალ ერისთავმა ამაზე პასუხად უთხრა მოციქულებს: «როდესაც მისი ბატონობა გავარჩიეთ და ჩემს ზურაბს ქალი მისცა, ნოდარ ციციშვილის ქალი თავის შვილს არჩილს უთხოვაო. ჩვენ შუა დამხდომი ნოდარ მომკვდარა, მაგრამ თურმან და თბილელი ცოცხალნი

[1] იქვე გვ. 539—540.

არიან. ქართლის მეფობა მაგისთვის გვითქვამს და კახეთის ბატონობა ჩემთვის ითქვა, თორა და მაგასთანაც მრავალ-ჯერ დამიფიცავს, რომ როსტომ მეფეს უკან სხვა ქართლის მეფეს ყმობა არ ვუყო, გინდა ეგ იყოს, გინდა სხვაო». ვახტანგ მუხრან-ბატონმა კიდევ მიუგზავნა მოციქულები, მაგრამ ზაალ ერისთავი სულ იმნაირს პასუხს აძლევდა.[1]

როსტომი კი უკანასკნელს დღეებში იყო და დღე დღეზე ელოდენ მის სიკვდილს. ვახტანგ მუხრან-ბატონმა აცნობა შაჰს როსტომის სიკვდილის მოახლოვება. შაჰმა გამოგზავნა თავის კაცი, მაგრამ მან ვერ მოასწრო მეფეს ცოცხალს. შაჰის რწმუნებულმა როსტომის გვამი გაგზავნა სპარსეთს, მარიამ დედოფალი ციხეში შეიყვანა და მეფის საგანძურს ყარაულები დააყენა. ვახტანგ მუხრან-ბატონმა თავის მხრით შეატყობინა შაჰს როსტომის სიკვდილი და სთხოვა მეფობის რაყამი. შაჰმა ვახტანგს მისცა ქართლის მეფობა, სახელად დაარქვა შაჰ-ნავაზ, დაუმკვიდრა როსტომის საგანძური და მოსწერა, რომ მარიამ დედოფალი ცოლად შეერთო. ზაალ ერისთავმა რომ შეიტყო შაჰის განკარგულება, აიყარა ავლაბ-რიდგან და წავიდა დუშეთს (1658 წ.).

## X.

როსტომ მეფე პირადის ხასიათით და მიმართულებით სწორეთ ისეთი კაცი იყო, როგორიც შეეფერებოდა მაშინდელს ქართლისა და კახეთის მდგომარეობას. სპარსეთთან უთანასწო-რო ბრძოლამ, შაჰ-აბაზ I-ის შემმუსრავმა არა ერთგზობითმა შემოსევამ ისე ააოხრა და დააუძლურა ეს ქვეყნები, რომ შეუძლებელი იყო მათ წინააღმდეგობა გაეწიათ სპარსეთის ჯარის შემოსევისთვის. ქართლსა და კახეთს უჭირდათ მშვი-დობიანი ცხოვრება, რომ ერის დაკარგული ძალები აღორძი-

[1] ოქმ გვ. 540.

ნებულიყვენ, სამეფო მოშენებულიყო და მომზადებულიყო საკვლაოდ სრულის დამოუკიდებლობისთვის საბრძოლველად. ხოლო მშვიდობიანობის დამყარება შეუძლებელი იყო სპარსეთის ზეხელმწიფების მიუღებლად. როსტომ მეფეც გულწრფელად იცავდა სპარსეთის ზეხელმწიფებას და ამნაირად სპარსელებს არ აძლევდა შემოსევისა და აოხრების საბაბს. ამასთან როსტომ მეფეს პირად დიდი გავლენა ჰქონდა სპარსეთის ყაენებზე და მით უფრო შეეძლო სიკეთე მოეტანა ქართლისა და კახეთისთვის. მაგრამ, საუბედუროდ, როსტომ მეფეს ხელი შეუშალეს ერთის მხრით ქართლის დიდებულებმა, მეორე მხრით თეიმურაზ მეფემ, რომელმაც ვერ შეიგნო, რომ მისთვის შეუძლებელი იყო ქართლისა და კახეთის შეერთება. ქართლის დიდებულები კი, რომლებიც როსტომ მეფეს უწევდენ წინააღმდეგობას, მისდევდენ თავიანთს პირადს სარგებლობას და არა ქვეყნისას. როსტომის გაღევნის შემდეგ მათ უნდოდათ ქართლში გაემეფებინათ თეიმურაზი ან სხვა ვინმე, რომელიც მათ ხელში სათამაშოდ შეიქნებოდა და მათ თავნებობას ხელს არ შეუშლიდა. ეს თავნებობის სალერღელი აეშალა ყველაზე მეტად არაგვის ერისთავს, რომელმაც გაიძრახა თავის საერისთვო დამოუკიდებელი გაეხადა მეფისგან და შეექნა მსგავსი იმიერ-საქართველოს სამთავროებისა: ოდიშისა, გურიისა და აბხაზეთისა.

ხოლო რომ როსტომს შეეძლო ბევრის გაკეთება თავის სამეფოს სასარგებლოდ, ეს ჩანს იქითგან, რაც გააკეთა. პირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ის იყო მაშენებელი სასახლეებისა, ციხეებისა, საყდრებისა, ქარვასლებისა, ხიდებისა და სოფლებისა. მან ააშენა მშვენიერი სასახლე თბილისში სიონსა და ანჩისხატის შორის, მეტეხს შემოავლო ზღუდე და ხიდისყურითგან ქალისციხემდე გალავანი გაავლო. კიდევ ააშენა თბილისში ქარავანსარაია, განჯის გზაზე—დებედაზე

გატეხილის ხიდის ახლო —ხიდი, სოფელი და ქარავანსარაია. [1] როსტომ მეფემ ააშენა კიდევ ქალაქი, რომელსაც დაარქვა «მეფის ქალაქი», ხოლო ახლა ჰქვიან ახალ-ქალაქი, თეძამზე ქართლში. [2] აღადგინა გაოხრებული ნასოფლარი — ნახიდური. [3] შესანიშნავია როსტომი საყდრების შენებით და შეკეთებით. ამ საქმეში მას შველოდა მისი ღვთისმოყვარე მეუღლე მარიამი იმათ შეაკეთეს თბილისში სიონის [4] და მცხეთაში სვეტი-ცხოველის საყდარი, რომელთაც გუმბათები ახლად აუშენეს. შაახლეს დანგრეული საყდრები ალავერდისა [5] და ურბნისისა. ისინი ძალიან ზრუნავდენ ეკკლესიების სასარგებლოდ, სწირავდენ მათ სოფლებს და გლეხებს, რომელთაც ხშირად ათავისუფლებდენ ყოველნაირის გადასახადისგან. [6]

როსტომის მეფობის აუცილებელი შედეგი იყო სპარსეთის კულტურული გავლენა საქართველოზე. სპარსეთთან მშვიდობიანს და მეგობრულს განწყობილებას, იქითგან ბევრის გადასახლებულის ქართველების უკან დაბრუნებას და ხშირს მისვლა-მოსვლას საქართველოსა და სპარსეთს შორის მოჰყვა სპარსეთის ენის, ჩვეულების, ზნის, სარწმუნოების, განათლების და მწერლობის გავრცელება საქართველოში. სპარსული ლაპარაკი და სიმღერა, სპარსული სმა-ჭამა, გარყვნილება და კეკლუცობა ძალიან გავრცელდა დიდკაცებში და თვით უმაღლესს სამღვდელოებამდისაც მიაწია. როსტომის მეფობაშივე ითარგმნა

---

[1] გიორგიჯანიძე (იხ. ქართლის ცხოვრება ტ. II, გვ. 533.

[2] Іоселіани, города существ. и сущест. въ Г. стр. 27.

[3] Кресть. грамоты Пурцеладзе ст. 96.

[4] Церк. гуджары Пурцеладзе ст. 57.

[5] გიორგიჯანიძე (იხ. ქართ. ცხ. ტ. II, გვ. 531.

[6] Церк. гуджары стр. 13, 22, 28, 56, 57, 77, 100; кресть. грам. стр. 96.

ბევრი წიგნები სპარსულის ენითგან, სხვათა შორის ორი შესანიშნავი წიგნი: როსტომიანი (შაჰნამე) ხოსრო თურმანიძის მიერ და ყორანი (მაჰმადიანების სამღვთო წიგნი) ფარსადან გიორგიჯანიძის მიერ. როსტომ მეფემვე განაგნა სპარსულს წესზე თავის კარის გამგენი, თუმცა არც ქართული წესი მოშალა. ხმარებაში შემოვიდა აგრეთვე მოხელეთა სპარსული სახელები.

დ. ქარიჭაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალი.

ვუძღვნი თ-დის მ. ლ—ძის ასულს თეოდოსიას.

ქალი ის არის, ვინც მანჭვით, გრეხით
თავს არასოდეს ~~კაცს არ~~ აწონებს,
ღვთაებრივ სახით, სიტკბო-სიმშვიდით
ციურ ანგელოზს ვინც მოგვაგონებს.

ქალი ის არის, ვისაც აქვს გული,
მზრდელი უმანკო სიყვარულისა,
და სათნო სული, კეთილის მსურვი,
მომნიჭებელი სიხარულისა!

ქალი ის არის, ვინც ოჯახს უვლის,
შრომით ამშვენებს თვის სილამაზეს,
ვინც ვაჟს გვერდს უდგას, შრომაში ვაჟობს,
მაგრამ არ კარგავს ქალის სინაზეს.

ქალის ვალია—ტკბილის ნანათი
აძინოს, ატკბოს უმანკო ჩვილი,
რძესთან აწოვოს წმინდა გრძნობები,
ზარდოს ქვეყნისთვის ერთგული შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაი და ბარი ყვავილთ მოისხმენ—
და ბუნებასა იგი ამშვენებს.
ქალიც ასეა: შვილების აზრდით
აწმყოს ახარებს, მყოფადს აშენებს.

საქმე გაიყონ: შინ ქალი ფლობდეს,
და გარეთ მედგრათ იბრძოდეს ვაჟი!
მაშინ იქმნება მთელი ოჯახი
მტკიცე, მაგარი, ვითარცა კაჟი.

ვით გაზათფხული ვარდ-ყვავილებით
არის ბუნების შემამკობელი,
ეგრეთვე ქალი სათნო შვენებით—
ადამიანთა დამატკბობელი.

ქალი ის არის, წმინდა გრძნობებით
ვინც გვასვენებს, გვამხნევებს მარად,
ვინც ჩვენს დატანჯულს, შეწუხებულ სულს
მოევლინება დავითის ქნარად!

სიდოვან.

ქუთაისი.
18$\frac{VIII}{III}$91

# შვილი და დედა.

ამბავი.

## I.

მზე ჩასული იყო. დღე და ღამე ერთმანერთს მალე უნდა შეყროდენ და გაყროდენ კიდევაც. მალე ბნელს უნდა მოეცვა არე-მარე, მაგრამ კოწია ჯავარიშვილს კიდევ არ დაენებებინა მუშაობისთვის თავი. იგი გაცხარებით ურტყამდა თოხს მიწას, უნდოდა ბარემ გაეთავებინა თავისი პირველი და უკანასკნელი ყანა. იქვე იყო კოწიას მოხუცი დედა, რომელიც მოჭრილ ჩალას ჰკრებდა და ერთად აგროვებდა საქონლისთვის.

კოწია ღარიბი აზნაურშვილი იყო: სულ რამოდენიმე ქცევა სახნავი მიწა ჰქონდა. მიწას თვითონვე იმუშავებდა, მაგრამ სარჩოდ მაინც არა ჰყოფნიდა. ერთი პატარა ვენახიც ჰქონდა კოწიას და ეს ვენახი კარგ საქმეს უშერებოდა: ყოველ წელიწადს გაჰყიდიდა ორ-სამ საპალნე ღვინოს და ამ ფულით სიმინდს ჰყიდულობდა, ტანისამოსს იცვლიდა. თვითონ ნაქაჩს სჯერდებოდა და, როცა ეს გამოელევოდა, წყალსაც კარგად გიახლებოდათ, თუმც მისი სოფელი განთქმული იყო ზემო იმერეთში ღვინის მოსავლით. თუ კიდევ დასჭირდებოდა კოწიას

ფული; მაშინ მეტი გზა არ იყო, უნდა ან შავს ქვაზედ წასულიყო, ან რკინის გზაზედ, სამუშაოდ. მოჯამაგირედ-კი თავის დღეში არ დამდგარა პოწია. «მოჯამაგირობა კაცს ძალაუნებურად რყვნისო», ამბობდა იგი, როცა ვისთანმე დადგომას ურჩევდნენ.

ჯერ კიდევ არ გაეთავებინა პოწიას თოხნა, როდესაც რაღაც ტკაცუნი მოისმა. აშკარა იყო, რომ სადღაც ღობე ტყდებოდა. ხმის გაგონების უმალვე პოწიამ დააგდო თოხი, დაავლო ხელი ცულს, რომელიც იქვე ხის ძირში ეგდო და გაექანა.

— არ შამოგაკვდეს, პოწია! მიაძახა შვილს გაფითრებულმა დედამ და თვითონაც დაედევნა უკან. ორივე დედა-შვილი მიხვდა, რომ ვენახში მეზობლის ხარი გადმოვიდა. იმ ხარს არა ერთხელ აუოხრებია პოწიას ნამუშევარი; ამიტომაც წაიღო ეხლა პოწიამ ცული. ბევრჯერ შეხვეწნია პოწია ხარის პატრონს, მოეშორებინა მისთვის ხარი, მაგრამ იგი ყურსაც არ აპანტურებდა.

— დაბი, ზურაბა, შენი უჯიშო ხარი, თორემ ღმერთმანი მოვკლავო, უთხრა უკანასკნელად პოწიამ.

— აბა ერთი გაბედე და გაყურებიებ შენს სეირსო, მიუგო იმან.

ზურაბა ჯავარიშვილი მდიდარი და გავლენიანი კაცი იყო მთელს სოფელში და პოწიასთანა ბიჭ-ბუჭების არ ეშინოდა. ბევრ პოწიასთანებისთვის უწყევლინებია ზურაბას დაბადების დღე და პოწიასი კიდევ უფრო სჭირდა ჯავრი: ერთგან ზურაბას ეზოს პოწიას ვენახი ესაზღვრებოდა და ზურაბას თავის ადგილების შამოსარგვალებლად იმისი ჩაგდებაც უნდოდა ხელში. მაგრამ პოწიამ არ დაანება თავისი ოფლით მორწყული ადგილი, არც მიჰყიდა, არც სხვა ადგილში გაუცვალა. ამაზედ ზურაბას გული მოუვიდა და გადაემტერა პოწიას, ისე, რომ ყოველთვის დროს ეძებდა, რამე მოეხერხებინა მისთვის.

კოწიას დედამ ეს იცოდა და საშინლად ეშინოდა ზურაბასი. ამიტომაც უთხრა კოწიას, არ შამოგაკვდესო. საბრალო დარწმუნებული იყო, რომ ხარის სიკვდილს ძვირად დაუჯენდა მათ ზურაბა და შიშისგან სულ კანკალებდა. კოწიას-კი აღარაფერი აღარ გახსენებია, როცა ვეება ხარი თავის პაწაწა ვენახში დაინახა. მაინც ის წყეული, თითქოს განგებ კოწიას გულის მოსაკვლელად, არხეინად დაბრძანდებოდა წვრილ კვალებში და ხან აქ გადათელავდა ახალ გამოსხმულ ვაზს და ხან იქ. ამის დანახვაზედ კოწიას გული აუტორტმანდა, სახე საზარლად დაემანჭა, თვალები აენთო და ცულმოღერებული გამოეკიდა ხარს მოსაკლავად. მართლაც მიიმწყვდია კოწიამ იქვე მდგომ მარანთან საწყალი პირუტყვი და ისეთნაირად დაჰკრა ცული, რომ უბედურმა ერთი დაიღრიალა და იქვე წაიქცა. ამ დროს მოვარდა ქლოშინით კოწიას დედაც, მაგრამ, რა ნახა, რომ ხარი მიწაზედ ფეხებს აფართხალებდა, ველარაფერი ველარ სთქვა და თვალ-ცრემლიანი მოშორებით დადგა. კოწია გაშტერებული დასჩერებოდა ხარს, თითქოს სტკბება იმის სიკვდილითო.

პატარა ხანს უკან ხარი უკანასკნელად დაიძრა და მოკვდა. კოწიაც თითქოს ამას უცდიდაო, გამოტრიალდა და ისევ ყანაში დააპირა წასვლა. ამ დროს მივიდა მასთან დედა და ხმის კანკალით უთხრა:

— სად მიხვალ, შვილო? ამას რას უპირებ?

— რა უნდა ვუყო, მოვიდეს ზურაბა და ნახოს თავისი ხარი, მიუგო კოწიამ: ვნახავ, აწი თუ კიდევ გადმოვა ჩემს ვენახში.

— არა, შვილო, ამ საქმის წაყრუება არ ივარგებს, უთხრა ისევ დედამ; ეხლავე უნდა წახვიდე კეთილ-სინდისიერთან და შეატყობინო ამბავი. თუ წამოგყვეს, ამალამვე წამოიყვანე, თუ არა და ხვალ მაინც ადრე უნდა მოვიდეს, რომ ხარის წანახდენიც შეაფასოს და ხარიც. მერე, რაც დაგვედება, უნდა გა-

დავუხადოთ აქვე ზურაბას, თუ არა, თუ საჩივლელად წავიდა საქმე, ვინ გაუძლევება, მარტო ხელი ხარ... კოწია ხმას არ იღებდა, ძაღლებს მისჩერებოდა, რომელთაც აქვე მოეყარათ თავი და სძღებოდნენ სისხლით, და იღიმებოდა, თითქოს რაღაც უხარიაო.

— არ გესმის, შვილო? განაგრძო ისევ დედამ: წადი, დამიჯერე! ხომ იცი, რომ ზურაბასათვის ღმერთი არ არსებობს და არაფერს არ დაზოგავს, ოღონდ ჩვენ დაგვღუპოს?...

თან-და-თან შავი ფარდა ეშვებოდა ციდან დედა-მიწაზე. გარშემო სრული სიჩუმე სუფევდა. მთელი ბუნება ის იყო მოსასვენებლად ემზადებოდა, კოწიას დედის გულს-კი ეხლა დაეწყო გაცხარებული მუშაობა. იმისი ბრაგა-ბრუგი, მგონი, იქ მდგომ ხეებსაც-კი ესმოდათ, რომელნიც, თითქოს გულ-მოსულნი შრიალობდენ, ვინ არის ძილს რომ გვიფრთხობსო.

— აბა, ნუღარ იგვიანებ, შვილო, შენ შემოგევლოს დედა შენი. კიდევ არ შვიდდებოდა კოწიას დედა.

— კარგი; წავალ, მაგრამ ამ უპატრონოს რა ვუყოთ? ტყულა ძაღლები გააფუჩეჩენ, ამოიღო ძლივს ხმა კოწიამ.

— მგ აგერ მარანში შევათრიოთ რამენაირად, უთხრა დედამ.

— მაშ კარგი, დაიძახა კოწიამ და მოჰკიდა ხარს ხელი. დედაც მოეხმარა და დიდის გაჭირვებით შეათრიეს მარანში. ამასობაში სულ დაღამდა. უმთვარო ღამე იყო და არც ვარსკვლავები მოსჩანდნენ. უცებ მოიღრუბლა ცა და მოიღუშა ბუნება, თითქოს რაღაც ეწყინაო.

კოწია კეთილ-სინდისიერთან წავიდა, დედა მისი კი ყანაში წავიდა თოხის წამოსაღებად. როცა იმ ადგილს გამოიარა, სადაც ხარი მოკვდა, მიწა მოთოხნა და ამ გვარად ისედაც ძაღლებისაგან მოსლექილი სისხლი სულ მოაშრო. აბა რა იცოდა საწყალმა, თუ ამით საქმე უფრო წახდებოდა.

## II.

ვახშმობა იქნებოდა, როცა კოწია მეორე სოფელში გადავიდა კეთილ სინიდისიერის სანახავად, მაგრამ უკანასკნელი შინ არ დახვდა. ესეც არის, ეხლა მოვიდნენ და წაიყვანესო, უთხრეს კოწიას: შეიძლება ამაღამ სულ არ მოვიდესო.

კოწია მთელი დღის ნაშრომი იყო. მერე აღელვებამ და ხარის ცოდვილმა, ეხლა კიდევ სიარულმა მეტად დაღალეს და სხვაგან კიდევ წასვლა დაეზარა და სახლში წამოვიდა. კოწიას არც-კი ესმოდა მაინც-და-მაინც, რა იყო საჩქარო, ისე იყო გაშტერებული. ხარი მოკვდა, გაცოცხლება აღარ შეიძლება და სიკვდილს კი როცა გაიგებენ სულ ერთი არ არისო? ჰფიქრობდა იგი.

შუა ღამე იქნებოდა, როცა კოწია შინ მოვიდა. დედას არ იამა მისი ცარიელი მოსვლა, მაგრამ რაღას იზამდა? ხედავდა, რომ კოწია ერთობ დაქანცული იყო და ვეღარაფერი ვეღარ უთხრა; მხოლოდ ვახშამი შეჰპატიჟა. მაგრამ კოწიას აღარაფერი აღარ ესმოდა; მჩვარივით დაეგდო მაშინვე ლოგინში და იმ წუთშივე დაეძინა. საბრალო დედას კი რა ექნა, არ იცოდა; იდგა ერთს ადგილზედ და დასჩერებოდა მძინარე შვილს. ვინ იცის, რამდენს ხანს იქნებოდა ასე გაშტერებული საწყალი, რომ ფეხებს კანკალი არ დაეწყო მისთვის და ლოგინზედ არ მიგდებულიყო თვითონაც. ძილით სრულიად არ ეძინებოდა უბედურს, მაგრამ მაინც მიფორთხდა შვილის ფეხებთან, გადახვია ორივე ხელი კოწიას მუხლებს და განაბა სული.

პატარა ხანს უკან ტკბილად ეძინა ამ სახლში კოწიას, ტკბილად ეძინა აგრეთვე დიდ ზებრუხანა კატას კერიის ძირში, ტკბილად ეძინათ ორ პატარა ცინდლებსაც ნაცარში. მხოლოდ კოწიას დედას არ ეძინა და არ ეძინა. იმას ზურაბას მხეცური სახე არ შორდებოდა თვალიდან და სულ იმაზედ ჰფიქრობდა,

როგორ გათავდებოდა ხარის საქმე. იმის აზრით ზურაბა კაცი კი არა მხეცი იყო, რომელიც არასფერს არ დაიშურებდა, ოღონდ თავის მოპირდაპირის გულის ჯავრი ამოეყარა. მართლაც რომელი მხეცი შეედრება გაპირუტყვებულს, მხეცად გადაქცეულს კაცს? მხეცი კაცი ყოველ მხეცზედ საშიშარია, რადგან სიმხეცესთან ჭკუაცა აქვს. საბრალო კოწიას დედა! იმას არა ერთი და ორი დედა უნახავს ზურაბასაგან ატირებული და, რასაკვირველია, არც თვითონ დაეყრებოდა ხეირი. ჰფიქრობს ამ ნაირად საწყალი და თანაც ყურები გაუცქვეტია. ასე ჰგონია, რომ ამელამვე დაესხმის თავს ზურაბა. აი, კიდევაც მოესმა რაღაც ხმაურობა. იგი შეკრთა და სულგანაბული ისმენდა. ხმაურობა გაგძელდა და კოწიას დედა მიხვდა, რომ თაგვი ხრავდა რაღაცას რომელიღაც კუნჭულში. კოწიას დედას გული დაუშოშმანდა. ოჰ, რას მისცემდა ეხლა იგი, რომ თაგვად გაჩენილიყო და არა კაცად! მართლაც სანატრი არ არის თუ მისთვის ეხლა იმ თაგვის მდგომარეობა, რომელიც არხეინად ხრავს ეგერ კაკალს? იმას ეხლა არაფრის არ ეშინია, რადგან იცის, რომ მის ერთად ერთ მტერს ბებრუხანა კატას ტკბილად სძინავს...

გავიდა კიდევ პატარა ხანი; კოწიას დედა ისევ ფიქრებში იყო გართული, როცა კვლავ მოესმა ხმაურობა. ეხლა-კი უბედურს სიმწრის ოფლმა დაასხა და მთელს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ხმაურობას ძაღლის ყეფა მოჰყვა; ძაღლის ყეფას რამოდენიმე კაცის ფეხის ხმა და ლაპარაკი. აი მოისმა საშინელი ძაღლის წკავილი. კოწიას დედა მიხვდა, რომ მისი ერთგული მურა გაულახეს მისმა მტრებმა. აი კიდევაც მოადგნენ ვილაცაები კარებს და გაჩერდნენ. კოწიას დედა ვერხვის ფოთოლივით თრთის, სულთქმისაც-კი ეშინია. დაუწკურავს უბედურს ყურები და არ ინძრევა, თითქოს კურდღელია და და მეძებრებმა ზედ კვალი მიიტანესო..

«ქაკ-კუკ, კაკ-კუკ» მოისმა კარზედ კაკუნი. «ბრაგი-ბრუგ, ბრაგი-ბრუგ» მისცა ბანი ქოწიას დედის გულმა კარზედ კაკუნს. «ქარგია, ადექი! სანამდის გინდა იმალო?» დაუძახა საბრალოს გულს რომელიღაც კუნჭულიდამ ვიღაცამ. ქოწიას დედაც, როგორც იქნა, ადგა და მივიდა კერიასთან, რომ ცეცხლი მოენთო. «მიაააუ!» დაიკნავლა ამ დროს ბებრუხანა კატამ, თითქოს გული მოდის, რა დროს ცეცხლის დანთება არისო. გაიგონეს დედის ხმა პატარაებმა და გამოცქვიტეს ყურები, იფიქრეს, სწორეთ ჩვენ გვიძახისო და მისცვინდნენ. ბერეხუამ დაინახა თუ არა ისინი, დაიწყო თავისებურად ტკბილი ღრუტუნი. ცინდლებსაც ეს უნდოდათ, მივარდნენ და ჩაეკვრენ ძუძუებში. ბერეხუა წამოდგა, ერთი გააზმორა, ბეწვი ყალყზე შეაყენა, კუდი გააბზიკა და მოუწვა ისევ შვილებს. მერე დაუწყო იმათ სლაქვა და კუდის ქნევით მოფერება. შეხედა ქოწიას დედამ ბედნიერ პირუტყვთ და თავში გაუელვა: «ნეტავი თქვენ, რა ბედნიერები ხართო»... საბრალო ადამიანი! ნეტავი იქნება ის დრო, რომ კაცს აღარ შურდეს პირუტყვთა ცხოვრება, აღარ ნანობდეს, რომ კაცია?...

ქოწია, ქოწია, არ გესმის? მოისმა გარედამ ბოლოს. ამ ხმამ მძინარე ქოწიაც გამოაღვიძა და მღვიძარე დედა მისს კი სულ დაუბნია დავთარი. ეს ხმა სოფლის ხევის თავის იყო.

— აცალეთ, ჯერ ჩემი ხარის ხორცი არ მოუნელებიათ! ეს ხმა თვითონ ზურაბის იყო. ამ სიტყვებს მოჰყვა მხიარული ხმა მაღალი ხარხარი. ეტყობოდა კარებთან ხუთი ექვსი კაცი იყო მოგროვილი. ამასობაში დაანთო ქოწიას დედამ ცეცხლი. ქოწიაც ადგა.

— ქალო, რა დაგემართა ამდენხანს? გაგვიღე კარი! კიდევ მოისმა გარედამ. ეს მამასახლისის ხმა იყო. ქოწიამ ერთი გა-აზმორა და ბარბაცით მივიდა კარებთან. ურდული გამოუყარა და კარები გაიღო.

სახლში შემოვიდნენ მამასახლისი, მისი მწერალი, ხევის თავები, კეთილ სინდისიერი, რომელიც ქოწიამ შინ ვერ ნახა და თვითონ ზურაბა. ამათ დანახვაზე ქოწიას დედას გული წაუვიდა და ძლივს შეიმაგრა თავი. ქოწია კი ისე იყო გამტერებული, რომ ვერ გამოარკვია, რა ამბავი ხდებოდა მის თავზედ?

## III.

ზურაბა ჭავარიშვილმა სიმდიდრე და სიმდიდრესთან გავლენა დიდი ხანი არ არის, რაც შეიძინა. ზურაბას და ქოწიას ოჯახი ერთი მეორის განაყოფი იყო და ადგილ-მამული ერთმანეთზედ მეტი არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ზურაბამ «თავის ჭკუით და მეცადინეობით», როგორც სოფლებში ამბობდნენ, უფრო კი უსინდისობით და უპატიოსნობით ბევრი ფული იშოვა.

ასეა თუ ისე, ზურაბას ამ ჟამად ბევრი ფული აქვს და კიდევ ბევრს შოულობს: ასესხებს მამასიხლად თავის ფულს და იღებს ურიულ სარგებელს. «ნიუსტოიკა»-ც პირველმა ზურაბამ შემოიღო სოფელში და ეხლა ყველამ იცის მისი გემო. ამ ნაირად ზურაბა სახელოვანი კაცი შეიქნა მარტო თავის სოფელში-კი არა, მთელს სამამასახლისოში, სადაც ყველასაგან პატივი დაიმსახურა. ან კი როგორ არ ექნება იმას პატივი, როცა ყველას იმისი ფული ჰმართებს. მთელი სოფლის სასამართლო თავის მამასახლისით, მწერლით და სხვა მოხელეებით ზურაბას ყურმოჭრილი ყმები არიან, რადგან ყველანი იმის წყალობით არიან დაყენებულნი. ვისაც ზურაბა სწყალობს, კაციც ის არის მთელს სოფელში. ამიტომ დიდი და პატარა, ყველა სცდილობს მოიგოს იმისი გული. ბევრს იქნება არც კი უყვარდეს ზურაბა, მაგრამ თუნდ თავის სინიდისის წინააღმდეგ, მაინც პატივი უნდა სცეს. დიახ, ზურაბა სრული

ბატონია მთელს სოფელში. ან-კი რით ჩამოუვარდება იგი ძველს ბატონებს? განა ყველა მისი მოვალეები მისი ყმები არ არიან? ტყუილად კი არ ლაპარაკობენ, თავადიშვილებს ჩამოერთვათ ყმები და ზურაბას-კი მიეცაო. მართლაც, ძველად თუ ბატონები ასამართლებდნენ თავის ყმებს, ეხლა ზურაბა ასამართლებს ყველას. ყოველ შაბათს, როცა სოფლის სასამართლოში საქმეების გარჩევაა, ზურაბაც შებრძანდება თავის ჯორზე და მიბრძანდება იქ. დაინახვენ თუ არა ზურაბას, მამასახლისი, მწერალი, მსაჯულები, ყველანი გამოეგებებიან გარეთ და ზოგი ცხენის ალვირს ჰკიდებს ხელს, ზოგი ავჟანდს ჩამოუწევს და ამნაირად ჩამოაბრძანებენ ჯორიდამ. მერე შებრძანდება ზურაბა სასამართლოში და სითაც თვითონ ნებავს, იქით გადიწევა სამართლის სასწორიც იმის მიხედვით, თუ გუშინ რომელმა მხარემ უფრო მეტი უძღვნა მის უძირო ჯიბეს. ისე საქმე არ გაირჩევა, რომ ზურაბა არ ერიოს შიდ ან როგორც დამცველი, ან როგორც მოწამე, ან როგორც ექსპერტი და სხვა. ძრიელ ხშირად თვითონ ზურაბას საქმეებიც ირჩევა მის მოვალეებთან და სხვა დამოკიდებელ პირებთან. ვაი ამ უკანასკნელების ბრალი მაშინ! ტყუილად ნურავინ იფიქრებს, რომ ზურაბასთან სიმართლე გაუვიდეს!... ამიტომაც ეშინოდა კოწიას დედას ზურაბასი, ამიტომაც აგონდებოდნენ იმას ზურაბასაგან ატირებული დედები!..

ზურაბა დიდი ხანია მიზეზს ეძებდა, როგორმე კოწია ჩაეგდო ხელში და ძრიელ იამა, როცა უთხრეს ბიჭებმა, კოწიამ ხარი მოჰკლაო. იმან მაშინვე გაგზავნა ერთი ბიჭი შორიდამ ეთვალთვალნა, აბა რას უზამდნენ ხარს და ყველაფერი გაიგო, გახარებულმა ულვაშებზედ ხელი გადისვა და ჩაიცინა. «კარგია, აწი მე ვიცი», ამბობდა ჩუმად ზურაბა. «მე კაცი არ ვიქნები, თუ ნაობახტში არ გამოვალპე ის გლახა, ის».

მაშინვე ერთი ბიჭი ცხენით აფრინა იმ კეთილ-სინდისიერთან, რომელთანაც პოწია წავიდა. ისინი გზაზედ უნდა შეეცილებოდენ ერთმანეთს, რადგან პოწია ყანებით წავიდოდა და კეთილ-სინდისიერი-კი საცხენოსნო გზით უნდა წამოსულიყო. მეორე ბიჭი მამასახლისთან გააგზავნა, მწერალიც დაიბარა. მესამე ხევის თავებთან და ამ ნაირად გაჩალხა საქმე: ვითამ პოწიამ იმას ხარი მოჰპარა და დაკლა კიდეც, რომ ხორცი გაჰყიდოს მახლობელ დაბაში.

ვახშმობამდის ყველა ზურაბისაგან მოწვეულმა პირებმა მოიყარეს თავი. ზურაბამ აუხსნა იმათ, რაში იყო საქმე და სთხოვა, ჯერ ვახშამი ეჭამათ და მერე გამოეჩხრიკათ პოწიას სახლი. ვახშამი ერთობ გააგრძელა ზურაბამ, რადგან უნდოდა პოწიაც შინ ენახათ დაბრუნებული. ვახშმად ბევრი დედლები შეიჭამა, ბევრი ღვინო დაილია და უიმისოდაც ზურაბას პატივისმცემელი სტუმრები კიდევ უფრო შოემზადნენ «ნუნუას» წყალობით მის სასამსახუროდ. ნავახშმევს დიდის ამბით გაემგზავრენ ყველანი პოწიას სახლში, თითქოს გავარდნილ ყაჩაღის დასაჭერად მიდიანო.

მისვლისათანავე, არავისთვის არაფერი რომ არ უკითხავთ, ისე დაიწყეს სახლის ჩხრეკა და რაკი მართლა მარანში ახალ მოკლული ხარი ნახეს, არც აციევს, არც აცხელეს, არც კარგი გაიგონეს, არც ავი. ოქმი შეაყენეს, როგორც ზურაბას უნდოდა ისე. არავინ არ დაიჯერა, რომ ხარი ვენახში იყო მკვდარი, რადგან, როგორც ვიცით, იმ ადგილზედ აღარაფერი ნიშანი აღარ იყო.

ოქმი, როგორც რიგია, მამასახლისისაგან დამტკიცებული «საკუთარის ხელის-მოწერით და სახელმწიფო ბეჭედის დასმით», აგრეთვე ხევის თავებისაგან და კეთილ სინდისიერისაგან დამოწმებული თითქმის იმ ღამესვე წარუდგინეს ადგილობრივ მთავრობას. რასაკვირველია, მაშინვე ფიცხელი განკარგულება

მოხდა და კოწია, როგორც კეთილშობილი კაცი და ქურდი დატუსაღებული იქმნა სამაზრო საპატიმროში; საქმე-კი გამომძიებელს გადაეცა.

## IV.

გავიდა რამოდენიმე თვე: რამოდენიმე თვე კი არა, რამოდენიმე საუკუნე კოწიასა და დედა მისისთვის. მართლაც წარმოუდგენელია კოწიას მდგომარეობა ამ ხნის განმავლობაში. კოწია დილას რომ ადგებოდა, მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობდა, რაც შეიძლება მეტი ემუშავნა იმ დღეს. იმან იცოდა, რომ მთელი ოჯახი, საყვარელი დედა, მტერი და მოყვარე, ჭირი და ლხინი, ყველაფერი მარტო მის კისერზედ იყო და უნდოდა გაძლოლოდა, სირცხვილი არაფერში ენახა. ისიც იცოდა კოწიამ, რომ დედა თან-და თან ბერდებოდა და მალე შრომას სულ ველარ შესძლებდა. ამიტომ დრო იყო, მომხმარე ეშოვა, ცოლი შეერთო, რომელიც მასთან ერთად უღელში უნდა გაბმულიყო. მაგრამ ისიც ესმოდა კოწიას, რომ ცოლის შერთვას ბევრი ახალი მოთხოვნილება მოჰყვებოდა და რიგიანი მომზადება იყო საჭირო. რამდენჯერ უთქვამს დედას მისთვის: «ე ბიჭო, შეირთე აწი ქალი, ნუ მომკლავ შენი ბედნიერების უნახავსო». — «არა, დედა, ჯერ რა დროს ცოლ-შვილის მოკიდებაა, ჩვენც შიმშილით ვკვდებითო», ეტყოდა ხოლმე ამაზედ კოწია: «ჯერ ბევრი, ბევრი შრომაა კიდევ საჭიროვო». მართლაც, მთელს დღეს მის ხელებს გაჩერებულს ვერ ჰნახავდით. კოწიას ძვალში და რბილში ჰქონდა გამჯდარი შრომისადმი სიყვარული. როგორც ნასწავლ კაცისთვის წიგნია საჭირო, რომლის კითხვითაც ის ან სწავლობს რასმეს, ან თავს ირთობს, ისე კოწიასთვის შრომა იყო საჭირო. შრომა კიდევაც სწრთვნიდა კოწიას გონებას, კიდევაც ართობდა. ყველას აკვირვებდა კოწიასთანა ახალგაზდა ბიჭის და ისიც კიდევა

აზნაურშვილის ამისთანა მუდმივი მუშაობა. «სწორეთ ვიღაც ყაზახის შვილია ეგო», იტყოდა ხშირად ზურაბა კოწიაზედ, თორემ ამდენს ჯაფას როგორ იტანსო.—«დიახ, კოწიას აზნაურშვილს არაფერი უგავსო», მიუგებდნენ ზურაბას ამაზედ მისი ხელქვეითები. ეს, თუ გინდათ, მართალიც იყოს: კოწია არა ჰგავდა იმ ფლიდ და მუქთა-მჭამელ აზნაურშვილს, რომელიც ახალმა დრომ დაჰბადა ჩვენში. კოწია მიხვდა, რომ უშრომლად არავინ არ ივარგებდა ეხლანდელ დროში და გლეხკაცთან ერთად მოჰკიდა თოხს ხელი. ის არა ჰგავდა არც ფულით გადიდკაცებულს ზურაბას. დიდი განსხვავება იყო კოწიასა და ზურაბას შორის, თუმც ისინი ერთი გვარის იყვნენ. კოწია მართლა რომ კეთილშობილი კაცი იყო, ზურაბა კი მარტო ქაღალდზედ იყო კეთილშობილი და ხან და ხან „მაღალკეთილშობილიც“. კოწია ნამდვილი კაცი იყო, მუშა კაცი, რომელსაც შრომა აცოცხლებდა, ასულდგმულებდა. აი ამისთანა კაცი რამოდენიმე თვე საპყრობილეში იჯდა, სადაც მუშაობა-კი არა მზის დანახვაც არ შეეძლო. ნეტა რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში კოწია? ჰფიქრობდა რასმე? ჰფიქრობდა კი არა, გულზე სკდებოდა, წვალობდა, იტანჯებოდა. ჯერ აწუხებდა კოწიას თავისი თავი, მერე დედა მისი. იმან იცოდა, რა გაჭირვებულ მდგომარეობაშიაც იქნებოდა ეხლა დედა. ცალკე განუწყვეტელი შრომა, ცალკე დარდი, ცალკე ზურაბასთან ახლოს ყოფნა როგორ შეაწუხებდა იმას. ისიც შეიტყო კოწიამ, რომ გამოძიებითაც მტკიცდებოდა მისი დანაშაული და ამან კიდევ უფრო მოუკლა გული, მოუწამლა სიცოცხლე. როგორ, ტყუილა უბრალოდ მართ.ლი კაცი ამდენს ხანს ციხეში უნდა წვალობდეს და საბრალო მოხუცებული ქალი უპატრონოდ იტანჯებოდეს? ნუ თუ ამ ქვეყანაში სიმართლე ასე იჩაგრება და ფულსა და ძალას ყველაფერი შეუძლია?...

ეხლა კოწია რომ ვისმე ენახა იმის სოფლიდამ, ვეღარ იცნობდა: ის გახდა, გაყვითლდა, თვალები ამოუღიღავდნენ, ხელები და ფეხები დაუმძიმდნენ. სადღა იყო იმისი მხნე და მამაცი შეხედულება, იმისი გადაქინქლილებული სახე? სადღა იყო იმისი თურაშაულ ვაშლივით წითელი ლოყები, ვარდის ფრად მოელვარე ტუჩები, ცოცხალი, ცეცხლის მფრქვევი თვალები? ეს ყველაფერი გამქრალიყო და კოწიას მაგიერ რაღაც ლანდი იყო კიდევ, რომელსაც ქარიც-კი წააქცევდა, ისე გამოლევოდა ღონე. ან კი რას უნდა შეენახა კოწია-ში ძალა, როდესაც იმას ყველაფერი ძალა წაართვეს? აღარაფერი აღარ დარჩენოდა კოწიას, რომ მისი გახალისება შე-საძლებელი ყოფილიყო. რწმენა დაეკარგა იმას და იმედი ხომ დიდი ხანია მოსპობილი ჰქონდა. მხოლოდ ერთად ერთი სიყ-ვარული, წმინდა სიყვარული დედისა აძლევდა კიდევ კოწიას სიცოცხლის საგანს. რომ ეს სიყვარული არა, კოწია აწი ან ძალით მოიკლავდა თავს, ან თავისით მოკვდებოდა.

მთელი დღეები ეგდო კოწია ერთს ადგილს, არავის ხმას არ სცემდა, არც არავინ იქით აწუხებდა კოწიას, თუმცა მას-თან ერთად კიდევ ბევრი ისხდნენ საპყრობილეში. მხოლოდ ტირილით იქარვებდა ჯავრს კოწია, ცრემლით ალბობდა თავის დამწვარს და დახრაკულს გულს. მარტო კვირა დღეს ელოდა კოწია აღდგომასავით და ყველა მისი ფიქრები კვირაზედ ტრია-ლებდნენ.

კვირით ცოცხლობდა აგრეთვე კოწიას დედაც. კვირაო-ბით შეეძლოთ ორივე დედა-შვილს ერთი მეორის ნახვით დამტკბარიყვნენ. ყოველ კვირას გაჩნდებოდა კოწიას დედა საპყრობილის კარებთან და იცდიდა, როდის გახდებოდა თავის კოწიას ნახვის ღირსი. საბრალო კოწიას დედა! ეს უარესს მდგომარეობაშიაც იყო, ვინემ კოწია, თუმც თავისუფლებას არ იყო მოკლებული. ეჰ, რა არის დედისთვის თავისუფლება,

რომლისაც ერთად ერთი მისი შვილი საპყრობილეშია და ისიც უდანაშაულოდ?

ორშაბათიდგან დაწყებული შაბათ საღამომდის კოწიას დედის ხელი ვერ გაჩერდებოდა, რადგან ყველაფერა მარტო იმის კისერზედ იყო ეხლა. ისიც გამუდმებით მუშაობდა ხან შინ და ხან გარეთ და სცდილობდა, როგორმე წლიური სარჩო შეენახა. მთელს სოფელში ერთიც არავინ გამოჩნდა, რომ იმას მოხმარებოდა ამ გაჭირვებულ დროს, როცა შემოდგომის გაცხარებული მუშაობა იყო. რა უნდა ექნათ? ყველას ზურაბას ეშინოდა, ყველას იმისი ხათრი ჰქონდა.

მაგრამ საბედნიეროდ კოწიას დედას იმედი არ ჰქონდა დაკარგული და ამიტომაც აუდიოდა ყველაფერს. კოწია ატყუებდა იმას, მალე განმათავისუფლებენო და იმასაც ეგონა, რომ მალე მოუვიდოდა კოწია და ისინი ხელ ახლავ დაიწყებდნენ უწინდებურ ტკბილ ცხოვრებას. თუმც დღეს მოსდევდა დღე, კვირას კვირა, თვეს თვე და კოწიას არ ანთავისუფლებდნენ, მაგრამ დედას მაინც არ უტყდებოდა გული. იგი თითქოს გააკაჟეს, გააფოლადეს ამდენმა უბედურებამ, ტანჯვა წვალებამ და ცრემლის ღვრამ.

## V.

კოწიას საქმის გამოძიება გათავდა. რამდენიმეჯერ გამოკითხეს კოწიას საქმის გარემოება; რამდენიმეჯერ დაიბარეს აგრეთვე ზურაბა თავის მოწმეებით. კოწია ტირილით ამბობდა, რომ მართალი იყო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა? ერთი კაციც არ ჰყოლია თავის სიტყვების მოწმედ. დედა მისს ხომ არაფერს დაუჯერებდნენ და სხვა ვინ გაბედავდა ზურაბას წინააღმდეგ ლაპარაკს? იმათაც კი არ სთქვეს, რომ კოწიამ ვენახში მოჰკლა ხარი, ვინც რამდენჯერმე მოციქულებადაც ყოფილიყვნენ კოწიასა და ზურაბას შორის.

ამ რამდენიმე დღის წინად უკანასკნელად დაიბარა გამომძიებელმა კოწია და გამოუცხადა, რომ იმისი საქმე უკვე გამოიძია და ეხლა პროკურორს უნდა გადასცეს ქუთაისში.

ამას შემდეგ კოწია საპყრობილის მეორე განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც ოთხი კაცი კიდევ იყო ქუთაისს გასაგზავნი. კოწიაც მათთან ერთად უნდა გაეგზავნათ.

კოწიას ამხანაგებს არ იამათ ახალი ამხანაგის შეძენა, რაღაც გლახა თვალით შეჰხედეს კოწიას. ისინი მუდამ ერთად იყვნენ, ჩურჩულობდნენ რაღაცას და ერიდებოდნენ კოწიას. აშკარა იყო, რომ იმათ რაღაც საიდუმლო ჰქონდათ და ამ საიდუმლოს გაგებინება არ უნდოდათ კოწიასათვის. კოწია თვითონაც არ აწუხებდა იმათ. მოვიდა თუ არა, მაშინვე დაეგდო ერთ კუთხეში და იყო.

ერთხელ შუა ღამისას კოწია რაღაც ხმაურობამ გამოაღვიძა. კოწიამაც ჯერ ვერ გამოარკვია, რისი ხმა ესმოდა. მხოლოდ მერე, როცა მიაჩვია თვალი სიბნელეს, გაარჩია, რომ რამდენიმე კაცს ერთი ჰყავთ აყვანილი და ეს ჭერის ფიცარს ხერხს. მიხვდა კოწია ტუსაღების განზრახვას და სული განაბა, ამხანაგების მაგიერ კოწიას ეშინოდა. «როგორ, გაპარვას ბედვენ ეგენი?» ჰფიქრობდა იგი: «ჰმ, რა ნაირად გაექცევიან ეგენი ყარაულებს, რომელნიც გარს არტყიან საპყრობილეს? არა, ეგენი ვერსად წავლენ, მაგათ ხელახლავ დაიჭერენ, ან მოკვლენ!» ამას ჰფიქრობდა კოწია და უნდოდა რჩევა მიეცა ტუსაღებისთვის, დაენებებიათ გაქცევისთვის თავი, როცა ერთმა მათგანმა დაუძახა:

— ძამია, გღვიძავს? კოწიას შიშის ზარი დაეცა.

— კი, ძლივს წარმოსთქვა იმან.

— ჩვენ ეს არის მივდივართ, განაგრძო იმავე ტუსაღმა: შენც წაგიყვანდით, მაგრამ ვერ შესძლებ და ტყულა ჩვენც დაგვაბრკოლებ. როცა გკითხონ ჩვენზედ, უთხარი, რომ არას·

ფერი იცი, როდის წავედით. შენ კიდეც დაგიმადლებენ, რომ არ ისარგებლე შემთხვევით და, შეიძლება, სასჯელიც შეგიმსუბუქონ.

— თუ მაინც და მაინც მოგინდეს წამოსვლა, ჩვენ რომ წავიდეთ, პატარა ხანს უკან შენც წამოდი, თუ შეგიძლია თავის შველა, უთხრა კოწიას მეორემ.

— არა, არა ეგ ვერ წამოვა, სთქვა ისევ პირველმა: ეგ ბევრს ვერ ივლის და აქვე დაიჭერენ. ხომ, ძამია? დაეკითხა კოწიას.

— გაქცევის თავი სად მაქვს, ძლივს მიდგია სული, მიუგო კოწიამ.

— ჭკუიანი კაცი ყოფილხარ... სთქვა ერთმა ტუსაღმა და ყველამ გაიცინა.

— გავათავე! დაიძახა ამ დროს იმან, რომელიც ჭერს ხერხდა და ჩამოიღო მოზდილი ფიცრის ნაჭერი; ფიცარი ამხანაგებს გადასცა. მაშინ მისცეს იმას ერთი მეორეზე გადაბმული პერანგები, პერანგის ამხანაგები და ახალუხები, რომელთაც ბაწრის მაგიერობა უნდა შეესრულებინათ. მერე აწია იგი ყველამ ზევით. ისიც მოებღაუჭა რაღაცას და ათოთხდა ჭერზედ. მერე შემოახვია ბოძს თავისი «ბაწარი» და ჩამოუშვა ძირს.

— აბა წამოდით, სიმაგრის ეჭვი ნუ გაქვსთ, დაუძახა ამხანაგებს. ამხანაგები თითო თითოდ ავიდნენ ჭერზედ.

— აბა, მშვიდობით, ძმაო! დაუძახა ერთმა მათგანმა კოწიას.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ, მიუგო კოწიამ.

პატარა ხანს უკან ყველაფერი დაწყნარდა ისევ. ტუსაღებმა მშვიდობით მიაღწიეს სანათურს, საიდამაც ავიდნენ სახურავზედ და სახურავიდამ ადვილი იყო იმათთანა მარჯვე ყაზახებისათვის საწვიმარ ღარებით მიწაზედ დაშვება და გაქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VI.

Დარჩა პოწია მარტო თავის ფიქრებთან, რომელნიც გარს ეხვეოდნენ მას და ჰქენჯნიდნენ. «აი, აგერ შეიქმნება ხრიალი, აი აგერ», ჰფიქრობდა პოწია, მაგრამ ყველგან სამარისებრივი სიჩუმე სუფევდა. პოწიას ცოტა არ იყოს, ეხარბებოდა, რომ ისინი, ვინც გუშინ მასთან ისხდნენ, ეხლა თავისუფალნი არიან, «კაცს შეიძლება კი გაექცნენ, მაგრამ ღმერთს რას უპირებენ, იმას ხომ ვერსად გაექცევიან?» ჰფიქრობდა პოწია: «მაგრამ შეიძლება, ისინიც ჩემსავით უდანაშაულონი არიან... იქნება მარტო კაცისგან სჭირდებოდათ იმათ გაქცევა და გაიქცნენ კიდევაც... იმათ უშველეს თავს... ნეტავი იმათ!» ცოტა ხანს კიდევ სულ განაბული ისმენდა პოწია და მერე ისევ განაგრძო ფიქრი: «მე... ღმერთო ჩემო?... მე რა ვქნა? ნუ თუ ჩემთვის არავითარი საშველი არ არის? ნუ თუ ციხეში უნდა ჩავლპე მე?»... რამოდენიმე ხანს გაშტერებული იყო, თითქოს უნდა რამე პასუხი მისცეს თავის თავსო. «არა, არა» დაიძახა იმან ბოლოს და ადგა ზეზე. «უნდა წავიდე, მეც უნდა წავიდე», ამბობდა ის. «მაგრამ რა ნაირად?» გაუელვა თავში და მივიდა გამოჭრილ ჭერის პირდაპირ. მივიდა და შეიხედა ზევით. ოჰ, რა ცოტა მანძილია იმასა და თავისუფლებას შუა! რამოდენიმე ხანს ისე იდგა, მერე უეცრად დაინახა ბაწარივით ჩამოკიდებული ტანისამოსი და მოჰკიდა მას ხელი. მოჰკიდა და ჩამოსწია, მაგრამ არ ჩამოგჯა, მაშინ იმედი მიეცა პოწიას, რომ თავისუფლების მოპოვება მის ხელთ არის და მარდად აიწია ზევით. პოწიას მოაგონდა თავისი სიყმაწვილე, როცა ხილის საქურდლად აცოცდებოდა ხოლმე ხეზედ და ისე მიცოცავს ეხლაც, თითქოს ეს თვეები საპყრობილეში როდი გაუტარებიაო. აი, კიდევაც მიაწია პოწიამ ჭერამდის. აი, ხელებიც მოხვია ფიცრებს და შევიდა ჭერზედ. აქ-კი დაჯდა პოწია და დაისვენა.

ცოტა ხანს ისე იყო გაშტერებული, რომ არ სჯეროდა, თუ ჭერზედ იყო და სიზმარში ეგონა თავი. მაგრამ საიდამღაც მოხედა ცივი ქარი და გამოაფხიზლა. მიიხედა იქითკენ, საიდამაც ქარი მოდიოდა და დაინახა სანათური. აქა კი ველარ გაძლო კოწიამ, წამოდგა ზეზე და მივიდა იმასთან. ეხლა სრულიად მოვიდა გონზედ კოწია და ცხადად დაინახა თავისი მდგომარეობა. «ნუღა გვიანობ», უთხრა იმას გულმა. კოწიამ აიხედა ზევით; ცა მოღრუბლული იყო, მაგრამ აქა-იქ მაინც ბჟუტავდნენ ვარსკვლავები. ოჰ, რა საშინლად უცემს ეხლა კოწიას გული! ქვევით საპყრობილეა, ზევით გაშლილი ცა, ქვევით ჯოჯოხეთია, ზევით სამოთხე! რომელი გინდა ამ ორში კოწია? ჯოჯოხეთი, თუ სამოთხე, ტანჯვა-წვალება, თუ თავისუფალი ცხოვრება? ბევრი ფიქრი აღარ იყო საჭირო და კოწიაც ავიდა სახურავზედ. ავიდა და დაიწყო ღრმად სუნთქვა. ოჰ, რამდენი ხანია მის ფილტვებს არ ჩაუსუნთქავსთ ამისთანა წმინდა ჰაერი, რამდენი ხანია მთელს მის არსებას არ უგრძვნია ნეტარება! კოწიამ რამოდენიმე ხანს პირდაღებულმა უყურა ცას და ისუნთქა ჰაერი. მერე გაიხედა თავის სოფლისკენ და თვალთ წინ დაეხატა თავისი სახლი. აგერ დედა მისი ხვალისთვის (მეორე დღეს კვირა იყო) აცხობს ხაჭაპურებს, ადუღებს ფელამუშს, აკეთებს ყურძნისგან აკიდოს, რომ მიუტანოს კოწიას. ის კი არ იცის საბრალომ, თუ კოწია ეხლა გაქცევას აპირებს და ვინ იცის, ხვალ სად იქნება? «ნუღარ გვიანობ!» დაუძახა კიდევ კოწიას გულმა. კოწიაც მივიდა ერთ საწვიმარ ლართან და ჩაიხედა ძირს. ნახა რომ ბაიბური არსად არის და გათამამებულმა მოხვია ორივე ხელები ლარს. ჯერ კიდევ ზევით ეგონა კოწიას თავი, რომ ტყვიასავით წავიდა ძირს და მიწაზედ გააყრევია ბრეგვა. ისე დაეცა საწყალი, რომ ყოველ სახსარში ტკივილები იგრძნო და გაჩერდა. ეხლა აღარ იცოდა კოწიამ, რა ექმნა? ტკივილებმა გამოაფხიზლეს კოწია და ნათლად დაა-

ნახვეს, თუ რა ძნელ საქმეს მიჰყო ხელი. «სად მიხვალ?» გაუელვა პოწიას თავშიდ: «თუნდ ამაღამ შინ მივიდე, მერე რაღა ვქმნა? ხომ ისევ დამიჭერენ? სად უნდა დავიმალო?.. სახლშიდ სულ არ მივიდე, სად წავიდე?... დედა ჩემს რა ეშველება?... ვინ მე და ვინ გადავარდნა?... მაშ რა ვქნა? უკან დავბრუნდე? რომ აღარც უკან დაბრუნება შემიძლია.... ოჰ, ღმერთო!»... პილამ ხმა მაღლა დაიძახა უკანასკნელი სიტყვა და გაშტერდა. რამდენიმე ხანს ისე გაშტერებული იდგა ერთს ადგილზედ და არ ინძრევოდა. მაგრამ უეცრად რაღაც ხმაურობა მოესმა და წამოცქვიტა ყურები. ტრახ, ტრუხ, ტრახ, ტრუხ! ისმოდა საიდამღაც. აშკარა იყო, ყარაული მოდიოდა. «ბარიქა, პოწია, თავს უშველე!» დაუძახა პოწიას ვიღამაც რომელიღაც გულის კუნჭულიდამ და პოწიაც გაიქცა. ყარაულმა გაიგო, რომ ვიღაც მირბის და გამოეკიდა თვითონაც უკან. პოწია მირბოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ რას იზამდა მისი გაქცევა? ყარაულმა იფიქრა ველარ მივეწევიო და შეაყენა თოფი. «გაჩერდი, გაჩერდი, თვარა მოგკლავ!» უყვიროდა ყარაული, მაგრამ პოწიას არაფერი არ ესმოდა. ყარაულმა ჩაიღრუტუნა რაღაც, როცა არაფერი გაუვიდა და ჩამოკრა ჩახმახს ხელი. თოფი გავარდა. კვამლმა კიდევ უფრო დააბნელა ისედაც ბნელი ღამე, მაგრამ სიბნელეშიაც ცხადად მიხვდებოდა კაცი, რომ ვიღაც ფეხმოწყვეტით დაეცა მიწაზედ.

## VII.

მეორე დღეს ჯერ კიდევ მზეს არ ჰქონდა ნაყიდლი, რომ პოწიას დედა წამოვარდა ზეზე. იმას მთელი ღამე არ უძინია, ერთი ხურჯინი გაავსო რაღაც რაღაცაებით და მხარზედ გადიკიდა; ხელში დიდი აკიდო დაიკავა ცოლიკაურის ყურძნის და წავიდა პოწიას სანახავად. მეტად დაღონებული კი იყო. სხვიმის დღეის დღეს ყოველთვის მხიარული ყოფილა,

დღეს-კი, თითქოს უშველებელი ლოდი აწევს გულზეო, სწუხდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რაზედ. იქნება გულმა უგრძნო უბედურს!...

აი გამოიარა თავისი სოფელი. მამლები ეხლა ყივოდნენ. ერთი რომ გაათავებდა, მეორე დაიწყებდა, თითქოს ერთი მეორეს ეჯიბრებიანო. ამ განუწყვეტელმა ყივილმა კიდევ უფრო შეუწუხეს კოწიას დედის გული. ამიტომ იმას ეჩქარებოდა დიდ გზაზედ გასვლა, სადაც შეეძლო თავისუფლად გართულიყო ფიქრებში.

აი, კიდევაც გავიდა ის შარაზე, რომელიც მდინარის პირად მიიკლაკნებოდა. დაინახა თუ არა წყალი, იფიქრა პირს დავიბანო და წავიდა იმისკენ. მართლაც, შეისხა პირზედ ცივი წყალი. წყალმა პირის სახე გაუცივა და გაუცოცხლა, მაგრამ გულს ვერასფერი მოუხერხა. მიდის საბრალო და მიდის ისევ ისე გულ შეწუხებული.

ამასობაში ღამე სრულიად მიიწურა; ვარსკვლავები თანდა თან ჰქრებოდნენ, მხოლოდ ერთად ერთი „ცისკარი" ჯერ კიდევ მხიარულად კაშკაშებდა. ღრუბელი აღარსად იყო და ერთი უკეთესი შემოდგომის დღეთაგანი თენდებოდა.

აი, ცისკრის ვარსკვლავიც ჯერ ათრთოლდა, თითქოს თავის საყვარელს ელისო და მერე სრულიად გაფითრდა. აღმოსავლეთი სხვა-და-სხვა ფერათ აბრჭყვიალდა. მზე უახლოვდებოდა ქვეყანას და მისი გზა თითქოს ყვავილებით იყო მოფენილი. აი ისროლა მზემ პირველი სხივი და გაანათლა მაღალი მთის წვერები. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე .. და სინათლე თან-და-თან ეფინებოდა მთელს დედამიწას. ბოლოს მზე სრულიად ამოვიდა და ყველაფერმა სადღესასწაულო ფერი მიიღო. ფრინველებმაც, თითქოს ამას უცდიდნენო, სხვა-და-სხვა ჰანგზედ მორთეს ჭიკჭიკი და გალობა. იმათ ქება შეასხეს ახლად დამდგარ დღეს, «ისპოლა» უთხრეს

დინჯად მომავალს მზეს, ამ პატრიარქს მთელის ბუნებისას. დილის ნიავმაც დაჰქროლა, ხეები შეირყენ და ფოთლებმა დაიწყეს ტკბილი შრიალი. მდინარე წყნარად მიდუდუნებდა. იგი ათას ფერად ბრწყინავდა მზის სხივებზედ, რომელნიც მის ტალღებს ეთამაშებოდნენ. ყველგან სიცოცხლე, ნეტარება იყო, მხოლოდ ჩვენი მგზავრი ისევ ისე სწუხდა და რამდენიც უახლოვდებოდა მიზანს, იმდენი უფრო უკვდებოდა გული. აი კიდევაც მიატანა კოწიას დედამ მაზრის დაბას. აი, გამოჩნდნენ შენობები; გამოჩნდა საპყრობილეც. იცნო უბედურმა შორიდამვე იგი და გულმა ძგერა დაუწყო. საპყრობილის კარებზედ ბევრი ხალხი იყო და ამან ცოტათი გააკვირვა კოწიას დედა. ამდენი ხალხი ჯერ არ ენახა იმას აქ თავმოყრილი. ხიშტიანი რუსებიც ბევრი იყვნენ უწინდელზე და ეზოში არავის უშვებდნენ. აი, ძლივს მივიდა კოწიას დედა კარებთან. რუსი წინ გადუდგა და არ უშვებს. კოწიას დედა ეხვეწება, მაგრამ იმას არ ესმის.

გავიდა პატარა ხანი. კოწიას დედამ დაინახა ვილაც კაკარდიანი, რომელიც აქეთ მოდიოდა; მივიდა მაშინვე იმასთან და შეეხვეწა, შვილი მაჩვენეთო. კაკარდიანმა უთხრა დღეს არავისი ნახვა არ შეიძლებაო, მაგრამ მაინც ჰკითხა, ვინ იყო იმისი შვილი. როცა კოწიას სახელი გაიგონა, ფერმა გადაკრა. სხვებმაც რალაც სხვანაირი სახით შეხედეს კოწიას დედას.

— რატომ არ შეიძლება? დღეს ხომ კვირაა და კვირას ყოველთვის ვნახულობდი ხოლმე ჩემ შვილს.

— აწი რომ სულ ველარ ნახავ? სთქვა კაკარდიანმა და გაილიმა.

— როგორ თუ ველარ ვნახავ? რას მერჩით? ღმერთი არ არის თქვენში? რა დაუშავებია ამის ფასი?... მიჩვენეთ, მიჩვენეთ, ახლა ხვეწნა დაიწყო უბედურმა: თქვენი ღვთის გულისათვის!...

ამ დროს მეორე კაკარდიანი მოვიდა, რომელსაც ეტყობოდა, რომ რუსი იყო. ახლა ამას დაეღრიჯა საბრალო კოწიას

დედა. კაკარდიანმა გაიცინა, როცა კოწიას სახელი გაიგონა და დამტვრეული ქართულით უთხრა:

— ის გუშინ გარე ცაუდა და ტოპი მოკლა, ეკლა დოკტორი გაჩრა და მერე ნაკე! კოწიას დედას არაფერი არ ესმოდა და გაშტერებული იდგა.

— დედაო, ველარ გაიგე, რაც გითხრა? შენს შვილს წუხელის გაქცევა მოუნდომებია და მოუკლავსთ, უთხრა პირველმა კაკარდიანმა.

— ჩემი შვილი მოუკლავსთ! საზარის ხმით დაიღრიალა უბედურმა დედამ და დაიშინა თავპირში ხელი.

— უიმე, შვილო, უიმე, შვილო, გაჰკიოდა ის და იწეწდა თმას, ითხლეშდა ლოყებს,—გამიშვით, გამიშვით! დაიყვირა მერე და გაექანა საპყრობილისკენ, მაგრამ ყარაულებმა აღარ გაუშვეს და გააჩერეს. საზარი სანახავი იყო ეხლა საბრალო ქმნილება: სისხლი წურწურით ჩამოსდიოდა ლოყებზედ და მოღლეტილს გულზედ; თვალებს გადარეულივით აქროლებდა, დიაღ, გადარეულივით, რადგან კოწიას დედას გონება სრულიად დაუკარგა მოულოდნელმა უბედურებამ.

«უიმე, შვილო; უიმე, შვილო!» იძახის ეხლაც მართლა გადარეული კოწიას დედა და დადის სოფლიდამ სოფლად. იმის პატრონი ერთად ერთი ღმერთია და გულმტკივნეული ბებრები, რომელთაც იციან მისი ამბავი. ხან-და-ხან თავის სოფელშიდაც მივა კოწიას დედა, მაგრამ არავის არ ეკარება. მივა იქ, სადაც კოწიას სახლი იყო და დაჯდება. დაჯდება და არის საბრალო, სანამ ზურაბას ბიჭები არ მოვლენ და არ გააგდებენ. კოწიას ადგილ-მამული ეხლა ზურაბას ხელშია ყველაფერი, როგორც მისი მოვალის.

დუტუ მეგრელი.

1888 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!...

რომანსი.

ოდეს მეწვევა სევდა დამწველი
და გულ-ღვიძლს მიღრღნის, ვით მგესლი გველი,
შენი სახე მყავს მაშინ მხსნელ ფარად...
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!

რა წამსაც მეტყვი საქმეს საგმიროს,
თუნდ მტრის ლახვარმაც მომკლას, გამგმიროს,
შენთვის სიკვდილსაც მივიჩნევ არად...
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!

სიკვდილის ჟამსაც მექნება ნატვრად,
რომ შენი ცრემლი ციურ საჩუქრად
ჩემს ობოლ საფლავს დაეცეს ფარად...
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!

ჭირსა თუ ლხინში, ყველგან, ყოველთვის
გული, გონება შენსკენ მომელტვის,
მარტო შენ მწამხარ ხატად და ჯვარად...
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!

გრ. ვოლსკი.

ტფილისი.
1888 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# იმედი.

ახალწლის გამო.

იმედით ცხოვრობს ყოველი კაცი:
გლახაკი, მეფე, სუსტი მამაცი...
თუმცა წარსულში ვსყწევლეთ თავ-ბედი,
მაინც გავმხნევდეთ, გვქონდეს იმედი!
დღეს წვიმს და ~~ელავს~~, დღეს ქარი ბერავს,
ზღვა გემებს ამსხვრევს, შფოთავს და ღელავს. .
ხვალ მზე დიდებით აღმობრწყინდება—
ქარიც დაცხრება, ზღვაც დამშვიდდება.
მაშ გამამაცდით, გამხნევდით სულით!
სასოს ნუ იკვეთთ ცუდის წარსულით!
კაცის ცხოვრება ბეწვის ხიდია;
სიკვდილ-სიცოცხლე ბედზე კიდია.
ვინც დღეს სხვებს ჩაგრავს, დღეს მდიდარია,
ხვალ გაიხედავ — ცოცხალ-მკვდარია,
და დღევანდელი წესაგებული
ხვალ ხარობს, შვებით გალაღებული.
ასე ტრიალობს წუთისოფელი:
ავთან კარგისაც არის მყოფელი.
გულსუსტი იხჩობს თავს ბაწრით, ღვედით...
ქვეყანა ცხოვრობს ხვალის იმედით!
იმედს ნუ იწყვეტთ მწარე წარსულით!
გამხნევდით გულით, გამხნევდით სულით!

ქუთაისი.

18 I/1 88

სილოვან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დონ-პედრო კასტილიელი.

## ისტორიული მოთხრობა

ე. შპილმანისა.

Დაყრუებულს მთის არე-მარეში, როცა ქარიშხლიანს საღამოს ბნელი ზეწარი ეფარებოდა, მიემგზავრებოდა ერთი ყმაწვილი კაცი მარტოდ-მარტო და თან ალვირით დამარქაფებული ცხენი მიჰყავდა. ეს კაცი იყო საუცხოვო შეხედულებისა, მაღალი, მხარ-ბეჭ-განიერი; ტანთ ეცვა მას მდიდრული სანადირო ტანისამოსი, ძალზედ გაფუჭებული ავდრისა გამო და აქა იქ დაგლეჯილი ეკლებისაგან ტყეში სიარულის დროს.

— Გასწი, გასწი, ჩემო მოხუცო! — უთხრა მან თავის ცხენს, — გავეშუროთ, იქნება ამაღამ თავი შევაფაროთ სადმე, თორემ ამ საშინელს ავდარში და ღრე-კლდეებში, ვინ იცის, რა უბედურება შეგვემთხვევა.

Ცხენმა, — ამ მოხდენილმა ძვირფასის უნაგირით შეკაზმულმა ანდალუზელმა ბედაურმა, გულ-მოსაკლავად დაიხვიხვინა, თითქო მხედრის სიტყვები გაიგოვო. Ღვთისმშობელო დედავ! წარმოსთქვა კიდევ ამ უცხო კაცმა: ნეტავი ვიცოდე მაინც, სადა

ვარ ახლა მე!—მერე შეჩერდა, დაეყუდა თავის სანადირო ხელშუბას და სულ განაბული რაღაცას შორს გაყურებდა.

რა უნდა იყოს, ჩემო კარგო მოხუცო! სთქვა მან წამს უკან: არაფერი, გარდა ქარის ზუზუნისა; არც საყვირის ხმა და არც არა სხვა ჩემი მაქებარი და ან დამძახებელი. გავსწიოთ აბა? ჩვენ მარტო ჩვენის თავის იმედი უნდა გვქონდეს, ეს ბილიკი ჯოჯოხეთისკენ, ხომ ვიცი, არ წაგვიყვანს, ალბათ სადმე მიგვიყვანს. მაშ გავსწიოთ და შევიწიოთ ძალი ღვთისა!

გასწიეს უცხო კაცმა და მისმა ცხენმა, ერთს საათს ისე იარეს რომ მათს წამ-და-უწუმ წაბორძიკებას და ეკალ ქაცვებში ძრომას ანგარიში აღარა ჰქონდა.

წინიდამ წყალის შუილი მოისმა.

წყალი! სთქვა მონადირემ:—ნეტა რა წყალი უნდა იყოს—ქსენვილია, თუ ტოტი გვადალკვივირისა? და თუნდ რომ კიდეც ვიცოდე, რას გავარიგებ ამ კუკუნახ ღამეში? დაიცა! ის რა კიაფობს იქა?... ცეცხლი უნდა იყოს.

ამ თქმაზე ცხენმა თავი მაღლა აიღო და შეხვიხვინა ნიშნად გახარებისა.

— აა! ადამიანებია განა! აბა ერთი ვშინჯოთ და ხმა მივსცეთ. —ხელი წაავლო თავის მოოქრულს და ძვირფასის თვლებით მოჭედილ რქის საყვირს და ძალზე დაუკრა.

მაშინვე ის მისგან დანახული ცეცხლი იქით-აქეთ გაქან-გამოქანდა და პასუხად მოისმა მაღალი და მკაფიო ხმა მწყემსების საყვირისა.

— ღმერთო მოწყალეო! შენ შემოგწირავ მადლობასა ამ შეწევნისათვის,—წარმოსთქვა მონადირემ.

წყალს გაღმა ორის ქინქლილით ვილაც წამოვიდა.

ღვთის ქინქლილებია, სთქვა გზა დაკარგულმა,—ალზედ ეტყობა. ეს უთუოდ მწყემსები უნდა იყვნენ, ან ეგებ თითონ ჯოგის პატრონი; აბა მე აქ ვინ უნდა მიცნობდეს.

ჭინჭლილები თან და-თან მოახლოვდა და მგზავრმა ერთი კიდევ დაუკრა, აცნობა, თუ სად იდგა.

— ვინ ხართ, ეი! და რა დროს საყვირია? - მოაყვირეს გაღმიდამ.

— მე ამხანაგებს დავშორდი ნადირობაში და გზა ველარ გავიგენ. მთაში ერთბაშად ღამემ მისწრო, ცუდმა ტაროსმა გზა დამიქსაქსა და არ ვიცი, სადა ვარ ეხლა.—ემანდ რომ წყალი ქშუის,—ქსენვილი ხომ არ არის?

— არა, ეს ზვადალკვივირის ტოტია.

— ღამეს ვერ გამათევინებთ მე და ჩემ ცხენს?

— რატომ არა! ჩემს ბუღულში შემოსვლას თუ კი ინებებთ, ბატონი ბრძანდებით.

— კეთილი! მაგრამ წყალში როგორღა გამოვიდე? ჩემი ცხენი დაქანცულია და ცურვა კიდეც რომ შეეძლოს, ამ ბნელს ღამეში როგორ ვენდობი? ჰომეცით კიდევ ხმა, გავიგო კარგათ, სადა დგახართ.

— კარგი! მოისმა იქიდამვე:—ახლა წინისკენ წაიწიეთ, ნაპირისკენ, მერე მარცხნივ მოუხვიეთ, და იარეთ იქითკენ, საცა ჭინჭლილი წავიდეს; იქ ფონს მიადგებით და წყალის ნუ გეშინიან მუხლამდინაც არ მოსწვდება თქვენს ცხენსა.

— მე თქვენ გეუბნებით, ცხენი ისეთი დავარდნილია, ფეხს ძლივსღა სდგამს და ამაზე როგორ შევჯდები?

— მაშ ფეხები უნდა დაისველოთ, მეტი ჯანი არ არის! მაგრამ ფიქრი ნუ გაქვსთ. ჩვენს ქოხში მშრალს ტანისამოსს გიშოვნით. აბა, გაბედე, ნუ გეშინიან, წამოდი. ამ სინათლეს ხომ ხედავ? სწორეთ ამის პირ-და-პირ ჩამოდი წყალში. ცხენს ალვირი წაყარე და ავშრით დაიჭირე, უფრო თავისუფლად წამოგყვება.

მგზავრმა ფონი მონახა და უხიფათოდ გავიდა მდინარეში.

— კარგი! უთხრა ერთმა მომლოდინეთაგანმა და მიანათა ჟინჟღილი გზა დაბნეულს.—კარგი, ბატონო, ეგ ცხენი ამ ჩემს მსახურს მიეცით, მაგისი მოვლა ჩემს თავს იყოს, და მე და შენ ფეხს მოვუჩქაროთ შინისკენ.

სახლსაც მალე მიაღწიეს კერაზე გაჩაღებულ ღვიის მუგუზლებმა მხიარულათ შეანათა დაღლილს მონადირეს.

ახლა კი ცეცხლის სინათლეზე სრულიად დარწმუნდა მასპინძელი რომ მისი სტუმარი დიდი კაცის შვილი უნდა ყოფილიყო. ამას ცხადად მოწმობდა მისი მდიდრული ტანსაცმელი, მოოჭვილ-მოოქვრილი საყვირი, ძვირფასი ქარქაში მისი სანადირო დანისა, და მეტადრე მისი დიდკაცური, წარმოსადეგი შეხედულება.

— ბატონო! მხიარულათ მოგესალმებით, და ეს ჩემი ოჯახი, გთხოვთ, ისე მიიღოთ, როგორც თქვენი საკუთარი — უთხრა მასპინძელმა. მერე მიუბრუნდა თავის ცოლს და ქალს: — მადრეე, ნინა! წააყენა ისინი სტუმრის წინ და გააცნო. ეს დედაა, ეს მისი ქალიშვილია! სანამ დედა მიესალმებოდა, ქალი მორცხვად იდგა ყურეში და ჩუმათ ათვალიერებდა უცხო სტუმარს.

— აბა ჯერ მშრალი ტანისამოსი მოართვით ჩვენს სტუმარს: თქვენ კი, ბატონო, ეს მსხვილი შალის ჯუბა და ეს წინდა კი არ მოგეწონებათ, მაგრამ რადგან ესენი მშრალია, ამიტომ ცოტას ხანს არ უნდა დაიწუნოს მან, ვის ტანზედ ძაფიც კი მშრალი აღარაა; ერთი საათი და თქვენი საკუთარი ტანისამოსიც გაშრება კერასთან და მადრე და ნინა ხვალ დილით სრულიად გასუფთავებულს მოგართმევენ.

მონადირემ გაიცინა.

— თქვენი ქალია? ჰკითხა მან მასპინძელს და თვალი შეავლო გასათხოვარს.

— ბახლავსთ, ბატონო, ჩემი ერთად ერთი შვილი. ნათლობის სახელი მაგისი ადალაიდაა.

— მაშ რადგან თქვენთვის ღმერთს ვაჟი და მემკვიდრე არ უბოძებია, სიძეს მაინც მალე მოგანიჭებს თქვენ. შენ რას იტყვი ამაზე, ადალაიდა?

და მიუახლოვდა ყმაწვილს ქალს მონადირე და ნაზად და ფრთხილად თავი ააწევინა.

შავგრემანი ლოყები ადალაიდასი ალისფრათ გახდა, მისმა ანთებულმა შავმა თვალებმა თავისის უმანკო გამოხედულობით პასუხი მისცეს შემცქერალს მონადირეს. თვითონაც რაღაც საკვირველის ღირსებით და თავუშობით შესიტყვა.

მე რომ თოთხმეტი წლის მეტი არა ვარ, ბატონო?

— პირველი საქორწილო ყოფილხარ! ხუმრობა არ მოუშალა მონადირემ.

ამ წამს გარედამ რკინის ბანდულ ფანჯარასთან მოისმა მკაცრი წივილი; ჭრიჭინას ხმას მოგაგონებდა და ისე ძრიელი იყო, რომ ოთახში გაატანა, თუმცა ქარისაგან ერთი ზრიალი და ხეების ლაწა-ლუწი იყო.

არავის, ადალაიდას მეტს, ამ უცნაურის წივილისთვის ყური არ უთხოვებია. ის კი ფანჯარას თვალს არ აშორებდა. მალე დაინახა ორი მოციმციმე თვალი და ხელმეორედ ადალაიდა ნაკვერცხალივით გახდა.

მაგრამ, თუ იმ წუთს, როცა უცხო კაცმა ხელი ახლო მისს პირის სახეს, მან არ დაკარგა თავისი ნათლოვანი გამოხატულება, მაგივრად ახლა მისი აწითლება იყო სიანჩხლის ნიშანი, რამაც საშიშრად გაიელვა მის ღრმა თვალებში, რომელნიც ფანჯარას დაშტერებოდნენ; წარბები შეეჭმუხვნა, ბაგეები შეეწება, ბრწყინვალე მისი თვალები განქრენ და ამასობაში რამდენჯერმე ზედიზედ შემოისმა ის გულის გამგმირი წივილი.

— მშრალი ტანისამოსი მზათ გახლავს, ბატონო! უთხრა მასპინძელმა, — თუ ინებებთ ჩემს ოთახში გაბრძანებას და გამოცვლას, მზათ ვარ თქვენის სამსახურისთვის.

სტუმარს აღარ უზოდიშნია და ამან კიდევ უფრო დაუმტკიცა მასპინძელს, რომ ეს მისი უცხო სტუმარი სხვისგან სამსახურს დაჩვეული იყო.

როცა ორივე უკანვე დაბრუნდნენ, სუფრა გაშლილი დაუხვდათ; სუფრაზე ეწყო მათთვის ვახშამი, რომელსაც შეადგენდა რძე, ცხვრის შაშხი, შვლის ხორცი, ყველი, თაფლი და ღვინო.

— ბაბრძანდით, ბატონო, და ეს მცირე ვახშამი ღმერთმა ტკბილად შეგარგოთ,—მიიპატიჟა მასპინძელმა.

— კეთილი! სთქვა უცხო კაცმა, მოუჯდა სტოლს და მადიანად შეექცეოდა, რადგან ცარიელ მუცელზე შიმშილი პირველი გამსინჯავი და მზარეულია. მასპინძელი ვახშმობის დროს სულ ემსახურებოდა და სტუმარიც ამ სამსახურს უზოდიშოთ იშნობდა, როგორც რასმე მართებულს.

— აბა, ახლა თქვენი სახელიც მასწავლეთ ჩემო სტუმართ მოყვარე მასპინძელო, უთხრა მონადირემ, როცა ვახშამს მორჩა.

— რაკი გნებავთ, მე ზიდალგო ვარ, უპასუხა მასპინძელმა. მე აზნაური ვარ, თუმცა ხელმოკლე, ასე რომ ჩემი მუშაობა პირუტყვების მოშენებაა და მათი ალებ მიცემობა; სახელად მე მეძახიან სანქო ცერმუროს, მაგრამ, თუ მეც ჩემის მხრით თქვენს ვინაობას არ გეკითხებით, ბატონო კაბალერო, ამას იმიტომ ვშვრები, რომ, მივდევ ჩვენს ძველს ადათს, რომლის ძალითაც სათაკილოდ მიგვაჩნია სტუმრის შეწუხება კითხვებით, თუ ვინაა, სადაურია, სად მიემგზავრება და სხვ.

— მე ვიცი ეს ძველი ადათი და ძრიელ პატივსაც ვსცემ მე მაგას, მაგრამ ეხლა თქვენ ერთი ეს მითხარით—სევილია შორს არის აქედამ?—

— ჰო; ბევრი არა, ვინც მოკლე გზები იცის, ხუთი ჲლაჲია სევილამდინ, არაა ბევრი.

— მეტი არაა? მე კიდევ ასე მგონია, რომ ესეც კაი მანძილია.

აქავ ამ საათში, ამავე წამს უნდა გავიგონო მე შენგან, რომ შენ ჩემი ცოლი იქნები, რომ შენი გული მე მეკუთვნის.

— რაო! უნდა მაიძულო განა? ადალაიდს ტერმუროს გული შენ უნდა მოგეთვისოს! გასწი, გამეცალე! — უწინდებურის უკმეხობით მიაყარა ქოქოლა და გამობრუნდა შინათკენ წასასვლელად.

ტრფობამ და იჭვიანობამ სრულიად დაიპყრეს ანტონიო, აღარ იცოდა რას შვრებოდა და ადალაიდას ხელში ხელი ჰსტაცა.

— ტუტუცო! ხელდახელობასაც ბედავ! და გაუსხლტა თუ არა ანტონიოს ხელიდამ, ადალაიდამ უცებ იძრო ქარქაშიდამ პატარა ხანჯალი, რომელმაც მთვარის შუქზედ გაიელვა.

— აი შენ, მაწანწალას შვილო! აბა, სინჯე ერთი, ახლო მოდი; შენ თუ გგონია, შენი მეშინოდეს!

— ზველო! მიუგო კბილების კრაჭუნით ანტონიომ. თვითონაც იძრო სარტყელზე ჩამოკიდებული დანა და გაცეცხლებული მივარდა ქალს. მაგრამ იმავე წამს მათ შუა გაჩნდა ერთი ვიღაც ჭაბუკი მშვენიერათ მოყვანილი; ის თურმე ნაძვებთან იყო ამოფარებული და ყოველს ამას ყურს უგდებდა საკვირველის ყურადღებით. რასაც არ გაფიქრებინებდათ მისი ნაზი მოყვანილება, სტაცა ამან ორივე ხელი ანტონიოს, რომელსაც ენა ჩაუვარდა ამ უეცარის თავდასხმის გამო.

— ჟუანეტო! მხოლოდ მხიარულად შესძახა ადალაიდამ და რაკი დრო იპოვა მოქუსლა შინისკენ. ქალიც დაიმალა და აღარც ანტონიოსთვის ხელი ეკიდა; ჭაბუკს ორი ფეხი არ დაუკრავს ისე გაჰქრა იქვე კლდის ნაპრალებში.

— კაცი იყო თუ ქაჯი! ეს რა იყო თქვენი ჭირიმეთ! შესჭყივლა გაბრაზებულმა ანტონიომ, რომელმაც ვერ გაიგო თუ ვინ იჭერდა მას, რადგან მთვარეს ისევ ღრუბელი გადაეფარა. ჩქარა კი მოვიდა გონებაზედ.

— ღვთისმშობელო, მომხმარე! ე რა ღვთის რისხვაა ჩემს თავზე! წაილუღლუღა მან და ორივე ხელი იტაცა თმაზე. გმადლობ შენ, ყოვლად მოწყალეო, რომ კიდე ასე გათავდა მაინც! მაგრამ ამ ტანჯვასაც ბოლო უნდა მოეღოს! ხვალვე უნდა მოვილაპარაკო სანქოსთან.

დიდხანს იდგა ადალაიდა თავის ოთახში დაჩოქილი ღვთისმშობლის ხატის წინაშე და ცხარე ცრემლსა ღვრიდა. ისე დაეძინა იქვე ლაფნის ჭილობზე და ძილში ამბობდა: «ჟუანიტო, ჩემო ჟუანიტოო!»...

ათიოდე წამს უკან სარკმელი გაიღო და ადალაიდას კრიალოსნით მორტყმულ ხელზე ვარდის თაიგული დავარდა.

## III.

დილით სტუმარმა ნახა თავისი ტანისამოსი სრულებით მშრალი და გასუფთავებული იდვა ლოგინს ახლო; მასპინძელმა გაიგონა თუ არა სტუმრის გამოღვიძება, მაშინვე შევიდა მასთან და თან შეიტანა პირის დასაბანათ გრილი წყალი.

— თქვენი ცხენი, ბატონო კაბალერო, დასვენებულია და სრულებით მორჩენილი, როგორც წუხელის კიდეც მოგახსენეთ; საუზმეც მზათ გახლავთ, და თუ გნებავთ საუზმეს შემდეგვე წაბრძანება, მე თვითონ გაგაცილებთ სევილიის გზისკენ გადასახვევამდის, რომ კიდევ გზას არ ასცდეთ. და თუ არ აიჩქარებთ წაბრძანებას, თქვენც იცით, რომ მე მოხარული ვიქმნები თქვენის სტუმრობისა.

— დიდათ გმადლობთ, დონ-სანჩოვ, ე მაგ სტუმართ მოყვარეობისათვის, გეტყობათ ნამდვილი ბიდალგო ხართ; თუ ნებას მომცემთ გავემგზავრები, როგორც საუზმეს გავათავებთ, რადგან ჩემი ამხანაგები ალბათ თავ-ქუდ-მოგლეჯილი დამეძებენ.

— თქვენი ნებაა, ბატონო! შეექეცით, ღმერთმა შეგარგოს...

სტუმარმა მადიანად ისაუზმა, ერთი ხმაც არ ამოუღია ისე; სანხოც, როგორც ზრდილი მასპინძელი, ისე გაჩუმებული იყო.

უცხო კაცი სტოლიდამ ადგა, დიასახლისს გამოეთხოვა, მადლობა შესწირა, აწითლებულს პდალაიდას ლოყაზედ ალერსიანათ ხელი შემოუცაცუნა და მარდათ შეჯდა თავის ცხენზე, რომელმაც მხიარულად შესჭიხვინა თავის პატრონსა.

— წამომყევით მე, ბატონო კაბალერო, მე გიჩვენებთ გზას, უთხრა სანხომ და თვითონაც შეჯდა ჯორზე. ცხენს ალვირი მიანებეთ, თუმცა გზა წვრილია, მაგრამ აქ ცხენი უფრო ფრთხილათ წავა.

— ახლა კი, ბატონო, გზა აღარ დაგებნევათ, წარმოსთქვა სანხომ ორი საათის სიარულის და სიჩუმის შემდეგ; ამ ბილიკს მიჰზდიეთ. ზასწიეთ და ღმერთმა გიწინამძღვროსთ.

უცხო კაცმა წელიდამ შემოიხსნა თავისი სანადირო დანა.

— მიიღეთ ეს იარაღი საჩუქრად, თქვენი სტუმრისაგან, დონ-სანხო

— უბრალო დანა რომ იყოს, არ გაგაწბილებდით, მაგრამ მაგის მოჭედილობა ისე მდიდრულია, რომ ნუ გამამტყუნებთ თუ არ მივიღო.

— წაიღეთ, დონ-სანხო, მე ეგრე მსურს! წარმოსთქვა უცხო კაცმა ბრძანებლობის კილოთი.

— რადგან თქვენი სურვილი ეს არის, ბატონო კაბალერო! მაშ კარგი, დიდათ გმადლობთ; ეს მექნება მოსაგონებლად ჩემის დიდებულის სტუმრისა; ჩემთვის რომ ღმერთს ვაჟი მოეცა ამას მე იმას ვუანდერძებდი.

— მაგიერად თქვენი ქალი თქვენ სიძეს შეგძენთ, იმას გადაეცით. პდალაიდასთანა გასათხოვარს საქმრო არ გამოელევა. არა?

— ეგ მართალია, მაგრამ დედმამის ერთა შვილი ყოველთვის განებივრებულია და თავისნება.

— ქალი არაფერში არ უნდა აიძულო; სიყვარული თხოულობს თავისუფლად აღრჩევას; ახლა კი მშვიდობით, დონ-სანხო!

— მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ ღმერთმა, ბატონო კაბალერო!

— მშვიდობას ვისურვებ თქვენთვისაც, სანხო, გფარავდეს ძალი ჩვენის წმინდანის იაგო კომპოსტელისა.

ერთმა იქით გასწია, მეორემ აქეთ.

არ გაევლო ჯერ ნახევარი ვერსი და უცხო კაცს მოესმა საყვირის ხმა და აღშფოთებული ძახილი მონადირეთა.

— ვეჰ,—ესენი კიდევ მე დამეძებენ! წაილაპარაკა მან, მიიდო პირზე საყვირი და მისცა ხმა; რამდენსამე წამს უკან ამას ერთი გროვა ქვეითი და ცხენოსანი შემოეხვივნენ გარს და მხიარულად, მაგრამ მოკრძალებით მოიკითხეს. მერე ყველანი ერთად გაემგზავრენ სევილიისაკენ.

როდესაც სანხო შინ დაბრუნდა, მას დაუხვდა იქ მის ცოლთან მჯდომარე ანტონიო ზერნანდეცი.

— ანტონიოს გაუმარჯოს! შესძახა სანხომ, ჩამოხტა რა ჯორიდან, კარგი არ არის, რომ მოგგონებივართ. ზინდა გაიგო ჩვენის დიდებულის სტუმრის ამბავი, წუხელის რომ ჩვენთან ღამე გაათია? მე მგონია, თქვენ ყველას ყურები ბჟუილს დაგიწყებთ, რომ გაიგონოთ რა მომხდარა სად არის ბავშვი? რატომ ის აქ არ არის, როცა ანტონიოსთანა სტუმარი შინა გვყავს; მაგრამ ჯერ დიასახლისო, ერთი ყუათიანი ღვინო მოგვიტანე; ანისური არაყიც რომ ზედ მოაყოლო არც მე და არც ანტონიოს გულს არ დაგვძმარავს, შენ არ მომიკვდე

ანტონიო ზერნანდეცი იყო იერიანი და კოხტა ყმაწვილი კაცი, ცოტად გაუთლელობა ეტყობოდა კი მიხვრა-მოხვრაში, რაღაც ბინძურადაც მოგეჩვენებოდათ,—საზოგადოდ კი ნამდვილი სევილიერის სისხლისა იყო. იგი იყო ისეთივე მცირე

ჯოგის პატრონი, როგორც ცერბურო. იმისი იალალი და ბაკი იყო რონდის ხეობაში, სანხოს მეზობლად. იმას იმდენი თავი პირუტყვი არა ჰყავდა, რამდენიც სანხოს,—მაგრამ მაინც, იმდენი კი რომ თამამად შეეძლო ცერბუროსგან ქალი ეთხოვა. ადალაიდამ და დედა მისმა სასმელები მოიტანეს.

— დილა მშვიდობისა, ანტონიო ბერნანდო! უთხრა ქალმა ისე თავისუფლად, თითქო მათ შორის არაფერი არ მომხდარიყოს.

მერე მან კეკლუცად დაასხა ორი ფიალა ანისური არაყი და მიართვა მამას და სტუმარს, ამასობაში დედამ შავი ღვინო შემოიტანა.

— დონ-სანხო! წაილაპარაკა ანტონიომ, როცა ღვინითა და არაყით შეზარხოშდა,—ეხლა მე თქვენ უნდა გითხრათ, თუ რისთვის მოვედი აქა.

სანხომ ეშმაკურად დაწკურა მარჯვენა თვალი და გაიღიმა. გაიღიმა აგრეთვე მისმა ცოლმაც და თვალი გადაკრა ადალაიდას.

— როგორ თუ რისთვის! გენახე, სხვა რისთვის! წარმოსთქვა ქალიშვილმა ცოტა შეწითლებულმა, მაგრამ დამშვიდებული ხმით კი.

— მაშ! გაიცინა სანხომ,—რა თქმა უნდა სანახავად მოვიდა, აბა სხვა რა საქმე აქვს! ჩვენ სანახავად მოვიდა! დიახ, დიახ! ჩვენ, მე და დედი შენის სანახავად, სრულებით შენთვის არა. ეს სთქვა თუ არა, სანხომ გადიხარხარა, ცოლი და შვილიც მას აყვნენ: ანტონიომ მძიმეთ ამოიოხრა.

— არა, მამავ, ანტონიოს მოსვლა და მე—რა შუაში ვართ?

— ეგ შენ კარგად იცი, ჩემო გოგონავ! აბა, ანტონიო განაგრძე, უხუმრად მიუბრუნდა სტუმარს,—სთქვი რისიც თქმა გინდოდა პირდაპირ—რაც გაქვს გულში ნუ დაგვიმალავ, მე

და ჩემი ცოლი მზათა ვართ მოგისმინოთ, და ადალაიდაც მგონია!

— ადალაიდა ცერბუროსის რა საქმეა, თუ რა აქვს გულში ანტონიო ზერნანდეცს, ცივის ამაყობით უპასუხა ადალაიდამ.

— ქარამაბავ, ქალო! შეჰყვირი გაკვირვებულმა დონ-სანხომ,—ადალაიდავ ეს რასა ჰგავს.

— რა გსურს მამა ჩემო?

— რაა?—მე მგონია შენის ნებითაა ანტონიო რომ შენს სიყვარულს ეძებს.

— მე აგრეა, მამავ! მე მივეცი ნება, რომ ჩემი სიყვარული ეძებნა, მაგრამ თუ ჩემი გულიც ვერ მივეცი, ალბად არ ჰცოდნია, როგორ მოეძებნა, მე მეგონა, ეგ ხედავდა ამას,— ან არა და შენ ვერ მიხვდი ანტონიო ზერნანდენცო ჩვენს უკანასკნელს საუბარს..

— შესაძლებელია განა ესა! შესძახეს ერთათ სანხომ და მისმა ცოლმა. ანტონიოს მკერდიდამ ამოხდა განმეორებული ოხვრა და მსხვილი ცრემლები დაეცნენ მის წვერსა.

— რადგან აგრეა, ანტონიო,—შემდეგ ამისა ვიყვნეთ მხოლოდ კარგი მეზობლები! როგორც მეზობელს, ადალაიდაც ყოველთვის მეგობრულად მიგიღებს შენ თავის დედ-მამის ოჯახში.

თქვა თუ არა სანხომ, ადალაიდამაც ამპარტავნულად გადილო თავი იქით და გავიდა კარში.

— ღმერთს ვფიცავ, ანტონიო, მე ასე მეგონა, შენ და ადალაიდას საქმე უკვე გათავებული გქონდათ.

— მეც აგრე მეგონა, რომ მისი გული მე მეკუთვნოდა, მაგრამ ეხლა ხედავთ, რას ამბობს, სთქვა გულდამწვარმა ანტონიომ.

— რა გვეცოდები! ჩვენ კი დიდის სიამოვნებით გვინ-

დოდა შენი სიძეობა, შენც იცი! მაგრამ იძულება ერთათ ერთი შვილისა არ შეგვიძლია, ხომ იცი.—სიყვარულს ცოტა თავისუფლება უნდა მისცე. მაინც ჯერ იმედს ნუ გადიწყვეტ. ადალაიდას ჯერ სხვა არ აურჩევია; მე კი არ გამიგონია; შენ იცი იქნება რამე დედა-კაცო?

— არაფერი, სრულიად არაფერი! მეც შენსავით გაოცებული ვარ, სანხოვ. მეც აგრე მეგონა, რომ ადალაიდა ანტონიოს ცოლი გახდებოდა!

— მართალია, იმას ჩემთვის არაოდეს თანაგრძნობა არ გამოუჩენია, მაგრამ არც უარ-ჰყოფდა ჩემს სიყვარულს და ამიტომაც ვიმედობდი. ხომ მოგეხსენებათ, ადვილად გჯერა ის, რაც გსურს.

— ჰე, შე კაცო ახლავე ცხვირს ნუ კი ჩამოუშვებ, ანტონიო! ის ჯერ ბავშვია, რამდენი ქარი იმას თავში გაურბენს, ვინ დასთვლის, ან როგორ შეგიძლიან გასათხოვარი ქალის ანგარიში აიღო! გირჩევ კიდევ რომ იარო ჩვენსას; სანამ სხვას არ გაუტაცნია მისი გული, კიდევ შეიძლება რომ შენი გახდეს. უმაწვილი ქალის გული მარტივით ჰრელია.

მოდი ხოლმე, ანტონიო! მაგრამ ძალ დატანება ქალიშვილისა, ანტონიო, დამეთანხმე არ ევარგება. შენ კი ჩემო მეუღლევ ე ფიალები აგვივსე ხელ ახლად. სხვა რაღა გითხრა, პირში ნერწყვი გამიშრო ამ ადალაიდას უხასიათობამ. ანტონიოც მგონი არ იწყენს, რომ თავის პაწაწა გულის ჰრილობას ნუნუა დაასხას!

ასე ანუგეშებდა სანხო ცერბურო თავის სტუმარს, და მისმა სიტყვებმა ცოტა არ იყოს გული დაუშოშმანეს გაწბილებულს მოტრფიალს.

## IV.

სამს დღეს უკან სანხო ცერბუროს სახლთან გაჩერდენ ორი ცხენოსანი, რომელთაც მეფის კარის კაცების ნიშანი ეკრათ.

მათ გაეგებნენ სანხო, მისი ცოლი და ადალაიდა.

— კეთილათ მოგიკითხავთ, ბატონო ბიდალგო, — ქალბატონო და ქალიშვილო! სრულის თავაზიანობით მიესალმა მათ ერთი მხედართაგანი; — ხომ თქვენ ბრძანდებით სანხო ცერბურო?

— მე გახლავარ ბატონო! რას ინებებთ სანხო ცერბუროსაგან?

— ჩვენ ვართ გამოგზავნილნი მეფისგან, რომლის ბრძანებაა, ახლავე სევილიაში წამობრძანდეთ.

— რა უნდა ჰნებავდეს ჩემგან მეფეს კასტილიისას? განცვიფრებით შეჰკითხა სანხომ. ცოლმა ჩუმათ მუჯლუგუნი წაჰკრა და დაუწყო ჩურჩული: «აკი გითხარი, ნუ ლაქლაქობ მაგისთანაებს უცხო სტუმართან მეთქი! მან უთუოთ ყველაფერი უამბო მეფეს და აბა ახლა ნახე ჩვენს თავზე რა უბედურება დატრიალდეს! ჰოი, ყოვლად წმინდაო დედოფალო, შენ იყავ ჩვენი მფარველი! მე შენ დღეიდამ ველარა გნახავ სანხო ცერბურო.

— დამშვიდდი, დედა-კაცო! ანუგეშებდა ქმარი — მე არაფრის შიში არა მაქვს! — ჩამობრძანდით ცხენებიდამ ბატონებო, სთხოვა სანხომ სტუმრებს, შემობრძანდით ჩემს ქოხში, ცოტა რამე ისაუზმეთ ჩემს ღარიბს ოჯახში! მაგ თქვენს ცხენებსაც ცოტა დასვენება ეჭირვებათ, თორემ სევილთას მისვლამდინ დავარდებიან.

სტუმრები ჩამოხტენ და სანამ დიასახლისი მათ მასპინძლობდა, სანხომ გულს მოდგინედ მოიპარსა პირი, დაივარცხნა თმა და ბაკენბარდები, გაიწკიპინა ულვაშები და შეიმოსა საგარეო ტანისამოსით.

ამასობაში სტუმრებმა საუზმეც გაათავეს და მოისვენეს. სანხო გამოეთხოვა ცოლშვილს, აკოცა მათ, უთხრა ორიოდე სიტყვა გულის დასამშვიდებლად, შემდა თავის ჯორზედ და სამთავე ერთათ გასწიეს სევილიისაკენ. სანხო ცოტა არ იყოს

აღელვებული იყო: ეს სად მივყავართო, მაგრამ მაგდენი შიშიც არ ჰქონდა. ბინდისას ქალაქში შევიდნენ. მომყვანებმა პირდაპირ ალკაზარზე გატარეს სანხო, მეფის სასახლე რომ იყო იქა და აცნობეს თუ არა, მაშინვე გაუღეს მათ გვერდის ალაყაფის კარები. ცხადი იყო რომ მათს მოსვლას ელოდნენ, ასე რომ მეჯინიბემ მაშინვე ჯორი ჩამოართვა სანხოს, რომელიც ერთმა ხნიერმა და მდუმარე მაიორდომმა გაიყვანა ოთახში, სადაც სანხოსთვის დამზადებული იყო ვახშამი და საწოლი.

— ჯერ ვახშამს შეექეცით და მერე ღმერთმა მოსვენების ძილი მოგცესთ, კეთილო კაცო! უთხრა თავაზიანათ მაიორდომმა.

სანხო უზრდელობად სთვლიდა ეკითხა თუ რა ნებავს მისგან მეფეს და ამიტომ მხოლოდ ზდილობიანი პასუხი მისცა,— გმადლობ, ბატონო მაიორდომო, ღმერთმა თქვენც ღამე ნებისა და ძილი მოსვენებისა მოგივლინოსთ!

დილაზედ იმავე მაიორდომმა პლერსიანათ და ზრდილობიანათ მიართვა საუზმე, ღვინო და გავიდა; ერთს საათს უკან ისევ შემობრუნდა და უთხრა: «გამომყევით მე, ბატონო ზიდალგო, თქვენთან მოსალაპარაკებელი აქვსთ».

ხელ ახლად აღელვებული, მაგრამ ახოვანის ნაბიჯით მიჰყვება სანხო მაიორდომს ამ აივნიდამ იმ აივანში, ამ გასავლიდამ იმაში და ბოლოს გაუღო კარები და შეუშვა. სანხოს ხელში შერჩა ის უცხო კაცი, ამ ორიოდე დღის წინეთ რომ მისი სტუმარი იყო.

— მშვიდობა შენს სევილიაში მობრძანებას, დონ-სანხო ცერბურო! უთხრა მან მოსულს,—თქვენ, უეჭველია, არ გეგონათ თუ ასე მალე გნახავდით.

— სწორეთ ვერ ვიფიქრებდი მაგას, ბატონო კაბალერო.

— აბა, უნდა გითხრა მართალი,—მეფეს გაუგონია თქვენი ამბავი და ისიც, თუ რა ილაპარაკეთ სევილიის გუბერ-

ნატორის ცუდს განმგეობაზე, რაშიაც დამნაშავე თქვენ მეფე გგონიათ.

— ეჰ, ბატონო! სთქვა სანხომ მომდურავად და ერთი ნაბიჯი უკან დაიწია, — სჩანს თქვენ... თქვენ ვერ მოქცეულხართ როგორც კაბალერო; თქვენ გიამბნიათ მეფისთვის ის, რაც მე გულის დანდობით მოგიყევით ჩემს ჭერ ქვეშ! მწუხვარ თქვენს მაგიერ, ბატონო კაბალერო!

— მე მეფისთვის არა გადამიცია-რა, სანხო ცერბოროვ, უპასუხა კაბალერომ, წყნარად და ღირსეულად.

— მაშ როგორ მოხდა ესა? მეფემ ხომ კი იცის და?

— მან კი ყველაფერი იცის, სანხო ცერბურო!

— ჰგავს თქვენ თვითონ ბძანდებით მეფე — ჩემო ხელმწიფევ! შესძახა განცვიფრებით და არ შეშინებით. სანხომ მუხლი მოიდრიკა.

— დიახ, მე — შენი მეფე და შენი სტუმრად ყოფილი, დონ-სანხოვ; ახლა ხომ ხედავ, რომ სტუმარს ბოროტად არ მოუხმარია შენი გულღიაობა და ნდობა მისის რაინდულის პატიოსნებისათვის.

— ხელმწიფევ, მე ვხედავ ამას!

— ახლა ერთი ეს მითხარი, დონ-ცერბოროვ, წარმოსთქვა მეფემ რაღაც დიდებულის ცნობიერებით, — კიდე ჰფიქრობ, რომ სევილიის გუბერნატორად და ოც-და-ოთხის კაცის სამსჯავროს თავსმჯდომარედ უნდა იყოს კაცი პატიოსანი, თავიანი და ლმობიერი? უპასუხე მეფეს, შენ ხელმწიფეს, რომელსაც შენს ოჯახში ესდენ მძიმეს პასუხის გებაში აძლევდი?

— ერთ წამს სანხო მდუმარედ იდგა, მალე კი ცხადი და მტკიცე პასუხი მისცა: ხელმწიფეო და მეფეო ჩემო! სანხო ცერბურო თქვენის დიდებულების კითხვაზე პასუხად მოგახსენებს: დიახ!

— მაშ დღეის ამას იქით სევილიის გუბერნატორი და ოც-და-ოთხთა სამჯავროს თავსმჯდომარე იქნები შენ.

— ხელმწიფევ! წამოიძახა თავდარეტიანებულმა სანხომ.

— რა დაგემართა, დონ-სანხო ცერბურო! შენ ახლა გადაუხვიე, როცა შენმა მეფემ და ხელმწიფემ შენს სიტყვაზე გავლა ისურვა.

— არა ხელმწიფევ! მე არ განვდრკები; დე, აღსრულდეს ნება თქვენის დიდებულებისა! მაგრამ — თქვენი დიდკაცები და წარჩინებულნი ქვეშევრდომნი დაემორჩილებიან სჯულდებასა, იმის გუშაგად რომ იქნეს უბრალო სოფლელი აზნაური და და არა ვინმე მათგანი? პატივდებას მომაპყრობენ მე, უბრალო აზნაურს, შესაბამად თავიანთ თავმჯდომარისა ის ოც-და-ოთხი სამჯავროს წევრნი, — სულ ყველა შემძლებელი და დიდებული ბატონები — და ჩემს ხელმძღვანელობას ქვეშე დათანხმდებიან, რომ ასამართლონ ყოველი ბრალდებული, რა პირიც და რა წოდებისაც უნდა იყოს? იქმონან ამას ისინი, მეფევ და ხელმწიფევ ჩემო?...

— მფიცავ წმინდა ჯვარცმას მაცხოვრისას, სანხო ცერბუროვ! შესძახა მეფემ და თვალები მისი დაბრიალდა ისეთის ელვარებით, რომლისა წინაშე ყველანი თრთოდენ, — გეფიცები, რომ იქმონან!

— და თქვენის დიდებულების მიერ გამოცემული სჯულდება ხომ უნდა აღსრულდეს ყოველის უარის უთქმელად ყველასაგან, გაურჩევლად და სევილიაში დიდი კაცი და წვრილი ხომ ყველანი თანასწორი უნდა იქმნენ კანონის წინაშე!

— მფიცავ ყოველს წმინდანს, რომ სევილიაში თვით მეფიდამ მოყოლებული უკანასკნელს მეჯლანემდის სჯულის წინაშე ერთი უნდა იქმნეს ყველა.

— რადგან აგრეა, შემახეთ მე თქვენი სამეფო ხრმალი, ხემლწიფეო ჩემო, მაკურთხედ მე რიგისამებრ თქვენის სამეფოს სჯულდებისა! ძლევა მოსილის ჩურჩულით წარმოსთქვა სანხო ცერბურომ.

მეფემ ხრმალი აიღო და სამჯერ შეეხო მითი სანხოს მხრებს.

— აი, მე შენი თხოვნა ამისრულებია, დონ-სანხო ცერბურო. ადექი, დღეს შენ ხარ რაინდი მეფის სჯულისა, გუბერნატორი სევილიისა და ოც-და-ოთხთა სამსჯავროს თავს-მჯდომარე!

სანხო აქამდინ დაჩოქილი, ახლა ზეზე ადგა და მო-წიწებით ეამბორა მეფის მანტიას.

— ახლა კი, სანხო ცერბუროვ, — განაგრძო მეფემ, შე-ჯექ ისევ შენს ჯორზე, დაბრუნდი შინ და ოჯახის საქმეები გაიხაზირე; მაგრამ სამს დღეში სევილსვე გაჩნდი და შეუდექ შენს თანამდებობას. მესამე დღეს მწუხრის რომ დარეკონ შენ გაჩერდი ალკაზარის ბჭის კარებთან, საიდამაც გუშინ შემო-სულხარ; იქ შენ ცდას დაგიწყებენ; აბა, ბატონო გუბერნა-ტორო, გზა მშვიდობისა! მანამდის კი სიტყვა არავისთან წაგცდეს.

მეფემ გაისტუმრა ის სრულის დიდებულებით. მაგრამ სანხომ ერთი კიდევ ცალ მუხლზე დაიჩოქა და კვალად მეფის კალთას ეამბორა. მერე უკან-უკან დაიწია და მოეფარა სალა-ფარდის გასავალით.

აივანში მას უცდიდა მაიორდომი, რომელმაც ის მიიყვანა იმავე სასადილო ოთახში, სადაც სადილი უკვე მოემზადებინათ.

მიირთვით, კეთილშობილო კაცო! უთხრა მაიორდომმა; — თქვენს ჯორს კაზმავენ და შეგიძლიანთ ახლავ წაბრძანდეთ.

— მე ის მირჩევნია, ბატონო მაიორდომო, რომ გაისარ-ჯოთ და უბძანოთ, ჯორი მომგვარონ; მამიტევეთ კი, რომ ახლა მე არა საჭმელის მიღება არ შემიძლიან.

— ბატონი ბრძანდებით! უთხრა მაიორდომმა და გაატარა გარეთ კარამდის, სადაც ჯორი უკვე მოეყვანათ.

— მაღალთა შინა მყოფი იყოს თქვენი შემწე, ბატონო

მაიორდომო; დიდათ გმადლობთ ამდენის პატივისცემისთვის.

სანჩო ცერბურო მიდიოდა სახლისკენ და თავი სავსე ჰქონდა სულ ახალის ფიქრებით.

იმას შევნებული ჰქონდა არა თუ სიდიდე იმ პასუხის გებისა, რაც მან იკისრა, არამედ ისიც, თუ რა ბრძოლა მოელოდა მას ამ ასპარეზზედ. მაინც კიდევ ყოველივე ეს მას არ აკრთობდა და დარწმუნებული იყო თავის ძალღონეში და იმაშიაც, რომ ის ბოლოს გამარჯვებული გამოვა ამ საქმეში.

სანჩოს ცოლი ქმრის ამაღლების ამბავმა ძლიერ შეაშინა; აღშფოთებით უყურებდა ის, თუ რა ხიფათები მოელოდა მათ მომავალში. უბრალო სოფლის ქალის მოკლე ჭკუას ვერ წარმოედგინა ამისთანა რთულ საქმეს და გარემოებას როგორ გაართმევდენ ისინი თავს და ეს იმას გულს უკლავდა.

სრულებით სხვა ნაირათ ეჩვენა ეს ამბავი ადალაიდას. უველაფერში მამის მზგავსმა შვილმა სიხარულით და თავმომწონეთ შესძახა:

— ოჰო, წამოვიდა ჩვენი საქმე წალმა! ღმერთმა გიშველოს მამავ და ხელი მოგიმართოს, გამარჯვება შენია!

— მეც იმედი მაქვს მაგისი, ჩემო თვალის სინათლევ! და ამიტომაც არაფრათ მეშინიან! დედა-კაცო რას გამხდალებულხარ! უოჩაღათ იყავი და ეს სახლის საქმე მომაგვარებინე კარგათ. მე ხომ უთქვენოთ ვერ წავალ სევილსა!

## V.

უკანასკნელად სანჩოს და მისი სახლობის გამგზავრების წინა ღამეს ადალაიდა კიდევ ნაძვებს ქვეშ იყო.

იმის ახლო მწვანეზე იჯდა ერთი შავთმიანი, ტან წვრილი და დარდიმანდი ჭაბუკი, რომლის შაგვრემან პირის სახეზე ცეცხლივით ელვარებდენ მსხვილი და წყლიანი თვალები; ის იყო განხორციელებული სირიელი კაცური სიტურფე; მას ტანთ ეცვა შარვალი და ჯვალო პერანგი,

მაგრამ ამ ღარიბულს და უბრალო ტანისამოსს ისეთის ბუნებრივის სიკეკლუცით და ღირსეულად იშნობდა, თითქო სტავრა ატლასი აცვიაო. ჭაბუკი სევდიანად უკრავდა ფანდურსა.

— ეს სიმღერა კიდევ დაამღერე, ჭუანიტო! უთხრა ადალაიდამ. ჭუანიტომ თუმცა ხელოვნურად ვერ დაამღერა, მაგრამ მეტად სასიამოვნო ხმით კი:

სიხარულსა სიყვარული სჯობია,
ტანჯვა ტრფობის ზოგჯერ შემამკობია.
ტრფობის გამო სიკვდილიცა ტკბილია,
უამისოთ სიცოცხლეცა წბილია;
შვება ჭმუნვად უმჯობეს არს შესცვალო,
ვინემ ტრფობა გულით აღმოიცალო.

— ვინემ ტრფობა გულით აღმოიცალო, გაიმეორა ადალაიდამ და გაკმიდა ხმა. ჭუანიტოსაც ხმა არ ამოუღია, მხოლოდ უფრო მჭევრმეტყველებდენ მისი თვალები, რომელნიც მზად იყვნენ ადალაიდას ჩასანთქმელად, რომლის პირის სახე მთვარის შუქისაგან ციმციმებდა; თითები ჭუანიტოსი, მეხანიკურად ძვირძვირად აწკრიალებდენ სიმებს, და ფანდურსაც გაჰქონდა ნაზი და ნელი ძგერა ღამის მყუდროებაში, თითქო ვოლოს ჩანგიაო.

— მაკოცე ჭუანიტო! უცებ სთქვა ადალაიდამ.

ჭუანიტო წამოხტა მდუღარე გადასხმულივით.

— მე? გაკოცო? შენ, ჩემო ანგელოზო! წაილაპარაკა თრთოლვით გაფითრებულმა ჭუანიტომ

— ჰო, და, მაკოცე ჭუანიტო! თან კეკლუცათ თავი უკან გადული და სიამოვნებით დაჭანცულმა მიუმარჯვა ყმაწვილს საკოცნელად თავისი ალისფერი ტუჩები.

მთლად აცახცახებული, ჭუანიტო მხდალად შეეხო ტურფის ბაგეებსა.

— ახლა კაი ბიჭი ხარ, ჭუანიტო! წაიჩურჩულა ადალაი-

დამ, მეტი რომ აღარ შეიძლება და ეს შენი სიმღერა კიდევ ერთი ჩემ ფანჯარასთანაც იმღერე. სთქვა და ქალიშვილი წაფ-რიალდა ნაძვებს იქით.

ცოტას ხანს ჟუანიტო იდგა გაოცებული და გაშტერებუ-ლი; ბაგეები მისი რაღასაც ტუტუნობდა, თითქო სიზმარში ყოფილიყოს. მთელი ტანი უკანკალებდა ამ ახალის გაუგებარი გრძნობის მოზღვავებით! ადალაიდას უყვარდა იგი, იგი ჟუანი-ტო, საწყალი, დაფლეთილი ბიჭი!

ბოლოს გამოერკვია, აიღო ფანტური, მიდგა ფანჯარასთან და მორთო სიმღერა.

## VI.

ოთხი დღე გავიდა.

მეფე ზის დიდ მშვენიერ ალკაზარის დარბაზში და გარს ახვევიან დარბაისლები, დიდ-კაცები და აზნაურნი.

ცოტა იქით ტახტის მოშორებით პატარა სტოლს უდგა დონ-ფრიუზ ფერია, საიდუმლო მდივანი მეფისა, პირველი ადგილი დიდ-კაცთა შორის დაიჭირა მეფის საყვარელმა, დონ-ჟუან დე-ალბუკერკმა. დონ-სანხო ცერბურო, ჩაცმული თავისის უბრალო ტანისამოსით, მიუახლოვდა ტახტის მოქონოთს და დაიჩოქა. დიდ კაცებმა და აზნაურებმა თვალები დააშტერეს ამ უცხო კაცს, რაც მეფეს, ცხადი იყო ესიამოვნებოდა, იმიტომ რომ მას სახეზე რამდენჯერმე ღიმილმა გადურბინა.

მისალმების წესი და რიგი გათავდა და კარის კაცნი ერთიანად ფეხზე წამოდგნენ. მეფემ მდივანს ანიშნა. ამან დაჰკრა ჩაქუჩი ვერცხლის ეჟვანს, რომელიც მათ წინ სტოლზე ეკიდა დასადგმელს რასმეზედ.

დარბაზში შემოვიდა სარანგთა უფროსი კაპიტანი.

— შემოიყვანეთ ბატონი გუბერნატორი და გუნდი ოც-და-ოთხთა, ბატონო კაპიტანო, სთქვა მდივანმა, —მეფის ბრძანებაა.

კაპიტანი გავიდა და წამს შემოჰყვნენ ოც-და ოთხთა სამსჯავროს წევრნი, რომელთაც მოუძღოდა დონ-როდრიგეც-როიასი, მათი თავს მჯდომარე და გუბერნატორი სევილიისა.

— მეფემ წამოიწია ტახტიდამ. ესენიც მუხლებზე დაეშვნენ.

— დონ როდრიგეც როიასო, გუბერნატორო სევილიისა და თავს-მჯდომარევ ოც-და-ოთხთა, მკაცრად წარმოსთქვა მეფემ, — შენი მბრძანებელის და შენის მეფის ყურამდინ მოაღწია ამბავმა, რომ შენ ცუდად ასრულებ მეფისგან შენდამი მონდობილს თანამდებობას. სევილიის ქუჩაზე ღამით კაი კაცს ველარ გაუვლია ქურდობის, ცარცვა-გლეჯის და მკვლელობის გამო!

ძვებიც კი ღაღადობენ ამას გზებზე, ჩიტებიც კი ამას ჭიკჭიკებენ სახურავებიდამ, შენ კი ყური მოგიყრუებია, რადგან ის ქურდები და მყუდროების დამრღვევნი, — ღმერთო დაგვიხსენ ცოდვისაგან! — არიან აზნაურები, შენი ტოლები და მიტომაც შენ თვალები აგიხვევია და მართლ-მსაჯულების სასწორი ხელში გაგიმრუდებია!

— ხელმწიფევ, ჩემო მბრძანებელო! ძლივ ძლივობით წარმოსთქვა ღონე მიხდილმა და ტილოსავით გაფითრებულმა დონ-როდრიგეცმა.

პრინტი არ დასძრა! დაიგრგვინა მეფემ და მისი თვალები გაშმაგებულივით ცეცხლებს ისროდა, — დაჩუმდი როდრიგეცო, დასდე შენი კვერთხი წინაშე ტახტის კვარცხლ-ბეკისა და აღარ გნახოს ჩემმა თვალებმა.

თავზარდაცემული, აცახცახებული გუბერნატორი მიუახლოვდა ტახტსა, დაეშვა მუხლებზედ და დასდო კვერთხი.

მას უნდოდა ეამბორა მეფისთვის ფეხსაცმელზე, მაგრამ მეფემ მრისხანების ზიზღით ფეხი უკან დასწია და დონ-როდრიგეცი ზარბაცით გარეთ გავიდა.

— მომართვი ეგ კვერთხი, დონ-ჟუანო, უბრძანა მეფემ თავის საყვარელს ალბუკერკს.

მან მუხლი მოიყარა და აღასრულა მეფის ბრძანება.

— დონ-სანხო ცერბუროვ! — წარმოსთქვა მეფემ, მიიღე ხელისაგან შენის მეფისა და მბრძანებელისა ესე კვერთხი, ვითარცა ნიშანი შენის ღირსებისა და ხელმწიფებისა! დღეს შენ ხარ გუბერნატორი სევილიისა და თავს-მჯდომარე ოც-და-ოთხთა სამსჯავროში; დაიჭირე ამიერიდგან სასწორი მართლ-მსაჯულებისა სევილიაში თანასწორად ყოველთათვის, როგორც გიბძანებს სჯული შენის მეფისა.

სანხო ცერბურომ ჩამოართვა კვერთხი და ეამბორა მას.

— თქვენ კი, ბატონებო, ოც-და-ოთხნო, — განაგრძო მეფემ, — თქვენ იმას უნდა ეცადოთ, რომ ვისაც პრეზიდენტი სამსჯავროში მოითხოვს, ის უთუოდ უნდა გამოცხადდეს; გესმისთ: ვინც უნდა იყოს! თუ არა და თავმან ჩემმან, არვიცი კი რას გიზამთ!

და ხელ-ახლა დაიბრიალა მეფის თვალებმა, იმ მრისხანების ალით, რომლის წინაშე ყველანი თრთოდენ.

— შენ ეხლავე საქმეს უნდა შეუდგე, დონ-სანხო ცერბუროვ, მოჰკიდე ხელი ბეჯითად შენს თანამდებობას, რაიცა მოგანდო შენ მეფემან.

მდივანმა ზარი დააწკარუნა, ეჯიბებმა კარები გააღეს და დარბაისლებმა დარბაზი დასცალეს, წესისამებრ პირმოუბრუნებლად გადიოდნენ. სევილიელებს ეს ამბავი მეტად გაუკვირდათ, — ეს უბრალო სოფლელი აზნაური გუბერნატორად როგორ აიყვანაო! მაგრამ ყველამ მალე იგრძნეს მძლავრი ხელი ახალის მმართველისა.

სანხო ცერბურომ დაიწყო საქმე იმითი, რომ ჯერ დაითხოვა თანამდებობიდამ ყველა ქალაქის მოხელეები, რომელნიც მოსასყიდველნი იყვნენ. შეადგინა ახალი კერკეტონი, რომ-

ლის შესადგენად მოიწვია სიერიდამ თავისი ნაცნობები, რომელთაც ენდობოდა და მათს პატიოსნებაში დარწმუნებული იყო. ამ კერკეტონს მიანდო ღამით ქუჩების დარაჯობა. ანტონი ზერნანდეცი დანიშნა ერთი საყარაულოს უფროსად. ზერნანდეცსა რადგან კიდევ იმედი ჰქონდა, რომ მოიზირებდა ადალაიდას სიყვარულს, ამისთვის სიამოვნებით მიიღო სანხოსაგან წინა დადება. სახლ-კარი დედას ჩააბარა და გასწია სევილიისკენ.

სასტიკად სჯიდა ახალი გუბერნატორი ყოველს საზოგადოების მყუდროების დამარღვეველს, სჯიდა სწორედ მეფის კანონისამებრ, არავის არ არჩევდა სჯულის წინაშე და ამით ის სრულებით განსხვავდებოდა თავის წინა მოადგილისაგან. დღითი დღე იზრდებოდა ნდობა სანხოს მართლ-მსაჯულებისადმი—და განითქვა მისი სახელი; წინანდელს დამნაშავეებს მან ღმობიერი შიში ჩაუსხა გულში, ყველას საქმე უჩინა და ცარცვა-გლეჯა შეჩერდა.

ბნელი ღამე იყო.

ქარი-დადის ქუჩაზე ერთი სახლის წინ იდგა ვილაც კაცი, რომელსაც პირს უფარავდა განიერი ქუდი და ტანს გრძელი მოსასხამი. შეხედა ერთს ფანჯარას, საიდამაც სინათლე გამოდიოდა, ანიშნა ჩუმის სტვენით და სინათლეც გაქრა.

— მჰე, რასა ჰგავს ესა? წაილუღლუღა უცნობმა კაცმა,— ნაცვლად იმისა, რომ ლამპარით ჩამომეგებოს და მოაჯირის კარი გამიღოს, სანთელი გააქრო!

ძიდევ დაუშტვინა მეორედ. შენც არ მომიკვდე, კაცი ხმას არ სცემს.

— დასწყევლოს ღმერთმა, სად გაქრა ახლა ის ბებერი?

სისხლი ყელში მოებჯინა, გაიძრო ხ მალი და დაუწყო ტარით ცემა ბჭის კარს ამ მყუდრო ღამეში, მაგრამ სახლში ბაიბურიც არ იყო.

— არ ვიცი, ღმერთმანი, რა ვქნა, დაიყვირა ბოლოს უცხო კაცმა, — თუ დაყრუვდა ის ბებრუხანა, ბაზილიოს რაღა დაემართა? ის ალბათ ღრმათ მიეცა მეცნიერებას და, თუნდ ქვეყანა დაიქცეს, ყურსაც არ გაანძრევს, ოღონდ მის ოთახს, ასტროლაბიას და ეტრატებს არ შეეხონ! მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, რომ ამაღამ დონ-ბაზილიო არა ვნახო! მან მე უთუოთ უნდა მითხრას, მართლა ჟუანა ფერნანდეცი ისეთი მატყუარა დედა-კაცია, როგორც მარწმუნებენ? მართლა უნდა მას რომ თვალები ამიხვიოს ადვილად თავის სიყვარულით და მერე უფრო ადვილად მიღალატოს და ჩამაგდოს ჩემის მაშფოთარის და ფიცის გამტეხის ძმის ხელში?

მან ხელ-ახლა დაიწყო რახუნი. მაგრამ არ იქნა, სულდგმული არავინ ჭაჭანებს.

— ბაგონილა? კაცი არ ვიქნები, თუ კარები არ ჩავამტვრიე! და მართლაც ჩაჰკიდა ხელი და ისე ღონივრად დაუწყო ჯაჯგუნი რომ საკეტავი მოარყია.

— მოითმინეთ, ბატონო! რას ამტვრევთ მაგ კარებს! თქვენ აქ არა სცხოვრობთ და არც სახლში გიშვებენ, ხომ ხედავთ? მოისმა უკანიდამ მამაკაცის მაგარი ხმა და ხელიც დაადო მხარზე. უკანასკნელმა კარებს თავი დაანება და ელვასავებრ მობრუნდა წამოსწრებულისაკენ და სწრაფად ჩამოიცალა მხრიდამ მისი ხელი.

— შენ რა გინდა, უგუნურო! გასწი შენს გზაზე! მრისხანედ შეჰყვირა მას.

წამოსწრებულმა მოსასხამზე ხელის შეხებით და წმინდა ჩაცმულობით იცნო რომ ეს უნდა ყოფილიყო აზნაური ვინმე და ზრდილობიანათ უპასუხა, მაგრამ უწინდებურად მკვახედ კი: მე ჩემს გზაზე ვარ, კეთილშობილო, მაგრამ თქვენ კი გზა დაგბნევიათ; ამიტომ გთხოვ წაბრძანდეთ აქედამ; ახლა აკრძალულია ღამ-ღამ ქუჩებში ხმა-

ურობა და მყუდროების დარღვევა, ხომ ხედავთ რომ არ გიშვებენ.

— თუ შენს გზაზედ ხარ, წადი რაღა, ჩემი გზა მე ვიცი.

— კეთილშობილო! განაგრძო მან გულდასმით, მე ვარ ანტონიო ბერნანდეცი, ამ უბნის ყარაულთ უფროსი და შემიძლიან კიდევაც გიბრძანო, მაგრამ გერიდებით, რადგან თქვენ აზნაური ბრძანდებით, და გთხოვთ წაბრძანდეთ, მაგრამ იცოდეთ ეს თხოვნა უკანასკნელია:

— და მე გეუბნები შენ, ანტონიო ბერნანდეცო, ამ უბნის უფროსო, რომ თქვენს გზაზე გაეტიოთ.

— თქვენ მაიძულებთ ძალა ვიხმარო, რა კი არ გნებავთ ჩემი თხოვნა გაიგოთ.

— ძალაო? მერე ვისზე? ჩემზე?

— ვინც უნდა იყოს, კანონს თუ ეურჩება.

— წაეთერ აქედამ! შეუყვირა უცხო კაცმა და დაუწყო ხელახლა კარებს რაჯგუნი.

ყარაულთ უფროსს, მეტი აღარა უთქვამს-რა, სტაცა ხელი და აქეთკენ უნდოდა წამოეთრია.

— აი შე კოფაკო? ვის კიდებ ხელს? მე? მე შენს... სიტყვა აღარ დაუსრულებია, ისე იშიშვლა თავისი გრძელი ხმალი და შეუტია ყარაულს. მაგრამ იმანაც მსწრაფლად იძრო თავისი იარაღი; დაე, შენს კისერზე იყოს ახლა დაღვრილი სისხლი!... და თითონაც შეუტია მოპირისპირეს. მაგრამ უცნობი კაცი თურმე უფრო კარგათ ხმარობდა ხმალს და ერთ წუთში ყარაულმა ოხვრით ბერტყა მოიღო მიწაზე.

აზნაური შედგა წამს, ეგონა თუ ადგებაო, მაგრამ რა კი ეს აღარ მოხდა, არამედ ცოტას ხანს უკან კვნესაც შესწყდა, ის მიუახლოვდა მწოლარს, გაუშინჯა მაჯა და გულზე ხელი დადო.

— მომკვდარა! ღმერთსა ვფიცავ მებრალება!... წაიდუდუნა მან, — ხრმალშიაც რა მარჯვე ყოფილა! მერე გაიწმინდა ხრმალი მკვდრის ტანისამოსით, გადასახა ჯვარი და საჩქაროდ განშორდა.

## VII.

სამს დღეს ამ საცოდაობის შემდეგ, მეფემ მოიხმო სანხო ცერბურო თავისთან ალკაზარში.

— აბა, ბატონო გუბერნატორო, რას იტყვი კარგს ჩვენს ქალაქზედ ჰკითხა მეფემ.

— კარგს ბევრს ვერას გეტყვით, ხელმწიფევ და მბრძანებელო ჩემო; ბნელს ღამეში სამი დღის წინათ მოუკლავთ დარაჯთ უფროსი ანტონიო ზერნანდეცი, ერთი ჩემი უერთგულესი და სანდო მსახურთაგანი.

— ნუ თუ? — სჩანს მკვლელობა კიდევ არ მოსპობილა? მერე თვითონ უფროსი? მარტო იყო მერე?

— მარტოდ თავის საუბედუროდ! სევილში დამყარებულმა მყუდროებამ ღვთის შეწევნით, ჩემის დანიშვნის შემდეგ ერთობ დანდობილი გახადა დარაჯები შესახებ თავისის თავისა. იმ ღამეს სწორედ როცა ზერნანდეცმა სიცოცხლე შესწირა თავისს თანამდებობას, ის გაეგზავნა კაპიტანს მარტოდ, წინაალმდეგ ჩემის განკარგულებისა, უბნის დასათვარიელებლად. ამიტომ კაპიტანიც გადავაყენე სამსახურიდამ, თუმც ისიც კარგი რამ ერთგული კაცი იყო.

— მას დამართვია ის, რისიც ღირსი იყო. მაგრამ, ბატონო გუბერნატორო, იმის იმედი კი მაინცა მაქვს, რომ მკვლელი დაჭერილია, ზის ციხეში და გასამართლებას ელის.

— სამწუხაროდ ჩემდა, ჩემო ხელმწიფევ, მე მოვალე ვარ განგიცხადოთ, რომ რა ერთი არ ვეცადეთ თუ მე, თუ ჩემმა

თანამდებობის კაცებმა, მაგრამ მკვლელი აქამდის თავს იფარავს სადღაც.

— მჰ, ბატონო გუბერნატორო, — წარმოსთქვა მეფემ დაცინვის კილოთი, — სამი დღე გავიდა და შენ კიდევ მკვლელი ვერ აღმოგიჩენია? ნუ თუ კვალი მაინც ვერ მიაკვლიე, ნუ თუ გუმანი მაინც არავისზე გაქვს?

— მკვლელი ყოფილა აზნაური; ჭრილობა ბერნანდეცისა არის ხრმლის წვერისაგან, ე. ი. აზნაურის ხრმლისაგან; ჯერ მეტი არა ვიცით-რა.

— მე, მაგითი მარტო რას მიაგნებ, ბ. გუბერნატორო: ჯვარცმას ვფიცავ, დონ-სანხო, დაგვიწყებია ყველაფერი, რასაც შენ ისე თამამად და გადაჭრით მელაპარაკებოდი შენს ოჯახში იმღამეს, როცა მე შენი სტუმარი ვიყავი.

— ის მე არ დამვიწყებია, ხელმწიფეო და მბრძანებელო ჩემო.

— მაშ ბ. გუბერნატორო, სიფიცხით უთხრა მეფემ, თუ რომ სამის დღის განმავლობაში მკვლელი არ გიპოვნია და კანონისამებრ არ განგისამართლებია, მაშინ თვითონ შენზე განჩინება წაიკითხება!

— პადა მოკლეა, მაგრამ რასაც ბძანებთ ხელმწიფეო, მართალი ბრძანდებით! სანხო ცერბურო თვითონ წაუკითხავს განჩინებას თავის თავს.

მეფემ ხელით ანიშნა წადიო, სანხომ მუხლი მოიხარა, აკოცა მეფის პორფირს და განშორდა.

დაფიქრებული მიდიოდა ის სევილის ქუჩაზე. რაც ძალი და მოხერხება ჰქონდა აღარ უზოგავს, ოღონდ აღმოეჩინა დამნაშავე. აღარაფერი უყურადღებოდ აღარ დაუტოვებია. უზნელებიც ხელს უწყობდნენ საყვარელს გუბერნატორს, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. როგორ შეიძლებოდა ასე მოკლე ვადაში და ისიც ამგვარს გარემოებაში ეპოვნათ მკვლელი.

მარხვის დღეა, ხალხით ქუჩა სავსეა. ღრუნდგოლდამ გამოვიდა ერთი ჭაბუკი და გუბერნატორს კალთაში ხელი მოჰკიდა.

— დონ-სანხო ცერბუროო, წასჩურჩულა მან—თქვენთან ერთი სათქმელი რამ მაქვს, მიცნობთ თუ არა?

— ვერ გიცნობ! მიუგო სანხომ აგდებულად,—მაგრამ ვგონებ სადღაც მინახევხარ; მერე რა გინდა?

— ალეიაში ვერ გეტყვით დონ-სანხოვ! საიდუმლო მძიმე საქმეა; შენს მეტმა არავინ უნდა გაიგონოს.

— საიდუმლო და მძიმე? ჩაკითხა განკვირვებულმა სანხომ დიდის ყურადღებით.

— დიახ! ჩუმათ მიუგო, ყმაწვილმა.

— მაშ, აი იმ სახლში შევიდეთ! უთხრა გუბერნატორმა და წაიყვანა წინისკენ ალაყაფის კარებში, მასპინძელი და მისი სახლეულობა შადრევანთან ისხდნენ ბაღჩაში.

— ქეთილი იყოს თქვენი მობრძანება სახლსა რიუის ჰომაქიოსას.

— მიცნობთ რიუის ჰომაქიოსო?

— ოღონდაც, ბატონო გუბერნატორო!

— ამ ყმაწვილ კაცს ერთი საიდუმლო აქვს ჩემთან გასამხელი. ჩემი სახლი შორს არის და თქვენი ამოვირჩიე, გთხოვთ იმისთანა ადგილი მიშოვნოთ, რომ არავინ მოგვაყუროს.

— მადლობთ პატივდებისთვის, ბატონო გუბერნატორო! ინებეთ შემობრძანება მაგ ყმაწვილითურთ, ჩემი ოჯახის კარი ღიაა თქვენთვის. ეს უთხრა მასპინძელმა და გაუღო ერთი ოთახის კარი.—აქ თქვენს ხმას ადამიანი ვერ გაიგონებს.

— მადლობელი ვარ ბატონო! სთქვა სანხომ და შევიდნენ ოთახში, ჩაკეტა კარი და უთხრა ყმაწვილს:

— აბა, თქვი.

— ნუ თუ მე ვერ მცნობთ, დონ-სანხო! ერთხელ ხომ გახსოვს გასალახავად რომ გამომეკიდე.

— აი-აი, რამ დამავიწყა! წამოიძახა სანჩომ, — ჟუანიტო ალზარო არა ხარ შენა? ბატკნებს რომ იპარავდი,... შენ... არა ხარ ისა? აბა ერთი ჯერ ის მითხარ, რა საიდუმლო გაქვს ჩემთან გასამხელი?

— დონ-სანჩოვ, მიუგო ჭაბუკმა დამშვიდებულის კილოთი, მე შენგან დიდი დავალებული ვარ. მართალია, მე შენ ბატკანი კი მოგპარე! არა — მე მინდა პატიოსნობა დაგიმტკიცო — მე შენ ერთი კი არ მოგპარე — სამი და ოთხი, სანამ მეხუთეზე კიდეც არ დამიჭირე და როცა მე შენ გითხარი, რომ ჩემის გულისათვის არ ვიპარავდი, არამედ მოხუცის ჩემი ავათმყოფი დედისთვის, რომელიც კიდეც გადამეცვალა, — მაშინ შენ არა თუ ბატკანი წამართვი, პირიქით მაჩუქე ერთი დოქი ღვინო, ერთი ტომარა ფქვილი და ერთი ბღუჯი წვრილი ფულიც დედი ჩემის მოსავლელად. ამას მე, დონ-სანჩო ჩემს დღეში ვერ დავივიწყებ, ამიტომ რომ დედა ჩემი ჩემთვის ყველაფერი იყო. უკანასკნელი მისი ანდერძი ჩემთან ის იყო, რომ მე სიკვდილამდის შენი ერთგული ვიყო და მეც ფიცით უთხარი ამის აღსრულება, როცა ხელში მეჭირა მისი გაციებული ხელი. ახლა დრო მოვიდა რომ დაგიმტკიცო ესა და ამას ვიზამ რაც უნდა დამემართოს.

— ჩინებული ყმაწვილი ხარ ჟუანიტო, მაგრამ ნულარ აგვიანებ, ერთის წამის მოსვენება არა მაქვს! უთხრა დონ-სანჩომ.

— დღეს დილით ქალაქში ლაპარაკობდნენ, რომ ანტონიო ფერნანდესის მკვლელი ჯერ ვერ აღმოაჩინესო და ეს გარემოება ძრიელ აწუხებს გუბერნატორს დონ სანჩო ცერბუროსაო. მართალია, თუ არა?

— უეჭველია, ჟუანიტო, თუ სამს დღეში მკვლელი ვერ ამოვაჩინე, მე ვკარგავ სახელ-განთქმულობას, პატივს, თვით სიცოცხლესაც!...

— მაშ მე გეტყვი ვინ არის მკვლელი; მართალია, ვერ დაგისახელებ მაგრამ ისე კი აგიწერ, რომ თუნდა ხელში გყავდეს.

— ღმერთო, ყოვლად შემძლებელო! შენ მეტყვი მაგას ჟუანიტო, შენ! ვერ დავიჯერებ. შენ როგორ გაიგებდი მაგასა. შენ უთუოდ ვილაცაზე გაქვს გუმანი, — რა გახდა! შეიძახა დაუჯერებელმა და აღელვებულმა დონ-სანხომ.

ჟუანიტო მიუახლოვდა გუბერნატორს და რაღაცა ყურში წასჩურჩულა. დონ-სანხო გაფითრებული ერთს წუთზე უკან დაიწია, რა გაიგო ეს საშინელი საიდუმლო სიტყვები.

— ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო! კანკალით წარმოსთქვა მან, — მეც ასეთი ეჭვი ავიღე!

მალე შემოიკრიფა მან თავისი რკინის ხასიათი; ჰსძლო მღელვარებას და თავი შეიმაგრა. მერე სტაცა ჟუანიტოს ხელში ხელი და ჩუმათ უთხრა:

— აქ მეტს ნუღარას იტყვი ჟუანიტო, წავიდეთ ჩემსას. მადლობა გადაუხადა მასპინძელს და გამოსალმებისას სთხოვა ენათხოვრებინა ჯორი ერთი მისთვის და მეორე ჟუანიტოსათვის, რაიცა წუთშივე აღასრულა დარდიმანდმა მასპინძელმა.

შინ რომ მივიდა, შეიყვანა ეს ჭაბუკი თავის ოთახში და უთხრა: აბა, მიამბე ჟუანიტო! მომიყევი ყველაფერს, რაც კი იცი, დაწვრილებით და მოსვენებით, ყველაფერი მოიგონე, ის არ გეგონოს რომ აქ შეეძლოს ვისმეს მოდარაჯება.

ჟუანიტო მოუყვა თავიდამ ბოლომდის.

— ჟუანიტო! წარმოსთქვა დონ-სანხომ, საკვირველებრივის ხმით, როცა ყმაწვილმა ამბავი დაასრულა, — შვილო ჩემო, შეგიძლია იმდენი გაბედულობა იქონიო, რომ სამსაჯულოში წარმოსთქვა ეგრე უშიშრად ყველაფერი მკვლელს რომ პირში წაგიყენონ, რაც უნდა წარჩინებული პირი იყოს იგი?

— დონ-სანხო ცერბუროვ, უპასუხა ჟუანიტომ და მისი

შავი თვალები მხიარულებით გაბრწყინდნენ; მე რას არა ვიქმ შენის გულისათვის, ჩემს თავს დავდებ! აკი მოგახსენე რა აღთქმა და ფიცი მივეცი სულთ-მობრძავ დედას, რომ შენი ერთგულება დავამტკიცო. ყოველი ჩემი აქ ნათქვამი სიტყვით-სიტყვად იქმნება მკვლელის წინაშე წარმოთქმული, ამიტომ რომ ეს წმინდა მართალია; ჩემი სიცოცხლე კი დონ-სანხო რად მიღირს, მოვკვდები და შევერთდები ცად ჩემის დედის სულთან და მოვკვდები აღალაიდას გულისთვის! დაუმატა მან ჩუმად.

— ჰუანიტოვ! შესძახა სანხომ და გადაეხვია ჭაბუკს, ღმერთმა არ მომცა ვაჟი ჩემი სისხლისა და ხორცისა სწორეთ იმიტომ, რომ დღეს დავესაჩუქრებინე შენით. წავიდეთ ჩემს მეუღლესთან და ჩემს ქალიშვილთან.

— ჰუანიტო! შესძახა უნებურად აღალაიდამ და ეს შეძახილი ისეთი გულითადი იყო, რომ სანხომ სთხოვა რომ აეხსნა თუ რას ნიშნავდა იგი.

— იმას, რომ მე მიყვარს ჰუანიტო, მამა ჩემო, ეს არის ჩემი საქმრო და მეც ამის მეტი არავინ მინდა!

— შენ... შენ გიყვარს ჰუანიტო? ეს, სწორეთ ეს ჰუანიტო!

— სწორეთ ესა და მე მგონი ამასაც უყვარს აღალაიდა! ჰუანიტო ხმას არ იღებდა, მაგრამ მის გამოხედულობაში იხატებოდა სიყვარულის ზღვა.

— მაშ ჰგავს განგებას გადაუწყვეტია, რომ კაცი, რომელიც აღალაიდას შეყვარებია, იქნება იმავე დროს მხსნელი იმის მამისა! წარმოსთქვა სანხომ და ყოველივე გარიმოება უამბო ცოლსა და ქალსა.—მაგრამ ჰუანიტოს კი აუკრძალა, რომ ქალებთან ჯერ არა წამოგცდეს რაო.

— ქალებთან ნურას იტყვი—წასჩურჩულა ყურში ჰუანიტოს,—სანამ მე არ მოვბრუნდე; მკვლელიც ის არის შენ

რომ აღმიწერე, მე შენა გთხოვ არ გადათქვა, ეს ასე უნდა! მერე სანხო გამოვიდა ოთახიდამ და გასწია ალკაზარისკენ მეფესთან.

— საწყალი ანტონიო! მიბუტბუტებდა ის გზა-გზა — საწყალი ანტონიო! მაგრამ ესეც კი უნდა სთქვას კაცმა! ეს ჟუანიტო კაი რამ ყმაწვილია, კარგი როგორც გაზაფხულის ბრწყინვალე დღე, მერე რა ძვირფასი გული აქვს? საწყალი ანტონიო! შენთვის სიკვდილი უმჯობესი ყოფილა! თუ რომ ჟუანიტო და ადალაიდა ღვთით შეუღლდებიან, ვინ იცის შენ ამას იქნება ვერც კი აიტანდი!

მეფემ ბრძანა დაუყოვნებლად მისი მიღება.

სანხომ მუხლთ მოიყარა, თაყვანი სცა და აღელვებულის ხმით წარმოსთქვა:

— მეფევ და მბრძანებელო ჩემო! მკვლელი დარაჯთ უფროსის ანტონიოსი აღმოჩნდა.

— სწორეთ? ჰკითხა მეფემ, — ეს კაი საქმე გიქნია! ძალიან კარგი გუბერნატორო, ძალიან კარგი კანონისთვისაც და შენთვისაც!

— ჩემთვის არა, ხელმწიფევ, მართლმსაჯულებისათვის არის კარგი.

— კარგი! თუნდ აგრეც იყოს, თუ გსურს! მკვლელი ვინღა არის?

— მომიტევეთ ჩემო ხელმწიფევ, და გთხოვთ ჯერ-ჯერობით დამაცალოთ საპატიო მიზეზთა გამო, მისი ვინაობის გამოაშკაევრება. მე ხვალ მოვიწვევ იმას ოც-და-ოთხთა სამსჯავროში, რათა მოისმინოს ბრალდება და ეგებ თავის გასამართლებელი სთქვას რამე და თუ დამნაშავედ აღმოჩნდება, მოისმინოს განჩინება და სასჯელიც იტვირთოს. ის მეტად დიდი კაცია, ძალიან გამოჩენილი ვინმე პირი. მეც აქ იმიტომ გიახელი, გთხოვოთ მეფევ, ჩემო ბრძანებელო, რომელმაც გამო-

ეცი სჯულდება განურჩევლად ყოველთათვის სავალდებულო სევილიაში, რათა თქვენის მეფურის ძლიერებით და ხელმწიფე-ბით გაგვიწიოთ მფარველობა, თუ ვინიცობაა ბრალდებულმა უარი სთქვას გამოცხადებისა. ინებებს მეფე ამას თუ არა?

მეფე ერთს წამს შეჩერდა.

— მე მსურს ეს, ბატონო გუბერნატორო! წარმოსთქვა მეფემ დიდებულად.

— თქვენი მეფური სიტყვა?

— ჩემი მეფური სიტყვა!

— გმადლობთ ხელმწიფევ ჩემო! გმადლობთ სახელით მართლმსაჯულებისა!..

## VIII.

ტორი დელ-ორო (ოქროს კოშკი) ძველი შენობაა. ამისი ქვეშა ნაწილი რომაელთა დროს ეკუთვნოდა, ზევითა კი, უფრო ვიწრო არაბების ეპოქას მოგაგონებდა. ის იყო მიჩე-ნილი განძეულობისათვის ზვადალკვირის პირად. ეს მეტი სახელი ამ კოშკმა ხალხში მიიღო იმის გამო, რომ მეფეებს ჩვეულებათ ჰქონდათ თავიანთი განძეულობა იქ შეენახათ. ამ კოშკის ახლო ერთს მაიდანზე გაიმართა სხდომა ოც-და-ოთხთა სამსჯავროსი. მსაჯულები ისხდნენ ლელის მერხულებზე (გრძელი სკამი), რომელნიც ნახევარ ალყად იყვნენ შემოწყობილნი. შუაზედ იდგა ცოტა მაღალი დასაჯდომელი თავსმჯდომარი-სათვის, ღია მხრიდამ იყო შემოსავალი ბრალმდებელთა, რო-მელნიც დგებოდნენ ცარიელს ადგილზე.

ზარეშემო ჩვეულებრივ იყო ვიწროობა ხალხისაგან, რო-მელსაც აკავებდნენ ალგვაზილები და უბნის დარაჯები, იმო-დენს მანძილზე, საიდამაც ყოვლისავე ნახვა და გაგონება არ შეიძლებოდა, მაგრამ ნაცვლად ამისა მსაჯულებს ხელს არ უშლიდნენ.

მარჯვენით ნახევარ ალყად მილაგებულის სელებისა, რა ზედაც ისხდნენ მსაჯულები მოჩანდა რაღაცა მომაღლო ადგილი სულ შავით მოსილი. არც მსაჯულებს და არც ხალხს არ ესმოდათ ამის მნიშვნელობა და გაკვირვებით უცქეროდნენ მას. ეს კი იცოდნენ რომ დღეს აქ სასამართლოს წინ უნდა წარდგეს და მოისმინოს განჩინება დარაჯთ უფროსის ანტონიო ფერნანდეცის მკვლელმა, მაგრამ ვინაობა ამ ბრალდებულისა იცოდა მხოლოდ თავსმჯდომარე გუბერნატორმა. სამსაჯულოს წევრნი გულის ძგერით ელოდნენ, რადგან დაჰკრა კიდეც სხდომის გახსნის საათმა თავსმჯდომარე სანხო ცერბუროც გამოჩნდა, მარჯვენას ხელში ეჭირა კვერთხი, ნიშანი მისის ღირსებისა და ხელისუფლობისა. დაუკრა თავი მსაჯულებს, რომელნიც მის მოსვლაზე წამოდგნენ, დაჯდა თავის ადგილზე, დასხდნენ მსაჯულებიც.

— ალგვაზილო მსტებან ავალედავ! წარმოსთქვა თავსმჯდომარემ მაღალის და ბრძანებითის ხმით.

— აქ გახლავარ, ბატონო თავსმჯდომარევ!

— ზარა დააწკარუნეთ, სხდომა იხსნება.

რაწკუნი ზარისა მისწყდა, თავსმჯდომარე ადგა.

— ბატონო მსაჯულო, დონ-ამორო ველასკეცო!

— რას მიბრძანებ, აქ გახლავარ, ბატონო თავსმჯდომარევ!

— თქვენ ბატონო იცით თქვენი მოვალეობანი, როგორც უფროსის წევრისა ოც-და-ოთხთა საბჭოსი?

— ვიცი, ბატონო თავსმჯდომარევ,—მოვალეობა ბრალდებულთ მოწვევისა.

— ძრიელ კარგი, ბატონო! შებძანდით თქვენს ჯორზე და გასწიეთ ალკაზარში და სთხოვეთ მეფეს ლეონისას, დონ-პედრო კასტილიელს, რათა კეთილ ინებოს მობძანება ოც-და-ოთხთა სამსჯავროში.

ბანკვირვების დრტვინვამ გაირბინა ხალხში, მსაჯულებმა ერთმანეთს თვალები დააშტერეს, შეიქნა ჩოჩქოლი.

ხომ გაიგონეთ ბრძანება სამსჯავროსი, ბატონო? მკაცრად კითხა დონ-სანხომ.

— დიახ, ბატონო თავსმჯდომარევ, — ყრუს ხმით უპასუხა დონ-პელასკეცმა.

— მაშ რაღას უყურებთ?

მსაჯულმა თავი მოიდრიკა, შეჯდა ჯორზე და გაეშურა ალკაზარისაკენ. ღრმა მდუმარება სუფევდა გაოცებულს და გაშტერებულს ხალხში. მაგრამ ცოტას ხანს უკან ბრბო ხალხისა გაიპო, შუა გაკეთდა ფართო ძოსასვლელი, მობრძანდება თავის ცხენზე მჯდომი მეფე, რომელსაც წინ მოუძღვის შიკრიკი და თან მოზდევს ერთი მხოლოდ მისი საყვარელი დონ-ჟუან ალბუკერკი. ჩამოხდა ცხენიდამ თუ არა, ანიშნა დონ ჟუანოს უკან დამდგარიყო, თითონ კი წინ წარდგა.

— ოცდა ოთხთა სამსაჯულომ მომიწვია, წარმოსთქვა მან დიდებულის ღირსებით, — მე აქა ვარ!

მეფის გამოცხადებაზე თავსმჯდომარე და მსაჯულები ცალ-ცალ მუხლზე დადგნენ და ისევ თავიანთ ალაგები დაიჭირეს.

თავსმჯდომარე ხელახლა წამოდგა, აღმართა კვერთხი მარჯვენა ხელით და წარმოსთქვა რიხიანი ხმით:

— დონ პედრო, მეფევ კასტილიისავ და ლეონისაო, თქვენ მოგიწოდეთ წინაშე ოცდა ოთხთა სამსჯავროსა, როგორც ბრალდებული დარაჯთ უფროსის ანტონიო ბერნანდეცის მკვლელობაში.

ვინ არის ჩემი მბრალდებელი? (კითხა მეფემ.

— მე, მოისმა ჭაბუკის ხმა და ჟუანიტო გამოერჩა ხალხ-დამ და წარდგა წინ.

— შენა? სთქვა მეფემ ღიმილით და თან მისი ყურადღება მიიქცია ამ ტურფა ჭაბუკის გამბედაობამ.

ვინა ხარ შენ? ჰკითხა თავსმჯდომარემ.

— მე მქვიან ჰუანიტო ალზაროს. მე ვარ ობოლი, მამა ძლივს მახსოვს, დედაკაცი, რომელთანაც მე ვცხოვრობდი მთაში ერთს ქოხში, წელიწადია რაც მოკვდა. ამას წინეთ მე შევეხახლე დონ-ბაზილიო ორიგუელას, დელკარიდის ქუჩაზე რომ ცხოვრობს.

— წინ წამოდექ ჰუანიტო ალზარო, და მოგვიყევი რაც იცი, მაგრამ ყოველი შენი სიტყვა აჰსწონე: თორემ ხომ იცი ცრუ მაბეზღარს მტარვალმა ენა უნდა წაჰკრას! დაახედვითა დონ-სანხომ.

— მე ვიცი ეგა ბატონო! მე ხომ გამოცხადებული მაქვს; რასაც ვიტყვი ერთი დანგი სიცრუე შიგ არ გამოერევა; ღმერთი იყოს ამის მოწამე! ჰუანიტო თავსმჯდომარეს მიუახლოვდა, წარსდგა მეფის წინ და ყველანი სულ განაბულნი იყვნენ, როცა ის ლაპარაკობდა შემდეგ ამბავსა.

— მე რომ ამბავს მოგახსენებთ, ეს იყო რამდენიმე თვის წინათ, რიცხვი კარგათ არ მახსოვს — ეს კი მახსოვს დილა იყო. მე საწამლე ბალახებს ვეძებდი რონდაში, სოფლის პენადერელმა დალაქმა გამგზავნა, ალონზო პოქეროშ. ეს ის პოქეროა, რომელიც დედისათვის მაძლევდა ხოლმე ხან ფქვილს, ხან ცხვრის შაშხს, ხან ცერცვს, ხან წვრილ ფულს. ბილიკზე, რომლის ახლოც მე ვფათურობდი, დავინახე დონ-სანხო ცერბურო და მასთან საპატიო ვიღაც დიდი კაცი, სანხო ჯორზე იჯდა და დიდი კაცი დიდ მშვენიერს და მდიდრულად ალკაზმულს ბედაურზე.

მე ძალიან კარგათ ვიცნობ დონ-სანხო ცერბუროს; დედი ჩემის სახლი მაგის მეზობლათ იდგა; რადგან თავადები მე ძალიან ძვირათ სადმე მინახავს, ამიტომ, რასაკვირველია, გამოვედი კლდის ნაპრალიდამ, დავჯექ და დავუწყე გულმოდგინედ ცქერა დიდ-კაცსა. და როცა ის ცხენიდამ ჩამოხდა წყალის დასალევად და ცხენი ჩამოართვა სანხომ, მე ამოვე-

ფარე და ისე ახლო მივედი, რომ ხელი გამეწია, მივუწევდი მას. ძალიან მაკვირვებდა მისი ძვირფასი მოსასხამი, ქუდზე ფრთები, მისი სანადირო საყვირი სულ ოქროთი მოჭედილი, მზის სხივზე მბრჭყვინავი! ამ რქით დალია მან წყალი და როდესაც ხელი ასწია დასალევად, ერთს მის თითზე გაიელვა ძვირფასმა ბეჭედმა, მისი ტანისამოსი სულ მშვენიერი სურნელებით ფშვინავდა.

Თავადი მერე შებრძანდა ცხენზე, გასწია და თან გაყვა მას სანხოცა. Დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ მეც სევილიაში გავყევი მამულების ვაჭრებს; დამპირდნენ იქ საქმეს გიშოვნით რასმეო. მართლაც ვიშოვნე ადგილი და დაუდექი Დონ-ბაზილიოს, ქარიდადის ქუჩაში რომ არის. აი როგორ იყო ჩვენი შეხვედრა: ბირ-ადილს სამრეკლოს კოშკთან შემხვდა ერთი დარბაისელის შეხედულების კაცი. Დამაკვირდა, და მერე მკითხა: შენ, ყმაწვილო, მთიული ხარ?

— გახლავარ მეთქი.

— მოჯამაგირედ ხომ არ ისურვებ დადგომას?.

— ძალიან გულით! Თქვენ ხომ არ გჭირდებათ?

— ჰო, მე მინდა დაგიყენო, წამოდი.

მე გავყევი და მან შემიყვანა ერთს დიდ სახლში Დელ-ქარიდადის უბანში.

— მე ვარ Დონ-ბაზილიო Ტრიქუელა! მითხრა მე იმ კაცმა, — ეს კი ქალბატონი კონსესიონია, — და მიმითითა ერთს მოქურუშებულ მოხუცს დედაკაცზე, რომელიც ოთახში შემოვიდა და გაჭირებით მოძრაობდა, — ეს გეტყვის რა იქნება აქ შენი საქმე და შენ მაგას უნდა დაუჯერო; ეგ მოგცემს შენ ახალს ტანისამოსს, გაჭმევს, გასმევს და კვირაშიაც ხუთ მანათს ჯამაგირს გაგიჩენს.

მერე ბატონმა თავის ოთახებისკენ გასწია, დავრჩით მე და ქალბატონი კონსენსიონი.

უნდა მოგახსენოთ რომ დონ ბაზილიო უცოლშვილო კაცია, და დონა კონსანსიონი ავგულა დედაბერი, რომელიც მთელს დღეს მათრევდა და ცოტას მაჭმევდა. დონა კონსანსიონი არის ყოვლის განმკარგველი დონ ბაზილიოს სახლში.

— ვინ იყო ის ჩემი ბატონი, ნამდვილს ვერ ვიტყვი, მაგრამ ასე მგონია სწავლული უნდა ყოფილიყო, ამიტომ რომ მისი სტოლი ეტრატებით მოფარული იყო და მუდამ იმას აჯდა. იმის ოთახში შესვლა მე აკრძალული მქონდა, მაგრამ ერთხელ ჩუმათ შევიჭვრიტე—იმ დღიდამ რაც მე იმან დამიქირავა, ერთხელს მეტად მე არ შევხვედრივარ; რამდენადაც მე ვიცი, ის იმ დღიდამ კარზე არ გამოსულა. ბარემ იმასაც მოგახსენებთ რომ როცა მე პირველად დონ მუანს შევხვდი, ის ელაპარაკებოდა ერთს გლეხის ქალს. მე ასე მგონია ეს გლეხური ტანისამოსით დიდი კაცის ქალი ვინმე უნდა ყოფილიყო.

დახე, დახე! წარმოსთქვა მეფემ,—რას ნიშნავს ეს ნეტა? ძრიელ დამკვირვებელი თვალი ქონია ამ ყმაწვილსა!

მოხუცი, ყრუ მსახური, ჯორები, მომვლელი მოთავსებული იყო ერთს თავლის კუნჭულში, ჩემი ხუხულა, კი იმყოფებოდა ბჭის კარებთან, რომელიც ქუჩაში მიდის. ჩემსა და ფილიპეს გარდა სხვა მსახური არავინა ჰყოლიათ.

სამის თუ ოთხის კვირის განმავალობაში ამ ოჯახში მოდიოდა ერთი დიდი კაცი.

მე მესმოდა და ვხედავდი როგორ შემოვიდა ეს დიდი კაცი პირველს ღამეს; მე ძრიელ მომშივდა და ჩემის ხუხულაკიდამ გავძვერი საკუჭნაოსკენ—ეგებ ქალბატონს კონსენსიონს გასაღები დარჩა მეთქი და ხახვი ან ლორის ნაჭერი ვიგდო ხელში მეთქი.

მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ გასაღები არ დარჩენოდა და

როცა დაღონებული უკანვე ვბრუნდებოდი ცარიელის მუც-
ლით, უეცრად ქუჩიდამ სტვენასებრ რაღაც შემომესმა.

მე მივიმალე და ყური დაუგდე. ჩემდა გასაკვირებლად დავინახე რომ ქალბატონმა კონსენიონმა გაიარა ფოსტლების ფრატა-ფრუტით. ჩემის ჭიჭიტანიდამ ყველაფერს ვხედავდი, რაც მოხდა სახლის შემოსავალში.

უარესად გამიკვირდა, როცა დავინახე თუ როგორ შემოვიდა ქალბატონი კონსენსიონი დერეფანში, როგორ კუნჭულში ლამპა დადგა ისე, რომ იმისი სინათლე ქუჩაში სცემდა, როგორ ბჭის კარები გაღო და შემოუშვა, ვიღაც, რომ სტვენდა ის კაცი.

რა თქმა უნდა, ახლა უფრო აღმენთო ცნობის მოყვარეობა და რაც შემეძლო დავაცეცხლე თვალები, დამეთვალიერებინა ეს უცხო კაცი.

ქალბატონი კონსესიოსაგან დადგმული ლამპარის სინათლე ისე პირდაპირ ხვდებოდა იმ კაცის პირის სახეს, რომ მე მაშინვე ვიცანი ის დიდებული დიდი კაცი, რომელიც ერთხელ ბრძანდებოდა მთაში ზ. სანხო ცერბუროსას და რომელიც, რა მეგონა, თუ ჩვენი მეფე და ხელმწიფე იყო.

ბევრი ვიფიქრე იმაზე თუ რად მოდის ეს დიდი კაცი ღამღამ და არა დღისით, ან მარტო ის რად მოდის, როცა რომ სხვა არავინ ეკარება დონ ბაზილიოს; არ იქნა ვერა შევიტყე რა, იმიტომ რომ ქბ. კონსესიოსი მეშინოდა, რომ ოთახებში შევპარულვიყავი და მიმეყურებინა. მალე დამეძინა დაღალულობისაგან და აღარ გამიგია როგორ წავიდა ის დიდი კაცი.

ამიტომაც გადავწყვიტე, რომ მეორე ღამეს დავკვირებოდი. უცხო კაცი მართლაც მოვიდა და ისევ იმავე სახით როგორც გუშინ. ამ ღამეს დონნა კონსესიოს აკი დარჩენოდა გასაღები და იცოცხლეთ, ლაზათიანი ლუკმა მე ხელთ ვიგდე. მე კიდევ ამ ლუკმას ვილექებოდი, როცა უცხო კაცი ასე

ერთი საათის შემდეგ უკანვე გაბრუნდა და გააცილა იგი ქ. კონსესიონმა.

მეორე დილას მინდოდა გულით მეკითხა ქალბატონის-თვის თუ რისთვის დადის მეთქი ის დიდი კაცი, მაგრამ ვეღარ გავბედე, ეს ჩუმი ღამით სტუმრობა, ჩემს ცნობის მოყვარეობას უკიჟინებდა იმიტომ უფრო, რომ ის უცხო სტუმარი იყო ის დიდი კაცი, რომელიც მე მთაში ვნახე დონ-სანხო ცერბუროსთან.

ამ სახით მე ყოველს ღამეს ვუდარაჯებდი და როგორც მოგახსენეთ, ყოველს ღამეს ის დიდი კაცი მოდიოდა ხოლმე და ისე ახლო გამომივლიდა გვერდში, ერთი ხელი რომ გამეწია მის კალთას შევეხებოდი. მაგრამ ეს ამბავი მე არა კაცისთვის არ გამიმხელია. ფილიპესათვისაც კი არ მითქვამს.

იმ დღეს რაც დღეს დარაჯთ უფროსი ანტონიო ბერნანდეცი მოიკლა, ჩემთან დილა ადრიან მოვიდა ერთი გლეხის დედა კაცი; თუმც ის არ გავდა იმას, მე რომ ბირალდის გვერდით დონ ბაზილიოსთან ვნახე, მაგრამ ეტყობოდა რომ ადრე საპატიო ქალბატონი უნდა ყოფილიყო. ქალბატონმა კონსენსიონმა მაშინვე შეიყვანა იგი ბაზილიოსთან. მე კი დუქანში გამგზავნა და მიბძანა 15 წამში დაბრუნდიო უკან. რომ მოვბრუნდი გლეხის დედაკაცი წასულიყო! ბჭის კარებთან კი იდგნენ შეკმაზული ჯორები და მათ გვერდით ბატონი ბაზილიო და ქალბატონი კონსესიო სამგზავროთ ჩაცმულები.

ჟუანეტო! მითხრა ბაზილიომ, ჩვენ მივდივართ და არ ვიცით როდის დავბრუნდებით; შენ ჩემო ჭკვიანო ჟუანიტოვ! აბა, შენ იცი როგორ კარგათ მოუვლი ჩვენ სახლკარობას. კარები ჩაიკეტე და არც დღისით და არც ღამით არავინ შემოუშვა. აი შენ ფული სახარჯოდ; გარდა ამისა ქ. კონსენსიონმა დაგიტოვა შენ ლორის ნაჭერი, ნიორი, ხახვი და რაღაებიც.

მითხრა თუ არა ეს ბატონმა ბაზილიომ, შესხდენ მულებ-ზე და გასწიეს. ფილიპეც თან დაედევნა.

— ქარამბავ! მეორეთ წარმოსთქვა მეფემ, რომელიც ჟუა-ნიტოსთან ამ ამბავს დიდის ყურადღებით ისმენდა, — ის დედა-კაცი იყო ჟუანა ბერნანდეცი; ახლა ის და საძაგელი ბაზილიო ჩემი ძმა ერთ პირზე დგანან და უნდა ჩემთვის ვნება არაგონში; ცრუ მოღალატე დედა კაცი! ბარნა ვფიცავ ჯვარცმას მე თქვენ გიგდებთ ხელში, გადაგიხდით მაგ საქმისთვის! თუნდ საწამლა-ვით და ხანჯლით, თუ საჭირო შეიქნა! ეს გინდოდა, განა, ჩემო ძმაო, და შენც ეს გინდოდა, ცრუ დედაკაცო! ქაი დროს მოხდა ეს ანტონიო ბერნანდეცის სიკვდილიცა!

ჟუანიტომ განაგრძო:

— მართალი უნდა სთქვას კაცმა, ქალბატონს დაეტოვებინა ჩემთვის ყველაფერი, რაც მითხრა ბატონმა, მაგრამ ნიორის თავები წვრილები იყო და ლორიც მეტის მეტი მჭლე. რაკი ბურთი და მოედანი მე დამრჩა, მე გავჩხრიკე ყოველი კუნ-ჭული სახლში. მაგრამ ბევრი ვერაფერი გავარიგე რა; დედაბერს ყოველივე მაგრათ დაეკეტა, მაგრამ ჩემდა საოცრად თავის ოთახის გასაღები კი დარჩენოდა!

რადგან ეს ოთახი ათას წილ უფრო მომარჯვებული და მოწყობილი იყო, ვიდრე ჩემი ხუხულაკი, მეც ავწიე და დავ-ბინავდი შიგ, ჯერ კი ყველაფერი გადავქექე, გადავჩხრიკე და ერთ მომცრო შკაფში, სხვათა შორის, მე წავადექი კარგა ბლომათ დალაგებულ ტკბილეულობას; გვერდში ედვა ერთი კათხა ანისურის არაყი, რომელიც მაშინვე გადავკარი.

რომ დაღამდა, ცოტა არ იყოს შიშიც შემეპარა გულში ამ უშველებელ სახლში რომ მარტოკა დავრჩი, მერე მოვძებნე ლამპა და ქალბატონისგან დატოვებული ზეთი, ავანთე ლამპა და ჩავწექი ქალბატონის ლოგინში. ამ დროს დავფიქრდი და გული-ნათ ჩამეცინა და ვუთხარ ჩემს თავსა: ერთი მოგისწრობდეს ის

ბებერი შენ კი გაყურებინებს შენს სეირსა. ამასობაში ჩამეძინა. კიდეცა.

მაგრამ ისე გამძლარი ვიყავი ტკბილეულობით, რომ მოს-ვენებით აღარ დამეძინა და წამდაუწუმ ცშმაშურობდი და ერთი გვერდიდამ მეორეზე ვბრუნდებოდი.

მეჰ! ვიფიქრე ამ ტყულა კოტრიალს ის არა სჯობია ეს წიგნი გადავათვარიელო; ამ დღეს არც მაინც და მაინც დალა-ლული ვიყავი, რადგან იმ დედაბერს, მაშინ ჩემთვის აღარ ეცალა.

ამ დროს ერთი უეცრად შევკრთი, მეც არ ვიცოდი რა დამემართა, გავაქრე ლამპა, და დავიწყე ფანჯარაში ყურის გდება, ყურის დაგდებას იმიტომ ვამბობ, რომ დანახვა თვა-ლით არაფრისა შეიძლებოდა ისე ბნელოდა.

დიდ კაცმა ჩვეულებრივ დაშტვინა, მერე ბჭის კარებს შემოკრა ისე ღონივრად, რომ კარებმა ძგრიალი მოიღეს. რაკი ვერც ამითი გახდა რასმე, მერე ჩააფრინდა რკინის მოაჯირსა და დაუწყო ისეთ ნაირათ რაჯგუნი, მეგონა სადაც არის კო-ჭები მოძვრება და კარები წაიქცევა მეთქი.

მე ჩამოვირბინე ბნელის კიბით ძირს, დერეფანში და მო-აჯირს ამოვეფარე ისე ახლო იმ დიდ კაცზე, რომ მე მისი სუნ-თქვა მესმოდა.

— ღმერთო მოწყალეო! ვიფიქრე მე, — ღმერთმანი ეს კაცი ამ კარებს დააქცევს მეთქი! და რო მინდოდა დამეძახნა, რა გნებავთ შინ არავინ არის მეთქი, უცებ მომესმა დარაჯის ხმა და დიდმა კაცმაც კარებს თავი დაანება.

ყარაულსა და დიდ კაცს შორის გაიმართა მოკლე კამა-თობა, რომელთ ერთი სიტყვაც არ გამომპარვია, ისე კარგათ მესმოდა, თუმც ვერც ერთის პირი სახე ვერ გავარჩიე ბნელა-ში; მერე ხელახლა მოდგა მოაჯირის რაჯგუნს.

არა უშავს რა ვიფიქრე მე, — შენ მაგ კარებს აგრე ადვი-

ლად ვერ შემოამტვრევ მეთქი და როგორც გადმოვდგი ორი-ოდე ნაბიჯი, მაშინვე შევჩერდი, ამიტომ რომ დიდკაცმა შეწ-ყვიტა კარების რაჯგუნი და ერთი ძრიელ დაიყვირა: შე წუწ-კო, შე ძაღლო! როგორ მიბედავ ხელის ხლებასა?

არ გასულა ორი წამი, გავიგონე ხმლების ერთმანეთზე რაწკუნი.

შიშისაგან განაბული ყურს ვუგდებდი.

ზავიდა რამდენიმე წამი და შემომესმა ნელი ოხვრა და ქუჩაზედ დაცემულის სხეულის ბრაგვანი. Ცოტას ხანს კიდევ ისმოდა მისი კვნესა, მაგრამ მალე ყველაფერი დადუმდა. რომელი დამარცხდა დიდი-კაცი თუ დარაჯთ უფროსი, მე ეს ვერ გავიგე, თუმცა ბევრი ვიტოტყე მოაჯირიდამ.

ამ დროს მოისმა დიდი-კაცის ხმა.

— მოკვდა! მფიცავ გამჩენს, მენანება, რა ყოჩაღად იბრ-ძოდა! ეს სთქვა და გაუჩქარა ფეხს.

მე მომიცვა საშინელმა შიშმა ამ მკვლელობის გამო. ზა-რეთ მკვდარი ეგდო, შიგნით, ამ უშველებელს სახლებში, მარ-ტოკა მე ვიყავი.

მე შევვარდი ქალბატონის ოთახში, რომ ამენთო ლამპა, მაგრამ ხელი ისე მიკანკალებდა, რომ კაჟი ველარ ვიპოვნე.

ზასწი მთაში, იქ შენი სახლია, შენ იქ არაფისი შეგე-შინდება! გადავსწყვიტე ჩემს გულში, წამოვავლე ხელი ლორს, ხაჭვს და ნიორს, გადავბობღდი გალავანზე და ჯიქურ გავსწიე მთებისაკენ; ისე ვიცი იქაურობა როგორც ჩემი ხე-ლის გული და სადაც ცა ქუდად მიმაჩნია და დედა-მიწა ქა-ლამნად.

ზუშინ გლეხებს მოვყევი აქ სევილიაში, სადაც გული როგორღაც მომერჩოდა. მაგრამ ეს იქით იყოს.

სევილიაში ვხედავ, ყველას ენაზე დარაჯის მკვლელობა ადევთ. ქველა იმას ლაპარაკობს რომ სანჩო Ცერბუროს თავი

დაფასებულია, თუ მკვლელი ვერ აღმოაჩინა, მე კი ვიცოდი ანტონიო ბერნანდეცის მკვლელი ვინ იყო. და რადგან ამასთანავე დონ სანხოს სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა, ერთი წამიც არ დამიყოვნია, მაშინვე გავეშურე დონ სანხო ცერბუროსაკენ. მაგრამ შინ მისვლა არ დამჭირვებია, გზაზე შემხვდა. მას მე მოვუყევი ყველაფერს, რასაც აწ თქვენ გიამბობთ. ვფიცავ ყოვლად წმიდა ღვთის მშობელს, რომ ჩემს ნათქვამში ერთი დანგი სიცრუე არ ურევია.

ეს სთქვა და გაჩუმდა ჟუანეტო.

ხელმწიფევ და ჩემო მბრძანებელო! თქვენ ხომ მოისმინეთ ბრალდება ჟუანიტო ალზაროსაგან? კითხა თავსმჯდომარემ.

— მოვისმინე, ბატონო თავსმჯდომარევ, და მსურს ერთი კითხვა მივცე მაგ ყმაწვილს.

— კეთილი ინებეთ.

— ჟუანეტო ალზაროვ, შენ თითონა სთქვი, რომ იმ ღამეს, როცა დარაჯთ უფროსი ანტონიო ბერნანდეცი მოიკლა, ისე ბნელოდაო, რომ ვერ გაგირჩევია მათი სახე ვინც იქ იყვნენ. მაშ რათ ამბობთ ასე დაჭეშმარიტებით, რომ დიდი-კაცი, ყარაულის მკვლელი, არის იგივე, რომელიც დონ სანხოსას სტუმრად იყო მთაში და რომელიც ღამ-ღამობით მიდიოდა ბაზილიოს სახლში. რა ნიშნით იცნობ შენ იმას ასე დარწმუნებით?

— რა ნიშნითო? მოგახსენებთ, მეფევ! იმ ნიშნით რომლითაც თვალები რომ დავხუჭო მაინც გიცნობთ რომ თქვენ მეფე და ხელმწიფე ჩემი ბძანდებით ის ბატონი დიდი კაცი, რომელიც მთაში ბძანდებოდით ბ. სანხოსთან. ის სურნელება, რომლითაც ფშვინავდა იმ დიდი კაცის ტანისამოსი, და აგრეთვე იმისიც, რომელიც დონ ბაზილიოს ოჯახში მოდიოდა, იმავე სურნელებით ფშვინავს ახლაც თქვენი ტანისამოსი; ამ სა-

ხით, ხელმწიფევ, მეფეო ჩემო, ვამბობ მე, — შენ ბძანდები ის დიდი-კაცი — ყარაულთ უფროსი რომ მოკალი.

ერთს-ორს წუთს მეფე ჩუმათ იდგა, მერე თავი გადიქნია, გამომცდელის თვალით შეხედა ჭაბუკს და წარმოსთქვა: თქვენ მთიულებს გამჭრიახი მხედველობა გაქვსთ! აბა, ბატონნო თავსმჯდომარევ და წევრნო ოც-და ოთხთა სამსჯავროსანო, ყარაულთ უფროსი დელკარიდადის დიდის უბნისა, ანტონიო გერნანდეცი, მოკალი მე, დონ პედრომ, მეფემ კასტილიისა და ლეონისამ, — მაგრამ, ბატონებო, ეს შენიშნეთ, ორთა შუა ბრძოლაში, პატიოსნურს გახრმალებაში!

— ხელმწიფევ — მეფევ! წარმოსთქვა თავსმჯდომარემ, მრისხანებით, — ხელმწიფევ, გახრმალება შეუძლებელია მეფესა და ქვეშევრდომთა შორის,

ყველამ სული განაბა.

— შენ მართალი ხარ ბ. თავსმჯდომარევ! წარმოსთქვა მეფემ დიდებულად, — შენ მართალი ხარ! არ უნდა მოხდეს გახრმალება მეფესა და ქვეშევრდომს შორის; ასე იყო, თუ ისე — ბ. თავსმჯდომარევ და მსაჯულნო, მე მეფემ კასტილიისამ და ლეონისამ, მოვკალი დამცველი კანონისა ანტონიო გერნანდეცი.

— ხომ გაიგონეთ სიტყვები, ბატონებო.

— გვესმის ბ. თავსმჯდომარევ,

— ჩვენის ხელმწიფის და მეფისგანვე გამოცემულის კანონის ძალით, — «მკვლელობა სიკვდილის სასჯელით»! მეფის კანონშივე არის ნათქვამი: ყველანი და თვითეული ცალკე სევილიაში თანასწორნი არიან კანონის წინაშე!.. ახლა მე თქვენი თავსმჯდომარე, გკითხავთ თქვენ: დამნაშავეა თუ არა მეფე დონ პედრო ყარაულთ უფროსის ანტონიო გერნანდეცის მკვლელობაში?

— არის! მიუგეს მსაჯულებმა.

— აბა განაჩენი თქვენი რას იტყვის?

— დასჯა სიკვდილითა.

და ღრმა სიჩუმე იყო, როცა თავსმჯდომარემ მიმართა მეფეს: მეფევ კასტილიისა და ლეონისაო მოისმინეთ თუ არა თქვენზედ განჩინება?

— მოვისმინე, ბ. თავსმჯდომარევ.

—რადგან მეფეს ღვთისაგან მინიჭებული აქვს ხელმწიფება,— წარმოსთქვა თავსმჯდომარემ, შეიწყალოს დამნაშავე; ნებავს თუ არა ჩემს მეფეს და მბრძანებელს ისარგებლოს ღვთისაგან მინიჭებულის ხელმწიფებით, და მიანიჭოს მიტევება დონ პედროს, მეფეს კასტილიისას და ლეონისას.

— არა, არა მსურს! უპასუხა მეფემ.

— მაშასადამე უნდა სისრულეში მოვიდეს განჩინება სამსჯავროსი.

ხალხში ჩოჩქოლი და გაუბედავი დრტვინვა შეიქმნა და დონ ჟუან დე ალდგუკერმა, გაიძრო ხრმალი, წარსდა წინ და ამოუდგა გვერდში მეფეს.

— მე ვუბრძანებ ხალხს დაჩუმდენ. სამსჯავროს პატივდება უნდა! რიხიანად დაიძახა დონ სანხომ, ჩააგეთ ხრმალი ქარქაში, ბატონო დარბაისელო და განგვშორდით.

დონ ჟუანი ადგილიდამ არ იძვროდა.

— ალგვაზიელებო! ხელ ახლად შესძახა თავსმჯდომარემ, სამჯავროსადმი პატივისცემა აღადგინეთ და განგვარიდეთ ეს დარბაისელი!

ალგვაზილებმა თავი შეიდეს, მაგრამ დონ ჟუანმა დააბრიალა ხრმალი, დააბრიალა თვალები და დაიგრგვინა: ვინც ხელს ახლებს მეფეს, ან მე ვინც შემეხება წუთში ძირს დავსცემ

— ჩააგე ხრმალი, დონ ჟუანო, და წადი, მე შენ გიბრძანებ, წარმოსთქვა მეფემ. უნდოდა დაემორჩილებინა დარბაისელი.

— ბატონო დონ რამირო დე-ალბუფერო! აღამაღლა ხმა თავსმჯდომარემ, — თქ ენი მაღალის შთამომავლობისა და განთქმული სახელის გამო პირველი თქვენა ხართ ოც და ოთხთა სამსჯავროში ამ შემთხვევაში მხოლოდ უწარჩინებულესს შეუძლია განჩინება სისრულეში მოიყვანოს; აღექით, იშიშვლეთ თქვენი ხრმალი და მომიახლოვდით მე, თავსმჯდომარეს; ხალხში ხელ-ახალი აღელვება შეიქნა და ხელ-ახლა მოაგონა ყველას დონ სანხომ წესი და რიგი, მაგრამ დონ რამირო მაინც ყოყმანობდა.

— თქვენ ყოყმანობთ დაემორჩილოთ თქვენს თავსმჯდომარეს? ბატონო მსაჯულო, ჰკითხა დონ სანხომ ისეთის მკაცრის ღირსებით, რომ დონ რამირო მაშინვე წამოდგა, გაიძრო ხრმალი და მივიდა თავსმჯდომარესთან.

მეფე იდგა დიდებულად და გამარჯვებულივით, მტკიცედ შეჰყურებდა თავის ამაყი თვალებით თავსმჯდომარის სახეს.

— მეფევ, ხელმწიფევ ჩემო; მიიქცა ისევ მეფისკენ თავსმჯდომარე, — ღვთისაგან ხართ თქვენ მეფედ დადგინებული, წმინდა და ხელთ-შეუხებელია თქვენი საღმრთო პირადობა როგორც ღვთის მიერ ცხებულისა, და მხოლოდ ერთსა, მხოლოდ ღმერთს უგებთ თქვენ პასუხს საქმეთაებრ თქვენთა; მაგრამ «ყველანი და თვითეული სევილიაში თანასწორ არიან კანონის წინაშე». ნათქვამია თქვენგანვე დადგენილს სჯულდებაში. ვინც მას გადახდება, დამნაშავეა თქვენს წინაშე, თქვენმა მოქმედებამ უნდა მიიღოს ნაცვალ გება სხვაფრივ, ნიმუშებრივ.

მაშინ თავსჯმდომარის ნიშნობით, ის შავი ფარდები, რომელნიც ფარავდნენ აქნამდის უცნაურს ხარაჩოებს, გადაგლიჯეს და ყველას თვალ-წინ წარმოსდგა მეფის ტანის სიმაღლე ცვლისაგან გაკეთებული ფიგურა მეფისა შემოსილი სამეფო ძოწეულითა.

ბატონო მსაჯულო დონ რამირო დე-ალბუფერო! დაი-

ძახა თავმჯდომარემ, — აღასრულეთ ბრალდებულის გამოხატულებაზე თქვენზე მინდობილი მოვალეობა.

— დონ-რამირო მსწრაფლად ავიდა ხარაჩოს საფეხურებზე და ერთი მოქნევით გააგდებინა ფიგურას თავი, რომელსაც ალგვაზილმა ხელი სტაცა, ძირს არ დაუშვა, ასწია მაღლა და ყველას დაანახვა.

— კანონი დაკმაყოფილებულია, დამნაშავე დასჯილია! წარმოსთქვა დონ-სანხომ, — ალგვაზილო ესტებან ავადელო, — დარეკეთ ნიშნად იმისა, რომ დიდებულმა ოც-და-ოთხთა სამსჯავრომ დაასრულა სასამართლოს სხდომა და, თქვენ ბატონებო მსაჯულნო, მუხლი მოიდრიკეთ მეფისა და პატრონის წინაშე ნიშნად ერთგულის ქვეშევრდომობისა.

ზარამ დარეკა და დონ-სანხომ მსაჯულებითურთ დაიჩოქეს მეფის წინაშე.

— დონ-სანხო ცერბუროვ! დაიძახა მხიარულად მეფემ — ვხედავ, ახლა რომ თვით ზესთა დედოფალმა დამიქსაქსა მე გზა ნადირობაში და მომიყვანა შენს სახლში, რათა აღმომეჩინე შენ! მე მას ვბადლობ, რომ მომცა საშუალება შენის მთიდამ აქ მომეყვანე და ჩამებარებინა შენთვის სასწორი მართლ-მსაჯულებისა სევილიაში. წმინდა ჯვარცმას ვფიცავ, შენს ხელში ეს სასწორი უტყუვრად არის დაჭერილი, რომ შენ მხოლოდ უყურებ კანონს! მაგისთვის მიიღე შენის მეფისაგან მადლობა. როგორ გონივრად და ღრმა მოსაზრებით მოახერხე შენ გამოგეხატა მზგავსება მართლ-მსაჯულებისა ჩემზე! მაგრამ მე, მეფეს დონ-პედროს მსურს, რომ ჩემის გამოხატულების მონაკვეთი თავი დაიდგას ტორრედელოროზე მოსაგონად მართლ-მსაჯულების განჩინებისა, და აგრეთვე იმისა, რომ მეფე დონ-პედრო დაემორჩილა კანონსა! გარნა რადგან ცვილს, რომლისგანაც ხელოვანს შენის ბრძანებით ჩამოუსხამს ჩემი სახე, არ შეუძლიან დიდხანს გაუძლოს სევილიის მზის მცხინვარე სხივებს,

ამიტომ კიდევ იმავე ხელოვანმა გამოაქანდაკოს ჩემი სამეფო თავი მარმარილოსაგან და ეს მარმარილოს თავი იქნება სახსოვრად სამარადისოდ წამოდგმული ტორრედელოროზე! — შენ კი ჰუანიტო ალზარო, ჩემო მამაცო ჭაბუკო, წარმოსდექ შენს მეფესთან.

ჰუანიტო წინ წადგა და დაეშვა მუხლებზე.

მეფემ ხრმალი ამოიღო.

ჰუანიტოს ეგონა მეფემ ჩემი დასჯა გადასწყვიტაო, ერთს წამს ძრიელ შეშინდა, მერე წაიჩურჩულა: «შენის გულისთვის ადალაიდა, შენის მამის გულისთვის სიხარულით თავსა სდებს ჰუანიტო!»

მეფე მიხვდა ყმაწვილის აზრს, გაიღიმა და თვალი დაასტერა ტურფა ჭაბუკს.

— ჰუანიტო ალზარო! უბრძანა მან დიდებულის მაგრამ ლმობიერის ხმით, — შენის ყოჩაღურის ბრალდებით შენ დაუმტკიცე შენს მეფეს, რომ გონება ნათლოვანი გაქვს და გული მამაცი, გარდა ამისა დიდი სამსახური გაუწიე შენ მეფეს მაგ ბრალდებით; რაში მდგომარეობს ეს სამსახური ეს შენი მეფის საიდუმლოა, ეხლა შენს ყოჩაღობას ჯილდო ეკადრება.

და მეფემ თავისის ხრმლით სამჯერ შეეხო ჰუანიტოს მხარ-ბეჭსა. ადექ აზნაურო ჰუანიტო ალზარო! უბრძანა მან.

ჰო, ჩემო ხელმწიფევ და მეფევ! აღტაცებით შეღაღადა ჰუანიტომ, — განა ამდენი ჯილდოს ღირსი ვარ მე საწყალი! და ემთხვია მეფის მოსასხამის კალთას.

მეფემ პირი მოიბრუნა და გამოესალმა რა დონ სანხოს და მსაჯულებს დიდებულად, ხელის გაქნევით ანიშნა დონ-ჰუანოს და ამანაც ცხენი მოართვა.

დონ-პედრო ნელ ნელა მიბრძანდება ქუჩაზე, რომელიც ხალხით გაჭედილია და ალგვაზილების «მოდის» ხმა არ შეწყვეტილა, ხალხი ღაღადისით მისდევს და იძახის «გაუმარჯოს

მეფეს!» «გაუმარჯოს მართლ-მსაჯულს გუბერნატორს!»

— შენ მოეხვევი რაინდს! უთხრა დონ-სანხომ თავის ქალს, უწიანა ხელი ჟუანიტოს ადალაიდასკენ, თან მოკლედ უამბო ცოლსა და ასულს რაც იმ დღეს მოხდა.

— მაგას რაინდობის სახელი დაუმსახურნია! ამპარტავნული მხიარულებით წამოიძახა ადალაიდამ, — მაგრამ ეგეც რომ არა ყოფილიყო, ჩემი გული მაინც ეკუთვნოდა სამარადისოდ უბრალო, საწყალს ჟუანიტოს.

— მე მაშინაც არ დამკლებია შენი სიყვარული, ადალაიდავ; გმადლობ ჩემო სულის ღმერთო. მე ეხლა არც ფული მაქვს, არც ქონება, მაგრამ დიდი კაცი კი ვარ! მე შენ ვერაფერს გიბოძებ გარდა ჩემის სიყვარულისა და ქოხისა!

— ზანა ეს არ ეყოფა ადალაიდას? მაგრამ ქოხი კი გაქვს სადმე.

— მთაში?

— მთაში! გაგიჟებით წარმოსთქვა ადალაიდამ. მთებში, სადაც ჰყვავოდა ჩვენი სიყვარული და სიყრმე? ოჰ, მამავ, დავბრუნდეთ მთაში! მაგრამ არა, არა! მამავ! შენი სიცოცხლე მეფეს ეკუთვნის და შენი შვილები შენ ვერ მოგშორდებით!...

ქფ. კლდიაშვილისა.

დასასრული.

# ხალხური ლექსი,

გურიაში გაგონილი ს. ხ-ძის მიერ.

შავი შაშვი ჩიოდა —
უხუცესი, მთავარი:
«მთაი დაუთოვია,
ბზა არსით მაქ სავალი;
სურო სადმე ვიცოდი,
ზედ მახენი მრავალი...
ვაი თუ შევჯდე, გავება:
სული წავა მთავარი».

# სკოლა და ცხოვრება.

ანუ ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა ჰსთხოვდეს ძე თვისი პურსა, ნუ ქვაი მისცესა მას? გინა თუ თევზსა ჰსთხოვდეს, ნუ გველი მიჰსცეს მას? (სახ. მათესი, თ. 7, მუხ. 9—10).

დღეს ჩვენში სკოლა იხსნება. სამი სოფლის მცხოვრებნი, რვაასამდის გლეხი, საზოგადოების შუა ადგილს — სკოლასთან შეგროვილა. სკოლის შენობა არის ლამაზი სამ-თვალი ხის სახლი, გარიდან შეღებული. მისი დამდგმელები უფრო გარეგან შნოს გამოკიდებიან, ვინემ ჰიგიენის მოთხოვნილებას, როცა სკოლისთვის პირი აღმოსავლეთის ქარისთვის მიუცემინებიათ, რადგან აღმოსავლეთით ამ სკოლას ჩაუვლის ქალაქში მიმავალი შარა-გზა. თვითონ საკლასო ოთახი ფანჯრებით აღმოსავლეთს და სამხრეთს მისჩერებია, ამიტომ საკმაოდ ნათელია, სიგრძე-სიგანით ათი-თერთმეტი ალაბია და იტევს სტოლებს სამოცი შაგირდისთვის...

თებერვლის დამდეგია 1883 წლისა, აღმოსავლეთის ქარი საკმაოდ ღონივრად უბერავს პირში ახალს სტუმარს, სოფლის ნათელსა და ჯვარს, ტაძარს განათლებისას, თითქოს უნდაო «ჩაჰბეროს იმას ძლიერი სული, ხალხთ სამსახურად მიჰმადლოს ღონე»... აქ ბრძანდებიან: სასწავლებლების მეთვალყურე,

ქართველი კაცი, ადგილობრივი სამღვდელოება და პოლიცია. მსენი სამასწავლებლო ორს ოთახში თუთუნის ბოლში გახვეულან, ხალხი კი, შვილიანი და უშვილო, ბუზივით ირევა საკლასო ოთახში და სკოლის გარშემო. მათს შორის თვალს მოჰკრავთ ხან ერთთან, ხან მეორესთან მოლაპარაკეს ოც-დახუთიოდე წლის ახალგაზდას, მომავალს მასწავლებელს სკოლისას. ამ კაცზედ ზოგიერთი მიზეზების გამო მე სიტყვას ვერ გაგიგრძელებთ; ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი არის ამავე საზოზოგადოების მცხოვრები და გულით მოწადინებულია ემსახუროს საზოგადოებას.

შესდგა სია მომავალ მოსწავლეთა, ან მოსწავლეობის მსურველთა. სიაში სწერია სამასამდის ვაჟი, ქალები კი უმეტესობის ხმით ველარ მოჰყვა სიაში, ამაზედ დიდი აყალ-მაყალი ასტეხეს ქალიშვილების პატრონებმა.

— ქალია, თუ ვაჟი, ჩემი შვილია! იძახის ერთი: მინდორში ხომ არ მიპოვნია!

— რა ვუყოთ რომ ქალია! წიგნს მაინც წამიკითხავს შინ... მეც ფულს ვიხდი...

— მაშ მასწავლებლის ჯამაგირიც თქვენ იხადეთ! ყვირის მესამე, შენ ისწავლო და მე ფულები გიხადო?! —ზათავდა. მაქებმა გაიმარჯვეს. მარტო ქალები დასტოვეს ვითომსკოლის გარეთ, მაგრამ მათგანს რამდენს ერთს დაიტევს განა ეს ერთი სკოლა?!.. —კარგა ხანი გავიდა. «დაბალი სადილობის დროა», როგორც იტყვიან ჩვენში. «დროა საქმეს შევუდგეთ», გაისმა ხმა. საქმე ბავშვების მიღებაა.

— როგორ იქნება მიღება? ეკითხება ერთი ხანში შესული გლეხი მასზედ ახალგაზდას, რომელიც ისე მხიარულია, ეტყობა სასეიროდ არის მოსული, საქმე კი არა აქვს-რა.

— ჯილე უნდა ვყაროთ, პასუხობს მომუსაიფე. აბა, სამასი ბალანა ფეხადაც არ დაეტევა შენს კლასში.

— მერე? ჩემს ბალანას რომ არ შეხვდეს?

— სხვას ხომ შეხვდება!

— მე რაი მერე, სხვისას რომ ერგოს.

— შენ რაი და ბუზის კვერცხები! სკოლა გაიხსნება, სწავლა დაიწყება. შენ გაისად ან გარდამეისად გერგება, ან შეიძლება არც მაშინ გერგოს. ბედზეა...

— მერიჭაააა!

— აბა რავა გეგონა?!

ვესმის ეს და ამის გვარი ლაპარაკი და უნებურად შედიხარ ხალხის მდგომარეობაში. ნატრობ იმ დროს, როცა სამს სოფელს ერთი კი არა, ერთს ორი-სამი სკოლა ექნება გამართული.... — საქმე მიდგა კენჭის ყრაზედ. უფროსმა არჩია კენჭის ყრა საკლასო ოთახში მოხდეს. მასწავლებელმა გამოსთხოვა უფროსს ნება—მოელაპარაკოს ხალხს კენჭის ყრამდის, სანამ კენჭის ყრის შედეგს ხალხი ჯერ არ დაუშორებია ერთი მეორისთვის. სკოლის კურთხევაც სწორეთ ამ დროს უფრო მოხერხებული და მოხდენილი იქნებოდა, რადგან—ხალხისთვის რომ შეგეხედათ, სწორეთ სალოცავად იყო მორთულ მოწყობილი. უმრავლესობა მაინც გულ-მხურვალედ ილოცავდა მაშინ სკოლის წარმატებისთვის და პირველად იმას შეევედრებოდა ღმერთს, რომ მის შვილს კენჭი არ ასცდენოდა.

ეს მოხდენილი წამი მოიხმარა მასწავლებელმა, გაიხმო ხალხი მინდვრად, ქარს რომ არ შეეწუხებინა საფრად სკოლა იხმარა, თითონ ავიდა ხის კიბის მეორე საფეხურზედ, რომელიც მიყუდებული იყო სკოლის უკანა კედელზედ, და აუხსნა ხალხს, თუ რას უნდა მოელოდეს იგი სკოლისგან და მასწავლებლისგან. ჩამოართვა ხალხს სიტყვა, არ აიცრუონ სკოლაზე გული, თუნდაც ბევრს მათგანს შვილიც არ ეზრდებოდეს იქ. თავის მხრივაც სიტყვა მისცა, არგოს ხალხს სკოლის გარედაც ყოველ საზოგადო საქმეში. «დღეიდანო, უთხრა მან, თქვენ შორის

დაიბინავებს ცოტად თუ ბევრად, მაგრამ რაც უნდა იყოს მაინც თქვენზედ უფრო ნასწავლი კაცი, რომელიც... მოვალეა შეგეწიოსთ ყოველ გაჭირვებულ მდგომარეობაში სიტყვით თუ საქმით. თითეულს თქვენგანს უნდა მიაჩნდეს იგი თავის ნუგეშად და ნუ თუ რომელიმეს თქვენგანს შვილიც რომ არ ეზრდებოდეს სკოლაში, მარტო ეს არ უღირს იმ სასყიდლად, რომელსაც წლიდან წლამდის გაიმეტებს სკოლის შესანახავად?» (50—60 კ. კომლზე). აუხსნა ხალხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეზობლის რიგიანობას მეზობლისათვის—წინააღმდეგ იმერლის შურიანობისა,—თუ რა სიკეთე შეუძლია დასთესოს რიგიანმა სკოლამ საზოგადოებაში, როგორ საუმჯობესოდ შესცვალოს მათი ყოფა-ცხოვრება, რასაკვირველია არა უეცრად და თვალსაჩინოდ, არამედ თანდისთან და შეუმჩნეველად და სხვა. მასწავლებელს აწუხებდა ის გარემოება, რომ შეუძლებელი იყო დღესვე არ გაეგონა ხალხის უმრავლესობის პირით სკოლაზედ სამდურავი, რადგან სკოლის ხარჯს ბევრი ისეთიც ეწეოდა, რომელსაც გასაზრდელი არავინ ჰყავდა და უფრო მეტი ბალა ის იყო, რომ—ვისაც დღეს მოეყვანა შვილი სკოლაში მისაღებად, მათგანაც ხუთში მარტო ერთს ერგებოდა ადგილი სკოლაში. ეს ყოველივე გაუმჟღავნა მასწავლებელმა ხალხს და სთხოვა იქონიონ მეტი სულგრძელობა და პატივისცემა ერთი მეორისა...—ამ სიტყვამ, რომელიც ერთ საათამდის გაგრძელდა, კარგი ჩაბეჭდილება მოახდინა ხალხზედ. ეტყობოდა, რომ ამ ხალხს პირველად ესმოდა გულწრფელი სიტყვა მისის ავ-კარგიანობის შესახებ. ცხადად დაეტყო, რომ მანაც რამდენიმე წამით მაინც დაივიწყა ყოველდღიური ცხოვრების ჭირ-ბოროტობა და შესტოპა იმ იმედების მორევში, რომელიც მას თვალ-წინ აუფერადა მასწავლებელმა. ახლა კიდევ უმეტესის გულის ფანცქალით ელიან თავიანთის შვილების სკოლაში მიღებინებას...

შეუდგნენ კენჭის ყრას. სულ უნდა მიიღონ სამოცი შა-გირდი. სკოლის აშენებაში მიუღია მონაწილეობა სამს სოფელს, ექვსას კომლს, მაშ ათს კომლზედ უნდა გაიზარდოს სკოლაში ერთი შაგირდი. ამის თანაბრად გაუყვეს სამს სოფელს სამოცი ვაკანსია. კენჭი თითეულ სოფელს ცალკე უყარეს. ხუთს მთხოვნელში ადგილი ერთს ხვდა, ოთხი კი გაფითრებულ-გაშეშებული ბრუნდება უკან, თითქოს ეს არის საუკუნოდ დაუტრიალდა უკუღმა ბედის-წერის ჩარხიო.

აი, მოდის დაძახილზედ მოხუცი, ტანად ახოვანი, თეთრ-წვერა, თმა გაწეწილი, მოდის მოაპობს ხალხს და კუდში შვიდი-რვა წლის ბალანა «გამოუსკვნია». მივა სტოლთან, აიყვანს ხელში საშაგირდეს, ამოაღებინებს უჯრიდან დახვეულ ქაღალდს და ისევ ძირს დაუშვებს. ბაბუა-შვილისშვილს ორთავეს წამის-წამ ეცვლებათ ფერი სახეზედ—უცდიან ბედის ყივილს.—«მრგოს!» დაიძახა უფროსმა. მოხუცი მეტის სიხარულით თავს ველარ იჭერს, დასწვდება შვილისშვილს, აიყვანს ხელში, გადუკოცნის თვალებს და ისე ხელით გაიყვანს ზალიდან...

აი, ასეთის ალტაცებით მიეგება ხალხი სკოლის გახსნას. ნუ თუ სახალისო არ არის გავსდიოთ კვალში ამ სკოლის შემდეგს ცხოვრებას და ვიკითხოთ: რა ჰქნა ან სკოლამ, ან საზოგადოებამ? გაამართლა პირველმა მეორის იმედები? ან რა მოსთხოვა ხალხმა სკოლას და რა მიაწოდა ამან მას?—ცხრა წელიწადია არსებობს ეს სკოლა, ჯერ შაგირდები არ შემოკლებია, მაგრამ ხალხის გული კი ვერ მოუგია და ვერც მოიგებს ამ ყოფით. დიდის ხალისით სკოლაში შესული შაგირ-დი ორს წელს ძლივს რჩება იქ და ისე გამოდის, რომ სკოლის კურსს არ ასრულებს. ბევრია, რომ ასში ათმა დაასრულოს სასკოლო კურსი; მეორე-მესამე წელიწადს გული უცრუვდება ბავშვსაც და უფრო მისს პატრონს... რით აიხსნება ეს გარე-მოება? რასაკვირველია, ვერვინ გაბედავს ჰთქვას, რომ გლეხის

შვილი სწავლაზედ ცუდლუტი იყოს, პირ იქით, ის ისე ეწაფება მას, როგორც მშიერ მწყურვალი სასმელ საჭმელს. მაშ ბრალი მშობლებს უნდა ედებოდესთ, როცა ესენი შვილებს სწავლას თავს უდროვოდ ანებებინებენ. ბევრი კიდეც აბრალებს გლეხს ამ გარემოებას და მიზეზად მისს სიღარიბეს და უფრო უმეცრებას ასახელებს. ამბობენ: გლეხს მუშა-ხელი იმოდენად ეჭირვება, რომ სამ-ოთხ წელიწადს ვერ აცლის შვილს სწავლისთვის, ამასთანავე გლეხმა სწავლის ყადრიც არ იცის, როცა მისი შვილი ხელის მოწერას ისწავლის, მას ჰგონია ყველაფერი ისწავლა და მეტსაც აღარ ითხოვსო. ვინც საქმეს ახლოს არ გასცნობია და ერთობ შორიდან სჯის, იმისთვის ეს მიზეზები ერთობ თვალსაჩინოა, მაგრამ საკმაოა ცოტათიც არის ახლო გავეცნოთ საქმეს, რომ სულ სხვა მიზეზი დავინახოთ გლეხის სკოლაზედ გულის აცრუვებისა. ჩვენს ხალხს, რომ იტყვიან, სწორეთ შია და სწყურია სწავლა ცოდნა და, აბა, გიჟი—გადარეულიც ხომ არ მიატოვებს გაშლილ სუფრას, თუ შიმშილი კუჭს უდნობს!... მაგრამ შესაძლოა ჭკვიანმაც დაგიწუნოსთ სუფრა, კუჭიც რომ შიმშილით უხმებოდეს, თუ რომ თქვენ ჩახოხბილ ჩასაცივებულ ქათამ-ინდაურის მაგივრად მოხრაკულ ბაყაყს და მჟავიან ლოკოკინებს მიართმევთ, რომელთაც ჩვენი ხალხი რაც უნდა შიოდეს, არ გიახლება.

იქ სადაც ხალხი თავის ხარჯითა და თავის ნებით იხსნის სკოლას, ცხადია, სკოლის ავ კარგიანობის და ცხოვრებასთან თანხმობის დამამტკიცებელი შაგირდების მშობლებთაგან სკოლის შეყვარება და პატივისცემაა. ცხოვრება და ცხოვრების მოთხოვნილება,—აი ქვა-კუთხედი, რომელიც საფუძვლად უნდა ედოს ყოველ საქმეს, რომელიც სამერმისოა, საშვილიშვილო, საერო... რიგიანი პროგრამმა და რიგიანი აღსრულება მისი—აი სკოლის ქვა-კუთხედი.

როცა გლეხს სკოლაში შვილი შემოჰყავს, ერთის შეხედ-

ვით ცოტასა ითხოვს მასწავლებლისგან: ბატონო! ამას მისწავლინე წერა-კითხვა და ანგარიში. ხომ მოკლეთ არის ნათქვამი, მაგრამ ერთობ ბევრს კი შეიცავს ეს მოკლე თხოვნა. წერა-კითხვა და ანგარიში სჭირდება გლეხს, მაგრამ არა მარტო ხელის მოწერა და თვლა. ასეთი „ნასწავლი" შვილი სკოლაშივე მოიყვანა გლეხმა და ითხოვა: «ბატონო! ამან დაწერა და ამოკითხვა ქე იცის, ციფრებსაც სწერს მილიონამდის, თქვენ მხოლოდ იმასა გთხოვთ, რომ ამას «გამოთქმა» მისწავლინოთ, თუ სკოლაში არ შეიძლება, თქვენთან იყოლიოთ». აღმოჩნდა კარგა ჩაკითხვისა და გამოძიების შემდეგ, რომ «გამოთქმა» იგივ გონებითი განვითარებაა მოსწავლისა იმოდენად, რომ მას შეეძლოს თავისუფლად კალმის ხმარება, ნახულ გაგონილის აწონ-დაწონვა და ქაღალდზედ გადატანა, რაც თითონ ზოგ-ზოგ მასწავლებელსაც უძნელდება. ხედავს გლეხი, რომ რაც გინდა დააგვიანდეს მის შვილს სკოლაში, ამ გამოთქმას იგი მაინც ვერ სწავლობს, უფრო ხშირად კი ხელნაწერის ამოკითხვასაც ვერ ახერხებს და უბრალო ბარათს ვერ მისწერს ნათლი ამისს. ამასთან გლეხი იმასაც ხედავს, რომ სკოლაში ბავშვები უსაქმო და მოცლილი არ არიან, ქაღალდსაც ბევრს ხარჯავენ, წიგნებს კიდევ უფრო მეტს; ამ რალაცაებს გლეხმა უწოდა «ისტორიები», ან «ორი კურდღელი». ამიტომ ამბობს: «ბატონო, ერთს კურდღელს ორი რომ მირჩევნია, ცხადია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ორი კურდღელი ერთად არავის დაუჭერია. ბევრი ისტორიები რა ჩვენი საქმეა». ამ სიტყვით გაჰყავს შვილი სკოლიდან და თანაც ამბობს: «საქმეს უნდა ვწიოვო» და მიჰყავს ვისმესთან, ორი სამი წლით უჯამაგიროდ უყენებს, რომ რამე ხელობა ასწავლოს, ან გამოცდილება რამ მიაღებინოს. ხშირად თითონ მასწავლებელს ან მღვდელს ევედრება: იყოლიე შენთან, ბატონო, რამდენ ხანსაც გნებავდეს, იქნება ერთს დღეს კაცი გახდესო. რას

ეძებს გლეხი ამ შემთხვევაში, თუ არ სწავლას, რომელსაც ცხოვრება ითხოვს და სკოლა კი არ იძლევა?! ან ეგ განა იმას ნიშნავს, რომ გლეხს მუშა სჭირდება და იმისთვის გაიყვანა შვილი სკოლიდანო?!

იმასაც, ვინც სკოლის კურსს მთლად ათავებს, საბოლოოდ ხელში რჩება მარტოდ მარტო უბრალო წერა-კითხვა, ესე იგი იმოდენი სწავლა, რამდენიც შეეძლო შეეძინა ათი წლის ბავშვს სულ ერთის წლის განმავლობაში, თუ რომ უსაჭიროეს სწავლაზედ მიაქცევდა მასწავლებელი მისს ყურადღებას.

როცა სასოფლო პირველ დაწყებითს სკოლაზედს ვლაპარაკობთ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ იგი არის «ანიც» და «ჰოიეც» გლეხის ბავშვის სწავლა-განათლებისა. სასოფლო სკოლა არ არის მოსამზადებელი კლასი რომელიმე სასწავლებლისა, რომ აქ რაიმე ნასწავლი ჩავთვალოთ დასაწყისად, რომელიც შემდეგში უნდა დამთავრდეს შემდეგ კლასში. დაწყება რომელიმე საგნისა და არ დათავება სოფლის პირველ-დაწყებით სკოლას არ უხერხდება და თუ ძალათ ვუხერხებთ, ცხოვრება იმ დასაწყისს უცებ წაშლის და უძვირფასესი დრო მოზარდი ახალგაზდისა ცუდად დაკარგული შეიქნება!... ერთის სიტყვით, სასოფლო სკოლა არის (აზრით მაინც, თუ საქმით არა) თავბოლოიანი სასწავლებელი, და არა მოსამზადებელი კლასი, და თუ ჩვენ იმას ამ უკანასკნელად გადავაქცევთ, რომლის გათავების შემდეგ მოსწავლეს მიღებული სწავლის ორი მესამედი სკოლის ეზოდან გადმოსვლისათანავე, როგორც მეტი ბარგი, ზურგიდან ჩამოეხსნება, — რაღა გასაკვირველი არის თუ გლეხი ასეთს სკოლაში შვილს ბევრხანს არ დააყოვნებს და არ აყოვნებს კიდეც იმიტომ, რომ გლეხი სკოლისგან მეტს ითხოვს, ვინემ ეს უკანასკნელი იძლევა.

ამ გარემოებით აიხსნება ერთი საყურადღებო მოვლენა, ამ ბოლოს დროს გახშირებული; რომ გლეხი, რომელიც ერთ-

კლასიან სკოლასაც არ ათავებინებს შვილს, ერთ კლასიან სკოლას ორ-კლასიანად აკეთებს. ნეტაი როგორ აგვიხსნიან ამ მოვლენას ისინი, ვინც სკოლაზედ ხალხისგან გულის აცრუებას და შვილების ადრე გამოყვანას ამბრალებენ ხალხის უმეცრებას და სიღარიბეს და არა თვითონ სკოლის უვარგისობას. გამოდის—მათი აზრით,—რომ გლეხი ღარიბია და - მეტს ხარჯს კი ეწევა ორ-კლასიან სკოლისათვის, უმეცარია, უბრალო წერა-კითხვის მეტს არას დაეძებს და—ერთ-კლასიან სკოლას არ ჯერდება, ორ-კლასიანს იარსებს! ცხადია, რომ ეს ორი აზრი ერთმანეთში ერთობ ძნელი მოსათავსებელია. საქმე კი სულ ადვილი ასახსნელია, თუ ჩვენგან ზემოდ ნათქვამს გავიხსენებთ. ერთი სკოლა გაიხსნა ექვსას-რვაასმა კომლმა. გლეხი ფულს იხდის სკოლის შესანახავად, უნდა კიდეც ისარგებლოს სკოლით, მაგრამ მისს შვილს ადგილი არ შეხვდა წელს, არა—შემდეგ და კიდევ შემდეგაც არა! ვისაც ერგო სკოლაში შვილის გაზრდა, თუმცა ისიც არ უმადლის სკოლას, მაგრამ უმეტესობა მოკლებულია უადგილობით იმ ცოტა სწავლასაც, რომელსაც იძლევა სკოლა. ასე გადის კარგა ხანი, ბოლოს უჩნდება სოფელს «მოთავე» (თვითონ მასწავლებელიც მოთავეთაგანია, გატაცებული ცრუ თავმოყვარეობით, რომ ორ-კლასიანი სკოლის ინსპეკტორი იქნება) და უქადის საზოგადოებას ბევრ ვაკანსიასაც და უმჯობეს სწავლასაც, თუ რომ ერთ კლასიან სკოლის ორ-კლასიანად გადააკეთებენ. აქ ერთის ხელის გაქნევით ორი კურდღელი იკვლება, ორს უკმაყოფილო მხარეს ერთად მოეგოთ გული—ბევრი ვაკანსია, უკეთესი სწავლა. ამას რაღა სჯობს?! იხსნება ორ-კლასიანი სკოლა. აქაც ერთის შეხედვით ისიც თუ შორიდგან ვხედავთ საქმეს, დიდს სანუგეშო წარმატებას ვნიშნავთ. რაღა თქმა უნდა ორ-კლასიანი სკოლა სჯობს ერთ კლასიანს. ნეტაი ყოველ დიდ საზოგადოებას კი არა, თითო სოფელსაც სულ ორ-ორ-კლასიანი

სკოლები მისცათ, ძლიერ სასიამოვნო იქნება. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, თუ რამ გამოიწვია ორ-კლასიანი სკოლის დაარსება. უწინ რომ ერთი მასწავლებელი ორ-კურდღელს მისდევდა და რასაკვირველია, ვერ ეწეოდა, ახლა ორი მასწავლებელი უფრო ადვილად დაიჭერს... მაგრამ არ იკითხავთ, თუ რამდენს გამოუდგნენ ეს ორი?—ხუთს თუ არა, ოთხს მაინც! ხომ მაინც შეუსრულებელი დარჩა ის, რისიც მონატრე ვიყავით?! რაც შეეხება ვაკანსიის სიმრავლეს, ამისთვის ასჯერ უკეთესი არ იქნებოდა, რომ მეორე ერთ კლასიანი სკოლა გაეხსნათ იმავ საზოგადოებაში ახალსა დგილს?! იმერეთში ჯერ ერთი სოფელიც რომ არის, თუ დიდია, ხუთ-ექვს ვერსზედ არის გაგრძელებული, და სამი ოთხი სოფელი კი, რომელნიც ხშირად ერთს სოფლის საზოგადოებას შეადგენენ, ათის ვერსტის მანძილზედ არიან გაფანტული. ჯერ სანამ ორ-კლასიან სკოლებს გახსნიდეს ასეთი საზოგადოება უფრო სასარგებლო არ არის, რომ ორი სამი ერთ-კლასიანი სკოლები დაიარსონ საზოგადოების შიგა-და-შიგ სხვა-და-სხვა სოფლებში? თორემ საზოგადოებას ორ კლასიანი სკოლა აქვს, ორის პირველ დაწყებითის სკოლის ხარჯებს ეწევა და ამ სკოლაში სულ სამი-ოთხი შაგირდი ძლივს ათავებს კურსს, მაგივრად ყოველ წლობით ასი და ორასი მოზარდი რჩება სკოლის გარეთ უვაკანსიობით და მოკლებულია უბრალო წერა-კითხვის სწავლასაც!...

ნარი.

1891 წ.

აპრილის 15-სა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უმთავრესი შეცდომები:

| გვრ. | პწკარი. | | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 18 | 11 | ზევ. | ქუვეყანაში | ქვეყანაში |
| 70 | 10 | ქვ. | ბევრი | ბეები |
| 76 | 6 | ქვ. | ფურცელის | ფურცელიც |
| 110 | 2 | ზევ. | გალალებულს | გალიალებულს |
| 112 | 10 | ქვ. | აწყალი კაცი | საწყალი კაცი |
| 138 | 11 | ქვ. | აიტაცა მგრძნობელობამ | აიტაცა მგრძნობელობით |
| 144 | 9 | ქვ. | ლიპგამოპარსული | ნიკაპ·გამოპარსული |
| 145 | 5 | ქვ. | ასე რომ ხომ | ასე რომ |
| 160 | 15 | ზევ. | მეფეთ-მთავარნი | მეფე-მთავარნი |
| 161 | 5 | ქვე. | ქართველები | ქართლელები |
| 162 | 11 | » | მოიქცა დასჯერდა | მოიქცა და დასჯერდა |
| 169 | 13 | ზევ. | ესევანი | ერევანი |
| 176 | 4 | ქვე. | გორაშვილს | გოჩაშვილს |
| 177 | 8 | » | ზალოო | ხოლოო |
| 180 | 4 | » | გაბრჯიბამდისინ | გაბრჭობამდის |
| 185 | 1 | » | motiéres | matiéres |
| 186 | 5 | ზევ. | სიაობ | სიაოშ |
| 187 | 2 | ქვე. | [3] გიორგიჯანიძე | [3], მოადგილედ, მაგიერად |
| 187 | 1 | » | [4] მოადგილედ, მაგიერად | [4], გიორგიჯანიძე, |
| 195 | 2 | ზევ. | კაცს არ | არვის |
| 195 | 10 | » | ასვენებს | აშვენებს |
| 196 | 5 | » | გაიგონ | გაიყონ |
| 220 | 5 | » | წვიმს და ლელავს | წვიმს და გრგვინავს |
| 220 | 15 | » | წასაგებელი | წესაგებული |
| 277 | 3 | ქვ. | ჯვარს | ჯავარს. |